114
1954 /4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგზავრი

114/4

3

3

მარტი

1954

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

6805

წელიწადი ოცდამეთერთმეტე

3

საქართ. სსრ. საქ. საბჭოთა
საქართველოს
ბიბლიოთეკა

მ ა რ ტ ი

19 სახელგამი 54
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

★

ლენინის საქმის დიდი განმგრძობი. წერილი 3
სანდრო შანშიაშვილი — ფიქრი სტალინის. ძეგლთან. ლექსი 11
ნიკოლოზ ტიხონოვი — უკვდავება. ლექსი თარგმ. სანდრო შანშიაშვილისა 13
დიმიტრი გულია — პარტია. ლექსი, თარგმანი შ. აკობიასი; ბოლშევიკური სიტყვა. ლექსი. თარგმანი ალიო მირცხულავასი 14
არკადი პერვენცევი — მატროსები. ნაწყვეტები რომანიდან. თარგმანი ნიკ. აგიაშვილისა 16
კონსტანტინე ჭიჭინაძე — ხუთი მარტი. ლექსი 47
აკაკი გეწაძე — ბელადის ქანდაკებასთან თბილისში. ლექსი 48
ვარლამ ყურული — ორი ლექსი 50
გიორგი კალანდაძე — სამი ლექსი 52
ალექსანდრე პროკოფიევი — მარად ჩვენთან არის. ლექსი. თარგმანი ვასილ ლაფერაშვილისა 54
პუგო ჰუპერტი — ორი ლექსი. თარგმანი აკაკი ჭკადუასი 55
თამაზ გაბელია — ბელადი მხატვრის ტილოზე. ლექსი 58
ნინო დოლიძე — მამა და შვილი. მოთხრობა 59
როსტომ ბეყანიშვილი — სოფლის სურათები 72
ვადიმ სობკო — გული. მოთხრობა. გაგრძელება. თარგმანი პოლიო აბრამიასი 84
ანა ზეგერსი — წაბლი. მოთხრობა. თარგმანი გერმანულიდან ნელი გოგიჩაძისა 105
სიმონ წვერავა — ჩვენი დროის ადამიანი. ნარკვევი 110
დოც. ნ. ურუშაძე — სტალინი მსოფლიოს პროგრესულ მწერალთა შემოქმედებაში. წერილი 118
დოც. ვ. სიფრაშვილი — სოციალისტური და ბურჟუაზიული დემოკრატია. წერილი 126
დიმიტრი ბენაშვილი — ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხისათვის წერილი 135

ბიბლიოგრაფია

კ. ხინთიბიძე, ა. მირიანაშვილი — ნოე ზომლეთელის რჩეული ნაწერები . . . 148
ანა ღვინიაშვილი — ჩეხური ზღაპრები ქართულად 150
ვლ. ჯიბუტი — „ლიტერატურული პორტრეტები“ 151
პროფ. პ. გუგუშვილი — გამოკვლევა ქართული მხედრული შრიფტის შესახებ . 156
ვარლამ ძიძიგური — ახალი ქართული პედაგოგიური ჟურნალი 158
ახალი წიგნები . . . . . : გარეკანის მე-3 გვ.

რედაქტორი
ალიო მირცხულავა
სარედაქციო კოლეგია:
ნიკოლოზ აგიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბენაშვილი
ნიკო კეცხოველი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ჭილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/III-54 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. უე 02814.
ტირაჟი 5.500.

აიწყო ბ. ს. კომბინატში. დაიბეჭდა და აიკინძა პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტში“, ლენინის ქ. № 14. შეკვეთა № 490.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ., № 5. ტელეფონი 3-23-42.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინის საქმის დიდი განმგრძობი

ერთი წლის წინათ, 1953 წლის 5 მარტს, გარდაიცვალა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი — გენიალური ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი, მისი საქმის დიდი განმგრძობი.

ი. ბ. სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენი ქვეყნის ხალხებისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. მან მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ექსპლოატატორთა უღლისაგან მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა განთავისუფლების საქმეს, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეს. ი. ბ. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა აღმაფრთოვანებელი მაგალითია ხალხისადმი სამსახურისა და გმირული, თავდადებული ბრძოლისა მშრომელი მასების ინტერესებისათვის, მათი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, როცა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა პირველი ნაბიჯები რუსეთში რევოლუციური მარქსისტული პარტიის მშენებლობაში, ი. ბ. სტალინი განიმსჭვალა უსაზღვრო რწმენით ლენინის რევოლუციური გენიისადმი და დაადგა ლენინურ გზას. იგი დაუცხრომლად იბრძოდა ლენინიზმის იდეების განხორციელებისათვის. „რაც მე შემეხება, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — მე მხოლოდ ლენინის მოწაფე ვარ და ჩემი ცხოვრების მიზანია ვიყო მისი ღირსეული მოწაფე“ (თხზ., ტ. 13, გვ. 110).

ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის მოძღვრებით, ი. ბ. სტალინი ოპორტუნისტთა ხელყოფისაგან იცავდა პარტიის ლენინურ იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, ტაქტიკურ და თეორიულ საფუძვლებს, რაზმავდა პარტიულ მასებს ლენინიზმის საბრძოლო დროშის ქვეშ.

ჩვენმა პარტიამ, რომელიც შექმნილი და გამოჭედილია რევოლუციის გენიის — ლენინის მიერ, განვლო გმირული ბრძოლის, მძიმე განსაცდელისა და მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სახელოვანი ნახევარსაუკუნოვანი გზა.

მოაწყო რა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის საბრძოლო კავშირი, კომუნისტურმა პარტიამ კაცობრიობის გენიის — ვ. ი. ლენინის მეთაურობით უზრუნველყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნიზმის გამარჯვების ერას.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კომუნისტური პარტია მმართველი პარტია, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა გახდა. მის წინაშე მთელი სიმწვავით წამოიჭრა ახალი, სოციალისტური,

სახელმწიფოს შექმნისა და სოციალიზმის აშენების ურთულესი ამოცანები. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინის უახლოესი თანაშემწე იყო მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობასა და განმტკიცებაში. სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის მრისხანე წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს გზავნიდნენ ფრონტის ყველაზე საშიშ უბნებზე. თავისი რკინისებური ნებისყოფითა და მასების დარაზმვის უნარით, თავისი მხედართმთავრული ოსტატობით ი. ბ. სტალინი თანმიმდევრულად აღწევდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა განადგურების ლენინური გეგმის განხორციელებას.

პარტიამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა გასწია იმისათვის, რომ გაეერთიანებინა საბჭოთა რესპუბლიკები ერთ საკავშირო სახელმწიფოდ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად. ამ ისტორიული ამოცანის განხორციელებას ბევრი შრომა მოახმარა ი. ბ. სტალინმა. სსრ კავშირის შექმნა გარდატეხის მომენტი იყო ჩვენი ქვეყნის ხალხთა ისტორიაში, დიდი ნიშანსვეტი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში. საბჭოთა კავშირი განვითარდა სერიოზულ საერთაშორისო ძალად, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს საერთაშორისო ვითარებაზე და შეცვალოს იგი მშრომელთა ინტერესებისათვის.

* * *

პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ კომუნისტური პარტიის, როგორც მმართველი პარტიის, წინაშე დაისახა ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენების გრანდიოზული ამოცანები. კომუნისტური პარტიის ბელადმა, საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთის გადაქცევისა მოწინავე, მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. ეს პროგრამა ითვალისწინებდა ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, მძიმე მრეწველობის ყოველმხრივ განვითარებას, მთელი სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციას, სოციალისტურ საწყისებზე ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის გარდაქმნის კოოპერაციული გეგმის ცხოვრებაში გატარებას, კულტურული რევოლუციის განხორციელებას.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ პარტიისა და ხალხის მტრები — ტროცკისტები, ბუხარინელები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები — ცდილობდნენ გადაეყვანათ პარტია და ქვეყანა ლენინური გზიდან პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა ლიკვიდაციისა და კაპიტალისტური წესწყობილების რესტავრაციის გზაზე. კომუნისტურმა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი, გაანადგურა გამცემლები და კაპიტულანტები, დაიცვა ლენინიზმი და აიღო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების მტკიცე კურსი.

აჩაღებდა რა სოციალისტურ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში, კომუნისტური პარტია ეყრდნობოდა საზოგადოების ეკონომიური განვითარების ობიექტურ კანონებს, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებიხ მომწიფებულ საჭიროებებს, ხალხის ინტერესებს. ამასთან პარტიას მტკიცედ ახსოვდა ვ. ი. ლენინის მითითებანი იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება ყველაფერი, რაც საჭირო და საკმარისია სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენს პარტიას ი. სტალინის ხელმძღვანელობით მიჰყავდა საბჭოთა ხალხი ლენინური გზით, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის გენიალური ლენინური გეგმის განხორციელების გზით.

ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფე და მისი დიადი საქმის ღირსეული განმგრძობი ი. ბ. სტალინი ყოველთვის მოუწოდებდა კომუნისტებს და ყველა საბჭოთა ადამიანს შეესწავლათ ვ. ი. ლენინის შრომები, შეესრულებინათ მისი მოძღვრება, ეცხოვრნათ და ემუშავნათ ლენინურად.

„გახსოვდეთ, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ილიჩი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი, — წერდა ი. ბ. სტალინი.

ებრძოლეთ მტრებს, შინაურ და გარეშე მტრებს და სძლიეთ ისინი, — ილიჩისებურად.

აშენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა, ახალი კულტურა, — ილიჩისებურად.

არასოდეს არა სთქვათ უარი მცირედზე მუშაობაში, ვინაიდან მცირედისაგან შენდება დიდი, — ეს არის ილიჩის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ანდერძი“ (თხზ., ტ. 7, გვ. 17).

მთელ თავის მოღვაწეობაში პარტია ხელმძღვანელობს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიადი მოძღვრებით, კომუნისტური პარტიის უკვდავი შემქმნელისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბრძნული ანდერძით. ასრულებდა რა ვ. ი. ლენინის ბრძნულ ანდერძს, კომუნისტური პარტია ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი, თანმიმდევრულად ატარებდა ცხოვრებაში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკას, განახორციელა კულტურული რევოლუცია და მიიყვანა ჩვენი სამშობლოს ხალხები სოციალიზმის გამარჯვებამდე.

სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტია იზრდებოდა და მტკიცდებოდა, აძლიერებდა თავის კავშირს მასებთან, ხალხთან. პარტიის ცენტრალური კომიტეტი დაუცხრომლად ზრუნავდა პარტიის წევრის წოდებისა და მნიშვნელობის ყოველმხრივი ამაღლებისათვის. „ჩვენ, კომუნისტები, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ისინი ვართ, რომლებიც შევადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას,

ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე პარტიის ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე პარტიის წევრის სახელწოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი" (თხზ., ტ. 6, გვ. 65).

კომუნისტური პარტია გაბედულად ძლევდა სიძნელეებს თავის გზაზე, ულმობლად ამსხვრევდა მტრების წინააღმდეგობას და მუდამ ინარჩუნებდა წამყვანი ძალის პოზიციას, მტკიცედ და რწმენით მიჰყავდა საბჭოთა ხალხი სოციალისტური საზოგადოების აშენების გზით. მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლაში პარტიამ დაიცვა და განამტკიცა თავისი რიგების ლენინური ერთიანობა, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო. პარტიული რიგების მონოლითური ერთიანობა პარტიის სიმტკიცისა და უძლეველობის გადამწყვეტი პირობა იყო, არის და იქნება. თავის დიად ისტორიულ მოწოდებასა და დანიშნულებას კომუნისტური პარტია წარმატებით ასრულებს იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს თანამოაზრეთა მონოლითურ კოლექტივს, ნებისყოფის ერთიანობით, მოქმედების ერთიანობით, დისციპლინის ერთიანობით შედუღაბებულს.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება ლენინის ბრძნული ანდერძის შესრულების, კომუნისტური პარტიის გიგანტური მაორგანიზებელი და წარმმართველი მოღვაწეობის დიადი შედეგია, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის აღფრთოვანებული გმირული შრომის ნაყოფია.

განაზოგადა რა სსრ კავშირში სოციალისტური აშენებლობის გამოცდილება და თანამედროვე საერთაშორისო განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილება, ი. ბ. სტალინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად და მთელ რიგ საკითხებში გაამდიდრა რევოლუციური თეორია ახალი დებულებებით. ი. ბ. სტალინი დაუცხრომლად შრომობდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. იგი მიგვითითებდა, რომ სოციალისტური სახელმწიფოს სიმტკიცე და ძლიერება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცისა და უძლეველობის წყაროა მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირში ხედავდნენ პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლეს პრინციპს. კომუნისტურ პარტიას თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია დაუცხრომლად განამტკიცოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი — ჩვენი სამშობლოს ძლიერების საფუძველი.

საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველია ხალხთა მეგობრობა. ვ. ი. ლენინმა შექმნა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის იდეოლოგია, შეიმუშავა პარტიის მწყობრი თეორია. პროგრამა და ტაქტიკა ეროვნულ საკითხში. ეროვნულ საკითხში ლენინის საპროგრამო დებულებებმა შემდგომი განვითარება ჰპოვა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებებში,

პარტიის გადაწყვეტილებებში. ახორციელებს რა ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი შეაკავშირა ერთ ძმურ ოჯახად, დიად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად. ჩვენი ქვეყნის ხალხების მეგობრობა საბჭოთა საზოგადოების განვითარების მძლავრი მამოძრავებელი ძალა გახდა. სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის განმტკიცებისათვის განუწყვეტლივ შრომობდა ი. ბ. სტალინი. კომუნისტური პარტია თვალისჩინივით უფრთხილდება ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას, დაუღალავად ზრდის მშრომელებს ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეოლოგიის სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

კომუნისტური პარტია მუდამ უდიდეს ყურადღებას აქცევდა ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეს. დიდ სამამულო ომში კომუნისტური პარტია გამოვიდა როგორც საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების შთამაგონებელი და მებრძოლი ხელმძღვანელი. მძიმე განსაცდელის დღეებში იგი მოქმედებდა როგორც ერთიანი საბრძოლო ორგანიზაცია, რომელმაც არ იცის მერყეობა და უთანხმოება თავის რიგებში. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სათავეში დაყენებულ იქნა ლენინის საქმის დიდი განმგრძობი ი. ბ. სტალინი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უშუალოდ სამხედრო სამუშაოზე გაგზავნა ნ. ა. ბულგანინი, ა. ა. ჟდანოვი, ა. ს. შჩერბაკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი და ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრები. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის მრისხანე ბრძოლებში კომუნისტური პარტია კიდევ უფრო შეესისხლხორცა ხალხს. ომმა კვლავ ცხადყო საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დიდი ცხოველმყოფელი ძალა, პარტიის პოლიტიკის სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა.

ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების შედეგად იმპერიალისტურ სისტემას ჩამოშორდნენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები. ჩამოყალიბდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი სსრ კავშირის მეთაურობით. ამ ბანაკში მჭიდრო ძმური ერთიანობით საბჭოთა ხალხთან ერთად წინ მიდიან დიდი ჩინელი ხალხი, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ალბანეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოძმე ხალხები. ამ ბანაკში არიან გმირი კორეელი ხალხი და ვიეტნამის მშრომელები, რომლებიც თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვიან.

* * *

შემოქმედებითად ავითარებდა რა მეცნიერული კომუნიზმის თეორიას, ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების მეცნიერული პროგრამა. ლენინის გენიის უკვდავ ქმნილებებში მოცემულია

ძირითადი პრინციპული, თეორიული მითითებანი კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლის გზების შესახებ. კომუნისტურ მშენებლობას, რომ აწყობს, ჩვენი პარტია ემყარება ლენინის ამ პროგრამულ დებულებებს, რომლებმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა ი. ბ. სტალინის შრომებში და პარტიის გადაწყვეტილებებში.

ხელმძღვანელობს რა ლენინიზმის მოძღვრებით, კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა მეცნიერულად დასაბუთებული და ათეული წლების ბრძოლით შემოწმებული პოლიტიკა, რომელიც გამოხატავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებსა და ხალხის ძირეულ ინტერესებს.

საბჭოთა ხალხი უსაზღვრო ნდობით ეკიდება და მხურვალე სიყვარულით არის გამსჭვალული თავისი კომუნისტური პარტიისადმი, რადგან იცის, რომ პარტიის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი კანონია ხალხის ინტერესებისადმი სამსახური. ჩვენი ქვეყნის მშრომელები განუხრელად ერთგულნი არიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისა, რომელიც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას უზრუნველყოფს.

პარტია ყოველი ღონისძიებით ავითარებს მძიმე მრეწველობას — სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველს. მძიმე მრეწველობის განვითარებაში მიღწეულმა წარმატებებმა მოამზადა პირობები სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ფართო პროგრამა, რათა ორი-სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გადიდდეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა მასობრივი მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლით. ამ ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტა კომუნისტური მშენებლობის პროგრამის შემადგენელი ნაწილია.

პარტია ფართოდ ავლინებს შიდარეზერვებს, რომლებიც ჩვენი მრეწველობის წიაღშია, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების უფრო წარმატებით შესრულებისათვის. პარტია მშრომელებს რაზმავს საწარმოთა მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის წინაშე მდგომი ახალი ამოცანების გადასაჭრელად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მთელი ჩვენი საშუალებებისა და შესაძლებლობების ყაირათიანად და გონივრულად გამოყენებისათვის.

დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამაც. საკოლმეურნეო წყობილებამ დაამტკიცა თავისი უდიდესი სასიცოცხლო ძალა და თავისი ძირეული უპირატესობანი ყოველ კერძოკაპიტალისტურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან შედარებით. მაგრამ პარტია ვერ დასჯერდება ამ წარმატებებს. იგი ითვალისწინებს მშრომელთა განუწყვეტლივ მზარდ მატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიალურ მოთხოვნილებებს. სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის მიუღწეველად შეუძლებელია სურსათის სიუხვის სრული უზრუნველყოფა და ჩვენი სწრაფად მზარდი მსუბუქი და კვების მრეწველობის ნედლეულით მომარაგება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში და პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებებში სოფლის მეურნეობის საკითხებზე შემუშავებულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, პირველ რიგში მეცხოველეობის, და კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების დაჩქარებული განვითარების საბრძოლო, კონკრეტული პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელება მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის საარსებო საქმეა.

კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მარცვლეული მეურნეობის, როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის, ყველა ღონისძიებით განვითარებას. პარტიის პოლიტიკა იქითკენ არის მიმართული, რომ მთელი რეზერვები და შესაძლებლობანი გამოვიყენოთ მარცვლეულის წარმოების ყოველმხრივი გაძლიერებისაკენ. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად პარტია ცდილობს მიაღწიოს ბილიონობით ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას განსაკუთრებით ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთის რაიონებში. პარტიის მოწოდებით ათასობით საბჭოთა პატრიოტი მიდის ამ რაიონებში დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანის შესასრულებლად.

საბჭოთა ადამიანები თავიანთი ცხოვრების გამოცდილებით ხედავენ, რომ პარტიის პოლიტიკა მიმართულია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი განუხრელი გაუმჯობესებისაკენ, მისი მუდამ მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებისაკენ. ეს იქიდან ჩანს, რომ საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს სახსრებს ახმარს საბინაო მშენებლობას, სახალხო განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, ეს თავის გამოხატულებას პოულობს აგრეთვე მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სისტემატური შემცირების პოლიტიკაში და სხვ.

განუხრელად ახორციელებს რა XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტია განამტკიცებს თავისი რიგების ერთიანობასა და ბრძოლის-უნარიანობას, ყველა ღონისძიებით ავითარებს შინაპარტიულ დემოკრატიას, თვითკრიტიკას და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკას, თანმიმდევრულად ხელმძღვანელობს პარტიული ცხოვრების ნორმებითა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებით, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა. პარტიის შესახებ ლენინურ მოძღვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია პარტიული ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპი. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჯერ კიდევ რევოლუციამდელ წლებში ვ. ი. ლენინი უწოდებდა ხელმძღვანელთა კოლექტივს, პარტიის პრინციპების დამცველსა და განმმარტებელს. „**პარტიის** პრინციპებს ყრილობიდან ყრილობამდე იცავს და მათ განმარტავს ცენტრალური კომიტეტი“, — აღნიშნავდა ლენინი. იგი ყოველთვის მოითხოვდა, რომ და-

ცულ იქნას პარტიული ცხოვრების მტკიცე ნორმები, რომლებიც გათვალისწინებულია პარტიის წესდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური კომიტეტის კოლექტიური გამოცდილება და კოლექტიური სიბრძნე, რომლებიც დამყარებულია მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის თეორიის მეცნიერულ საფუძველზე, ხალხის მასების შემოქმედებითს ენერგიასა და თვითმოქმედებაზე, უზრუნველყოფს პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობის სისწორეს.

პარტიის პოლიტიკა მიმართულია საბჭოთა სახელმწიფოს — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ. საბჭოთა სახელმწიფო უდიდესი სიმტკიცითა და შეუპოვრობით იბრძვის ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისათვის, ახალი ომის თავიდან აცილებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის განმტკიცებისათვის.

პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურ საგარეო პოლიტიკას, ხალხთა შორის მშვიდობის პოლიტიკას, რომელიც დაფუძნებულია ლენინიზმის დებულებაზე ორი სისტემის — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების თანაარსებობისა და მშვიდობიანი შეჯიბრების შესაძლებლობის შესახებ. „აზრი ორი სისტემის თანამშრომლობის შესახებ, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — პირველად ლენინმა გამოთქვა. ლენინი ჩვენი მასწავლებელია, ხოლო ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ლენინის მოწაფეები ვართ. ჩვენ არასოდეს არ გადაგვიხვევია და არც გადავუხვევთ ლენინის მითითებებს“ („პრავდა“, 1947 წლის 8 მაისი).

ფხიზლად დგას რა ხალხის ინტერესების, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე, კომუნისტური პარტია ითვალისწინებს, რომ საზღვარგარეთ არიან რეაქციული იმპერიალისტური ძალები, რომლებიც ცდილობენ გაამწვავონ და გააძლიერონ საერთაშორისო დაძაბულობა, გააჩაღონ ახალი ომი. ამიტომ, მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს რა მშვიდობის პოლიტიკას, პარტიას საჭიროდ მიაჩნია განუწყვეტლივ სრულყოფდეს და განამტკიცებდეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს, აძლიერებდეს საბჭოთა ხალხის სიფხიზლეს საბჭოთა სახელმწიფოს მტრების ყველა და ყოველგვარი ხრიკების წინააღმდეგ.

ეყრდნობა რა საბჭოთა სოციალისტური წყობილების დიად უპირატესობებს, კომუნისტურ პარტიას ლენინ — სტალინის დროშით მტკიცედ და რწმენით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ. საბჭოთა ადამიანები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ თავიანთი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწევენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის ძლევამოსილად განხორციელებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო შანშიაშვილი

ფიქრი სტალინის ძეგლთან

☆

Боец справедливый и грозный
По городу тихо идет.
Час поздний, глухой и морозный...

Н. Тихонов

ეს მოხდა მაშინ, როცა გვირგვინებს
ბელადის ძეგლი მთლად დაეფარა,
როცა ნეტარი ფიქრი წარსულზე
ჩემს უნებურად შემომეპარა.

შემომეპარა და ფრთა გაშალა,
ვხედავ: თბილისი ძილს მისცემოდა,
აღარ ღელავდა მოხუცი მტკვარი...
თითქოს მომესმა მძლავრი ჯახანი...
მეტეხის ციხის გაიღო კარი!

გაიღო კარი და იმ კარიდან
აგერ, გამოდის ყრმა შავგვრემანი!
მხარბეჭიანი და ახოვანი,
ოდნავ გაშლია ხუჭუჭი თმანი.
ხუჭუჭი თმანი ოდნავ გაშლია,
ხან მისი თვალი სხივით იელვებს;
ის მოაბიჯებს დინჯად ქუჩაში,
თან სანაპიროს ათვალიერებს...
ათვალიერებს ირგვლივ მიდამოს,
ვეღარ უცვნია მას ეს ალაგი;
შეხედავს ზევით ნაცნობ მთაწმინდას:
მთლად გამოცვლილა დედაქალაქი.
და თითქოს უკვირს: რა მოხდა ხალხში?
და იქვე ხედავს: ძეგლი დგას ბაღში.
იცნობს და ჰკითხავს: ძმაო, შენ, კობა,
მითხარ, ვით მოხდა
ჩვენი თბილისის ასე შემკობა?
მე ხომ სულ ადრე გამომასალმეს...
როცა სარკმელთან თოფი დაცალეს.

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესმის ეს თხრობა და ბინდში ვხედავ,
თითქოს ალერსით ძეგლს უცქერს... უცქერს...
ჩემსავით ღელავს და გული უძგერს.
და მომეჩვენა: ძეგლი შეირხა,
ძირს გადმოვიდა. მოჰკიდა ხელი.
გულში ჩაიკრა. გადაეხვია.
და უცებ გაჰქრა ჩვენება მწველი!

გრძნობის ბურუსი გადავიყარე...
ხარობდა მტკვარი, არას ჩიოდა,
ვიდექ ძეგლის წინ კვლავ თავდახრილი.
ყინვა სუსხავდა, არა მციოდა.
მზე პირველ სალამს ბელადს უძღვნიდა,
მთაზე წითლად რომ ამოდიოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ჯიხონოვი

უკვდავება

★

როგორ შეეძლო ერთ ადამიანს
ამდენი ზრუნვა, გულხმიერება.
სურდა ცხოვრება ახალ მოდგმისთვის,
მარად საამო ბედნიერება.

იმნაირ ომში, რაც არ ნახულა,
მტერს იმის გარდა ვინ დათრგუნავდა?
რარიგ უყვარდა იმას ბავშვები,
რარიგ თავისთვის ცოტას ზრუნავდა.

იყო ყველასთვის ის ახლობელი,
და, როგორც მამა, უყვარდა ყველას.
ეს დრო ჩვენ ვცანით მის საუკუნედ,
იგი სტალინის ნათელით ელავს.

როს მიაღწია ცხოვრების მწვერვალს,
ვნახეთ, სიბერე ვერ სტეხდა სურვილს;
სტალინის სიტყვა, როგორც ჩანჩქერი,
საოცარ ძალით გვიკლავდა წყურვილს.

როცა სალუტმა გლოვით იქუხა, —
ნათლად ხედავდა სამშობლო ვრცელი:
იდგა გუშაგად თვით უკვდავება
და კომუნიზმის ეპოქის მცველი.

თარგმანი **სანდრო შანშიაშვილისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲒᲣᲚᲘᲐ
აფხაზეთის სახალხო პოეტი

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

★

ვიცი, ბუნების მრისხანე ძალა
გოლიათ ქედებს შეუცვლის ალაგს...
მაგრამ ეს ძალა ვერ შეედრება
პარტიის ძალას, პარტიის ნებას.

ვიცი, ქვეყნად თუ რა უხვად არის
ზღვები — ბუნების ნაოსტატარი...
მაგრამ პარტიის მტკიცე მარჯვენამ
შეძლო ახალი ზღვების გაჩენა.

აი, მზე ხმელეთს ანათებს, ათბობს,
მაგრამ პარტიას — უდიდეს მნათობს,
მეტი აქვს ძალა, ღამით თუ დღისით
გულებში გვწვდება სინათლე მისი.,

უსაზღვროდ ვრცელი არის სამყარო,
ის სიდიადით რას შევადარო?
მისებრ უსაზღვრო და დიადია
გრძნობა, რომლითაც გვიყვარს პარტია.

ხშირად ბუნების სიზუსტე გვიკვირს,
ბნელ ღამეს მოსდევს ნათელი ცისკრის...
მისებრ ზუსტია სტალინის აზრი,
პარტიის სიტყვა — მარადჟამ ბასრი.

უფრო სრულყოფილს რას შევადარო
პარტია — დიდი ცხოვრების წყარო,
რომ მისი შუქი არ ადგეს სვეტად,
გაცივდებოდა ჩვენი პლანეტა.

თარგმანი აფხაზურიდან **შ. აკობიასი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკური სიტყვა

★

გვწამს ერთი სიტყვა, გვჯერა და გვიყვარს,
არც ზღაპრად თქმულა მისი ბადალი,
ამაყი სიტყვა, მგზნებარე სიტყვა,
ბოლშევიკური სიტყვა მართალი.

ის ხალხში მუდამ გიზგიზებს ალად,
ცხოვრების უკვდავ სიბრძნედ ცნობილი,
მტკიცეა მისი მოქმედი ძალა,
ბრძოლის ცეცხლშია გამოწრთობილი.

შუქივით ფანტავს ნისლიან დღეებს,
ავდარს გარდაქმნის ნათელ ტაროსად,
გზებით გააპობს გაუვალ კლდეებს,
მზეს გვიახლოვებს სანეტაროსა.

იმედად ისმის მთებიდან ბარში
მისი მედგარი გადაძახება,
ხეებს, ხეხილებს შემოსავს ფარჩით,
და მწირ მიდამოს აქცევს ბაღებად.

ის წინ მიგვიძღვის ფოლადის ფარად,
ჩვენს ნებას იცავს, ჩვენს ძლიერებას,
ის გამარჯვებას გვანიჭებს მარად,
გვახარებს ახალ ბედნიერებას.

კაცი ამაყობს მით აღჭურვილი,
არც ჭმუნვასა გრძნობს, არც მოდუნებას,
მაღლა მიილტვის მეტი სურვილით
და მედიდურად იპყრობს ბუნებას.

და ჩვენც ამიტომ გვწამს ერთი სიტყვა,
ქვეყნად არ თქმულა მისი ბადალი,
ეს მკვეთრი სიტყვა, ასე რომ გვიყვარს,
ფოლადის ნებით არის ნათალი,
ლენინის სიტყვა, სტალინის სიტყვა,
მილიონების სიტყვა მართალი.

თარგმანი აფხაზურიდან **ალიო მირცხულავასი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არკადი პერვენცევი

მატროსები

★

ჟურნალ „ოქტიაბრის“ შარშანდელ ნომრებში დაიბეჭდა ცნობილი რუსი მწერლის არკადი პერვენცევის რომანი „მატროსები“, რომელშიც ასახულია შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა ცხოვრება და საქმიანობა სამამულო ომის შემდეგ. რომანის ყველაზე საინტერესო ეპიზოდია იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ჩასვლა ყირიმში 1947 წლის აგვისტოს და მისი ყოფნა კრეისერ „მოლოტოვზე“.

ვბეჭდავთ ამ რომანიდან რამდენიმე თავს შემოკლებულად.

*
* *

1947 წლის 15 აგვისტოს, შუადღისას, ზღვაში მყოფ კრეისერ „მოლოტოვს“ უბრძანეს, შეეცვალა გეზი, დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო ბაზაში და მომზადებულიყო სალაშქროდ.

გემზე არც მატროსთა და, თითქმის, არც მეთაურთა შემადგენლობამ (გარდა უფროსი მეთაურებისა) არ იცოდა, თუ რა ლაშქრობას უნდა შესდგომოდა მათი გემი.

„მოლოტოვი“ გაემართა სევასტოპოლისაკენ. კრეისერმა თვრამეტკვანძიანი სვლით შუაზე გააპო სევერნაია ბუხტის უშფოთველი ზვირთები და გავიდა სარეიდო ადგილზე, სადაც თეთრად მოჩანდნენ წყალში ნახევრადჩაშვებული დიდი რკინის კასრები, რომლებიც თითქოს ტივტივას მაგივრობას ეწეოდნენ და იჭერდნენ მრავალტონიანი ღუზის ჯაჭვს.

სახომალდო განრიგის შესაბამისად, კასრზე გემის დამყენებელმა პირადმა შემადგენლობამ მისადგომთან მისვლამდე დაიკავა ადგილი და მოემზადა ბრძანებათა შესასრულებლად.

უფროსი თანაშემწე გემის მეთაურთან ერთად იდგა სავალ ხიდურზე. მან გასცა ბრძანება, რომელიც უმალვე გაიმეორეს კრეისერის მთელს ზედა ბაქანზე და მატროსებმა შეამზადეს გემი კასრზე მისაბმელად: მოამზადეს ღუზის ჯაჭვი — რკინის გვარლი და ჩასაშვები ბაგირი წინაერდოზე და ძირს ჩასაშვებად გამართეს სამუშაო კარჭაპა.

შემდეგ მთავარი ბოცმანის ხელმძღვანელობით მატროსები გაეშურნენ ბრძანებების შესასრულებლად. უფროსი თანაშემწე ხედავდა, თუ როგორ მარჯვედ ჩაუშვეს მეზღვაურებმა კარჭაპა.

მეზღვაურები ნიჩბებს დააწვნენ, კარჭაპა სწრაფად მიადგა გემის კიჩოს და შემდეგ კასრს. მასზე გასჭიმეს რკინის გვარლი. ამ დროიდან გემი ითვლებოდა ღუზაზე მდგომარედ.

ზევით მყოფი მატროსები უცქეროდნენ, უწინარეს ყოვლისა, არა იმას, თუ როგორი გულმოდგინებით მუშაობდნენ უბრალო საქმის შემსრულებელი მათი ამხანაგები, არამედ ნაპირს გაჰყურებდნენ.

მან, ვისაც უმსახურია ფლოტში ან ვინც იცნობს მძიმე საზღვაო სამსახურს, იცის, თუ რაოდენად თანაბრად და ერთფეროვნად მიმდინარეობს იგი სამხედრო ხომალდის გემბანზე. გემი თითქოს ხმელეთს გამოყოფილი უნდა ცხოვრობდეს თავისი ყოფა-ცხოვრებით, ცხოვრების რიტმით და მეზღვაურიც ყველაფერს, ამ რიტმის ფრიად უმნიშვნელო დარღვევასაც კი, გრძნობიერად ეპყრობა.

მატროსთა ცნობისმოყვარეობა უაღრესად გააღვივა ბაზაში გემის უეცარმა დაბრუნებამ. ნეტავი რა უნდა იყოს ამის მიზეზი? გაჰყურებდნენ ნაპირს, იქ ეძიებდნენ ამოხსნას და ცდილობდნენ რაიმე ნიშნების მიხედვით გამოერკვიათ ეს მიზეზი. იქნებ ვინმე უკვე უცდიდა მათ გრაფის ნავმისადგომთან? მაგრამ ეს ადგილი ცარიელი იყო, იქ არც ერთი კატარღა არ ჩანდა. თეთრად ციალებდა მზით გაჩახჩახებული კოლონადა, ფართო საფეხურები ეშვებოდა პირსის ფიცარნაგისკენ, მოჩანდა ხეებში ნახევრად მიმალული ფლოტის შტაბის შენობა, ქვემოთ კი — სამდინარო სადგური წინ წამომდგარი კოშკურით, საიდანაც, როგორც ყოველთვის, წყალში ხტოდნენ მცურავები.

მატროსები მალი-მალ გასცქეროდნენ სანიშნო ხიდურს: იქიდან უფრო კარგად მოჩანდა ყველაფერი.

სანიშნო საგუშაგოს ზემდეგი პეტრე არხიპენკო სხვებზე ნაკლებად როდი იყო დაინტერესებული მომავალი ლაშქრობით, მაგრამ არ ამჟღავნებდა თავის გრძნობებს და გარეგნულად სრულიად დამშვიდებული ჩანდა: ზუსტად და მკაცრად ასრულებდა განრიგით დაკისრებულ ყველა ფუნქციას. თვითონ ნაპირიც, როგორც ყოველთვის, მშვიდად გამოიყურებოდა და არაფრის ახსნა არ შეეძლო მეორე სტატიის ზემდეგისათვის, თუმცა მის განკარგულებაში იყო ყველაზე უფრო თანამედროვე სამეთვალყურო ხელსაწყოები.

გემის მეთაური და მისი უფროსი თანაშემწე ხიდურიდან შკაფუტზე გადავიდნენ და რაღაცაზე საუბრობდნენ.

როგორც კი კასრზე გაიჭიმა გვარლი და გემი ძალუმად მიემაგრა გრუნტს — ზღვის ფსკერს, კიჩოზე ამართეს გიუისი — საციხო ალამი.

თხელ ქსოვილად აფრიალებული გიუისი ნიშნავდა: გემი დგომის დროსაც კი მრისხანე მებრძოლი ციხე-სიმაგრეა, რომელსაც უნარი შესწევს ყოველწამს გამანადგურებლად ეკვეთოს მტერსო.

კასრზე მიბმის მთელი ეს წინასწარ განრიგებული და დადგენილ-შემუშავებული ტექნიკა მთელი შემადგენლობისა და თითოეული მეზღვაურისაგან მოითხოვდა ბრწყინვალე ოსტატობას, სიმარჯვესა და დისციპლინას.

როცა გვარლთან ერთად კასრზე გამართეს ღუზის ჯაჭვი, ხოლო გუშაგებმა დაიკავეს ადგილი ღუზის საგუშაგოთა ტაბულის თანახმად, მთავარ ბოცმანს საშუალება მიეცა, მხოლოდ ერთი წუთით მოეხადა თავიდან ქუდი და ხელის სწრაფი მოძრაობით პირისახიდან ოფლი მოეწმინდა. მხოლოდ ახლა შეიძლებოდა მზერა მიეპყრო კორაბელნაია სტორონასკენ, სადაც მაღალ კლდოვან ბორცვებს გადაღმა, სამოსწავლო რაზმეულის ნახევრადდანგრეულ შენობებთან, მდებარეობდა აპოლონის ხევი, სევასტოპოლის ერთ-ერთი პირველი საგარეუბნო დაბა, სადაც ცხოვრობდა მთავარი ბოცმანის ოჯახი.

„იქნებ დღეს მაინც ვინახულო ჩემიანებიო?“, — გაიფიქრა მან ისე, როგორც ფიქრობს ამას ზღვიდან დაბრუნებული ყოველი მეზღვაური.

მაგრამ იმ წუთს, როცა მთავარ ბოცმანი მთელი ფიქრებითა და ოცნებით უკვე იმყოფებოდა აპოლონის ხევთან ზღვარ ახლოს, გაისმა ტრანსლაციის სა-

6805

დარაჯო სექციის ხანგამოშვებითი ზუზუნი და ბრძანება-გამოხმობა: „მთავარ ბოცმანს გემის მეთაური უხმობს!“

ოცნება მიმოეფანტა. ბრძანებამ წამსვე დაუბრუნა მთავარი ბოცმანი ამ ვალდებულებებს, რომელთაც უკვე დიდი ხანია დაუმორჩილა მან მთელი ცხოვრება. ის სწრაფად აიჭრა ზევით. ზურგშექცევით მდგარი მეთაური მობრუნდა. დინჯად, მრავალმნიშვნელოვანი პაუზის შემდეგ, უთხრა:

— გრიგორი ტიმოფეევიჩ... გემი უნდა მოვამზადოთ და კარგადაც უნდა მოვამზადოთ. ყველგან დიდი სისუფთავე უნდა იყოს და სრული წესრიგი დამყარდეს, შეიღებოს...

— არის, ამხანაგო მეორე რანგის კაპიტანო!

მთავარი ბოცმანი მიხვდა: გემის წინაშე იდგა რაღაც საპასუხისმგებლო ამოცანა. ის გამოიჭიმა, თვალი გაუშტერა მეთაურს და ქუდის წინაფრაზე მიიდო მსხვილთითებიანი მიხაკისფერი ხელი.

მეთაურმა მიმართა უფროს თანაშემწეს:

— არავითარი განთავისუფლება ნაპირზე გადასასვლელად! ეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. მუშაობაში ჩაბმული იქნეს მთელი პირადი შემადგენლობა. ეს იქნება ავრალი! დღეს ხომ თხუთმეტია, მაშასადამე, — მეთაურმა ერთიმეორეზე მოკეცა თითები, — თექვსმეტს, ჩვიდმეტს, თვრამეტს, სამი დღის განმავლობაში.

უფროსი თანაშემწეც მეთაურთან ერთად აგრეთვე კეცავდა თითებს, ხოლო მთავარი ბოცმანი ძველი ბოცმანური ჩვეულებისდამიხედვით უკვე ვარაუდობდა, რა ბრწყინვალედ შეძლებდა ამ სამ დღეში გემის მომზადებას. „თექვსმეტს, ჩვიდმეტს, თვრამეტს!..“.

თუმცა გემი ის-ის იყო დაბრუნდა ლაშქრობიდან, მაგრამ ამ სამ საავრალო დღეს ყველაფრის ჩინებულად მოგვარება შეიძლებოდა.

მეთაურმა, მაინც მოიფიქრა, გამართა ერთი თითი და ოხვრით წარმოთქვა:

— თვრამეტი რიცხვი, სჯობს, რეზერვში დავიტოვოთ. ამგვარად, მხოლოდ სრული ორ დღის ვარაუდი იქონიეთ. და, ვიმეორებ, არავითარი თავისუფლება და გემიდან დათხოვნა.

მან დაითხოვა მთავარი ბოცმანი, მისცა რა კიდევ წმინდა პრაქტიკული ხასიათის რამდენიმე შეკითხვა, ხოლო უფროსი თანაშემწე დაიტოვა. ათიოდე წუთის შემდეგ ისინი ჩაეშვნენ მეთაურის კაიუტაში.

მალე უფროსი თანაშემწე გამოვიდა კაიუტიდან და რამდენიმედ აჩქარებულად გაემართა რადისტის ჯიხურისკენ.

ყველაფერ ამას ყურადღებით ადევნებდნენ თვალ-ყურს მატროსები. უფროსი თანაშემწე, უთუოდ, ილაპარაკებდა ულტრამოკლეტალღიანი გადამცემით. საუბრის შინაარსს, რასაკვირველია, ვერავინ გაიგებდა. მაგრამ იქნებ რაიმე წამოცდენოდა სასიგნალო სემაფორს? მატროსები კვლავ მიაშტერდნენ სანიშნო ხიდურს და სემაფორს ელოდნენ.

სასიგნალო საგუშაგოს ზემდეგი მოხარულიც კი იქნებოდა, ნაწილობრივ მაინც გაეგო ბაზაში გემის გამოწვევის მიზეზი. მაგრამ არაფრით არ შეეძლო დახმარებოდა მატროსებს. არხიპენკო ყოველთვის მზად იყო, გადაეცა ყოველგვარი სემაფორი. ამჯერად კი უსაქმოდ დარჩა.

რომელიღაც მატროსი უკვე ჩაეშვა კუბრიკში, რათა მოემზადებია საგარეო ტანსაცმელი, სწორედ ისეთი, რომელსაც იცვამდნენ მხოლოდ სადღესასწაულოდ, ვახტზე დგომისას და ნაპირზე გადასვლის დროს.

ნაპირზე გადასასვლელად დათხოვნის ნაცვლად გამოცხადდა გემის მთლიანად რიგგარეშე დალაგება-დასუფთავება. მთელ გემზე ატყდა ჟრიამული, დაიწყო გემბანის, სატიხრავების, ქიმების, კიბეების, მილების, ანძების, კატარღების, საცხოვრებელი და სასამსახურო ოთახების, ოფიცერთა კაიუტების რეცხვა და ხეხვა. მთელ გემზე მხოლოდ ორ ადგილას კვლავ განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს და არ მონაწილეობდნენ დალაგებაში: ეს იყო სამზარეულოში, სადაც მზადდებოდა სადილი, და მორიგე რადისტის ჯიხურში.

მატროსებს, რასაკვირველია, როდი გაუჭირდებოდათ დალაგება. ყველანი კეთილსინდისიერად და საკმაო აღტყინებით მუშაობდნენ. როგორ არ უნდა ემასლაათათ, მეტისმეტად საინტერესო ამბავი ხდებოდა!

— ეი, პეტია, — ასძახეს ქვემოდან არხიპენკოს, — მაგ სამრეკლოდან ხომ უფრო ხედავ? როგორაა საქმე?

არხიპენკო იჩეჩავდა მხრებს და უარყოფის ნიშნად აქნევდა თავს.

— ოი, შენ, პეტია არხიპენკო...

— დიდი ლაშქრობა იქნება, ბიჭებო!

— ასე ვფიქრობ.

— როგორ, რას ფიქრობ?

— იქნებ, საზღვარგარეთ წავიდეთ.

— როგორ არა, მოგართმევენ ასე ერთბაშად.

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს... შავი ზღვა გარდიგარდმო ლაჯებში გამოვივლეთ, აღარაფერი დაგვრჩენია მოუვლელი.

— შეხედეთ, კატარღა ჩაუშვეს!

— რადგან კატარღა ზღვაში ჩაუშვეს, — ჩანს, სატელეფონო კავშირი აღარ კმარა. საჭიროა პირადი, საინსტრუქციო...

უკანასკნელი ფრაზა წარმოთქვა ზემდეგმა პახომოვმა, ტანადმა შავგვრემანმა მენიშნემ, კრეისერ „მოლოტოვის“ ერთ-ერთმა ვეტერანმა, როგორც უწოდებდნენ წინა ომში ამ გემზე ნამსახურ მეზღვაურებს.

მან მსუბუქად წკიპურტი აკრა ქუდს და კეფაზე მოიგდო. შემდეგ ხუჭუჭა ქოჩორი შეარხია და მეგობრულად შეუძახა არხიპენკოს:

— პეტია, ანალიზი გაუკეთე კერძო საკითხებს, საერთო დასკვნა გამოიტანე. მეზღვაურები მოუთმენლად ელიან... ჩვენ ცნობისმოყვარე ხალხი როდი ვართ, არამედ ცოდნისმოყვარულნი...

პახომოვს გვერდით გაუარეს კრეისერის მეთაურმა და მისმა მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში. მეთაური ოდნავ ჩაფიქრებული იყო. ეს იგრძნობოდა არა მარტო მის თვალებში, მის ფართო აღაჟღაჟებულ სახეზე, არამედ სიარულშიც. მან, ალბათ, გაიგონა პახომოვის სიტყვები და სხვა დროს უპასუხებდა კიდეც არხიპენკოს მაგივრად, გამონახავდა ამისთვის საჭირო სიტყვებს. დღეს კი თითქოს ვეღარც კი შეამჩნია პახომოვი.

კატარღა გუგუნით მოსწყდა გემს და სწრაფად გაეშურა გრაფის ნავმისადგომის გაკაშკაშებული კოლონადისაკენ.

პახომოვმა თვალი გააყოლა კატარღას, კატარღაზე აღმართული ალმის მიხედვით გაიგო ქარის მიმართულება; შემდეგ გაოფლილი თითები მოსწყვიტა რიკულებს და სანიშნო ხიდურზე ავიდა. იქაც საჭირო იყო სრული წესრიგის დამყარება; და ძმაკაც არხიპენკოსთანაც წაისაუბრებდა ცოტას.

ისევ განაგრძობდნენ გემის რეცხვას, ხეხვას, შეღებვას. მთავარი ბოცმანი დაუცხრომლად დაქრიდა გემბანზე, გაჰყვიროდა ჩახლეჩილი ხმით, იკუზებო-

და ლუკებთან და სადღაც რაღაცას ჩასძახოდა. მორიგე ბოცმანები კი, რომელთაც განსაკუთრებული ინსტრუქციები მიეღოთ, უკიდურესი მომთხოვნელობითა და ჩაციებით იქცეოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემს არათუ მხოლოდ ალაგებდნენ და წმენდნენ. ამოწმებდნენ ამწევ საშუალებებს, ჭოჭონაქებს, ყველა მოწყობილობას და საერთოდ გემის მთელ ქონებას. მთელი შემადგენლობა თავგამოდებით მუშაობდა და ყოველ საათში უფროდაუფრო უღვივდებოდა ცნობისმოყვარეობა: „ნეტავი საით მივალთო?" გემზე ჯერ კიდევ იყვნენ დარჩენილი ომის მონაწილე ძველი მატროსები. ზოგი მათგანი გადაუკრავდა სიტყვას: „ეს საბრძოლო ლაშქრობა ხომ არ იქნებაო?" მაგრამ ირგვლივ ყველაფერი მშვიდობიანად გამოიყურებოდა, უდარდელად გაჰყვიროდნენ ბავშვები ნაპირზე და გემს თავს დანათოდა მზე. ისეთი გამჭვირვალე ღია მტრედისფერი იყო ზეცა ბუხტის წყნარ წყალში, რომ ასეთი წინადადება არავის სჯეროდა.

. . . . . .

პირადი შემადგენლობიდან ნაპირზე არავინ არ გადაუშვიათ.

გემის ცისტერნები ააავსეს სასმელი წყლით. საკუჭნაოები შეავსეს სურსათსანოვაგით: ხორბლის ფქვილით, ბურღულით, ახალი ხორცით, კარტოფილითა და ბოსტნეულით.

თვრამეტ აგვისტოს, საღამოს საგუშაგო ხიდურზე მყოფმა მორიგემ, პეტრე არხიპენკომ, შენიშნა, რომ გრაფის ნავმისადგომიდან გამოჩნდა ყოველი მეზღვაურისათვის კარგად ნაცნობი კატარღა ფლოტის სარდლისა.

არხიპენკომ დაუყოვნებლივ აცნობა ეს მორიგე ოფიცერს:

— გრაფის ნავმისადგომიდან გამოვიდა სარდლის კატარღა!

და ერთბაშად, როგორც ეს ხდება ყოველთვის, უფროსთა მოახლოვების დროს, ყველა აფუსფუსდა გემბანზე, გაისმა თავშეკავებული კილოთი, მაგრამ საერთოდ მკვეთრი ბრძანების ხმები. კიბის საფეხურებზე ბაკი-ბუკით ქვემოთ ჩაირბინეს მეფალრეპეებმა და მათ რაღაცას მისძახოდა რიკულებზე გადახრილი მორიგე ოფიცერი.

გემის მეთაური და უფროსი თანაშემწე წამსვე გაჩნდნენ კიბის თავში.

კატარღა სწრაფად მოეშურებოდა გემისაკენ.

გაისმა ბრძანება გემის მორიგისა, რომელმაც მკაცრად შესძახა: „სმენა".

გემზე უმაღლეს უფროსთა მოსვლასთან დაკავშირებით მთელი ეს მღელვარება ბუნებრივი იყო, რასაც დიდი ხანია შეეჩვივნენ, მაგრამ დღეს ისინი სულ სხვა გრძნობებს იწვევდნენ.

მარჯვედ, ძველ მეზღვაურთა სიყოჩაღით, გემბანზე ამოვიდნენ საბჭოთა კავშირის საზღვაო-სამხედრო ძალების მთავარსარდალი და შავი ზღვის ფლოტის სარდალი. კიბის ზედა ბაქანზე პირველი ამოვიდა მთავარსარდალი — მაღალი, ოდნავ სქელ-სქელი, სამწყობროდ წელაღმართული ადმირალი. მას წარუდგა გემის მეთაური — ჩვეულებრივ დროს მხიარული და ენამახვილი, მაგრამ ყოველთვის მორიდებული უფროსების წინაშე.

მთავარსარდალმა მოისმინა მეთაურის პატაკი. ხელი ჩამოართვა აგრეთვე გემის მორიგესა და საგუშაგოს უფროს ოფიცერს და მარჯვნივ და მარცხნივ ხელის ჩვეულებრივი აქნევით ნება დართო გემბანზე მყოფთ, თავისუფლად მდგარიყვნენ.

— გაგვიძეხით თქვენი ოთახისაკენ, ამხანაგო მეთაურო, — უთხრა მთავარსარდალთან ერთად მისულმა ვიცე-ადმირალმა, ფლოტის სარდალმა.

ადმირალები და უფროსი მეთურები კაიუტაში წავიდნენ. ხოლო მატროსებმა გააბოლეს პაპიროსები გემბანზე. გაჩაღდა ცხარე დავა. მატროსებმა არ იცოდნენ, თუ რაზე თათბირობდნენ მათი უფროსები, მაგრამ მაინც, თავიანთი გუმანით სურდათ გამოცნობა, ნეტავ რა მოხდებაო. მდგომარეობა ნაწილობრივ გამოირკვა: გემს მთავარსარდლის მისაღებად ამზადებდნენ. მაგრამ მაშინ რად მოვიდა ის საღამოს, დროშის დაშვების შემდეგ? ასეთ შეხვედრას ჩვეულებრივ სხვაგვარად აწყობდნენ. იქნებ მთავარსარდალი ესტუმრა გემს საინსპექტორო მიზნით კი არა, არამედ რომელიმე ლაშქრობაში მონაწილეობისათვის? ამ უკანასკნელ მოსაზრებას რეალური საფუძველი გააჩნდა, და მატროსთა უმრავლესობაც ამას დასჯერდა. მაგრამ ჯერ კიდევ ვერავის გადაეწყვიტა, რა იქნებოდა საბოლოოდ.

სიტყვა საქვაბის მემანქანე კარპუხინმა აიღო.

— ბიჭებო, — წარმოთქვა მან და თან ეშმაკურად გახედა წვრილი, გამჭრიახი თვალებით ხან ერთს და ხან მეორეს, — თქვენი მოსაზრებები, ასე ვთქვათ, ფინიშს მიუახლოვდნენ. საინსპექტორო მიზანი, არა? სწორია! საინსპექტორო მიზანი კი სხვადასხვაგვარია.

— მაინც როგორი? — იკითხა პახომოვმა.

— სრულიად უბრალო, ამხანაგო ზემდეგო, — ზრდილობიანად მიუგო კარპუხინმა. — ინსპექტორი შეიცნობს სიმართლეს ამა თუ იმ მხრივ ნაპირზე დგომისას და ლაშქრობის დროსაც. სწორია თუ არა?

— შეიძლება სწორიც იყოს.

— ახლა უნდა გამოვიცნოთ და ამოვხსნათ. ვინ იქნება პირველი. თუ თქვენ არა, მაშინ მე, ხომ?

— შენ გგონია, რადგან მემანქანე ხარ, შენი ქვაბი ყველაზე კარგად ხარშავს? — ჰკითხა პახომოვმა.

კარპუხინს არ მოეწონა, რომ პახომოვმა ასე გააბიაბრუა იგი და არ უპასუხა ისევე ზრდილობიანად.

მაგრამ მატროსს არ უნდა ეშინოდეს გაბიაბრუების, თორემ ბუზივით გაქრება.

— ჩემი ქვაბის გარეშე, — კარპუხინმა შუბლზე წკიპურტი იკრა, — ბრინჯის ფაფასაც ვერ მოხარშავ.

— კარპუხინო, რა მოგვიხარშე და რას ფიქრობ, აბა ერთი გვითხარი, თუ კაცი ხარ? — ჰკითხა ერთმა მატროსმა...

— გეტყვით... თუ კატარღა აქ დაელოდა, ეს იმას ნიშნავს, მთელი ავრალი ადმირალებისთვის ჩატარებულა, დაგვათვალიერებენ, აგვივლ-ჩაგვივლიან, ცოტას დაგვიცაცხანებენ და მშვიდობით, — ნაპირისკენ გაეშურებიან!

— და თუ კატარღა წავიდა? — ჰკითხა პახომოვმა.

— ხომ ხედავ, ისევ ჩემს ქვაბს დაუბრუნდი, — კარპუხინმა თავაზიანად დაჰხარა თავი პახამოვისკენ, რამაც მეზღვაურთა სიცილი გამოიწვია. — თუ წავიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ლაშქრობა იქნება. მენიშნე ალმართავს მთავარსარდლის დროშას ანძაზე და — აიდა!

ერთ-ერთი მატროსი მარჯვენა ქიმს მიადგა და თვალყურს ადევნებდა კატარღას.

— კატარღა წავიდა! — სულშეგუბებული ხმით წამოიძახა მან.

— აი ამოცანის ნაწილიც გადაწყვეტილია, პახომოვ, — წარმოთქვა კარ-

პუხინმა, წამოდგა მოკლე წვივმაგარ ფეხებზე დ გააზმორა. — ახლა პეიზაჟზე უნდა გამოჩნდნენ ბოცმანები და ჩვენც გამოვნახოთ საძიებელი [illegible]

სარდლის კატარღა გრაფის ნავმისადგომიდან ნახევარ [illegible] ბოდა, როცა სასტვენის მკვეთრმა ხმამ ბოცმანთა შემადგენლობას კასრებიდან გემის საჩქაროდ მოსახსნელად მოუხმო. ქვემოთ ნიჩბების შრიალით ნავი კასრს მიადგა და გემსა და მის შორის გაჭიმული გვარლი მოუფონეს. გემი მზად იყო კასრიდან მოსახსნელად.

ბოგაზე გადმოდგა მეთაურის უფროსი თანაშემწე და გასცა ბრძანება: „ადგილებზე, კასრიდან მოვიხსნათ!“ გაიწკარუნეს სასიგნალო ზარებმა. გემი დაემორჩილა სხვადასხვა სპეციალობის ასეულ ადამიანთა კოლექტიურ ნებისყოფას და დაიძრა შემადგენლობის უმრავლესი ნაწილისათვის ჯერ კიდევ უცნობი მიმართულებით.

ზედა გემბანებზე შეგროვილ მატროსთა თვალწინ გადაიშალა გაჩირაღდნებული სევასტოპოლი.

პეტრე არხიპენკო ჩავიდა ოთახში, სადაც შეგროვილიყვნენ მისი ამხანაგები, მორიგეობიდან თავისუფალი ზემდეგები. მათაც, როგორც მატროსებს, არ ასვენებდათ ცნობისმოყვარეობა. ლაშქრობა — ლაშქრობაა, მაგრამ საით მივდივართ, ანდა რა მიზეზითო? არხიპენკოს კითხვა კითხვაზე დააყარეს. ზემდეგმა თავიდან მოიშორა ყველა — თვითონაც ბრაზობდა, რომ არაფერი იცოდა ამ ლაშქრობის შესახებ. ბრეზენტის ხალათი გადაიძრო და პერანგისამარა სკივრზე ჩამოჯდა. დაღლილობა იგრძნო, ლოგინზე მიწვა და თვლემდა...

კრეისერმა გეზი ხერსონესის კონცხისაკენ აიღო. ხიდურზე მყოფი მორიგე მებუკე, ახოვანი და ლოყებღაჟღაჟა უკრაინელი, დაძაბული ყურადღებით ელოდა გემის მეთაურის ბრძანებას.

ფლოტის სარდალმა მეთაურის მდუმარე კითხვის პასუხად შეამოწმა საათი და გადამწყვეტად დააქნია თავი. მეთაური ნახევრად მიუბრუნდა მორიგე ოფიცერს, რომელიც თვალ-ყურს ადევნებდა ფლოტის სარდლისა და თავისი უშუალო უფროსის ყოველ მოძრაობას.

— სასწავლო საბრძოლო განგაში!

— სასწავლო საბრძოლო განგაში! — გასცა ბრძანება მორიგე ოფიცერმა ზედმეტად ამაღლებული ტონით და იმავე დროს ხმამაღლა აჟღარუნდნენ ზარები და ბრძანება მთელს გემზე დაარხიეს. მებუკე თითქმის ზედ მიადგა მიკროფონს, მიაბჯინა მას გაპრიალებული საყვირი და გადასცა სიგნალი ნომერ ჩვიდმეტი. პაუზის შემდეგ გაიმეორა იგივე სიგნალი და შესავალ ნაწილში დაუმატა ოცდამესამე სიგნალის ორი თანაბარი ახალი ნოტი.

მიკროფონთან მორიგე ოფიცერმა შესცვალა მებუკე და ახლა უკვე უფრო დამშვიდებით სამჯერ გამოაცხადა: „სასწავლო საბრძოლო განგაში!“

გემი წამსვე გამოცოცხლდა. ატყდა ბრახუნი გემბანებზე. სტვენით გაიშმაშურა კიბეებიდან დაშვებულ მატროსთა ლონიერმა ხელისგულებმა მოაჯირებზე. ისმოდა ლოკალური ბრძანებები. საკომანდო პუნქტებზე ელვის უსწრაფესად იწყეს შემოსვლა მოხსენებებმა საბრძოლო საგუშაგოებისა და საბრძოლო ნაწილების მზადყოფნის შესახებ.

განგაშის გამოცხადებიდან ორი წუთის შემდეგ მეთაურის უფროსმა თანაშემწემ, რომელმაც შეცვალა მორიგე ოფიცერი, პირთან ხელის მიფარებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყნარად ჩაახველა, მივიდა ადმირალთან და, მომენტის მთელი მნიშვნელობისა და პასუხისმგებლობის გრძნობით, მკაფიოდ მოახსენა:

— ამხანაგო ადმირალო, გემი მზადაა ბრძოლისათვის!

— კეთილი! — ადმირალმა ხელი აიქნია ქუდისკენ და კვლავ დაუშვა. — ელოდეთ შემდგომს ბრძანებებს.

„მოლოტოვმა" განვლო ხერსონესი, მიაღწია ფიოლენტოს კონცხს, შემოხაზა დიდი წრე და დაბრუნდა უკან.

მთელი შემადგენლობა საბრძოლო განგაშის მიხედვით თავის ადგილზე იდგა. ყველა დაძაბული ელოდა. ზღვაში გასვლისას შემადგენლობის წინაშე დასმული ამოცანა უნდა ამოხსნილიყო.

გემის ფერდთან გამოჩნდნენ დასაახლოებლად მომავალი საესკადრო ნაღმოსანთა მწვანე და წითელი ჩირაღდნები. მათ მიიღეს ფლაგმანის ბრძანება და გემის პარალელურად აიღეს გეზი.

საესკადრო ნაღმოსანთა მოსვლის შემდეგ სამივე გემი იალტისაკენ გაემართა.

ხიდურზე ავიდა მთავარსარდალი. ოდნავ მოიხარა დაბალ კართან. გავიდა წინ და შეჩერდა მარჯვნივ; მის მარცხნით, ხიდურის ცენტრში, იდგნენ გემის მეთაური და ფლოტის სარდალი. მათ გარდა აქვე იდგნენ მეთაურის უფროსი თანაშემწე და ხელსაწყოებთან მოდარაჯე ზემდეგი.

მთავარსარდალმა ააშრიალა ხელში ჩაბღუჯული ქაღალდი, — ეს იყო რადიოგრამის მისაღები ბლანკი, მიმართა მეთაურს სახელითა და მამის სახელით და უთხრა:

— გამოუცხადეთ პირად შემადგენლობას ლაშქრობის ამოცანა.

— არის, ამხანაგო ადმირალო!

მეთაური მივიდა რადიოტრანსლაციური ქსელის მიკროფონთან და, ხმაში მღელვარების დაუოკებლად, გამოაცხადა:

— ამხანაგო მატროსებო, ზემდეგებო და ოფიცრებო! მივდივართ იალტაში! ჩვენი კრეისერის შემადგენლობას ერგო დიდი პატივი და ღირსება. იალტაში, რეიდზე დგომის დროს, ჩვენ გემბანზე მივიღებთ გენერალისიმუს ამხანაგ სტალინს!

მეთაური მოშორდა მიკროფონს და ლოდინით მიაპყრო მზერა მთავარსარდალს.

— გაეცით ბრძანება, შეწყდეს განგაში! — ბრძანა ადმირალმა. — დაე ხალხმა დაისვენოს, წესრიგში მოიყვანონ თავისი თავი.

მთავარსარდალი და ფლოტის მეთაური განის კარებში გავიდნენ და მალე დატოვეს ხიდური, ხოლო გემის მეთაურმა უბრძანა უფროს თანაშემწეს — შეეწყვიტათ განგაში.

კრეისერი მიცურავდა ღამის წყვდიადში. წყნარი ამინდი ტალღათა ჩუმი, შეუმჩნეველი ლივლივით თითქოს შეესაბამებოდა მატროსთა განწყობილებას. ისინი ჯგუფჯგუფად იკრიბებოდნენ და კანტიკუნტად მუსაიფობდნენ. ჩანდა, რომ მეტად ჩააფიქრა ამ ამბავმა. თითოეული ამოწმებდა თავისთავს: ვარ თუ არა მზად ასეთი შეხვედრისთვისო? ასე ფიქრობდა არხიპენკოც. ის იდგა მარტო, დანარჩენი ამხანაგებისაგან განცალკევებით, იმიტომ კი არა, რომ აითვალწუნა ამხანაგები, არა, მას უნდოდა ახლა მარტო დარჩენილიყო თავის ფიქრებთან, სწორედ ახლა უნდოდა აეწონ-დაეწონა ყველაფერი.

კიჩოსთან წყლის შრიალმა მოაგონა ქარსიცხეში ახმიანებული ჩალამ-კალამის შარიშური სტეპებში და, მისდა უნებურად, გაახსენდა ბავშვობა-ვეს იყო ოცდაათიან წლებში. მთელი ოჯახი ლაქაშებში გაექცა კულაკთა შურის-ძიებას. დაამახსოვრდა გამხმარ ცოცხობანათა მშფოთვარე შრიალი. დედა შემ-დეგ მოუთხრობდა პეტრეს, თუ როგორ გადაარჩინა ის, ხუთი წლის ბიჭუნა, და ახლადდაბადებული ვასილი, როგორ უშენდნენ მათ კულაკები ტყვიებს ლე-ლიანში, როგორ დაიხსნეს ხიფათისაგან ისინი ბავშვებიანად ქარხანა „კუბა-ხოლის“ მუშებმა და გაანადგურეს კულაკების ბანდა.

არხიპენკო ბავშვობიდანვე უსმენდა მშობლების ნაამბობს და ქალაქისად-მი ნდობის უდიდესი გრძნობით განიმსჭვალა. მუშებმა გადაარჩინეს მათი ოჯა-ხი კულაკთა შურისძიებისაგან, ქალაქიდან გზავნიდნენ მცოდნე და გამოც-დილ ადამიანებს. ამ ადამიანთა ახლოს თითქოს კრისტალიზებული ხდებოდა ის საუკეთესო, რაც გაჩნდათ სტანიცაში; ქალაქიდან მოდიოდა წიგნები, გა-ზეთები, ცოდნა, იქიდან მოვიდა მანქანები ყანებში, რადიო, ელექტრონის დე-ნის გამტარი სპილენძის მავთულები და დინამომანქანები.

ლენინიც და სტალინიც პირველ რიგში ქალაქს მიმართავდნენ და იდეებს ლებულობდნენ მუშათა კლასის კოლექტიური გონებიდან.

საჭირო იყო ახალი ცხოვრების აგება, მისი მოპოვება. იბრძოდნენ უფრო-სები, პეტრე კი ამ ბრძოლის გვერდით იზრდებოდა, სწავლობდა და, როგორც შეჰფერის სოფლელ ბიჭს, როდი უკადრისობდა მინდვრად მუშაობას. და ყო-ველთვის — იყო ეს სკოლაში, ველზე, პიონერთა მწკრივში, წიგნებში, გაზე-თებში, რადიოსა თუ გულითად საუბარში — ყოველთვის და ყოველგან — ახსენებდნენ ლენინისა და სტალინის სახელებს. როცა პეტრე შეგნებული გახ-და, ყველაფერს გულისხმიერად მოეპყრო, სტალინის სიტყვებისა და მოხსენე-ბის კითხვის დროს პეტრე მათში პოულობდა მისთვის ახლობელსა და სასურ-ველს. თითქოს მის აზრებს გამოთქვამდა ამხანაგი სტალინი მკაფიო და ნათე-ლი, ყველასათვის გასაგები ენით. პარტიის საქმე, ხალხის საქმე მშობლიური იყო პეტრე არხიპენკოსათვის. იგი არაფრით არ აცალკევებდა თავისთავს. მშრო-მელთაგან, სამშობლოსათვის ერთგულთაგან, და მისთვის სტალინი იყო ისე-თივე სავალდებულო და აუცილებელი, როგორც ჰაერი ან მზის სინათლე.

ომში, როცა ცხრამეტი წლის მატროსი პეტრე პირველად ავიდა ამ კრეი-სერზე, ყველაფერი წინანდებურად იყო, და ჭექა-ქუხილის ღრუბლებში მაინც კაშკაშებდა მზე. ახლა ის უსმენდა სტალინს, მის ბრძანებებს, გამოსვლებს, რო-გორც საკუთარი გულიდან გამოსულ ბრძანებებს.

არასოდეს არ უგრძვნია არხიპენკოს გათიშვა სტალინისა და თავის თავის, უბრალო ადამიანის, რიგით მებრძოლის შორის. ყველაფერს ვარაუდობდა იმით, რომ სტალინი — ეს კაცთაკაცი, როგორც უწოდებდა მას პეტრე თავის გულში, გასაოცრად ზუსტად ეხმაურებოდა ყველას გულს. საიდან იყო ასეთი შესაძლებლობა და ძლიერება? არხიპენკოს გონებაში წარმოისახა ლეგენდური ანთეოსის სახე. მის შესახებ ხომ ლაპარაკობდა სტალინი. როგორც კი მოს-წყდებოდა ანთეოსი დედამიწას, წამსვე ბოლო ეღებოდა. მსგავსად ლელიანის ლერწმის შრიალისა, რომელმაც ოდესღაც შეიფარა და სიკვდილს გადაარჩინა არხიპენკოს ოჯახი, კვლავ წარმოდგა პეტრეს წინაშე მშობლიური, დიადი სა-ხელი. კრიტიკული თვალით გადახედა რა მთელ განვლილ ცხოვრებას, პეტრემ ვერ იპოვა იქ ისეთი რამ, რაც ხელს შეუშლიდა მას, პირდაპირ თვალებში შე-ეხედა ამ ადამიანისათვის, და პეტრეს გულზე მოეშვა.

ზღვა რაღაც უდიდესი ძლიერების გიგანტური რეზერვუარივით გარსშემოხვეოდა არხიპენკოს. ის რამდენიმე წლის მანძილზე შეეჩვია ზღვას, თუმცა ბევრჯერ გამოატარა მან იგი სასტიკ ქარიშხლებში; ზამთრობით შეეფიცხა გემს ვერცხლისებრ, კრიალა ყინულით; მაგრამ პეტრეს მაინც იზიდავდა მიწა. მისი გაუტეხელი ძალა მოუხმობდა და მოითხოვდა მას. კვლავ აგონდებოდა ანთეოსი და მასთან ერთად ის კაცი, რომელმაც გააცსენა ადამიანებს ეს ძველისძველი მითი. წავიდეს ფლოტიდან თუ დარჩეს? მერე-და, როგორ შეხედავს სტალინი ამ საქმეს? და არხიპენკო გაიტაცა ოცნებამ იმაზე, თუ რა მოხდებოდა რამდენიმე საათის შემდეგ...

ამ დროს უფროსმა თანაშემწემ აიარა ზედა გემბანზე და შეიხედა რამდენიმე კუბრიკში, ავიდა ხიდურზე, უამბო მეთაურს ეკიპაჟის განწყობილების შესახებ.

— ვღელავ, ძმობილო, — უთხრა მას კაპიტანმა. — მე ხომ უნდა ვუპატაკო ამხანაგ სტალინს?

— სწორედ თქვენ, აბა სხვა ვინ უპატაკებს!

— დამამშვიდე და ესაა... — მეთაურმა ღრმად ამოიოხრა, — უთუოდ ენა დამებმება. ხომ იცით, ასეთ დროს ძალიან მხდალი ვარ...

— არაფერია. ყველაფერი კარგად ჩატარდება. ხომ არ გიკითხავთ ადმირალისათვის, როგორ უნდა შევხვდეთ? „დიდი შეკრებით“ თუ როგორ? ორკესტრი არ უნდა მოვამზადოთ?

— განა ორკესტრი არაა მზად?

— მზადაა, ყველაფერი მზადაა!

— ჰო და, ასე!

— და თუ ამხანაგი სტალინი გემზე ალამის აღმართვამდე მოვიდა, მაშინ? — იკითხა უფროსმა თანაშემწემ.

— მერე რა მოხდება? — შეეკითხა მეთაური, რადგან კარგად ვერ გაიგო შეკითხვის აზრი.

— ალამის აღმართვამდე არავითარი შეხვედრა არ ეწყობა.

— აჰ, აი შენ რაზე ლაპარაკობ! — უთხრა მეთაურმა. — ჩვენთვის არაა ცნობილი ამხანაგ სტალინის მოსვლის დრო, ამიტომ ყველაფერი მზად უნდა იყოს. ფიოლენტოს კონცხი უკვე უკან მოვიტოვეთ. — მეთაურმა კომპასით შეამოწმა გზის მიმართულება, ბრძანება მისცა მესაჭეს და კვლავ მიმართა უფროს თანაშემწეს: — თქვენ იქ ყველაფერი ზუსტად მოაგვარეთ: „დიდი შეკრება“, მებუკეები, ყარაული, ორკესტრი. ეკიპაჟი „დიდი შეკრების“ მიხედვით ჩაამწკრივეთ. მოაგონეთ, რომ ყველანი წესიერად იყვნენ ჩაცმულნი, გაპარსულნი...

— ეს საჭირო არ გახლავთ. რომელიც გნებავთ, იმ კუბრიკში შეიხედეთ, რას არ ჩადიან. გარწმუნებთ, დილამდე არავინ არ დაიძინებს.

— აი ეს კი ცუდია! დილას ადგებიან მოთენთილნი, გამოუძინებელნი.

— სრულიადაც არა! ყველა ყოჩაღად, ლოყაწითელი იქნება, ამხანაგო მეთაურო. სალუტიც მოვამზადოთ, არა?

— რასაკვირველია! კიდევ ერთხელ შემოწმდეს სასალუტო ქვემეხთა გუნდები. საბრძოლო ნაწილის მეთაურმა შეარჩიოს ისეთი მემეზნენი და მევაზნეები, რომ არწივებს ჰგვანდნენ. მოამზადეთ სახელმწიფო ალამი! როგორც კი ამხანაგი სტალინი შემოდგამს გემზე ფეხს, მის პატივსაცემად აღიმართოს სახელმწიფო ალამი... ძლიერ ვღელავ. მეც ხომ პირველად ვნახავ დღეს სტალინს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

ცხრამეტ აგვისტოს, დაახლოებით დილის ოთხ საათზე. კრეისერმა შემოუარა აი-ტოდორის კონცხს. აელვარდა იალტის შუქურას ჩირაღდნები.

ლივადიის სასახლეში მხოლოდ ზედა სართულის რამდენიმე ფანჯარაში მოჩანდა სინათლე. ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა.

შეაჩერეს მანქანათა მოძრაობა. გაისმა ბრძანების ხმა წინაერდოზე. ხრეშიალით დაეშვა ღუზის ჯაჭვი.

გიუის-შტოკზე ამართეს ჩირაღდნები.

მარჯვენა კიბე უხმაუროდ ჩაეშვა ძირს.

არხიპენკო ჩვეულებისამებრ ადევნებდა ყოველივეს თვალყურს. ნავსადგურს იქით, საზღვაო ვაგზლიდან, გამოვიდა კატარღა და მსუბუქად გამოსრიალდა გემისაკენ.

ეს იყო მომცრო სადარაჯო კატარღა, შემოკლებულად — „სკ“; მას ჩვეულებრივ არ ჰქონდა სახელწოდება, ორივე ფერდზე. მსხვილი თეთრი ციფრებით ეწერა სამნიშნიანი ნომერი.

ომის დროს ამ პატარა გემებმა გვარიანად იშრომეს, მონაწილეობდნენ მრავალ ოპერაციაში და მრავალი სახელოვანი მეზღვაური ასახელეს.

როცა „სკ“ მოადგა გემს, მთავარსარდალი და ფლოტის უფროსი ჩავიდნენ ძირს; კატარღამ აიყვანა ადმირალები და გაემართა ნავმისადგომისაკენ.

ამუშავდა წრიული პროჟექტორული დადგმულობის ავტომატის ძრავი. სინათლის მძლავრმა ნაკადმა მოკაშკაშე მტრედისფერი სხივებით ააელვარა ნავმისადგომი...

პირსზე ადმირალებს შეხვდნენ სახმელეთო ჯარების ფორმაში გამოწყობილი სამხედრო პირები. მალე მანქანებმა დატოვეს ნავსადგური, გაიქროლეს სანაპირო ქუჩაზე, შეეფარნენ ლივადიის გზატკეცილის აღმართთან მდგარ ხეებს და ეაუჩინარდნენ.

გამნათებელმა მატროსმა გამორთო ბოძგინტზე მდგარი ჩამრაზი და პროჟექტორი ჩაქრა. პროჟექტორის კაშკაშა სინათლის შემდეგ თითქოს ერთბაშად ჩამობნელდა.

ეკიპაჟი კუბრიკებში წავიდ-წამოვიდა. და კვლავ დაიწყო საუბარი. ძველი მეზღვაურები იგონებდნენ ლაშქრობებს, დესანტებს. მოსაგონარი ბევრი ჰქონდათ. მეზღვაურებმა თავიანთი გემებით განვლეს საომარ მოქმედებათა ასპარეზის მთელი სამდინარო სისტემა, არ დაუტოვებიათ არც ვენა, არც ბერლინი, საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ალამით ხომალდებმა გადალახეს დუნაისა და შპრეეს წყლები. განსაკუთრებით ყურადღებით უსმენდნენ ზღვის ვეტერანებს ახალგაზრდა მეზღვაურები.

ყველა ამ ძლევამოსილ ლაშქრობას მეთაურობდა ადამიანი, რომელსაც აი, სწორედ ახლა, უნდა შემოედგა ფეხი მათს გემზე.

არხიპენკო ვახტზე უნდა დამდგარიყო. მორიგი ვახტის დადგომამდე თხუთმეტი წუთით ადრე გაისმა ბრძანება და გამოცხადდა ტანისამოსის ფორმა.

დღეს მორიგეებს დიდად როდი გაუძნელდათ შემცვლელთა გაღვიძება. ყველანი ისედაც ფეხზე იდგნენ.

არხიპენკო ჩაეშვა კუბრიკში ტანისამოსის გამოსაცვლელად. გაიხადა ფლანელი, გადაიცვა გულდასმით გაუთოებული თეთრი ბამბის ქსოვილისაგან შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერილი სამხრეეებიანი სამოსი, ჯიბეში ჩაიდვა ერთი დასტა პაპიროსი, ჩაინეგდა მომცრო სარკეში, ჩამოშლილი ქოჩორი შეიკეცა ქუდში და თავი გამოწყობილად ჩასთვალა.

გული ხალისით ევსებოდა. წელში გასწორდა, ხარბად შეისუნთქა ღია სანათურიდან შემოჭრილი ზღვის საღი ჰაერი. სასიამოვნოდ აშმაშურდა ახლადგარეცხილი პერანგი და მკვრივად შემოეჭდო მისი ახალგაზრდული ძლიერი სხეულის ყოველ კუნთს.

არხიპენკო გამოვიდა გემბანზე, შეისუნთქა სამხრეთის ზღვის ანაორთქლით სავსე ჰაერი და ფიქრობდა იმ კაცზე, რომელთანაც დაკავშირებული იყო ადამიანთა ყველა საუკეთესო და კეთილშობილური გრძნობები მთელი უსაზღვრო დედამიწის ზურგზე და აქაც, ამ ფოლადის კუნძულზეც.

გემბანზე მრავალი მატროსი იყო. გემის ქიმთან არხიპენკო შეეჩეხა იუნგა კულავინს. იუნგა, ისე როგორც სხვა მატროსები, გაჰყურებდა ლივადიის სასახლეს, სადაც ახლა უფრო მეტი განათებული ფანჯარა მოჩანდა, ვიდრე იალტაში კრეისერის ჩასვლამდე.

— ადმირალები ალბათ უკვე იქ არიან, — წყნარად უთხრა კულავინმა.

— ისინი სულ ახლოს არიან, — ალერსიანად მიუგო პეტრემ. ის გრძნობდა, რას განიცდიდა ახლა იუნგას გული.

— ნეტავი მაცოდინა, რა ხდება ახლა იქ? ნეტავი რას აკეთებენ ისინი? — ბავშვური ოცნებით წარმოთქვა კულავინმა.

— განა რას უნდა აკეთებდნენ... — არხიპენკოს შერცხვა, რადგან სრულიადაც არ შეეძლო იმის წარმოდგენა, თუ რა ხდებოდა მართლაც ახლა იმ სასახლეში.

მას ჯერ კიდევ თითქმის არავითარი რეალური წარმოდგენა არ ჰქონდა ბელადის ცხოვრებაზე. ის არსად არ შეხვედრია ადამიანებს, რომლებსაც პირადად ენახათ სტალინი. და თვითონაც ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ასე უცბად იგი, მენიშნე არხიპენკო, როგორ ნახავდა მას, სულ მის გვერდით მდგომარეს, აი, ასე, როგორც ამ წუთს კულავინს ხედავდა.

იუნგას ყურადღება არ მიუქცევია არხიპენკოს წასვლისათვის. იგი იდგა და სულ სასახლეს გაჰყურებდა.

არხიპენკო ვადაზე ადრე გამოცხადდა. მორიგე ოფიცრის თანაშემწემ იგი მიიხმო და უთხრა:

— მეთაურმა ბრძანა, თვალ-ყური ადევნო ლივადიის გზას. როგორც კი ლივადიიდან გამოვა მანქანები, იმ წუთშივე მოგვახსენე...

არხიპენკო სირბილით გაეშურა თავის საგუშაგოზე...

აღმოსავლეთში, ალუშტის მიმართულებით, ამოდიოდა მზე. ჯერ-ჯერობით არ ჩანდა თვით მნათობი, მაგრამ ზეცა უკვე შეფერადდა ნათელ-წითელი, დაფიონის მსგავსი ფერებით. მთები ჯერ კიდევ წყვდიადით იყვნენ მოცული და პირქუშად გამოიყურებოდნენ. აქა-იქ კიაფობდა სინათლე. კანტი-კუნტად, თითქოს ერთმანეთს ეხმიანებიანო, აყივლდნენ მამლები.

პეტრე თვალ-ყურს ადევნებდა ხან ბინოკლით, ხან სტერეომილით და ათვალიერებდა იალტას. კრეისერის პირადი შემადგენლობისათვის რადიოტრანსლაციის ქსელით ერთხელ ჩატარებული მოკლე საუბრიდან მან დაიხსომა ამ ქალაქის ისტორია.

... აი აქ, მთების ახლოს, სანაპიროს ღარტაფთან, სამი ათასი წლის წინათ ცხოვრობდნენ ტავრები — მთიანი და სამხრეთ სანაპიროს ყირიმის მკვიდრი

მცხოვრებნი. იმავე დროს ნახევარკუნძულის ტრამალიან ნაწილში მომთაბარობდნენ სკვითები, აღმოსავლეთ სლავთა ერთ-ერთი წინაპართაგანი, და აქ, ყირიმში, მეცამეტე საუკუნეში მოვიდა მკაცრი და საშინელი ოქროს ურდო. მთის ულელტეხილები და გაყინული სრუტეები გადმოლახეს ჩია ტანის, წვრილთვალებიანმა მხედრებმა, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ მრუდე ხმლებითა და ბალნისაგან დაწნული ქამანდებით.

დაპყრობისა და განადგურებისადმი თავაწყვეტილი ლტოლვისას ოქროს ურდო შეუერთდა მის მსგავსად სისხლისმსმელ სელჯუკელ თურქებს. ოქროს ურდოს, თურქებს და ყირიმელ ხანებს დიდხანს ჰყავდათ ველურ მდგომარეობაში ყირიმის ნახევარკუნძული, სადაც ოდითვე აგებული იყო ქალაქები საუცხოო ხეროთმოძღვრების ძეგლებით, და სადაც ნაყოფიერ მიწაზე იზრდებოდა და ხარობდა ყურძენი და სამხრეთის ხეხილი.

მრავალი ათწლეულობით გრძელდებოდა ბრძოლა ყირიმის განსათავისუფლებლად, და მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, როგორც იქნა, დამთავრდა ეს ბრძოლა. რუსი ადამიანები მოვიდნენ აქ, როგორც ბატონ-პატრონები თავიანთ მამაპაპურ სლავურ მიწა-წყალზე.

მაგრამ ყირიმს შემდეგაც ხარბად უპოტინებდნენ ხელებს მტაცებლები. ყირიმის ომის დროს იალტა დაარბიეს ინგლისელებმა და ფრანგებმა. აქ შემოიჭრნენ კაიზერის გერმანიის ჯარები 1918 წელს. აქ ორი წლს შემდეგ დაეფუძნენ ინგლისელთა და ამერიკელთა მიერ დაქირავებული ვრანგელელები, როცა საბჭოთა ჯარებმა მ. ვ. ფრუნზეს სარდლობით გაანადგურეს ვრანგელელები. იალტიდან ტვირთავდნენ ბრძოლებში სისხლდაცლილ, თეთრგვარდიელთა გენერალ ბარბოვიჩის კორპუსს. ვრანგელელები ნავსადგურის წყლებში ჰყრიდნენ ცხენებს, ხოლო თვითონ უცხოელთა გემებით გარბოდნენ ბოსფორისაკენ.

1941 წელს ჰიტლერელებმა დაიპყრეს ყირიმი და საბჭოთა დესანტების შიშით ეს საკურორტო ქალაქი გადააქციეს რაღაც საზღვაო ციხე-სიმაგრის მსგავსად, და მას „იალტა-კალე" უწოდეს.

აქ, ასრულებდნენ რა გერმანელთა მე-17 არმიის განადგურების გეგმას, შემოიჭრნენ ზღვისპირეთის არმიის საავანგარდო მოტომექანიზებული და სატანკო ნაწილები.

1944 წლის აპრილს განთავისუფლებული იალტა შეუდგა აღდგენას და მიეცა ძალ-ღონე ახალი ცხოვრებისათვის.

იმავე წლის ზამთარში აქ ჩამოვიდნენ სტალინი და მოლოტოვი, რათა იალტის კონფერენციაზე განეხილათ აგრესორთა კოალიციის საბოლოოდ განადგურებისა და ომისშემდგომი მშვიდობიანობის შენარჩუნების გეგმა...

ყველაფერი ეს მოაგონდა ახლა არხიპენკოს. ის გაჰყურებდა გამოღვიძებულ ქალაქს ისე, როგორც გემბანზე მყოფი ყველა მატროსი და ოფიცერი. კრეისერზე ყველა ბინოკლი, სტერეომილი და მანძილმზომი, ისე როგორც მატროსთა გამჭრიახი თვალები, მიმართული იყო იალტისაკენ. ახლა უკვე აღარავინ ლაპარაკობდა. ადამიანები დუმდნენ, მარტოდმარტო იყვნენ დარჩენილნი თავიანთ გრძნობებთან და თითოეულს თავისებურად ჰქოდა წარმოდგენილი მომავალი შეხვედრის წამი.

არხიპენკო უთვალთვალებდა ლივადიის გზატკეცილს, რომელიც ნაწილობრივ მოჩანდა სანაპიროს დაღმართთან. გამვლელი მანქანების დანახვა შეიძლებოდა აი იქ, ბორცვთან, სადაც გავლებული იყო გაშლილი ქვის ზღუდე...

ბოგაზე ამოვიდა არხიპენკოს ამხანაგი პახომოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მყუდრო ადგილი მოუწყვეს იოსებ ბესარიონის-ძეს კრეისერზე, — აცნობა მან არხიპენკოს.

— მაინც, სად? — ჰკითხა არხიპენკომ.

— გემის მეთაურის კაიუტაში. ნეტავი ყვავილები გვაშოვნინა...

— იქნებ ნაპირიდან მოისაზრონ და თან წამოიღონ.

— აბა, მე წავალ, — უთხრა პახომოვმა და კვლავ ქვემოთ ჩაეშვა.

დაახლოებით დილის ექვს საათზე მთავრობის მანქანები გამოჩნდნენ ლივადიის გზატკეცილზე. არხიპენკომ სწორად განსაზღვრა სამეთვალყურო სექტორი. როგორც ფიქრობდა, მანქანები რამდენიმე ხანს ხეებითა და მაღლობით დაფარულნი მოდიოდნენ. მხოლოდ ბორცვთან გამოვლისას უკვე გამოჩნდნენ. მანქანებმა სწრაფად ჩაუქროლეს კიპარისებს. არხიპენკომ მოახსენა მორიგე ოფიცერს, მან კი, თავის მხრივ, — ხიდურზე მდგარ მეთაურს. და არა მარტო მენიშნემ შეამჩნია მანქანები. ისინი დაინახა თითქმის ყველამ, ვინც იდგა ზემო გემბანზე და თვალს არ აშორებდა გზას.

მატროსებმა აღარ დაუცადეს ბრძანებას და სწრაფად გაიფანტნენ თავთავიანთ კუბრიკებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის შეხვედრის წესები განსაზღვრული იყო წესდების სათანადო მუხლებით. ამ წესთა მიხედვით, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის ალამით გემთან ნავისა ან კატარღის მოახლოების შესახებ მოხსენების დროს მებუკე იძლევა ორ სიგნალს, მაღალხმიანი ზარები ბუკის ხმასთან ერთად მოუწოდებენ გემის საკომანდო შემადგენლობას, ყარაულსა და ორკესტრს, რომლებიც ჩამწკრივდებიან „დიდი შეკრებისათვის“.

გემიდან ორი კვანძის მანძილზე კატარღის მოახლოების დროს გემის მორიგე იძლევა ბრძანებას, მებუკე ანიშნებს „თავმოყრას“, ეკიპაჟი დგება „სმენაზე“ და ორკესტრი ასრულებს შემხვედრ მარშს.

ასე უნდა მოქცეულიყვნენ გემზე „დიდი შეკრების“ შემთხვევაში. მაგრამ თვით „დიდი შეკრება“, წესდების თანახმად, შეიძლებოდა გამოცხადებულიყო მხოლოდ ალამის აღმართვის შემდეგ, ესე იგი დილის რვა საათის შემდეგ. სტალინს კი, როგორც ჩანდა, გადაეწყვიტა მოსულიყო გემზე ძალიან ადრე. რა უნდა ექნათ?

არხიპენკომ წინასწარ მოამზადა სახელმწიფო ალამი და გულდასმით შეამოწმა, რომ ის დაუბრკოლებლად აღმართულიყო. ახლა იგი ოდნავ დაიბნა. დაიბნა, უთუოდ, გემის მთელი პირადი შემადგენლობაც.

მაგრამ აი, მატროსებმა, რომელთაც იცოდნენ საალამო სემაფორის წაკითხვა, დაინახეს, რომ სანაპირო საგუშაგომ დაიწყო სიგნალების გადაცემა. ყველანი შეჰყურებდნენ ალამთა მოძრაობას. ერთი წუთის შემდეგ კი, როცა გემის მენიშნე ჯერ კიდევ იწერდა სემაფორს მისაღებ ბლანკზე, უკვე ყველამ იცოდა სამხედრო-საზღვაო ძალთა მთავარსარდლის ბრძანება. მან განკარგულება გასცა, გაეუქმებინათ „დიდი შეკრება“.

მაგრამ მატროსები როდი იშლებოდნენ. ერთმანეთთან მოულაპარაკებლად მდუმარედ, ყველამ, როგორც ერთმა, საამური მოლოდინის გრძნობით გამსჭვალულებმა, გადაწყვიტეს, რაც შეიძლება საზეიმო განწყობილებით შეხვედროდნენ სტალინს.

მანქანებმა გაიქროლეს სანაპიროზე, შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით გაირბინეს მთის პატარა ღელის უჩ-ყოშის ამომშრალ კალაპოტზე გადებული

ხიდი, წუთით მიიმალნენ იმ ქუჩის შენობებსა და ხეებში, უშუალოდ რომ ეკვროდა ნავსადგურს, და გამოჩნდნენ ნავმისადგომთან. მათ განვლეს ომის შემდეგ აღდგენილი ახალი საზღვაო ვაგზლის ფართოდ გაღებული [illegible] კარი.

მანქანიდან გადმოსულ ადამიანთა შორის მატროსებმა უმალვე იცვნეს სტალინი.

მას ეცვა სამოქალაქო ტანისამოსი. იგი მოშორდა მანქანას, მიბრუნდა ზღვისკენ და შეჰყურებდა კრეისერს.

და უკვე აღარავინ არ აშორებდა თვალს სტალინის ყოველ მოძრაობას.

არხიპენკომ ნავმისადგომიდან თვალმოუშორებლად მღელვარებისაგან გამშრალი ტუჩები შეახო სალაპარაკო მილის თითბერის გრილ თავს და გადასცა, რომ სტალინი საზღვაო ვაგზლის პირსზე იმყოფებაო. პასუხად მიიღო: „კეთილი!" და თვალებთან მიიდვა მძლავრი საზღვაო ბინოკლი. მაგრამ მას სურდა თავისი თვალებით დაენახა სტალინი. პეტრემ ჩამოიღო ბინოკლი.

ნავმისადგომის ახლოს, ქვის კედელთან მარჯვენა ფერდებით მიმდგარი, იდგნენ მორეიდე კატარღები და თვალისმომჭრელ ბრწყინვალებამდე გაპრიალებული მოდარაჯე კატარღა მარჯვენა ფერდზე მკაფიოდ მიწერილი ციფრებით.

სტალინმა დაიცადა, სანამ მისი თანმხლებნი მივიდოდნენ მასთან, მიადგა სადარაჯო კატარღას და მიიწვია ისინი ჩასასხდომად. შედგა ფეხი გადმოდებულ ხიდურზე და მოაჯირებზე ხელმოუკიდებლად გავიდა კატარღაზე. სტალინმა შეაჩერა მეთაური, რომელიც ემზადებოდა საპატაკოდ, მიესალმა მას და პატარა, მაგრამ მსოფლიოში სახელგანთქმულ სამხედრო ხომალდის გემბანზე ჩამწკრივებულ შემადგენლობას. სტალინი გაემართა კიჩოს ნაწილისაკენ და შეჩერდა რუხი ბრეზენტის შალითით დაფარული ზარბაზნის შორიახლოს.

თენდებოდა აგვისტოს ბრწყინვალე დილა, როცა განსაკუთრებით გულის გამაცოცხლებელია ზღვისა და მთებისაგან მოდენილი სიგრილე და მზეს ჯერ კიდევ არ გამოუჩენია თავისი ძლიერება. მოლურჯო-ტყვიისფერი ოდნავი მოღრუბლულობა არ შორდებოდა მშვიდად მოხატული მთების ზემოთ მდებარე ზეცის სამხრეთ ნაწილს.

სტალინი იდგა კატარღის ბაქანზე და რაღაც მეტად ღრმა და მშვიდი ჩაფიქრებით უმზერდა კატარღას კი არა, არამედ მასანდრის ბორცვებს, ტყვიისფერ ღრუბლის გროვას სამხრეთით და საზღვაო ვაგზლის თაღს.

როცა მორეიდე კატარღები დაიტვირთა, სტალინთან კვლავ მივიდა სადარაჯო კატარღის მეთაური და რაღაც ჰკითხა. სტალინმა ზურგს უკან დაწყობილი ხელების მოუშორებლად, მდუმარედ დაუქნია თავი და მიაჩერდა მეთაურს, რომელიც მიდიოდა ხიდურზე ამ ახალგაზრდა, ყოჩაღი ოფიცრისათვის რაღაც დაძაბული არაბუნებრივი მიხვრა-მოხვრით.

უფრო ძლიერ ამუშავდნენ მოტორები და ზღვის სუფთა ჰაერი გაიჟღინთა დამწვარი სოლიარის სუნით. შემდეგ მძლავრმა ხრახნებმა მოსწყვიტეს გემი პირსიდან და შეაცურეს ზღვის ლურჯ სივრცეში...

სადარაჯო კატარღა მიისწრაფოდა წინ სამხედრო-საზღვაო დროშით კიჩოზე. მორეიდე კატარღები ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ მას.

„მოლოტოვზე" შესახვედრად მოემზადნენ.

მთავარმა ბოცმანმა კტიტოროვმა ერთხელ კიდევ დაჟინებით შეათვალიერა თავისი გახამებული, მოელვარე ფოლაქებიანი, თეთრსპეტაკი კიტელი და

გაემართა წინაერდოსკენ. გადაწყვიტა, თვითონვე ჩაეშვა კიბის ბოლოს მისაბმელი ბაგირი.

ის თავგამოდებით ამზადებდა შემადგენლობას მოახლოებული კატარღების მისაღებად და ვერც კი შეამჩნია, რომ უეცრად ბაგირზე შეხებით გაისვარა კიტელი. მკერდზე, ყველასათვის დასანახავ ადგილზე, ირიბულად დააჩნდა შავი ზოლი.

სადარაჯო კატარღას უკვე ნახევარი გზა გაევლო გემამდის. რაღა უნდა ექნა? როგორ უნდა შეხვედროდა ასეთ სტუმარს გასვრილი კიტელით? მერე და ვინ, მთავარი ბოცმანი, რომელმაც სამი დღის განმავლობაში ასეთი უმწიკვლო სახე მისცა უზარმაზარ ხომალდს!

წუთშივე მიიღო გადაწყვეტილება. კტიტოროვმა მისაბმელი ბაგირი გადასცა უფროს მეზღვაურს სამირხანოვს, ხოლო თვითონ ცუხცუხით გაექანა გასვრილი კიტელის გამოსაცვლელად.

კატარღა ახლოვდებოდა. სამირხანოვი, სამხრეთის მზით გარუჯული, ნახშირივით შავი, ყაზანელი თათარი იდგა ფეხებქვეშ ოდნავ მოტორტმანე კიბის თავში. მან მარჯვედ სტყორცნა რამდენიმე რგოლად დაგრაგნილი მისაბმელი ბაგირი. კატარღის ქიმზე მდგომი მეზღვაური დაძაბული ადევნებდა თვალყურს სამირხანოვის მოძრაობას. მან ჰაერშივე დაიჭირა მის ახლოს სტვენით გაშლილი ბაგირი. ხედავდა, რა, რომ თვალ-ყურს ადევნებდა სტალინი, მან სწრაფად, ხელების რამდენიმე მარჯვე აქნევით გამოარჩია ბოლო, მიაბა ფერდის კნეტს და ისე ძლიერ დაამაგრა ის, რომ ბაგირი რეზინასავით აჭრაჭუნდა. შემდეგ მატროსი წელში გაიმართა და წინაერდოზე დადგა.

სტალინი ხედავდა ყველაფერ ამას და თავი ისე ეჭირა, რომ გაემხნევებია ადამიანები. გამოეხატა თავისი გულისხმიერი დამოკიდებულება მათი საქმიანობისადმი.

როცა მატროსებმა მოსწიეს კატარღა და მისი წინაერდოს ხაზებს მიეკრა კიბის ბოლო, სტალინმა წინ წადგა ნაბიჯი და შედგა კიბეზე.

არხიპენკოს და პახომოვს შეეძლოთ ზევიდან, სასიგნალო ხიდურის მოხერხებულ პოზიციიდან დაენახათ ყველაფერი. ახლა, ასე ახლოს, ისინი დაინახავენ სტალინს. გული გამალებით უცემდათ, სუნთქვა ეკვროდათ... როგორია იგი? რაშია ძლიერება ამ ადამიანისა, რომელიც სწორედ ახლა უნდა ამოვიდეს მათი გემის ბაქანზე.

და აი ის უკვე გემზეა. იგი ცოტა ხნით დაფარეს ოფიცერთა ზურგებმა, არხიპენკოსა და პახომოვს კი სურთ, რაც შეიძლება მთლიანად მოავლონ თვალი სტალინს!..

როგორც ეს სტალინმა ისურვა, კრეისერზე არ მოუწყვიათ საზეიმო შეხვედრა და მაინც მთელს გემზე, ყველგან, მის ყველა ნაწილში თვით მატროსებმა იკისრეს სამწყობრო წესრიგი, და ისე ჩანდა, თითქოს მთელი შემადგენლობა მაინც საზეიმო შეხვედრისთვისაა ჩამწკრივებულიო.

სტალინი ავიდა გემზე. მიიღო კრეისერის მეთაურის პატაკი, მოიკითხა ის და მიესალმა ყველას — გემზე შეკრებილთ — ხელის აქნევით. და მაშინვე, ვერც კი მოასწრო ხელის ჩამოღება, რომ გაისმა ქარიშხლის გუგუნის მსგავსი მძლავრი „ურა“.

როცა მისალმებათა გრიალი მიწყნარდა, ხოლო მატროსები მაინც არ იცვლიდნენ მდგომარეობას, სტალინმა გადახედა მათ თავისი ცალხელი, მომღიმარი თვალებით, მაგრამ შენიშნა რა, რომ გემის მეთაურიც მხოლოდ ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობას შეეპყრო, მან ენერგიულად, როგორც ბრძანება, თვითონვე აიქნია ხელი მარჯვნივ და მარცხნივ და ნება მისცა, „თავისუფლად" მდგარიყვნენ.

— სად არის თქვენი ოთახი? — ჰკითხა სტალინმა გემის მეთაურს.

— მობრძანდით, შკაფუტზე, — სწრაფად მიუგო მეთაურმა.

— შკაფუტზე? — სტალინს გაუცინა თვალებმა და ულვაშები აუთამაშდა. — როცა მეზღვაურებში ჩავარდები, ჯიბეში ლექსიკონი და რუკა უნდა გედოს, თორემ გზა დაგებნევა.

— მე მიგაცილებთ, გთხოვთ, ამხანაგო სტალინ.

— ეს კი სხვა საქმეა. გმადლობთ.

სტალინი აუჩქარებლად გაჰყვა გემის მეთაურს და გაემართა კიჩოსკენ. ის მიდიოდა და ყურადღებით, მცოდნის თვალით ათვალიერებდა კრეისერის მოწყობილობას.

ეცვა რა ყველასათვის უჩვეულო სამოქალაქო კოსტუმი და აბრეშუმის პერანგი, სტალინი ახდენდა რაღაც გასაოცრად სასიხარულო შთაბეჭდილებას. და ეს სრული კოსტუმიც, მისი ხელების თანაბარი, მშვიდი მოძრაობა, და მთლიანად თვითონ, ასეთი მშვიდი და იმედიანი, რომელიც, თითქოსდა ახორციელებდა უზარმაზარი შემოქმედი ქვეყნის მთელ ნათელ სიმშვიდეს, იყო ასე მშობლიური, ახლობელი, მამასავით საჭირო და აუცილებელი ადამიანი.

არხიპენკოს ეჩვენებოდა, რომ არავინ ისე არ განიცდიდა ამ წუთებს, როგორც იგი, თავისი სპეციალობის მიხედვით ის მიჩვეული იყო, აღერიცხა და დაემახსოვრებინა ყველაფერი სულ უმნიშვნელო წვრილმანებამდე, მან დაინახა, რომ სტალინი მივიდა სატორპედო აპარატთან და უცბად შეჩერდა. მის წინ უცებ გაჩნდა მორიგე საგუშაგოს მეთაური და მოემზადა საპატაკოდ.

სტალინმა შეაჩერა მეზღვაური:

— არაა საჭირო. მე ახლა ვისვენებ. როგორც ყოველ საბჭოთა მოქალაქეს, მეც მაქვს დასვენების უფლება.

შკაფუტიდან სტალინი ელვარე თითბერის მოაჯირიანი კიბით გავიდა ერდოზე და შემდეგ კიბის მარჯვენა ნაწილში, საიდანაც გუშაგის გვერდის ავლით გაემართა სალონში.

სალონში, ისე როგორც კრეისერზე, ისეთი გასაოცარი სისუფთავე იყო, როგორიც შეიძლება ნახოს კაცმა მხოლოდ სამხედრო გემებზე. მზე აფრქვევდა სხივებს სანათურებიდან, და მხოლოდ მზის ამოსვლისას ჩვეული ოქროსფერი სინათლის ზოლები რბილად ეხებოდნენ სავარძლებსა და ხალიჩებს.

ვ. მ. მოლოტოვის ბარელიეფმა მიიპყრო სტალინის მზერა.

— აქ პატივს სცემენ თავიანთ მოლოტოვს, — წარმოთქვა მან და მიუთითა ბარელიეფზე.

სტალინმა შეათვალიერა სალონი, გამოვიდა იქიდან და შევიდა მისთვის ვამზადებულ კაიუტაში. ყურადღებითვე მიმოიხედა შიგ, გადაიწია პიჯაკის მარცხენა კალთა, გულჯიბიდან ამოიღო ოქროს საათი, და შორიდან დახედა ისარს.

შვიდის ათი წუთი იყო.

კაიუტაში შევიდა მდივანი და გადასცა მეთაურის შეკითხვა, შეიძლება თუ არა ღუზიდან მოვიხსნათო.

— თუ ყველაფერი მზადაა, შეიძლება მოხსნა! — უთხრა სტალინმა.

მდივანმა ტელეფონით გადასცა მოხსნის ნებართვა, თუ ყველაფერი მზადაა, და გავიდა.

მალე გაძლიერებით ამუშავდნენ ტურბინები, უფრო ძლიერ დაიწყეს ძგერა კაიუტის კედლებმა.

სტალინი ჩვეულებისამებრ ბოლთასა სცემდა კაბინეტში, მაგრამ კაიუტა მეტისმეტად მცირე იყო. მაშინ მოიხსნა ყელსახვევი, ჩაღიმებით შეათვალიერა იგი და შევიდა დასაძინებლად ოთახში.

კრეისერი უკვე მიდიოდა მიცემული კურსით კავკასიის სანაპიროებისაკენ. გემი მიეშურებოდა მთელი სვლით, რაც ითვლებოდა ყველაზე თანაბრად, ყველაზე ნაკლებ ვიბრირებულად, ხოლო ხმაური მაინც ძლიერ დიდი იყო, და მას ერთბაშად ვერ მიეჩვეოდა კაცი.

ამიტომაც, მიუხედავად დაღლილობისა, ძილი არ ეკარებოდა თვალებს.

სტალინმა ვერ შეძლო დაძინება, წამოდგა საწოლიდან, ჩაიცვა და კაბინეტში გავიდა.

იატაკზე მიმაგრებულ ოვალურ მაგიდაზე იდგა ჩიბუხებით სავსე კრიალა ბრტყელი ყუთი.

სტალინი მიუახლოვდა ყუთს, ორივე ხელით, თითების ჩვეული მსუბუქი მოძრაობით გააღო იგი, ამოირჩია მანანის ფესვისაგან გაკეთებული პატარა ჩიბუხი და ჩაიდვა პიჯაკის ჯიბეში. შემდეგ დახურა ყუთი. იქვე, მაგიდაზე, იდვა ასანთი, სტალინმა აიღო პალმებით და შავი აქლემებით მოხატული ეთიკეტიანი ასანთის კოლოფი, შეარხია ხელში, ცარიელი ხომ არ არისო, და მეორე ჯიბეში ჩაიდვა. იქვე ჩაიდვა პაპიროსის კოლოფიც.

ქუდდაუხურავად გამოვიდა გარეთ, დაინახა ფლაგმანის კაიუტასთან მდგარი გუშაგი და მიესალმა მას თავის დაქნევით. შემდეგ ხელები უკან დაიწყო და გაემართა. მარჯვენა ფერდზე თვითმფრინავ-ბარკასთა ბაქანისაკენ.

აქედან მოჩანდა გაშლილი ზღვა მომცრო აქოჩრილი ტალღებით და შორიახლო მომავალი საესკადრო ნაღმოსნებით.

თითქმის ზედ ფერდთან, სტალინისაგან ოდნავ დაშორებით, საანძო ზედნაგებობათა ჩრდილში, იდგნენ მთავარსარდალი და ფლოტის სარდალი. სტალინი მიადგა ბაქანის მოაჯირს და ჩაიხედა ქვევით, სადაც მარჯვედ და მოხერხებულად ასუფთავებდნენ გემს სამუშაო ტანისამოსში გამოწყობილი მატროსები.

სტალინმა შეათვალიერა ყველაფერი, რასაც მზერა მისწვდებოდა და გადაწყვიტა, ჩამომჯდარიყო. თვალი ჰკიდა ქვემეხის საყრდენს — ლითონის ბოძგინტს, რომელიც დაფარული იყო ჩვეულებრივად შეღებილი საქვაბე რკინის ფურცელით. მიუახლოვდა საყრდენს, თითებით შეეხო; რკინის ფურცელს, სურდა გამოეცნო, ახალი ხომ არ არის ეს ელვარე ლაქის საღებავიო. დარწმუნდა, საღებავი არ გადადიოდა, და ჩამოჯდა საყრდენზე. იგი ისე დაბალი აღმოჩნდა, რომ სტალინს ფეხის მორთხმა დასჭირდა.

ალამის აღმართვის შემდეგ არხიპენკომ ცვლა ჩააბარა და სასიგნალო ხიდურზე დარჩა.

სასიგნალო ხიდურის ხელსაყრელი მდებარეობა საშუალებას აძლევდა, ზემოდან ეთვალთვალნა ყველაფრისათვის. არხიპენკო ფიქრობდა, სტალინის თითოეული სურვილი წამშივე წინასწარ შესრულებული უნდა იყოსო. მაგრამ ახლოს არავინ იყო, ხოლო მისი მხლებელი ადმირალები და თანამდებობის

პირნი მოშორებით იდგნენ და გაჰყურებდნენ ზღვას მარჯვედ მომავალ. ორმილიანი საესკადრო ნაღმოსნებისკენ.

როცა სტალინი ქვემეხის საყრდენზე ჩამოჯდა, პეტრეს პირველი სურვილი იყო, გაეფრთხილებინა იგი, რომ ამის ჩადენა არ შეიძლებოდა. ღამის განძავლობაში გემზე გარეთ მდებარე რკინა ჩვეულებრივ ცივდებოდა და მალე არ თბებოდა მზეზე, მით უმეტეს ჩრდილში.

ვიღაცას უნდა ედევნებინა თვალ-ყური წესრიგისათვის და გამოესწორებინა საქმე, მაგრამ სტალინის მხლებელი ადამიანები კვლავ გართული იყვნენ ზღვით, რაღაცაზე გაცხოველებით ლაპარაკობდნენ და ანიშნებდნენ ხან საესკადრო ნაღმოსნებისკენ, ხან ნაპირისაკენ.

არხიპენკოს ბევრი აღარ უფიქრია, სწორედ იქცეოდა თუ არა სახომალდო განაწესის მიხედვით. იგი დაემორჩილა მხოლოდ ერთად-ერთ სურვილს—დახმარებოდა სტალინს უფრო მოხერხებული ადგილის გამოძებნაში. არხიპენკო სწრაფად ჩამოეშვა ძირს და მიმოიხედა. გემბანზე არც ერთი სკამი არ ჩანდა. რა უნდა ექნა? ზემდეგის ყურადღება მიიპყრო ხმაურმა: — მტვერსასრუტი გუგუნებდა, მორიგეები სალონს ალაგებდნენ. კარი ღია იყო. სალონის გამოსასვლელთან დალაგების დროს ჩამწკრივებული იყო სკამები და სავარძლები.

არხიპენკომ წუთშივე მიიღო გადაწყვეტილება და შევიდა სალონში. მან თავი დაუქნია ერთ-ერთ კარგად ნაცნობ მორიგეს, აიღო სავარძელი და სწრაფად, მაგრამ არა სირბილით, რათა ყურადღება არ მიექციათ, გაემართა თვითმფრინავ-საბარკასო ბაქანისაკენ.

მხოლოდ სტალინის ახლოს, მისკენ ზურგშექცევით რომ განაგრძობდა ქვემეხის საყრდენზე ჯდომას, პეტრე გონს მოეგო. ვინ გაგზავნა იგი სავარძლისათვის? რატომ გადაწყვიტა ინიციატივის გამოჩენა? ერთ წამს შეჩერდა. მაგრამ გაიტაცა კარგი საქმის ჩადენის სურვილმა. ფრთხილად გადადგა ნაბიჯი მოკრიალებულ გემბანზე, მიუახლოვდა და დადგა სავარძელი, თან ცდილობდა, არ აეხმაურებია მისი ფეხები.

სტალინმა იგრძნო ზურგს უკან ვიღაცის ყოფნა. აუჩქარებლად შემობრუნდა და დაინახა არხიპენკო, მისი დაძაბული სახე. მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა. სტალინი მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

— გმადლობთ, ამხანაგო ზემდეგო, — უთხრა მან, — აქ მართლაც მოუხერხებელია. — იგი წამოდგა, გაიღიმა, ერთხელ კიდევ უთხრა მადლობა არხიპენკოს, ახლა უკვე თვალებით და სავარძელში გადაჯდა.

— ნება მომეცით, წავიდე, ამხანაგო საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსო, — აცახცახებული ტუჩებით წარმოთქვა არხიპენკომ და ხელი საფეთქელთან მიიდო.

სტალინმა ერთბაშად როდი უპასუხა. მან მზერა გააყოლა მის ღონიერ ხელს დაძაბული ახალგაზრდული კუნთებით, რაც იგრძნობოდა ხალათის შიგნითაც. შენიშნა მზით გარუჯული ფართო ხელის მტევანი მსხვილი თითებით, ხელი მშრომელისა, შეიძლება, მუშის, უფრო კი გლეხისა. რაღაც გლეხური იერი დაჰკრავდა ახალგაზრდა მეზღვაურს.

— თქვენ უნდა წახვიდეთ, ამხანაგო ზემდეგო, თუ თავისუფალი ხართ? — ჰკითხა სტალინმა.

— თავისუფალი ვარ, ამხანაგო საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსო, ახლა შემცვალეს ვახტზე!

— მაშინ დაჯექით, გეთაყვა... აქ, თუ შეიძლება? — სტალინმა ღიმილით მიუთითა იმ ადგილზე, სადაც ახლა თითონვე იჯდა.

არხიპენკომ წინ წადგა რამდენიმე ნაბიჯი და საყრდენთან შეჩერდა.

— დაჯექით, დაჯექით, — მიიპატიჟა სტალინმა. — თქვენ, მატროსები შეჩვეული ხართ... — ხალისიანი ირონიული ღიმილი გადაეფინა ულვაშებზე. — ისე კი არა, როგორც ჩვენ, გენერალისიმუსები.

არხიპენკომ ჯერ კიდევ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, გაოგნებული იყო მომხდარი ამბით და ვერ ბედავდა აქეთ-იქით მიმოხედვას (მას ხომ მთელი ხომალდის შემადგენლობა უცქეროდა ახლა). ის ჩამოჯდა საყრდენის კიდეზე, ძალა დაატანა თავს, ოდნავ დამშვიდდა და ყურადღება დაძაბა.

ამ დროს ადმირალებმა სტალინის ახლოს შენიშნეს ზემდეგი, რაღაც გადაუჩურჩულეს ერთმანეთს და მათკენ გამოემართნენ. სტალინმა ადგილზევე შეაჩერა ისინი და ხელით ანიშნა, ყურადღება არ მიექციათ მისთვის.

შემდეგ არხიპენკოს მიმართა:

— რომელი კოლმეურნეობიდან ხართ?

არხიპენკო ოდნავ გამხნევდა. კითხვა უბრალო და ახლობელი იყო.

— ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობიდან, ამხანაგო სტალინ.

— ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობიდან, — გაიმეორა სტალინმა. — კლიმენტი ეფრემის-ძე მდიდარი მემამულეა. მას მეტად ბევრი კოლმეურნეობა აქვს.

არხიპენკომ გაიღიმა ამ ხუმრობაზე.

— საიდან ხართ?

— კრასნოდარის მხარიდან, ამხანაგო სტალინ.

— მაშასადამე, ყუბანიდან. კაზაკი, ხომ?

— კაზაკი ვარ, ამხანაგო სტალინ.

— დახე, როგორი კაზაკები არიან ახლა! — წარმოთქვა სტალინმა. — ისინი მატროსები, მფრინავები, ტრაქტორისტები, ინჟინრები გახდნენ. ხოლო ვიღაც ახლაც კი წუწუნებს, ბოლშევიკებმა კაზაკს ჩოხა-ახალუხი შემოაღლიტესო, დაღუპეს კაზაკებიო. დიდი ხანია, რაც ზღვაზე მსახურობთ?

— ორმოცდაათხიდან, ამხანაგო სტალინ.

— მაშასადამე, ომშიც მიიღებდით მონაწილეობას?

— ცოტათი ვმონაწილეობდი.

არხიპენკო სავსებით დამშვიდდა. ცახცახი შეუჩერდა. ყველა გრძნობები წესრიგში ჩადგა. მან თითქმის უკეთ დაინახა სტალინი. აქამდის მას ყველაფერი ნისლით შებურვილი ეჩვენებოდა. მას ესმოდა მხოლოდ დასმული კითხვების სიტყვები და ემზადებოდა საპასუხოდ, ემორჩილებოდა რა სამსახურითა და დისციპლინით გამომუშავებულ ჩვევებს.

— რა გვარი ხართ?

— არხიპენკო.

— როცა გაათავებთ სამსახურის ვადას, შემდეგ სად წახვალთ, ამხანაგო არხიპენკო?

— გული შინისკენ მიმიწევს, ამხანაგო სტალინ, — პეტრე ოდნავ დაიბნა.

— შინისკენ, მაშასადამე, კოლმეურნეობაში, არა?

— დიახ...

— რადგან გული იქითკენ მიგიწევთ, — წადით. — ჩაფიქრებით უთხრა სტალინმა. — სამსახური, სამსახურია, მაგრამ, თუ მიწა გეძახის, დაუბრუნდით

მას. ხოლო გემებზედაც საჭიროა გამოცდილი და საკმაოდ შემოწმებული ადამიანები... — სტალინმა გაიხედა სადღაც შორს, და მისი მზერა კიდევ უფრო ღრმად ჩაფიქრებული გახდა. ის განაგრძობდა ლაპარაკს რამდენადმე სხვა კილოთი, თითქოს ამ ახალგაზრდა მატროსთან ყოფნისას, სიტყვებით ამტკიცებდა ამჟამად კი არა, უფრო ადრე აღძრულ თავის იდუმალ აზრებს. — ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საზღვაო საზღვრების დაცვას. ჩვენი ქვეყანა კი მდიდარია საზღვაო საზღვრებით. ის გარემოება, რომ ჩვენ მრავალი ზღვა გვაქვს, რასაკვირველია, ცუდი როდია, მაგრამ ეს ბევრ რამეს გვავალებს.

კრეისერიდან რამდენიმე მილის დაშორებით მოდიოდა უკანდაბრუნებული დელფინსაჭერთა ფლოტილია. წინ წყალში ფერდებამდე ღრმადჩამჯდარი მოტორიანი ბარკასი მოუძღვებოდა. ეტყობოდა, კარგად ენადირათ. მეზღვაურები შორიდანვე მიესალმნენ კრეისერს, დაუშვეს და ისევ აღმართეს ალამი, რომელიც აქედან პაწაწკინტელა მოჩანდა, თითქოს იმ პატარა გემზე ვიღაც წითელ ჩიტაღდანს იქნევსო.

— ოდესღაც, რევოლუციის პირველ დღეებში, ჩვენ ვერაგულად თავს დაგვესხნენ მტრები და სურდათ ხელთ ეგდოთ და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ გამოეყენებინათ შავი ზღვის ფლოტი. ლენინმა ბრძანება გასცა, ჩაეძირათ გემები. რა არ გადავიტანეთ ჩვენ მაშინ... მაგრამ არ შეიძლებოდა მტრებისთვის მიგვეცა ფლოტი. გემი, ისე, როგორც ყოველგვარი ნივთი, შეიძლება ემსახუროს ერთსაც და მეორესაც. ეს კრეისერი რომ ცუდ და საძაგელ კაცუნებს ვანდოთ, მაშინ ზარბაზნები ჩვენს წინააღმდეგ დაიწყებენ სროლას... ახლა ჩვენ ვაგებთ ახალ გემებს, ხელახლა ვაიარაღებთ ფლოტს, სავსებით თანამედროვეს, პირველხარისხოვანს ვხდით მას, მაგრამ უმთავრესი — ფლოტის ადამიანები არიან. მათზეა დამოკიდებული — იქნება თუ არა ფლოტი საბჭოთა კავშირის მძლავრი ფლოტი. ხომ მართალს ვამბობ, ამხანაგო არხიპენკო.

— სავსებით სწორია, ამხანაგო სტალინ. არის ჩვენში ერთი ასეთი გამოთქმა: ფეხოსნები მიწას სჭიდებენ მაგრად ხელს, მეზღვაურები კი ერთმანეთსო.

— ეს ცუდი გამოთქმა როდია, — შენიშნა სტალინმა და თვალებით გაიღიმა. — აი, დაუბრუნდებით მიწას და მაგრად ჩაეჭიდებით მიწასაცა და ერთმანეთსაც. ხოლო ახალგაზრდა ადამიანებს ნუ დაუშლით, როცა დაბრუნდებით. ახალგაზრდობას უყვარს საზღვაოსნო საქმე და დაე, ხალისით, ძალდაუტანებლად და უშიშრად შევიდეს საზღვაო სამსახურში. მე ასე მგონია, ფლოტში სამსახური თუმცა ცოტა ძნელია, მაგრამ საპატიოა და, რაც მთავარია, საინტერესოა. ასეა ხომ.

— თქვენ სამართლიანად შენიშნეთ, ამხანაგო სტალინ, მხოლოდ...

— თქვით, თქვით...

— მხოლოდ აი რა, ამხანაგო სტალინ, საიდან იცით თქვენ, რომ ეს სამსახური ძნელია.

— აბა საიდან გავიგებდი მე, რომ სამსახური საინტერესოა, ამას რატომ არ მეკითხებით.

— ეს ისედაც ჩანს, — არხიპენკომ ხელით აჩვენა ზღვის მთელი სივრცე, კრეისერი. — და მერე ამაზე ყოველგან წერენ.

— დაწერა ყველაფრისა შეიძლება. დაწერილიდან მხოლოდ ისაა კარგი, რაც ცხოვრების სიმართლეს უპასუხებს, არ ჩამორჩება ცხოვრებას, არ ამახინ-

ჯებს მას, გვეხმარება წინსვლაში. ერთი ეს მითხარით, არხიპენკო, ვის უფრო ეძნელება ფლოტში სამსახური, ახალგაზრდას თუ ძველ მეზღვაურს.

— ეს გააჩნია, ამხანაგო სტალინ, — არხიპენკო დაიბნა და სიტყვა ვერ-ვერ იპოვა სათქმელად.

— ილაპარაკეთ მოურიდებლად, გულღიად. ამ ლაპარაკს ჩემს გარდა სხვა ვინმე ვერ მოისმენს.

— ახალგაზრდისათვის ძნელია, პირველად, როცა სასწავლო რაზმშია, და პირველადაა გემზე. ეს გასაგებია, რადგან აქ მისთვის ყველაფერი ახალია, ამხანაგო სტალინ.

— მაგრამ მას ხომ ეხმარებიან. ხომ შეჰყავთ საქმის კურსში. თუ აწვალებენ?

— არა, ახლა აღარ აწვალებენ, ამხანაგო სტალინ. ახლა გულისხმიერად ეხმარებიან, ცდილობენ, ყველაფერი გულდასმით აუხსნან... შეასწავლონ.

— მაშასადამე, საჭიროა მოთმინება, ხომ? ასე არ ამბობთ?

— აბა როგორ, ამხანაგო სტალინ. — არხიპენკო გამოცოცხლდა. — მაგრამ ახალგაზრდაცაა და ახალგაზრდაც.

— მაინც როგორ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამხანაგო არხიპენკო.

— უფრო ზუსტად... ერთი ახალგაზრდა მოდის, რომ ისწავლოს, მეორე კი იმისათვის, რომ ზემდეგი გამოლანძღოს.

— და ასეთებიც არიან განა?

— არიან, როგორც მთელს ხალხში, ისე გემზედაც.

— მაინც როგორ.

— ამ ახალგაზრდებს ჩვენ მთვარიდან როდი მოვუხმობთ, არამედ იმავე ქარხნებიდან და კოლმეურნეობებიდან ვიწვევთ. იქაც სხვადასხვა ადამიანები არიან და აქაც სხვადასხვაგვარნი. ყველას ერთი ცოცხით ვერ გაჰგვი, თითოეულს განსაკუთრებული მიდგომა უნდა, გთხოვთ, მაპატიოთ, ამხანაგო სტალინ, მაგრამ ეს ასეა, იქნებ მე ვცდებოდე...

სტალინმა შეჰხედა ზემდეგის აწითლებულ სახეს, და ახლა უფრო მეტად მოეწონა, ვიდრე საუბრის დაწყებამდე.

— რატომ სურს ახალგაზრდა მეზღვაურს შეაგინოს თავის უმცროს მეთაურს. ასეთი ხასიათი აქვს, თუ აქ კიდევ სხვა რამეა.

— შეიძლება ხასიათიც ჰქონდეს ასეთი, ამხანაგო სტალინ. ხანდახან სასჯელსაც დავადებდით ხოლმე ახალგაზრდებს.

— დასჯიდით განა?

— დიახ, ამხანაგო სტალინ.

— ერთი ეს მითხარით, რატომ არ ემორჩილება ახალგაზრდა მატროსი ზემდეგს? — ჰკითხა სტალინმა.

არხიპენკომ ერთბაშად ვერ გამონახა საპასუხო სიტყვა.

— იქნებ იმიტომ, — დაეხმარა მას სტალინი, — რომ ფლოტში ჩვეულებრივ მოდიან ახალგაზრდა და განათლებული ადამიანები, ჩამოყალიბებული ჩვევებით და ხასიათით, და მოითხოვენ თავიანთ მეთაურიდანაც აგრეთვე განათლებას, ტაქტს, მეტს გაგებასა და მიხვედრილობას. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ეს სწორია, ამხანაგო სტალინ. მაგრამ ზოგიერთი ახალგაზრდა მეტისმეტად ფიცხია და ფხუკიანი. სულ ასე ჰგონია, ზემდეგი შარიანია და მეკინკლავებაო. თვითონ კი, დისციპლინისა არაფერი გაეგება...

— ცუდია, როცა კაცი, მითუმეტეს ახალგაზრდა, წიხლსა ჰკრავს დისცი-

პლინას. დისციპლინა წესიერს ხდის ადამიანს, ეხმარება მას ხასიათის სწორად ჩამოყალიბებაში. დისციპლინა კარგ ფოლადის არმატურას ჰგავს რკინაბეტონის ნაგებობაში. მაგრამ მაინც უმცროსი მეთაური არ უნდა ჩამორჩეს, თორემ დისციპლინის მიხედვით კრინტს არ დასძრავენ, ზურგს უკან კი დასცინებენ. თქვენ ბევრს კითხულობთ, ამხანაგო არხიპენკო?

— ვკითხულობ, ამხანაგო სტალინ. ბევრით კი ვერ დავიტრაბახებ.

— მაინც რას კითხულობ?

— გაზეთებს, წესდებებს, ბროშურებს, წერილებს, ამხანაგო სტალინ.

— ზემდეგის სახელმძღვანელოს არ კითხულობთ.

— არა. ასეთი სახელმძღვანელო ჩვენ ჯერ ჯერობით არა გვაქვს.

— საჭირო კია.

— ძალიან საჭიროა, ამხანაგო სტალინ. სწორედ სახელმძღვანელო. რომელიც სხვადასხვა ცნობას შეიცავს.

— წიგნებს თუ კითხულობ?

— ძლიერ ცოტას, ამხანაგო სტალინ. დრო არა მაქვს.

— მე კი ვკითხულობ წიგნებს, ამხანაგო არხიპენკო. მე, ალბათ, თქვენზე მეტი დრო მაქვს.

— თქვენ სხვა ხართ, ამხანაგო სტალინ.

— მაინც როგორი ვარ?

— თქვენ ხომ, ამხანაგო სტალინ, კაცთა კაცი ხართ, — წამოიძახა არხიპენკომ.

— კაცთაკაცი, — სტალინს გულკეთილად ჩაეცინა, შემდეგ უფრო სერიოზული გახდა, — იცით თუ არა, ამხანაგო არხიპენკო, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობს ასეთი როგორც თქვენ გამოთქვით, კაცთაკაცი, — სტალინმა ხელის ნელი მოძრაობით შეაჩერა აღელვებული ზემდეგის საპროტესტო ჟესტი დ განაგრძო: — ეს ცუდი მოგონილია, და თქვენი გამოგონილი როდია. ეს შემთხვევით წამოგცდათ თქვენ, ამხანაგო არხიპენკო. თქვენ ღონიერი ადამიანი ხართ, ახალგაზრდა, ენერგიული, ხოლო კაცთაკაცის შექმნას ცდილობენ უმწეო, თავისთავში რწმენადაკარგული, ცრუმორწმუნე ადამიანები. მეც ისეთი ადამიანი ვარ, როგორც თქვენ, ამხანაგო არხიპენკო. ჩემი მშობლები გაუნათლებელი იყვნენ, მაგრამ ცუდი ადამიანები არ ყოფილან. თვით ცხოვრებამ, ადამიანებმა, რომლებთანაც ჩვენ ვმუშაობდით, ხალხმა დაგვაწინაურა მე და სხვები სახელმწიფოს ხელმძღვანელებად, მაგრამ რას გავაკეთებდით ჩვენ, ხელმძღვანელები, უთქვენოდ, პატიოსანი საბჭოთა ადამიანების გარეშე. ჩვენ არათუ სოციალიზმისა და ამ გემის აგებას, არამედ გლეხის უბრალო ქოხის აშენებასაც კი ვერ შევძლებდით. სოციალიზმის ძალა, ამხანაგო არხიპენკო, მარტოოდენ ხელმძღვანელებში როდია...

სტალინმა დაინახა საპროტესტო ნაპერწკალი თანამოსაუბრის თვალებში და გადაწყვიტა პასუხი გაეცა ამ მდუმარე შესიტყვებისთვისაც.

— რასაკვირველია, ხელმძღვანელები ბევრ რამეს ნიშნავს, თქვენ მართალი ხართ. ხელმძღვანელზე ბევრი რამაა დამოკიდებული. აი თუნდა ამ გემზე დააყენე უცოდინარი, ან გაიძვერა მეთაური. ვერავითარი ავტომატიკა ვერ დაიხსნის მას. დაღუპავს გემს. კარგი ხელმძღვანელი უნდა ცხოვრობდეს ნდობით აღჭურვილ ადამიანთა ბედით, ასწავლიდეს მათ და იმათგანაც სწავლობდეს, მაშინ საქმე კარგად წავა. მაგრამ მთავარი ძალა ხელმძღვანელებში კი არა, ხალხშია. ჩვენ ვაკეთებთ ახალ საქმეს, ვაკეთებთ მას ერთობლივად,

ხელმძღვანელები უფრო ხშირად უნდა ბჭობდნენ ერთიმეორესთან და უფრო ხშირად ეკითხებოდნენ რჩევისათვის ხალხს. და აი, მე მინდა თქვენგან მივიღო რჩევა, თქვენ ბჭობთ ჩემთან. ახალი ცხოვრების, ახალი წესწყობილების ორგანიზაციის საქმეში საჭიროა ურთიერთობა, ერთსულოვნება, ბჭობა ერთმანეთთან. ტყუილად კი არ ეწოდება ჩვენს ქვეყანას საბჭოთა ქვეყანა.

საუბრის დროს სტალინმა გატენა ჩიბუხი თამბაქოთი, გააბოლა და ერთხელ კიდევ ხელის გაქნევით უკმაყოფილოდ მოიშორა გარშემომყოფი ადამიანები, რომელთაც, ალბათ, სურდათ მოეშორებინათ მისთვის მეზღვაური.

— მინდოდა თქვენთან მელაპარაკა, რჩევა მეკითხა, ისინი კი უკმაყოფილონი არიან, — სტალინისათვის ჩვეული ხუმრობის კილოთი აუხსნა მან თავისი მდუმარე გადალაპარაკება შორიახლო შეკრებილ უფროსებთან.

არხიპენკო წამოდგა.

სტალინიც წამოდგა, სიყვარულით შეათვალიერა წარმოსადეგი ზემდეგი.

— ყველაზე მთავარია ერთსულოვნება, — ერთხელ კიდევ გაიმეორა სტალინმა. — რითაა ძლიერი კოლმეურნეობა? აგრეთვე ერთსულოვნებით. ყველანი ერთად ერთ საქმეს ჰკიდებენ ხელს და, რაც უნდა ძნელი იყოს იგი, დასძლევენ მას. ცალ-ცალკე რომ ყოფილიყვნენ, მაშინ არაფერი გამოუვიდოდათ. სოფლის მეურნეობაში კოლექტიური ერთსულოვნება რომ არ ყოფილიყო. არაფერი არ გამოგვივიდოდა, რაც უნდა გვეფაფხურა. განა რაღაც ათიოხუთმეტი წლის მანძილზე შევძლებდით მოგვესპო შამბნარი, შეგვეკრიბა მიწის დაქუცმაცებული ნაკვეთები, ბოლო მოგვეღო კავისა და ნამგლისათვის, ტრაქტორსა და კომბაინზე დაგვესვა გლეხი? შევასრულეთ ლენინის ანდერძი, ჩვენი ცხოვრების მიზანი კი არის — ვიყოთ მისი ღირსეული მოწაფეები. უამისოდ არ იქნებოდა კომუნისტური პარტია, რომელსაც ლენინმა უწოდა ჩვენი ეპოქის ჭკუა, ღირსება და სინდისი, არ იქნებოდა მუშების, გლეხების, არმიის, ფლოტის ერთსულოვნება, ვიცურავებდით ახლა ასეთი გემებით კი არა, ამხანაგო ზემდეგო, არამედ პაწაწკინტელა, აი იმ ფელუგის მსგავსი ნავებით...

სტალინმა ჩიბუხიანი ხელი გაიშვირა წინ, ზღვის მოელვარე ზვირთებში ოდნავ მოციალე დელფინსაჭერ ბარკასთა ფლოტილიისაკენ.

ზემდეგთან საუბრის შემდეგ სტალინმა კვლავ ყურადღებით შეათვალიერა გემი. ის ხედავდა გემის დიდრონ მილებს ოდნავ ამომავალი ბოლით, ანძებს — მათზე აღმართული რადიოსალოკაციო ანტენებით, წინა ანძაზე აღმართულ მთავარსარდლის ალამს, წინაერდოს და მთავრი ყალიბის ქვემეხთა კოშკურებს.

სტალინი მივიდა ფლოტის სარდალთან და შეეკითხა:

— მითხარით, გეთაყვა, როგორია ამ კრეისერის ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები?

სტალინმა შენიშნა, რომ სარდალს მაშინვე უნდოდა ეპასუხა და ხელის მოძრაობთ შეაჩერა იგი.

— მითხარით, როგორ იქცევა იგი სხვადასხვა პირობებში, უკანასკნელ ლაშქრობათა გამოცდილების საფუძველზე. იქნებ ასეთი ტიპის ხომალდების პროექტირებისა და მშენებლობის დროს საჭიროა რაიმე ძირითადი გაუმჯობესებანი.

სარდალმა უპასუხა, რის შემდეგ სტალინმა კვლავ მისცა რამდენიმე ასეთივე შეკითხვა. საფიქრებელია, უბრალოდ არ იყო ეს კითხვები დაყენებული. შეიძლება ამ დროს სტალინს საბოლოოდ წარმოესახა რაღაც გეგმები ფლოტის საბრძოლო თვისებათა შემდგომი განმტკიცებისათვის.

საუბარში მონაწილეობა მიიღო მთავარსარდალმაც.

სტალინს მარტო გემი როდი აინტერესებდა. ის კითხულობდა ომის შესახებ, თუ როგორ ითვისებდნენ ადამიანები რთულ საზღვაო ტექნიკას, იყვნენ თუ არა გემზე წარჩინებული ადამიანები, ფლოტში გაწვეულ ადამიანებს სურდათ თუ არა საზღვაო პროფესიის შეძენა, უნდოდათ თუ არა ზევადიან სამსახურში დარჩენა, და როგორი იყო მეზღვაურთა ცხოვრებისა და პირადი ყოფის პირობები ბაზაში დგომისა და მოგზაურობის დროს.

ყურადღებით მოისმინა რა პასუხი სარდლისა, რომელმაც მაღლი შეფასება მისცა კრეისერის პირად შემადგენლობას, სტალინმა სთხოვა ადმირალს, მოეთხრო, თუ როგორ ზრდიდნენ ოფიცრები ზემდეგებსა და მატროსებს და როგორი იყო ზემდეგთა. ესე იგი უმცროსი საკომანდო შემადგენლობის, ურთიერთობა რიგოსანთა მიმართ.

ადმირალმა უპასუხა საერთო ფრაზებით და მაშინ სტალინი თავაზიანად, მაგრამ დაჟინებით, კვლავ დაუბრუნდა ამ შეკითხვებს: სთხოვა მოეყვანა, ზოგიერთი მაგალითი.

მან აგრძნობინა ადმირალებს, რომ გემის ეკიპაჟი, ისე როგორც ყოველი საბჭოთა კოლექტივი, არ წარმოადგენს საერთო-სახელმწიფოებრივი ცხოვრებიდან მოწყვეტილ მოვლენას. უმთავრესად ახალგაზრდობისაგან შემდგარ ეკიპაჟში, როგორც ყოველ კოლექტივში, შედიან სხვადასხვა ადამიანები მათი ბიოგრაფიებით, აღზრდით, საყოფაცხოვრებო ჩვევებით, ხასიათით, აზრებით. საფლოტო ჩვევათა დანერგვაში, სამხედრო სამსახურისადმი შეგუებაში დიდი მნიშვნელობა აქვს უმცროს მეთაურს.

— უმცროსი მეთაური რიგოსანის უშუალო მეთაურია, — ის დიდი და სერიოზული ძალაა როგორც არმიაში, ისე ფლოტში, — წარმოთქვა სტალინმა. — უნდა მოვაგონოთ იმ რიგოსნებს, რომლებიც ხანდახან უკმაყოფილონი არიან, როგორც მათ ჰგონიათ, მომთხოვნელი, შარიანი უმცროსი მეთაურებით, რომ უმცროსი მეთაურები თავის დროზე ზრდიდნენ ჩვენს მარშლებსა და ადმირალებს. სასარგებლოა ეს მოვაგონოთ ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებიც მოწოდებული არიან ფლოტში სამსახურისათვის და ჯერ კიდევ არა აქვთ შეთვისებული დისციპლინისა და იმ დამოკიდებულების უაღრესად მნიშვნელოვანი, საფუძვლები, რომლებიც აერთიანებს რიგოსნებს და მათ უშუალო უფროსებს... ერთი ეს მითხარით, გეთაყვა, გაქვთ თუ არა სახელმძღვანელოები ზემდეგთათვის?

— გვაქვს სათანადო დარიგებები, ინსტრუქციები... წესდებები, ამხანაგო სტალინ, — არცთუ გაბედულად მიუგო ადმირალმა.

— არა, ამას როდი გეკითხებით. მე ვლაპარაკობ ინსტრუქციაზე ან წესდებაზე კი არა. არამედ სპეციალურ სახელმძღვანელოზე უმცროსი მეთაურებისათვის. მე ვგულისხმობ რაღაც ამგვარს, მეცნიერებათა სასერჟანტო კურსის მსგავს სახელმძღვანელოს.

— ასეთი სახელმძღვანელო არ არსებობს.

— ასეთი სახელმძღვანელოს საჭიროება ხომ საგრძნობია?

— უეჭველად, ამხანაგო სტალინ.

ამ დროს სტალინთან მოვიდა მდივანი. მას თან ახლდა ახალგაზრდა ოფიცერი, შტურმანი — სტაჟიორი, რომელმაც მოიტანა შავი ზღვის მდინარეებათა რუკები.

— თქვენი ბრძანება შესრულებულია, ამხანაგო გენერალისიმუსო...

სტალინი მიუახლოვდა ოფიცერს. მან გაუწოდა მდინარეებათა რუკები.

სტალინს ხელის ჩამორთმევა უნდოდა, ოფიცერი კი არ მოელოდა ამას, ცდილობდა მარჯვენა ხელის განთავისუფლებას. ამასობაში რუკები მარცხენა ხელიდან გემბანზე დაუვარდა.

— მძიმეა შავი ზღვა, — იხუმრა სტალინმა, — ის მაგრად უნდა გეჭიროს ხელში.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა რუკები დაათვალიერეს და შტურმანი წავიდა, სტალინმა გამოთქვა სურვილი ეამბნათ მისთვის, როგორ ტარდებოდა მასობრივ-პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა გემზე.

— მშობლებისაგან ბევრი წერილი მოსდით ახალგაზრდა მატროსებს? — იკითხა სტალინმა.

— დიახ, ძალიან ბევრი, ამხანაგო სტალინ, — მიუგო სარდალმა.

— ისინი ამ წერილებში ალბათ იწერებიან თავიანთი კოლმეურნეობის შესახებ, თავიანთ საწარმოო საქმიანობაზე...

— რასაკვირველია.

— კარგი იქნებოდა, რა თქმა უნდა, ადრესატთა ნებართვით, მთელი შემადგენლობისათვის მოგეთხროთ მათი ამბები. რადიოთიც შეიძლებოდა გადაეცათ. საჭიროა, რომ მეზღვაურები კარგად იცნობდნენ და აფასებდნენ არა მარტო თავიანთ ფლოტს, არამედ მთელი თავიანთ სახელმწიფოს, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მთელ რთულსა და ცოცხალ ორგანიზმს. როცა ბრუნდება შვებულებაში მყოფი მატროსი ქარხნიდან, კოლმეურნეობიდან, ნაციონალური რესპუბლიკიდან, საჭიროა გაუზიაროს ყველას, რა ნახა მან, მოუთხროს, როგორ ცხოვრობენ და როგორ შრომობენ ადამიანები... აბა, ერთი მაჩვენეთ თქვენი ქებული გაზეთი!

მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორი სწრაფად მიიჭრა სტალინთან, ხელში გაზეთის რამდენიმე ნომერი ეჭირა. უკანასკნელი ნომერი გამოშვებული იყო გემზე სტალინის მოსვლასთან დაკავშირებით.

სტალინმა წაიკითხა მატროსებისა და ზემდეგთა ვალდებულებები და გაკვრით გაეცნო სხვა ნომრების შინაარსს. გაზეთის მუშაკის პროფესიული ჟესტით გასინჯა ფორმატი და შეამოწმა ქაღალდის ხარისხი.

— არა უშავს, გაზეთის ფორმატი კარგია. არც შრიფტია ცუდი, — წარმოთქვა მან. — კარგი გაზეთი ორკეცად გამოიყიდის დახარჯულ შრომასა და დროს. დიდი ხანია ყველასთვის ცნობილია ლენინის შესანიშნავი სიტყვები იმაზე, რომ გაზეთი არის მასების კოლექტიური ორგანიზატორი. აი, თქვენ გამოგიშვიათ გაზეთი, ამხანაგო. რა არის შიგ? მარტოოდენ ვალდებულებები ამხანაგ სტალინისადმი. მაგრამ რატომ მხოლოდ სტალინისადმი? — მის ხმაში გაისმა გაჯავრებული კილო. — ამ გაზეთში ვერც ამხანაგი სტალინი და, მით უმეტეს, ვერც მატროსები საინტერესოს ვერაფერს იპოვიან. არ იქნა და ვერ მოვიშალეთ ეს უმაქნისი ქება-დიდება და ხოტბა. არა მარტო თქვენ, მრავალი გაზეთია დაავადებული ამ სენით. რატომ უნდა მივბაძოთ ცუდ მაგალითს? ესესაა მე ვესაუბრე ზემდეგს და უფრო მეტი რამ გავიგე, ვიდრე მთელი თქვენი გაზეთიდან.

— მივიღებთ მხედველობაში, ამხანაგო სტალინ, — უთხრა გაზეთის რედაქტორმა.

— ოდესღაც სწორედ ასეთივე გაზეთის გამოსაშვებად ერთობ ბევრი და ძნელი სამუშაოს ჩატარება გვიხდებოდა. — სტალინს ჭაბუკური ცეცხლით აენთო თვალები. — ჩვენს რედაქციაში შესასვლელად საჭირო იყო ჭაში ჩაძვრომა...

ყველას, ვინც კი იდგა სტალინის გვერდში და უსმენდა მას, მოაგონდა ავლაბრის სტამბა, სადაც იბეჭდებოდა გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა". სტამბაში შესასვლელი გზა ღრმა ჭაში გადიოდა. ეს ახლა ისტორიიდან იცოდნენ.

ეს იყო დიდი ხნის წინათ, რევოლუციის გარიჟრაჟზე.

— ახლა კი აი, — განაგრძობდა სტალინი, — მიცურავს ზღვაში გემი, საბჭოთა სამხედრო გემი და მას აქვს თავისი გაზეთი, თავისი სტამბა, ჰყავს თავისი კორესპონდენტები. განა აქ მდარე ხარისხის გაზეთი უნდა გამოუშვათ?

არაა ცნობილი, თუ რომელ მატროსს დაებადა აზრი, ეთხოვათ სტალინისათვის მასთან ერთად სურათის გადაღება. ის კია ცნობილი, რომ შუადღისას მორიგეობიდან თავისუფალმა მატროსებმა ამ მიზნით გემბანზე იწყეს თავმოყრა. მთავარმა ბოცმანმა გაიგო ამ თავმოყრის შესახებ და სწრაფად გაეშურა გემბანისაკენ.

— რად შეკრებილხართ? — ჰკითხა მან ერთ-ერთ მატროსს.

— სურათი უნდა გადავიღოთ, ამხანაგო ბოცმანო.

— ვისი ბრძანებაა?

— არ ვიცი....

მთავარ ბოცმანს უნდოდა გაეცა ბრძანება — „დაიშალეთო", მაგრამ მყისვე გადაწყვიტა, დაეცადა. იქნებ მართლაც არის ვისიმე ბრძანება. მან დატოვა ხალხი გემბანზე და მივიდა უფროს თანაშემწესთან, ის კი მოელაპარაკა მეთაურს, გამოარკვია, რომ მართლაც მატროსებმა ითხოვეს სურათის გადაღების ნებართვა და ეს მოხსენებოდა სტალინს.

როცა სარდალმა ხმადაბლა, ისე რომ არავის ყურადღება არ მიეპყრო, გადასცა მთავარსარდლის ეკიპაჟის თხოვნა, სტალინი მიხვდა, რაზე იყო ლაპარაკი. ღიმილით მოჭუტა თვალები და ჰკითხა მთავარსარდალს:

— სურათის გადაღება სურთ, არა?

— დიახ, ამხანაგო სტალინ. — მთავარსარდალი წამოდგა. — პირადი შემადგენლობა ძალიან გთხოვთ.

სტალინმა ანიშნა მას, დამჯდარიყო, ამოიღო საათი, ჯერ თვითონ დახედა, შემდეგ მიუბრუნა ციფერბლატი იქ მყოფთ:

— თუ ასეა, მაშინ ნახევარი საათის შემდეგ, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ? თუ მატროსები მოითხოვენ, მათ თხოვნას პატივი უნდა დავდოთ, — წარმოთქვა მან. — მატროსები დიდი ძალაა.

ეს უკანასკნელი ფრაზა ნახევრად ხუმრობით თქვა.

სალონში ყველა გამოცოცხლდა.

თანხმობის შესახებ გამოუცხადეს კრეისერის პირად შემადგენლობას. მატროსები, ზემდეგები და ოფიცრები შეიკრიბნენ გემბანზე მთავარი ყალიბის მესამე კოშკურის რაიონში. დალაგდნენ ნახევარ წრედ, მოიტანეს სკამები და დაიკავეს მთელი კოშკური...

სტალინი დანიშნულ დროს გამოვიდა კაიუტიდან უკვე საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის ფორმაში. და ყველას ისე მოეჩვენა, რომ სამხედრო ტანსაცმელში ის უფრო კარგად გრძნობდა თავს.

— დროა? — ჰკითხა მან გემის მეთაურის პოლიტმოადგილეს.

— დიახ. პირადი შემადგენლობა შეიკრიბა, ამხანაგო სტალინ.

— მაშ წავიდეთ!

და ის, მიიპატიჟა რა ადმირალები, გაემართა ჩქარი სვლით მიმავალი გემის კიჩოს ნაწილისაკენ...

როგორც კი მატროსებმა დაინახეს ბელადი, წამოიშალნენ. „ურაა — ბელადმა" შეძახილმა შეაზანზარა გემი. სტალინმა აუჩქარებლად ნელი ნაბიჯით განვლო ადამიანთა ამ ამთაგორებული ზვირთების სიღრმეში და მოექცა აღტაცებული შეძახილების, აელვარებულ თვალების, გარუჯული სახეებისა და მეზღვაურთა თეთრსპეტაკი ტანისამოსის ცენტრში.

მან ხელი მოჰკიდა სკამს, რომელიც შესთავაზეს, მაღლა აიხედა რათა, დაენახა კოშკურებსა და ზედნაგებებზე შემჯდარი ხალხი, ველარ შეიკავა თავი და თვითონაც ტაში დაჰკრა. გემზე რაღაც გრიგალის მსგავსმა გადაიგრიალა. ფოტოკორესპონდენტები შეუდგნენ თავიანთ საქმეს. დაიწყო ფოტოაპარატის ტკაცუნი.

სტალინი მოთმინებით იჯდა და ცდილობდა, არ შერხეულიყო.

— სახიფათოა, ამხანაგებო! — შენიშნა მან. — სახიფათოა. როცა ამათ ტყვეობაში ჩავარდები.

— გაუთავდებათ ფირი და ჩვენც გაგვათავისუფლებენ. — წარმოთქვა სარდალმა.

— მაგათ დიდი მარაგი აქვთ, — ხუმრობით მიუგო სტალინმა.

მატროსები თითქოს უნებურად, ჩუმად და წყნარად, მაგრამ ისე, რომ ეს სტალინმაც შეამჩნია, იცვლიდნენ ადგილს, დგებოდნენ ფეხის ცერებზე, მხრებქვეშ უძვრებოდნენ ამხანაგებს, რათა მოხვედრილიყვნენ აპარატში.

არხიპენკომ მოახერხა, საკმაოდ ახლო მდგარიყო სტალინთან და, როგორც ფიქრობდა, სურათში კარგ ადგილას მოექცეოდა. მაგრამ ის თანდათან შეავიწროვეს და მატროსთა ზურგს უკან აღმოჩნდა. მაინც თავს მაღლა სწევდა და ცდილობდა, დასანახავ ადგილზე მდგარიყო.

სტალინმა სხვადასხვა ჯგუფთან გადაიღო რამდენიმე სურათი. შემდეგ თავის დაქნევით მადლობა გამოუცხადა მატროსებს, დატოვა ბაქანი და გაემართა გემის ცხვირისაკენ.

მატროსები მიაწყდნენ მას, უხვდებოდნენ წინ და ტაშს უკრავდნენ. აპლოდისმენტები იზრდებოდა.

სტალინმა ხუმრობით, თითქოს გაცბუნებით, მიმართა ფლოტის სარდალს:

— ნეტავი რამდენი კაცი გყავთ ამ კრეისერზე? — შემდეგ იკითხა: — ეს როგორ მოხდა, მასპინძელთან რომ არ გადავიღეთ სურათი. რად არ არის ჩვენთან გემის მეთაური?

— მეთაური ხიდურზე იმყოფება, ამხანაგო სტალინ, — მიუგო ფლოტის სარდალმა.

— გასგებია. მაშასადამე, მას არ შეუძლია დატოვოს თავისი პოსტი. რაკი ასეა, ჩვენ წავიდეთ მასთან. უხერხულია, რაც უნდა იყოს, მასპინძლის დავიწყება.

სტალინი პირველი გაემართა წინ, კიბით ავიდა ხიდურზე, სადაც იდგა გემის მეთაური. ამ უკანასკნელმა, მაშინ შეამჩნია სტალინი, როცა იგი ხელსაწყოებთან შეჩერდა. მოულოდნელი მღელვარებისაგან გაჭარხლებული მეთაური სიტყვას ველარ პოულობდა.

— გთხოვთ გვაპატიოთ, — უბრალოდ უთხრა სტალინმა. — გვინდოდა მოგვეხსენებინა თქვენთვის, რომ ჩვენ სურათი გადავიღეთ თქვენი გემის პირად შემადგენლობასთან, თქვენთან კი ველარ მოვახერხეთ...

— ბოდიში, მე... — მეთაურმა ხელით ანიშნა, თუ რას აკეთებდა.

— თუ თქვენ გაქვთ დრო, წამობრძანდით ჩვენთან. თავაზიანი სტუმარი ყოველთვის პატივს უნდა სცემდეს მასპინძელს...

და სტალინი გავიდა მარჯვენა კარში ისე, რომ არ მოუხურავს იგი. ეს ნიშნავდა მიპატიჟებას, და გემის მეთაურსაც თან მიჰყვა.

შკაფუტზე სტალინი შეჩერდა და ანიშნა ფოტოკორესპონდენტებს.

ბელადის უკანასკნელი ფოტოსურათის გადაღება მატროსებთან კრეისერ „მოლოტოვზე" ჩატარებულ იქნა. მთელი ამ ჩოჩოქოლითა და პროცედურით ოდნავ მოქანცულმა სტალინმა გაუშვა მეთაური და თვითონ კაიუტაში ჩავიდა.

საღამოს ხუთ საათზე — დასვენებული — კვლავ გამოვიდა გარეთ, გავიდა სასიგნალო ხიდურის მარჯვენა ფრთაზე და ჩაჯდა სავარძელში.

მის თვალწინ, შორეულ ჰორიზონტზე, ამოიმართა ჯერ კიდევ ღრუბლების მსგავსი მთები.

სტალინმა ამოიღო ჩიბუხი ისე, რომ კავკასიის სანაპიროსათვის თვალი არ მოუშორებია. გატენა თამბაქოთი, მოუკიდა და განაგრძობდა მზერას წინ.

რაზე ფიქრობდა ამ დროს სასიგნალო ხიდურზე მჯდარი სტალინი?

იქნებ ზღვიდან ამოწვდილმა კავკასიონის ქედმა მას მოაგონა თავისი ბავშვობის საუცხოო კუთხე — ძველთაძველი გორი მისი უზარმაზარი კლდოვანი ბორცვით, დროთა ვითარებისაგან თავმონგრეული ძველი ციხის დაკბილული ქონგურებით, სწრაფად მოჩანჩქარე ლიახვი და მეჯუდა, რომელთა ნაპირებზე დარბოდა და დათამაშობდა ის ყრმობისას.

იქ ყველგან ატმის ბაღნარებია, ანკარა და სუფთა ჰაერი. და ახლა, როცა მისთვის ყველაფერი ხელმისაწვდომია და ხალხი მზადაა, დიდმშვენიერი სასახლეები აუგოს მას, დაასახლოს იგი ჩვენი სამშობლოს ყველაზე საუცხოო კუნჭულში, შეიძლება სევდითა და გულთბილად იგონებდა თავის პატარა სახლს გორში, თავის შრომისმოყვარე დედას, უბრალო ქართველ ქალს, გაფისული ძაფისაგან დაღლეტილ ხელებს მამისას, მის დაბალ სკამს და ისეთსავე მაგიდას, სადაც უწესრიგოდ ეყარა ტყავის, ფისისა და კიდევ რაღაცნაირი სუნით გაჟღენთილი, მისი ხელობისათვის საჭირო ნივთები...

სტალინმა გამობერტყა ჩამქრალი ჩიბუხი. წინ უფრო მკაფიოდ და მაღლა წამოიმართა მთები. ახლოვდებოდა ლაშქრობის საბოლოო პუნქტი — სოჭის ნავსადგური. მანძილმზომებით უკვე შეიძლებოდა ქალაქის გარჩევა.

სტალინი მივიდა ადმირალებთან. სარდალმა სთხოვა მას, ჩაეწერა რაიმე გემის ჟურნალში.

სტალინი დაეთანხმა.

მოიტანეს ჟურნალი. სტალინმა აიღო ის და გადაშალა...

— კარგია,—წარმოთქვა მან, როცა გაეცნო ყველაფერს, რაც ეწერა ჟურნალში, — ახლა კი რა უნდა ჩავწერო?

სარდალმა მიაწოდა თავისი კალმისტარი.

სტალინმა გამოართვა კალმისტარი, დახედა, გაიფიქრა რაღაც და გადაშალა ჟურნალის ორმოცდამეთორმეტე გვერდი. თანაბარი და მსხვილი ასოებით ჩაწერა:

— „ხომალდ „მოლოტოვის" მეთაურს.

გთხოვთ გადასცეთ კრეისერ „მოლოტოვის" მთელს პირად შემადგენლობას ჩემი მეგობრული სალამი და კეთილი სურვილები წარმატებათა მისაღწევად. გაუმარჯოს ჩვენი შავი ზღვის სამხედრო საზღვაო ფლოტს!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს შვიდ საათზე კრეისერი და მისი თანმხლებელი საესკადრო ნაღმოსნები ქალაქ სოჭას მიადგნენ.

კავკასიის სანაპიროს ყველაზე ლამაზი ქალაქი გადაიშალა მათ თვალწინ. სტალინი გამოვიდა მარჯვენა ფერდზე და დადგა ქვემეხის კოშკურისა და მაღლა-შემართულ საზენიტო მრავალლულიანი ტყვიამფრქვევების შორიახლოს.. სოჭას გადაჰყურებდა.

გემზე მყოფნი არ აცილებდნენ თვალს მზის ალმაცერი სხივებით განათებულ მის მშვიდ ფიგურას...

გემის მეთაურმა გაითვალისწინა, რომ სოჭის სანაპიროსთან გადის საკმაოდ ძლიერი მდინარება, ღუზის ჩაშვების დროს მას შეუძლია გადაქაჩოს კრეისერი და შემოატრიალოს ტალღის წინააღმდეგ, და ეს კი გამოიწვევდა ტალღის დარტყმას მარჯვენა ფერდზე. მან სთხოვა ფლოტის სარდალს, ნება დაერთო, არ ჩაეშვა ღუზა წყალში, არამედ შეეჩერებინა კრეისერი მდინარების წინააღმდეგ მანქანების ამუშავებით. ადმირალმა უბრძანა, ისე მოქცეულიყო, როგორც ემჯობინებოდა. მაგრამ მეთაური არ წავიდა. მის ფართო, ახალგაზრდულ სახეს რაღაც დამნაშავისებური ღიმილი გადაეფინა.

— თქვენ კიდევ ხომ არაფრის თქმა არა გსურდათ? — ჰკითხა ფლოტის სარდალმა.

— დიახ, ამხანაგო ადმირალო, — მეთაურს სიტყვა გაუწყდა. — მე უნდა წავიდე მანევრის შესასრულებლად, და მეტად ვეღარ ვნახავ ამხანაგ სტალინს. მინდოდა გამოვმშვიდობებოდი, ამხანაგო ადმირალო.

— აჰა, გასაგებია...

ფლოტის სარდალმა მკლავში ხელი გაუყარა დარცხვენილ მეთაურს და წარუდგინა ის სტალინს.

— მეთაურს სამსახურის მიხედვით არ შეუძლია თქვენი გაცილება, ამხანაგო სტალინ, — მოახსენა ადმირალმა, — და გთხოვთ ნებართვას, წინასწარ გამოგეთხოვოთ.

სტალინმა მეგობრულად გაუწოდა ხელი მეთაურს.

— გმადლობთ სტუმართმოყვარეობისათვის.

— ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემს სიცოცხლეში, — მღელვარებით წარმოთქვა მეთაურმა.

— რას ამბობთ, აბა რას ამბობთ? — შეაწყვეტინა მას სტალინმა.

— გისურვებთ, ამხანაგო სტალინ, ხანგრძლივ, ხანგრძლივ სიცოცხლესა და...

— და კიდევ რაღას? — მხიარულად გაიღიმა სტალინმა.

— და ბედნიერებას და კარგად დასვენებას.

— მადლობა, მადლობა, — უთხრა სტალინმა.

მეთაური წავიდა... სოჭის ნავსადგურიდან გამოვიდა სადარაჯო კატარღა, კურსი „მოლოტოვისაკენ" აიღო და მალე მიადგა მის მარჯვენა ფერდს.

კრეისერის მატროსები და ოფიცრები იმავე წესით განლაგდნენ, როგორც შეხვედრის დროს. გამცილებელთა შორის იყვნენ არხიპენკო და პახომოვი. მათ დაინახეს, პირველ სადარაჯო კატარღას კრეისერთან როგორ მოადგა მეორე კატარღა. კატარღის ბაქანზე მატროსებმა უმალვე იცვნეს ვიაჩესლავ მოლოტოვი, მათი გემის საპატიო შეფი.

„მოლოტოვი! მოლოტოვი!" — გაისმა რიგებში.

მოლოტოვი იდგა კატარღის ცენტრში, თეთრ კიტელში გამოწყობილი, ხელში ქუდი ეჭირა. ის ალერსიანად ესალმებოდა მატროსებს შორიდან და გულთბილად უღიმოდა მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლოტოვის მოულოდნელმა გამოჩენამ კიდევ უფრო მეტად ააღელვა კრეისერის შემადგენლობა. მთავრობის კატარღამდე აღწევდა არა მარტო „ურას“ შეძახილები, არამედ მოლოტოვისადმი მისალმებათა სიტყვებიც.

მოლოტოვიც აგრეთვე აღელვებული იყო. იგი ვერ ფარავდა თავის გრძნობებს, იდგა გულაჩვილებული, მადლიერი და მშობლიურად ახლობელი ყველა ამ ადამიანთათვის.

— გმადლობთ, გმადლობთ, ამხანაგებო, — თითქოს ლაპარაკობდნენ მისი თვალები, — აბა, რა არის ეს? რად იქცევით ასე? ჩვენც ხომ ისეთივე ადამიანები ვართ?

მთავრობის კატარღა მიადგა სადარაჯო კატარღას.

მოლოტოვმა ფეხი შედგა კრეისერის კიბეზე. მის შესახვედრად გაემართა სტალინი.

სტალინი და მოლოტოვი კიბის ბოლოსთან შეხვდნენ და გადაეხვივნენ ერთმანეთს. სტალინმა რაღაც გადაულაპარაკა მოლოტოვს და გემისაკენ მიახედა.

სტალინი მოლოტოვთან ერთად გადავიდა კატარღის ბაქანზე.

ჰაერს კი აზანზარებდა მატროსთა ქუხილისებური „ურა“...

მოლოტოვი ალერსიანად აქნევდა ქუდს და იღიმებოდა. სტალინმა ხელი მიიდო ქუდთან და მისი გულთბილი მამობრივი მზერა დიდხანს არ სცილდებოდა ამ უაღრესად აღგზნებულ, კომუნიზმის დიადი საქმისათვის ერთგულ, საბჭოთა მეზღვაურების ტანისამოსში გამოწყობილ ადამიანებს.

თარგმანი **ნიკოლოზ აგიაშვილისა.**

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ჭიჭინაძე

ხუთი მარტი

☆

რა უმძიმესად გავიდა
წელი — და მერე რა წელი!
უთვალავ ცრემლთა დამდენი,
ურიცხვი გულის დამწველი.

ჩაჯდა შავ-წითელ დროშებში
თარიღი ხუთი მარტისა,
ყოველწლიური მიზეზი
ჩვენი მაღალი დარდისა.

გვყავდი მგზნებარე ჰაბუკი
წინამძღვრად ამორჩეული,
სიცოცხლის ზღვართან მიხველი
საქვეყნო მამად ქცეული.

შენ, სამის გვერდით მეოთხე
საკაცობრიო ბელადი,
ხსნას ბრძნული სიტყვით გვამცნობდი, —
ახალი ცისარტყელათი.

თავს არა ვზოგავთ შრომაში
ერთგული შენი შვილები,
კვლავ შენთან მყოფნი და მაინც
უშენოდ დარჩენილები.

მომავლის რწმენა გვიტაცებს,
ალისფერ დროშებს გავყევით,
გუგუნებს წინსვლის ბრძანება
შენს მიერ ნაკარნახევი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

ბელადის ქანდაკებასთან თბილისში

★

ცივა, ცივა, წელს ეს მარტი უცნაურად მარტობს.
ცივა, მაგრამ ბაღში ბელადს ვინ დატოვებს მარტო?!
მარტის ხუთი...
თოვლი მოდის,
ხანაც მიწას აწვიმს.
ცივა, ცივა, და ჯერ კიდევ ბაღში არ ჩანს კაცი.
დედამიწას გული სტკივა, ცა შავია, დარდობს.
ცივა, მაგრამ ბაღში ბელადს ვინ დატოვებს მარტო?!
განა ხალხი დააბრკოლა ქარმა, წვიმამ, თოვამ
და ბელადთან სასაუბროდ დღეს არავინ მოვა?!
ეს — რას ამბობს ცა და მიწა, მტკვარიც რატომ გმინავს,
სტალინს მარტოდ ქვეყანაზე ვინ დატოვებს, ვინა!
აგერ ცირა ერთი ციდა მოაბიჯებს ფრთხილად,
ჯერ ანბანი არც კი იცის, იცის სოსოს „დილა“.
მოუტანა ბელადს ერთი, მხოლოდ ერთი ია
და პაწაწა თავის გული იასავით ღია.
— ბოდიშს ვიხდი, ბოდიშს ვიხდი, საყვარელო ძია,
ეს პატარა საჩუქარი მოგიტანე გვიან.
ძია, ძია, შეგაწუხე ცრემლებით და კვნესით...
და უცრემლოდ უთხრა ცირამ სტალინს სოსოს ლექსი.

*
* *

ამ თვალღია იას მოჰყვა გვირგვინების წყება
და გამრავლდა ერთი ია ყვავილების მთებად.
თოვლი წამსვე გადიკარგა და ყინულიც გალხვა;
გაზაფხული მოიყვანა კვლავ ბელადთან ხალხმა.
მოდის, მოდის ყვავილები, ნაირფერი, ნატვრის;
ხალხის მამას, ხალხის ბელადს ათბობს გული ხალხის.
რა ჩააქრობს, რა ჩააქრობს ამ თვალების მზერას,
უმზერს ხალხს და იღიმება, ბელადს მათი სჯერა.
და ირგვლივ კი გვირგვინები, ყვავილების ხვავი,
ზოგი ჩვენი დროშის ფერი, ზოგი კუპრზე შავი.
გვირგვინები, ყვავილები და ფერების ტევრი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლოვის ფერი, ცრემლის ფერი და იმედის ფერი.
გვირგვინები, ყვავილები, ბევრი, ძალზე ბევრი:
ტყვიისფერი, გულის ფერი და სიცოცხლის ფერი.
მოდის ხალხი,
მდინარენი ერთდებიან ზღვებად,
მოდის ხალხი და, ბელადო, შენს გარშემო დგება.
მოდის, გიმზერს, როგორც იმედს, ცრემლი ნაღველს ალხობს,
ცრემლისათვის, იმედისთვის იდღეგრძელე, ხალხო.
რუსს და ქართველს, სომეხს, ყაზახს ერთად დგომა შვენის,
დღეს გლოვობენ სტალინს ისე, როგორც გუშინ ლენინს.
სტალინ, ხალხი ისევ ისმენს შენს ლენინურ ძახილს,
თქვენთანა დგას,
თქვენთანა დგას,
თქვენთანა დგას ხალხი.
მიწას გული აღარ სტკივა, ზეცა აღარ დარდობს.
დიდო სტალინ, შენ არასდროს არ დარჩები მარტო.
დაიკარგა ცირას ია გვირგვინების ძირას,
მაგრამ თვითონ იასავით ხალხში მოჩანს ცირა.
სტალინ, შენ თქვი: უკვდავია ქვეყნად მხოლოდ ხალხი,
მისი რწმენის დიად დროშას ძირს ვერავინ დახრის.
და ჩვენ გვჯერა,
არასოდეს ჩაგიქრება თვალი,
ხალხის სახით მხარში გიდგას
უკვდავება,
სტალინ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარლამ ქურული

წინ მიგვიძღვეგა პარტია დიდი

★

მაშინ ათასჯერ დავწყევლეთ მარტი,
როცა დაგვშორდა ძვირფასი მამა,
გულში ზვავივით ჩამოწვა დარდი,
იგრძნო ტკივილი ჭალარა მთამაც.

ნუთუ კუბოში წევს კოლხიდელი,
ნუთუ მგზნებარე გული გაცივდა!
მწუხრით დავხარეთ დროშა წითელი,
რომ ვაცილებდით არწივს არწივთან.

მაშინ სიზმარში გვეგონა თავი,
გვეგონა, სტალინს კიდევ ვნახავდით,
გვწვავდა სურათი, მორთული შავით,
თვალზე გვიდუღდა ცრემლის ნაკადი.

ბელადს ვტიროდით. აბა, მეტი რა
მძიმე ნაღველი აგვატირებდა,
გვინდოდა მოთქმით, მოთქმით გვეტირა
გორის ციხესთან, მტკვრის ნაპირებთან:

რომ ვერ იმღერებს „შავო მერცხალოს“,
თვითონ სიმღერაც მოწყენილია,
ვინა თქვა: ფერი მზეს შეეცვალოს,
თუ მზეში მთელი ქვეყნის შვილია!

გვაგონდებოდა კავშირთა სახლი,
სვეტებიანი დარბაზის ბჭენი,
სადაც ქვითინით ვიდოდა ხალხი,
სადაც ესვენა სარდალი ჩვენი.

ვეთხოვებოდით საყვარელ ბელადს,
და მას ფიქრობდა მაინც გონება,
სტალინს მსოფლიო საქმეში ხედავს,
სახელი სიკვდილს არ ემონება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძენი დადუმდა, სიბრძნე კი არა,
ერთად ანათებს ორი გენია,
ჭირსა და ლხინში ვინც მოგვიარა,
ლენინის გვერდით დაგვიწვენია.

წავიდა მზესთან დროშის მიმტანი,
ვინც დიდ მერმისთან გაგვიდო ხიდი,
წავიდა ჩვენგან კაცი ტიტანი, —
წინ მიგვიძღვება პარტია დიდი.

—— . ——

ის ცოცხალია

★

მაშინ სამ წუთს
ქვითინებდნენ საყვირები,
მაშინ სამ წუთს
ქარიშხალის ჩადგა ტალღა,
შუადღისას —
დედამიწის ატირებით
მზეს ღრუბელი შემოერტყა
მძიმე თალხად.

ის წავიდა,
ვერ ვიხილოთ აწ მღიმარი,
ის დაგვშორდა,
მაგრამ დარჩა აზრი მარად.
მზეს ვინ უთხრა
ჩასვენების სამძიმარი,
მზე ხალხისთვის
იკაშკაშებს ქვეყნის დარად.

სტალინს სძინავს.
მას ლენინის გვერდით სძინავს,
ერთად არის
ძმადნაფიცი ორი ბრძენი.
წინ იმედად
გამარჯვების დროშა ბრწყინავს,
ბრწყინავს კრემლი, —
ოცნება და ფიქრი ჩვენი.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კაღანდაძე

სამშობლოს დიღა

★

ჩანს ყვავილნარი ფერად-ფერადი,
ბაღში ხატება დადის ბელადის,
გასცქერის სივრცეს გახსნილი შუბლით
და ნატამალი არსად ჩანს ღრუბლის;
დახედავს ზამბახს, მიუალერსებს,
სიყრმის დროინდელს იგონებს ლექსებს:
„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა“.
ნიავი ახლაც აღვიძებს ზამბახს
და დიდ სტალინზე უამბობს ამბავს.
გაიწკრიალებს ტოროლა ცაში,
რტოდან ბულბული დილის ჰანგს გაშლის.
ღიმილს აფრქვევენ ია და ვარდი —
— ბაღში ბელადის ხატება დადის.
დილაა, დილა, სამშობლოს დილა,
ზეცა მშვიდობის დროშად გაშლილა,
განუბანია ქვეყანას სისხლი,
ეს ცხრა მაისის ძლევის ხმა ისმის
თუ საოქტომბრო ზეიმი ჯარის,
თქვი, ეს სიმღერა საიდან არის?!
ხალხმა აუწყო დროის ქნარს სიმნი
და უკვდავების დასძახა ჰიმნი.
ეს ფრთაგაშლილი ჰიმნია ჩვენი,
ერთა მშვიდობის, ძმობის და ლხენის,
ეს — საუკუნის ფეხის ხმა ისმის,
შემოქმედების, შენების, წინსვლის.
მიმოშრიალებს ნიავი ლაღი.
ცეკვავს მზის სხივი, ზეიმობს ბაღი,
ზეცა მშვიდობის დროშად გაშლილა,
დგას კომუნიზმის ნათელი დილა,
და უკვდავ ხსოვნას აღუთქვამს სტალინს, —
დედა-სამშობლოს გული და თვალი.

— . —

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინის სურათთან

★

მე შენს სურათთან, ნათელო მზისა, —
როგორც პოეტის მიზნამდე მისვლა, —
როს შევჩერდები ამაყი, ლაღი,
ცამდის მაღლდება ოცნების თაღი.
შთაგონებული ვდგავარ და გიმზერ,
ელვა ჰკრთის კრემლის ვარსკვლავის ქიმზე,
თუ ცის უბადლო მნათობის ძალით
მშობელ ქვეყანას დაადგი თვალი?!
მშობლიურ ნერგის სიცოცხლის წყაროვ,
შენი ნათელის სხივებით ვხარობ,
შენი ნათელის პირისპირ ვდგავარ,
შენზე ოცნების უძირო ზღვა ვარ,
მე უკვდავების ამბავი მჯერა —
— მარადისობის თვალებში მზერა!

—— . ——

მისი სიკვდილი არავის სჯერა

★

მისი სიცოცხლის ლამპარი ჩაქრა, —
მგზნებარე გულმა შეწყვიტა ძგერა,
ის ჩამოგვშორდა, აღარ გვყავს, მაგრამ
მისი სიკვდილი არავის სჯერა.
დიდება მისი მსოფლიოს გასწვდა,
მასზე მღერიან ხალხები გზნებით,
მან უკვდავების გვირგვინი დაწნა,
ბედნიერების გაგვიხსნა გზები.
ო, მის დიდებას სიკვდილი ვერ სძლევს,
სიბნელე ვერ სძლევს სინათლის მახვილს,
გავყვებით დიად მომავლის გზებზე
ლენინ — სტალინის პარტიის ძახილს.
მისი სიცოცხლის ლამპარი ჩაქრა, —
მგზნებარე გულმა შეწყვიტა ძგერა,
ის ჩამოგვშორდა, აღარ გვყავს, მაგრამ
მისი სიკვდილი არავის სჯერა.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე პროკოფიევი

მარად ჩვენთან არის

★

ყველა საქმეში ის ჩვენთან არის, —
ბედნიერება მოგვცა ულევი,
იგი მამაა და მეგობარი,
მან გამოაწრთო ჩვენი გულები!

ის ჩვენთან არის დიად სწრაფვაში, —
ხმა მშობლიური მარადჟამ ისმის...
და წითელ დროშებს ამაყად გაშლილს
ოქროსფრად ამკობს ღიმილი მისი.

განმგრძობი დიდი ლენინის გზისა
გამარჯვებისკენ გაუძღვა ხალხებს,
ერა დიადი კომუნიზმისა
მუდამ ატარებს მის უკვდავ სახელს.

სამშობლოვ, მისი შუქით ანთია
დღე რომ გუგუნებს მშვიდობის დარად,
წინ მიგვიძღვება მტკიცე პარტია
და ჩვენთან არის
სტალინი მარად!

თარგმანი **ვასილ ლაფერაშვილისა**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰუგო ჰუპერტი

ორი ლექსი

☆

ბორი

პატარა სახლო! დაგფარფატებდა
ჩემი ოცნება ფრთაგამართული,
მე შენზე ფიქრი ძალას მმატებდა,
შორით მათბობდა კერა ქართული...
მსურს, მეგობრებო, ვიქცე ნარგიზად —
გადამიტანეთ ბაღში ფაქიზად,
მსურს აქ ხე ვიყო, დარაჯად მდგარი,
მწვანით მოსილი და ფესვმაგარი.

... ქარი, ქალაქი, ბორცვზე-სიმაგრე,
ირმის ნახტომი ნაღვლიან ცაზე,
არწივის ქროლა, ჭალა, მდინარე,
სხვა საუკუნის ამ კვირაძალზე —
აქ ეს პატარა სახლი ეული,
ბაღჩა, ოთახი მამისეული,
კედლის კარადა, სკამი, მაგიდა,
ორბის აფრენა გორის ბაღიდან...
შევდივართ...
ზღურბლზე გადატყდა ჩრდილი,
ჩვენს წინ იღება ფართოდ კარები,
და ალმაფრენის ძალა დაცდილი,
წინ მიისწრაფის აელვარებით. —
ეს ჩვენი გული, გრძნობად ქცეული,
ძგერს, სადღეისოდ ამორჩეული,
სურს ყველა ფიცის მაცნე ის იყოს,
ყველა განცდები მან დაიტიოს.

იქ სათავე აქვს ყველა სინათლეს,
თავს იყრის ყველა ხალხთა ოცნება...
მის ნახვას გული მუდამ ინატრებს,
ო, მისი სახლი არ დაობლდება!

---

[1] ჰუგო ჰუპერტი გამოჩენილი ავსტრიელი პროლეტარული პოეტია. იგი ამჟამად იმყოფება თბილისში და ამთავრებს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს გერმანულ ენაზე. ეს ლექსები ამოღებულია ციკლიდან „ქართული ყავარჯენი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხი იგონებს ქვეყნის რიჟრაჟებს
და კრძალვით ამ სახლს უახლოვდება.
რამდენ გულს იტევს სახლი პატარა,
სადაც ის დედამ კალთით ატარა!
ასე დგას იგი აწ და მარადის:
ფიცი, სიმღერა, ალთქმა ბელადის.
დაფნა, სიმღერა, ვაზების ქობა.
ბავშვი ტიტინა, დედის ნუგეში —
ხალხთა ოცნება, წმინდა მშვიდობა,
მშვიდობა ქვეყნის ყველა კუთხეში...
აქ, მის აკვანზე დაილეწება
შუღლი და ომის ციებ-ცხელება..
და მომავალი სად არ ელოდა
ამ ბავშვის სალამს საქართველოდან.

გორი ჩვენ გვმატებს სინათლეს, ძალას,
ყველას სთავაზობს გორი საჩუქრებს.
გვსურს შეაბერდე მომხიბვლელ ჭალას
წმინდა გრძნობით რომ გვათბობს, გვაშუქებს.
აქ თვით მაშვრალი სიცოცხლის წყაროს
დასწაფებია ტკბილ-სანეტარეოს,
გზაზე ვარდებიც შენთვის ჰფენია,
პატარა სახლის დიდო გენიავ.

როცა მოვედი ამ ქვეყანაში,
სადაც ლიმონი ყვავილობს ველად,
ვჩქარობდი, როგორც პატარა ბავშვი,
რომ შენ მენახე, გორო, პირველად.
და შენზე ფიქრი მეც თან გამყვება,
მეც გულს გამითბობს მარად და ყველგან
ეს საოცნებო კერა ქართული,
როგორც გაათბო მრავალთა გული.

—— . ——

ერთი დღე უსტაღინოდ

★

„ო, ეს ტრაური! რა სამძიმო გარიჟრაჟია!“ —
ჩვენ მივდიოდით ექვსი მარტის სევდიან დილით,
შუბლს გვიღარავდა პორტრეტებზე შავი არშია,
დროშა დახრილი, დათალხული დედის მანდილი!
...ამაო თქმაა: როცა გმირი გარდაიცვლება,
ცა ბნელდებაო და ობლდება მიწა მშობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტი იცვალოს, ჩვენი ცვლა კი არ შეიძლება —
კვლავ გზას გვინათებს მისი აზრი ჩაუქრობელი.

ვინა სთქვა, რომ მან მიატოვა თბილის-ქალაქი?
განა არ გვათბობს მისი სახით სუნთქვა ბაღნართა?
ნაცნობ ქუჩებში კვლავ წინ გვიძღვის მისი ამაგი,
აქ, სადაც ბრძენმა გამარჯვების დროშა აღმართა.

აქ მან ლენინის ნაპერწკალი აქცია ხანძრად,
უბრალო გულებს ჩაუნერგა ნება დიადი...
ვინ თქვა, რომ მისი მოგიზგიზე გენია ჩაქრა,
ვინც მოუტანა მილიონებს ეს განთიადი?

დაივლი სახლებს. მარმარილოს დაფა გვაუწყებს:
მუშათა წრეებს აქ რაზმავდა რკინის პარტიად.
აქ იყო კრება. აქ, სარდაფში, ბეჭდავდა ფურცლებს,
რათა ექცია კომუნიზმის დიად ქარტიად.

აქ წინ უძღოდა ის მაისის დემონსტრაციას,
დროშით უკვლევდა გზას მოხუცებს, ქალებს, ჭაბუკებს...
დღესაც მივყვებით, ვინც ოცნება საქმედ აქცია, —
ხალხის სიყვარულს, ხალხის ძალას ზღვარს ვინ დაუდებს!

ვინ თქვა, სტალინი მოაკლდაო მართალთა მხარეს?
მისი სიცოცხლე ფეთქავს ქვეყნის მაჯისცემაში,
მისი სურვილი ბარაქიანს შლის პურის თაველს,
შუქსა ჰფენს წიგნებს, ელსადგურებს, მოძღვრებას ნათელს,
მისი სურვილი ჩქეფს მშვიდობის ლაღ სიმღერაში.
ამხანაგებო, დავდგეთ, როგორც მთების კედელი,
კედელი, მჭიდრო თაღებით რომ ცას ებჯინება.
ამხანაგებო, ვიყოთ მისებრ შეუდრეკელი!
გუშინ შეეხო მის მართალ გულს სიკვდილის ხელი,
დღეს — უკვდავებამ აიტაცა მისი დიდება.

თბილისი, 6 მარტი 1953 წ.

თარგმანი გერმანულიდან **აკაკი ჭკადუასი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ გაგელია

ბელადი მხატვრის ტილოზე

★

დიდხანს ტანჯავდა მხატვრის გონებას
ამბავი მწარე, ცრემლის მომგვრელი,
ბოლოს თავს სძლია და შთაგონებით
ფუნჯს ათრთოლებით მოჰკიდა ხელი.

შემოქმედების ცეცხლმა და ალმა
ცრემლი შეუშრო ფერების მგოსანს —
და მან თავისი ნიჭი და ძალა
ისევ დიადი აზრით შემოსა.

გაშალა ტილო ხელის კანკალით
და ძველებურად ფუნჯი შემართა,
რომ გენიოსი თვალებჩამქრალი
თავის ტილოზე გამოეხატა.

გამოეხატა ცხრა მარტის დილა,
გულთა მწუხარე ამოძახება
და თვალებს შორის ჩამდგარი ჩრდილად
შავი სიკვდილის ბნელი სახება!..

ასეთი რწმენით დიდხანს ხატავდა
თვალცრემლიანი და თავდახრილი...
და ყველაფერი როცა დამთავრდა,
სურათს მიაპყრო მზერა დაღლილი.

მზერა მიაპყრო და ტანში თითქოს
იგრძნო აღდგენა დაკარგულ ძალის;
მის წინ ბელადი აფრქვევდა სითბოს,
ბელადი იდგა მის წინ ცოცხალი.

ბელადი იდგა მის წინ ცოცხალი,
და ბრძნულ თვალების წამწამთ ჩეროდან,
ვით უქრობელი მზე სხივოსანი,
თვით უკვდავება შემოსცქეროდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო ღოღიძე

მამა და შვილი

☆

ოთახი ნახევრად ჩაბნელებული იყო. მარტო სამუშაო მაგიდაზე გადაშლილ ხელნაწერებს და წიგნებს დაჰნათოდა პატარა ლურჯსაფრიანი ლამპა.

აქ არც საწოლი იდგა, არც რამე სხვა ნივთი. იმთავითვე იგრძნობოდა, რომ ეს მხოლოდ სამუშაო ოთახი იყო, რომ ახლახან გასულიყო ის, ვინც ამ ოთახში შრომაში ღამეებს ათევდა. ხელნაწერს ჯერ არ შეშრობოდა მელანი, ჰაერში ჯერაც არ გამქრალიყო თამბაქოს მოლურჯო კვამლი.

არ ისმოდა ბავშვების ჟრიამული, არც ახალგაზრდების ცოცხალი ხმები, ან დიასახლისის ხელში ჭურჭლის ჩხრიალი. ყველაფრით ჩანდა, რომ ეს არ იყო დიდი ოჯახი და მხოლოდ ეს ოთახი იყო მთავარი ძარღვი ამ ბინისა.

კარი გაიღო. მეორე ოთახიდან უეცრად გამოჭრილმა შუქმა სიბნელეს გამოსტაცა კედლების გასწვრივ წიგნებით სავსე თაროები. კარის დირეზე გამოჩნდა მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი, მაგრამ ძლიერი აგებულების მოხუცი — პროფესორი პეტრე ლომთათიძე. შემოვიდა, კარი გაიხურა. ლანდები გადაინაცვლა და ოთახში ისევ ის მყუდროება დამყარდა.

პროფესორმა ნელი ნაბიჯით გადაჭრა ოთახი. მაგიდასთან მივიდა, მაგრამ კალამი არ აუღია, არც ხელნაწერებისათვის დაუხედავს. სავარძელზე დაეშვა, უცხო სტუმარივით მოავლო თვალი მაგიდას, ჩაბნელებულ კედლებს, წიგნებს, მძიმედ ამოიხვნეშა, იდაყვით დაეყრდნო მაგიდას, თავი დაასვენა ხელზე. დიდხანს ოჯდა ასე ჩაფიქრებული.

სრული სიჩუმეა. მხოლოდ ოდნავ, ოდნავ მოისმის მოკრძალებული ფეხის ხმა სასადილო ოთახიდან. მალე ისიც მიწყდა.

მოხუცმა მწარედ ამოიხვნეშა.

— ამასაც მოვესწარი! ჩემი შვილი, ჩემი თამაზი, — მწარედ მოკუმა შეთეთრებული წვერ-ულვაშით დაფარული ტუჩები, — მარტო ერთი წელიწადი? აბა ხომ არ მეტყვის: „მამა, აღარ მინდა სწავლა. იქ იოლ სამუშაოზე მირჩევნია ვიჯდე". მერე, რა პირობები აქვთ, რა საშუალებები! ჰმ! ვინ აფასებს? რა იცის ახლანდელმა ახალგაზრდობამ, რა უნახავს, რა განუცდია? სხვის სამსახურში რომ გწყდება წელი, ღვინო-არაყისთვის სირბილს უნდები და ყოველი შენი პატიოსანი სურვილი მარტო მთვრალის დაცინვას და აბუჩად აგდებას იწვევს. ათეულ წლებს ოცნებობ და ვერ ეღირსები სასწავლებლის კარს! ეჰ, რა იციან მაგათ! — ფიქრებს წარსულში გადაჰყავს გულნატკენი მოხუცი.

სადგურის მახლობელ ერთ-ერთ შესახვევში იყო პატარა სახელოსნო. პატრონი, მუდამ ღვინით შეზარხოშებული, ნიადაგ გაუპარსავი, რაღაც თავის იმედების გაცრუებით გაავებული. თითქმის ყოველ საღამოს ამ უბადრუკ სახელოსნოში იმართება ულაზათო ქეიფი, ლოთობა და აქვე ეს ჭკვიანი, გამჭრიახი, ცოდნას დაწაფებული ბავშვი. რა საცოდაობაა, როცა აქეთ-იქით ეცემი. არ იცი,

სად ნახო, სად წააწყდე ნამდვილ სიცოცხლეს, ნამდვილ შრომას, ნამდვილ ადამიანებს.

მაინც რის ვაი-ვაგლახით მიაღწია დეპოს კარებს, იმდროინდელ საქართველოს ამ ერთადერთ ნამდვილ, საწარმოო კერას. პირველად აქ გაახილა თვალი ნიჭიერმა ყმაწვილმა, აქ გაიგო, რა ხდებოდა ქვეყნად. მაგრამ აქაც რამდენი უსამართლობა, შიმშილი, ჩაგვრა განიცადა. ბრძოლის ალღო მაინც აიღო, ცხოვრებაში ჩაება, ბევრი რამ ისწავლა.

მიუხედავად გაჭირვებისა და შიმშილისა, მთელი დღის შრომით წელგაწყვეტილი ღამღამობით ჭვარტლიანი ჭრაქის სინათლეზე, ცივსა და უსუფთაო დერეფანში კითხულობდა. სწავლობდა. კვალიფიციური მუშა გახდა. მაგრამ ვაი, რომ ყოველი მისი წინადადება შრომის გაუმჯობესებისა და გაადვილებისათვის მხოლოდ დაცინვასა და გაკიცხვას იწვევდა?!

როცა ოქტომბრის რევოლუციამ საბოლოოდ დაამსხვრია მეფის რეჟიმის უკუღმართობა, პეტრე ლომთათიძე უკვე ოცდაათ წელს გადაცილებული იყო. ამ ხნის ვაჟკაცმა არ ითაკილა, ბავშვებს მოსჯდომოდა გვერდით და თავიდან დაეწყო სწავლა. ორმოცი წლის იყო, ინჟინრის დიპლომი რომ მიიღო და სამეცნიერო მუშაობას დაეწაფა.

ახლა იგი მოწინავე მეცნიერია. მუშათა რიგებიდან გამოსული, სისხლით და ხორცით მათთან დაკავშირებული, პროფესორი ლომთათიძე როდი კმაყოფილდება მარტო თეორიული მუშაობით. მთელი გული და სული იქითკენ აქვს მიმართული, რომ რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენოს თავისი ცოდნა პრაქტიკულ მუშაობაში, რაც შეიძლება შეამსუბუქოს მუშის ფიზიკური შრომა.

ჰო, ახლა ის ღვაწლმოსილი მეცნიერია, მაგრამ რა სიძნელეების გადალახვით მიაღწია ამ გამარჯვებას! იმასაც გრძნობს, რომ დაიღალა, სიბერემ უწია. განა ისე უჭრის თვალი და გონება, როგორც ამ ოციოდე წლის წინათ? ის, რაც ახლა იცის, მაშინ უნდა სცოდნოდა. მაშინ მოასწრებდა, ბევრს მოასწრებდა, შექმნიდა რაღაც საყურადღებოს, მნიშვნელოვანს. ახლა კი... სასახელოა, ასწავლო, ცოდნა ჩაუნერგო ახალგაზრდობას, გაუადვილო ის გზა, რომელიც შენთვის ასე მძიმე იყო. მაგრამ ეს არ აკმაყოფილებს ძველს მუშას, პატიოსან მებრძოლს, თავდადებულ მეცნიერს პეტრე ლომთათიძეს. აი ეს შრომაც... ვერა, ვეღარ შეძლებს დაამთავროს იგი... და მისი შვილი, რომელზედაც ამდენ იმედს ამყარებდა... როგორ გაუცრუვდა იმედი!

ისევ და ისევ იგონებს მოხუცი: რა მოხდა, როგორ მოტრიალდა უცებ უკუღმა ჩარხი.

რა სიხალისე და სიხარული შემოიტანა ამ დილით თამაზმა, როცა მოულოდნელად შემოიჭრა ამ მდუმარე სახლში. ყველა გამოაცოცხლა: ჯერ თავის გამზრდელ მამიდას ეცა., მერე კაბინეტში შეიჭრა მოურიდებლად. ჯერ სიხარული და სიხალისე, მერე კი...

— როდის-ღა ჩამოხვალ, ბიჭო? სულ გამოვყრუვდით უშენოდ! — ალერსით მიმართა მოხუცმა თებრომ თავის სათაყვანებელ ძმისწულს, — დაამთავრე შენი სადიპლომო სამუშაო?

— არც დამიმთავრებია და ჯერჯერობით ვერც ვიმუშავებ სადიპლომო შრომაზე, ეს საქმე გადავდე! — ახალგაზრდული უზრუნველობით გამოაცხადა ვაჟმა, თითქოს ამით სასიხარულო რამ ეთქვას.

— რაო, — განცვიფრდა პროფესორი, — რას ამბობ?

— მამა, რომ იცოდე, რა დღეში ვართ! აკადემიური შვებულება უნდა ავიღო ერთი წლით, სადიპლომო შრომას მერე დავუბრუნდები!

თითქოს ყუმბარა გასკდაო ოთახში. აღარაფერმა უშველა: არც მეგობრის მტკიცებამ, თუ რა საინტერესო სამუშაო აღმოუჩნდა ქარხანაში, არც მამიდის ხვეწნა-მუდარამ.

— მამა, გამიგე, — იმეორებდა თამაზი, — როდის იყო, რომ მე სწავლას გავურბოდი? მაგრამ ახლა ვერ მივატოვებ მუშაობას. ნუთუ არ გესმის: ტყიბულის ნახშირის ახალი პერსპექტივები... ჩვენ უნდა მივიღოთ მაღალხარისხოვანი მეტალურგიული კოქსი ტყიბულისა და ტყვარჩელის ნახშირიდან!

— ა, ვიცი, ვიცი. ეს ძალიან კარგი საქმეა. მე მუდამ ვამბობდი, რომ ჩვენს ნახშირს მეტი პერსპექტივები აქვს, რომ ჯერაც არ არის იგი წესიერად შესწავლილი და გამოყენებული. შესანიშნავი წამოწყებაა, მაგრამ ეს შენი საქმე არ არის. ჯერ ინსტიტუტი უნდა დაამთავრო, დიპლომი მიიღო!

— მამა, გამიგე. გვერდში ვუდგავარ პროექტის ავტორს. ერთად ვმუშაობთ. მე რომ ახლა ვუმტყუნო, მივატოვო...

— ო, უშენოდ არაფერი გაკეთდება. შემიხედეთ გამობრძმედილ მეცნიერს. — დასცინა მამამ, — მე არა მსურს მაგ სულელური კადნიერების მოხმენა, — მაჯის საათზე დაიხედა, — ისედაც ბევრი დრო დამაკარგვინე. მიპასუხე, რა მდგომარეობაშია სადიპლომო სამუშაო, დაამთავრე?

თამაზს უცებ ჩაუწყდა ხმა.

— არა... — და მამისებური სიჯიუტით დაუმატა, — ახლა არა მცალია.

— არა გცალია, სწავლისათვის არა გცალია?

— მამა...

— ყველაფერი გასაგებია! — შესძახა მამამ და მაგიდას მიუბრუნდა, ერთ წუთს უჩუმრად იდგა, თითქოს ელოდა რაღაცას, მაგრამ თამაზი ხმას არ იღებდა.

— კარგი, — უცებ მიმართა მამამ, — მესმის... ის უკრაინელი გოგონა... კარგი, მე თანახმა ვარ. მოაწერეთ ხელი... მოიყვანე ის ბიჭუნაც. მისი ძმა. გეყოფით, მანამ ცოცხალი ვარ... ოღონდ სწავლაზე ნუ აიღებ ხელს.

თამაზი გაოცებით შეჰყურებდა მამას. გალინა? ვინ იყო მისთვის გალინა? მეგობარი, რომელსაც დაუახლოვდა ქარხანაში მუშაობის დროს. თამაზს თვალწინ წარმოუდგა ამ უკრაინელი ქალის ლამაზი, ჭკვიანური სახე. როგორი მზრუნველი მეგობარი იყო იგი თამაზისათვის, როგორ უვლიდა პატარა ძმას, რომელიც რის ვაი-ვაგლახით გადაარჩინა ოკუპირებულ უკრაინაში დატრიალებულ უბედურებას და საქართველოში გადმოხიზნა. ძმას ასწავლის, თვითონ კი დღე და ღამე დაუღალავად შრომობს. რამდენჯერ უთქვამს თამაზისათვის: „მე თუ უსწავლელი დავრჩი, იანკოს მაინც დავაყენებ გზაზეო“.

უსწავლელი? გალინას რვაწლედი აქვს დამთავრებული. ახლა წარმოებასთან შეთავსებით ტექნიკუმს ამთავრებს. მერე რამდენს კითხულობს... არა, გალინა უსწავლელი არ დარჩება. მაგრამ რა არის იგი თამაზისათვის. რა აკავშირებს მათ ერთმანეთთან? ქარხანაში, თუ ქარხნის გარეთ თამაზი და გალინა სულ ერთად არიან, ყოველ თავისუფალ წუთს ერთად ატარებენ. თამაზი გალინასთან მირბის, როდესაც მას რამე შეაწუხებს, ან რამე გაურკვეველია მისთვის წარმოებაში. გალინა ყოველ თეორიულ საკითხზე თამაზს მიმაროავს ხოლმე დახმარებისათვის. ისინი თითქოს არ შორდებიან ერთიმეორეს. წარსულ კვირას თბილისში ერთად ჩამოვიდნენ. რა მხიარული, რა ბედნიერი მგზავრობა იყო. მაშ, მამა არ ცდება და თამაზი მართლა...

— არა, — ჯიუტად გადაიქნია თავი თამაზმა, — გალინა აქ არაფერ შუაშია! — მოხუცის გამომცდელ მზერას თვალი აარიდა, გვერდზე გაიხედა და ხმადაბლა დაუმატა, — გალინაც ჩვენთან ერთად მუშაობს; ლაბორატორიაში. ის თვითონ არ აიღებს ხელს სამუშაოზე... — ისევ მიუბრუნდა მამას, პირდაპირ თვალებში შეხედა, — ბოლოსდაბოლოს მხოლოდ ერთი წელიწადი!

მოხუცი მძიმედ დაეშვა სავარძელში.

— ერთ წელიწადში მე მოვკვდები, შვილო! მძიმე ცხოვრება მქონდა, თამაზ, შენ იცი! ძალიან დაღლილი ვარ!

მართლაც, ეს ჭარმაგი მოხუცი ახლა ისე მოტეხილი ჩანდა, რომ თამაზს გული დაესერა. რა ქნას? როგორ მოიქცეს?

თამაზი მამას მიუახლოვდა, მის ნაჯაფარ ხელს შეეხო, მიეფერა, როგორც პატარაობისას იცოდა.

— მამა, დამიჯერე, დიპლომი არსად წამივა, მოვასწრებ. მე ხომ ჯერ ახალგაზრდა ვარ, მამა!

მოხუცი არ უცქეროდა შვილს. ჩამქრალი ხმით, თითქოს თავისთვის, გაიმეორა: — ახალგაზრდა ხარ, მოესწრები, ხვალ, მერე... სწავლა და მეცადინეობა მერე. დღეს კი... იოლი ცხოვრება გინდა, თამაზ! სამსახური, ახალი მეგობრები, დამოუკიდებელი ცხოვრება. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს უფრო გიზიდავს, მესმის.

— აგრე რად ფიქრობ, მამა. ისეთი მუშაობა გვაქვს, ლამეც არა გვძინავს...

— და მაინც ეს უფრო ადვილია შენთვის, ვიდრე სერიოზული, თავდადებული მეცნიერული შრომა... კარგი!.. — მოხუცმა თავს ძალა დაატანა, — მე სამუშაო მაქვს, წადი: როგორც გინდა, ისე მოიქეცი. — და უცებ წინანდელი სიკერპით გამტკიცებული ხმით დაურთო: — ჩემი იმედი კი ნულარ გაქვს! როცა მიხვდები, ინანებ, გამოსწორებას მოინდომებ, იცოდე, პეტრე ლომთათიძე არავის შეეხვეწება, — მომეხმარეთ, ჩემს შვილს დიპლომი მიაღებინეთო.

ოთახში დაფეთებული თებრო შემოვარდა. საბრალო ქალი, დიდი ხანია გაეცალა მათ და, გულმოკლული ამ უთანხმოებით, გატვრენილი იდგა კარებთან იმ იმედით, რომ იქნებ მორიგდნენ მამა და შვილი. ახლა კი ველარ მოითმინა.

— რას ეუბნები შვილს, პეტრე.

— გამაცალე ეგ შენი თამაზი, — ძლივს შეკავებული რისხვით ჩაილაპარაკა ზურგშექცეულმა მოხუცმა, მერე უცებ მოტრიალდა, მუშტები დაჭიმა, — წადი, დამეკარგე, თორემ არ ვიცი...

თებრო გაშეშებულ თამაზს შემოეხვია და გარეთ გაიყვანა.

დიდხანს იდგა მოხუცი პროფესორი მაგიდასთან. მერე დისა და შვილის შეკავებულა ჩურჩულმა მიაღწია მის სმენამდე. აი, ჭურჭელიც ახმიანდა, თითქოს იმედმა დაისადგურა მის გულში. ჰო, თებრო დააჯერებს, დაიყოლიებს თამაზს. ქალს ყოველთვის მეტი შეუძლია დაყვავებით, მოფერებით, ვიდრე ასეთ ტლანქ, უხეშ ბებერს, არა! — კარი გაიღო, დაიხურა. თებრო ფეხაკრეფით გავიდა თავის ოთახში. ყველაფერი მიწყნარდა.

— ჰმ! — მწარედ ჩაილაპარაკა მოხუცმა, — რისი იმედი მქონდა! განა ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა და უდარდელი, დამოუკიდებელი ცხოვრება არ დასძლევდა მძიმე შრომას მოხუცი მამის გვერდით?

ვერც თებრომ მოისვენა, ან რა მოასვენებდა საბრალოს, როცა ძმის ოჯახში ასეთი შფოთი ატყდა.

ერთ-ერთ გურულ ღარიბ გლეხის ქალს არაფრით გაუხარია, თუ არა ამ ერთადერთი ძმის სიცოცხლით, მისი მიღწევებით, მისი წარმატებით. ვიდრე პეტრე ქალაქში სწავლობდა, იბრძოდა, ფეხს იკიდებდა, თებრო არავითარ შრომას არ თაკილობდა, ოღონდ კი თავისი სათაყვანებელი ძმისათვის შეემსუბუქებინა ცხოვრება. თოხნიდა, კერავდა, ქსოვდა და თავისი დაუღალავი შრომის ნაყოფს ისევ და ისევ ძმას ანდომებდა. ვინ იცის, თებრო რომ არა, შეძლებდა ეს მარტოხელა ბიჭი გაეტანა თავისი, არ გატეხილიყო. არ დაცემულიყო? რამდენჯერ ჩამოსულა თებრო ქალაქში საჭმელ-სასმელით სავსე კალათებით, ცოტაოდენი ფულითაც. რამდენჯერ უთქვამს მისთვის ძმას: კარგი, არ მინდა, შენს თავს მოუარე, ოჯახს მოეკიდე, როდემდე უნდა იყო ასე მარტოო. მაგრამ თებროს თავის თავისთვის არ ეცალა. არა, ძმას უნდა დახმარებოდა, ხელი შეეწყო, კაცად გაეხადა. ბოლოს დროც გადავიდა და კეთილ ქალს არასდროს აზრადაც არ მოსვლია რაიმე სინანული საკუთარი ცხოვრების მოუწყობლობის გამო. განა ძმის ოჯახი მისი ოჯახი არ იყო? განა ძმის სიხარული მისი სიხარული არ იყო? როცა პეტრე დაქვრივდა, თებრო საბოლოოდ გადმოსახლდა თბილისში და ახლა მთელი თავისი სიყვარულის ძალა პატარა თამაზზე გადაიტანა. პეტრე და თამაზი — აი ვინ ასულდგმულებდა კეთილ მოხუც ქალს, და ბედნიერიც იყო, რომ გაუმართლდა ამაგი. ძმა — ღვაწლმოსილი მეცნიერი, ძმისწული — მისი სათაყვანებელი თამაზი — დინჯი, ნიჭიერი ყმაწვილი. და უცებ — ეს შფოთი, უსიამოვნება. საბრალო ქალს შიში იპყრობდა, — ვაითუ მართლა ამოიგდოს გულიდან მამამ თავისი ერთადერთი შვილი. დიდხანს იყოყმანა, იტრიალა თავის ოთახში, ბოლოს მაინც გაბედა.

— არ გძინავს, პეტრე? — ნელა შეაღო კარი კაბინეტში, — სადაცაა გათენდება... დაგესვენა მაინც, თუ არა მუშაობ!

— შენ, რატომ არ გძინავს? — შეეკითხა პეტრე და პასუხი რომ ვერ მიიღო, თვითონვე განაგრძო, — თამაზი — უდიპლომო ინჟინერი. შენ წარმოგიდგენია ეს, თებრო! — ზეზე წამოვარდა, ფანჯარას მიაშურა, ზურგი შეაქცია დას, თითქოს არ უნდოდა დაენახვებინა მისთვის სახეზე აღბეჭდილი ტანჯვა.

თებრო მიუახლოვდა მას, ფრთხილად შეახო ხელი.

— ნუ, პეტრე, რატომ ფიქრობ, რომ... იქნებ მართლა...

— რა? — შეაწყვეტინა ძმამ, — შენ გჯერა, რომ თამაზი მუშაობამ გაიტაცა? ტყიბულის ნახშირი, ახალი დანადგარები? აი აქ, აქ იქმნება ყოველივე ეს. — მაგიდაზე მიუთითა. მისი ხელის უზარმაზარი ლანდი კედელზე აიმართა და გაჰქრა. მოხუცი მაგიდას მიუახლოვდა, ხელი დაადო გადაშლილ ხელნაწერს, თითქმის დაფარა იგი.

— ჯერ უნდა ისწავლო, შეიცნო, მერე წახვიდე იქ და მიიტანო შენი ცოდნა.

— შენ უსამართლო ხარ, პეტრე. თამაზის ცოდნა იქ უკვე სჭირდებათ. ხომ გაიგონე პროექტის ავტორს გვერდში ვუდგევარო...

— ის იმ გოგოს უდგას გვერდში და არა პროექტის ავტორს.

თებრომ უფრო გაბედულად შეუტია:

— ვითომ რა უჭირს, რომ შეირთოს. მშვენიერი ქალია. მუშაობს, ძმასაც ზრდის. ის საბრალო ძლივს გადაურჩა იმ უბედურებას, რაც უკრაინაში დატ-

რიალდა. ჩვენ შეგვეხიზნა. შეირთოს, მერე რა... ორივე ერთად ისწავლის, რა გაჭირვებულები ჩვენ ვართ, რომ ვერ შევინახოთ.

— გაჩუმდი! შენ ყველაფერზე თანახმა ხარ! შენ გაანებივრე ბავშვი, შენ დაღუპე! ორივემ ისწავლოს! რომ არ უნდათ, რომ არ უნდათ!

— რატომ, კაცო, მიიღებს მაგ დიპლომს, — და ძმის ანთებულ თვალებს რომ შეეფეთა, შემცბარი ხმით დაუმატა; — ცოტა ხანს აცალე და...

— ო, ალბათ ერთი-ორი წლის შემდეგ გონს მოვა. მევე მომადგება — „მომეხმარე, მამაჩემო, როგორმე ჩამაბარებინეო!“ ამასაც მოვესწარ, ჩემი შვილი დასახმარებელი, სათრევი, საპროტექციო! — უცებ მოეშვა ჩამქრალი, შორსწასული თვალებით გახედა დას. — შენ რა იცი, ჩემო თებრო, შენ რა იცი, რა გზა განვვლე მე? რამდენი ბრძოლა, რამდენი გაჭირვება გამოვიარე, ვიდრე აი, ამის საშუალება მომეცემოდა. — იმედგაცრუებული მზერა მოავლო მაგიდას, — შენ რა იცი, როგორ ვიბრძოდი. მიშლიდნენ, — მაინც ვშრომობდი, მშიოდა, — მაინც ვშრომობდი! შენ რა იცი?!

— ძმაო, — შეაწყვეტინა დამ.

— ჰო, შენ იცი, რა თქმა უნდა, იცი. რამდენჯერ შენი გამოგზავნილი ჭადით ჩამიდგამს სული, ძალა მიგრძვნია და იმედი მომმატებია... მაგრამ შენ არ იცი, როგორც ვოცნებობდი მე ამ დიდ შრომაზე, ამ დიდ საქმეებზე და რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ მაშინ, ახალგაზრდობის დროს, ეს საშუალება მქონოდა. მას კი ყველა კარი გახსნილი აქვს, ყველაფერი ხელს უწყობს. რაო? ცოტა ხანს მაცალე, ისევ სწავლას დავუბრუნდებიო? ჰმ! მოჭორილია, მოჭორილი, ზარმაცის თავის მართლება. როცა კაცი ერთხელ მოსწყდება სერიოზულ, კაბინეტურ შრომას, მერე ისე ადვილად ვეღარ დაუდებს გულს მუშაობას. ნუთუ ამდენ ხანს ბრმა ვიყავი? უნიჭო?! მაგრამ მისი შრომები? ხომ ჰქონდა უკვე შრომები, წერილები? ნუთუ ესეც მარტო ჩემი პატივისცემით იყო, მარტო ჩემთვის უბეჭდავდნენ?! — ათრთოლებული ხელი დაავლო მაგიდაზე მიმობნეულ წიგნებს, სქელტანიანი ტექნიკური ჟურნალი მოძებნა, გადაშალა, ჩაუკვირდა. — არა, აქვს აზრი, შესწევს უნარი. ნიჭიერია, ნიჭიერი, მაგრამ არა სურს...

სახეზე აღბეჭდილი ღრმა ტკივილით დაკეცა ჟურნალი და შორს ისროლა. თავის ხელნაწერს დახედა. ერთ ადგილას შერჩა თვალი. დაუკვირდა. თითქოს დაავიწყდა, რომ მარტო არ იყო. როცა თავი აიღო, გაუკვირდა კიდეც: თებრო მიმოფანტულ ჟურნალს აგროვებდა.

— არ უნდა? დაე, ასე იყოს. წადი, დაიძინე.

— სადაცაა გათენდება, დაგესვენა. — შეჰბედა დამ.

— წადი, არა მცალია, — თავაუღებლივ უპასუხა პეტრემ, ხელნაწერს ჩააცქერდა.

ფეხაკრეფით გასცილდა და.

რამდენჯერმე ჩამოვიდა თამაზი ქალაქში. არ მიიღო მამამ, — თვალიდან დამეკარგოს, ურჩი და მცონარა შვილი არ მინდაო!

გულს უკლავდა საბრალო თებროს, რომ გაკერპებული მოხუცი აღარც ფულს აძლევდა. „არ მიჯერებს? — თავისი ჭკუით იცხოვროს, ჩემი იმედი ნულარ ექნება“. — ჯიუტად მოუჭრა დას. მაგრამ იმ დღესვე სახარჯო ფული გამოუტანა და, როდესაც ქალს გაუკვირდა, რისთვის აძლევდა ამდენ ფულს, გაავებულმა უპასუხა, სახარჯოდო.

— ამდენი? — გაკვირვებით შეეკითხა ქალი.

— აა, რამ გამოგაყრუა? მე რა ვიცი. რამდენი გჭირდება. როცა გაგითავ-

დეს, მითხარი და კიდევ მოგცემ. — წამსვე აარიდა თვალი და კაბინეტში ჩაიკეტა.

თებრო მიუხვდა და გათამამებულმა კიდევ შეუტია ორიოდე დღის შემდეგ: — რა არის, პეტრე, ჩვენც დავიტანჯეთ, ის ბიჭიც. როდის იყო ჩვენი თამაზი ზარმაცი და უქნარა?

— შენ რომ გკითხო, თამაზისთანა წესიერი კაცი არ დადის ქვეყნად. — შეუტია ძმამ, მაგრამ ეტყობოდა, თვითონაც შეწუხებული იყო შვილის განშორებით, და ხმადაბლა დაურთო: — კარგი, აი მოვიცლი, ჩავალ და ვნახავ, რას აკეთებენ?

როგორ გაიხარა საბრალო ქალმა. ყველაზე მეტად ის იტანჯებოდა. იშვიათი დედა იქნებოდა ისეთი ლმობიერი, ისეთი მოსიყვარულე, როგორც ეს მამიდა იყო თამაზისათვის. ძმისადმი მუდამ პატივისცემით გამსჭვალული, თებრო ვერ ახერხებდა, ეჭვი შეეტანა მის სიმართლეში, მაგრამ ვერც ძმისწულს თმობდა, ვერც მას ამტყუნებდა. ასე ჩუმად იტანჯებოდა საბრალო ქალი, და როგორ გაიხარა მისმა მართალმა გულმა, როცა ძმის სიტყვებმა იმედი ჩაუსახა, რომ ყველაფერი მოეწყობოდა და ეს ორი საყვარელი არსება ისევ ისე ბედნიერი და კმაყოფილი იქნებოდა.

*
* *

ჩამავალი მზის გრძელი სხივებით მოფენილი ახალი ქალაქის ფართო და ლამაზი ქუჩები უფრო ხალისიანად გამოიყურებოდა.

თამაზმა თითქმის ორი ცვლა დაჰყო საამქროში. საღამო ხანს ბრუნდებოდა პატარა ოთახში.

მოედანი გადაჭრა. ერთ-ერთი ახალი შენობის რამდენიმე საფეხური აირბინა და კარი შეაღო. მეზობელი ოთახიდან პატარა წითელლოყებიანმა გოგონამ გამოიჭვრიტა.

— ძია თამაზ! — შესცინა ვაჟს, — როგორ არის საქმე?

— კარგად, ლალი, კარგად, — გაუღიმა თამაზმა.

— მამა მალე მოვა?

— მალე, სულ მალე!

— მაშ, კარგი, მშვიდობით, — განსაკუთრებული სიდინჯით მიუგო ბავშვმა და გაუჩინარდა.

ახლა ლალის დედამ გამოიხედა.

— საღამო მშვიდობისა, — მიესალმა ვაჟს, — როგორ დაგაგვიანდათ. მობრძანდით, სადილი მიირთვით!

— არა, არა, — იუარა თამაზმა, — გმადლობთ, არაფერი არ მინდა, სამუშაო მაქვს და...

— რა გეშველებათ, არ ვიცი... ის კაციც რომ გადაიყოლიეთ! აღარც ოჯახი ახსოვს, აღარც რა, თორემ აბა თქვენ რაღა მოგივათ, — ამოიხვნეშა ქალმა, — მაშ, აქ მოგართმევთ ვახშამს!

ყველამ იცოდა, რარიგ გატაცებული იყო თამაზი კოქსის დამზადების ახალი მეთოდით. მაინც ლალის მამას, მეტალურგიული ქარხნის მუშა-მექანიკოსს, ხომ პირდაპირი კავშირი ჰქონდა ამ საქმესთან, რადგან სწორედ მათ საამქროში უნდა აეწყოთ ის დანადგარები, რომელნიც დაამზადებდნენ ამ კოქსს.

ფოლადის დნობა მოითხოვს მაღალხარისხოვან მეტალურგიულ კოქს. ასეთი კოქსის მისაღებად ჩვენი ტყიბულის ნახშირის სპეციალური დამუშავებით მიიღება ნახევარ კოქსი, რაც შემდეგ ტყვარჩელის ნახშირთან ერთადნობით მოგვცემს მაღალხარისხოვან საშიხტე კოქს. ეს მეთოდი იძლევა არა მარტო კოქსს, არამედ (მუშაობის პროცესში) აგრეთვე მეტალურგიისათვის მეტად საჭირო ნედლეულს.

სწორედ ამ საქმით იყო გატაცებული თამაზი. თეორიულად კარგად მომზადებული, იგი გვერდში ედგა პროექტის ავტორს, ინჟინერ სიმონ მამარდაშვილს. ქარხნის ლაბორატორიაში უკანასკნელი ცდები მიდიოდა. პარალელურად ახალ დანადგარებს ამზადებდნენ ამ მაღალი ხარისხის მასალის გადასადნობად. თვითონ სიმონი, თამაზი, გალინა ბუტენკოც, რომელიც ლაბორანტად მუშაობდა და მათ პროექტზე იყო მიმაგრებული, დღე-ღამეს ასწორებდნენ, რომ მალე დაემთავრებინათ საქმე, ახალი, მაღალხარისხოვანი კოქსი მიეცათ ქარხნისათვის. და განა შეეძლო ახლა თამაზს, ხელი აეღო სამუშაოზე, გამოეცხადებინა — რაში მედარდება თქვენი ახალი პროექტი, მე სხვა გზა მაქვს, სადიპლომო შრომა უნდა დავიცვა, მეცნიერი გავხდეო?..

ეს შეუძლებელი იყო. თამაზს გული სტკიოდა, რომ წესიერად ვერ გააგებინა მამას, თუ რამდენად საჭირო იყო ის აქ. მართალია, ალბათ არც უმისოდ ჩაიშლებოდა საქმე, აღმოაჩენდნენ შემცვლელს, მაგრამ ამას ხომ დრო უნდოდა, ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, შეაფერხებდა საქმეს.

„არა, ფიქრობდა თამაზი, — აი, მოვიცლი, ჩავალ კიდევ ერთხელ მამასთან, დამშვიდებით ავუხსნი ყოველივეს. გამიგებს, თვითონვე მეტყვის იმუშავეო“...

ჯერჯერობით კი თუმცა ეს პირველი გათიშვა მასთან მეტად აღონებდა თამაზს, მაგრამ იგი იმდენად გატაცებული იყო ამ საქმით, და იმდენად დარწმუნებული, რომ შვილს მაინც გაუგებდა და შეურიგდებოდა, რომ ცდილობდა, აღარ ეფიქრა ამ გაუგებრობაზე. თამაზი მთელი გულით და სულით შრომობდა.

არც ისე ადვილად მიდიოდა საქმე. აი, დღესაც შეხვდათ მოულოდნელი შეფერხება. თამაზი შინ წამოვიდა, რომ კიდევ ერთხელ გადაეანგარიშებინა ყველა მათემატიკური მონაცემი, ვიდრე მამარდაშვილი ლაბორატორიაში განმეორებით ცდებს ატარებდა.

დიასახლისმა კარი შემოაღო. პური, ყველი და წვნიანი საჭმელი შემოიტანა. ლალიც შემოჰყვა. მას ორივ ხელით მაგრად ჩაებღუჯა კარგა მოზრდილი თეფში, რომელზედაც მწვანილი და წითელი ბოლოკი დაეწყო დედას.

— რად შეწუხდით? — წამოდგა თამაზი.

— ცოტათი მაინც დანაყრდით, თუ გნებავთ, ჩაისაც შემოგიტანთ?

— არა, ნუ სწუხდებით, არაფერი არ მინდა.

— კარგი, ხელს აღარ შეგიშლით, წამო, ლალი, — დაუძახა დედამ ბავშვს, რომელიც, დადო თუ არა თეფში, უმალვე სკამზე აცოცდა და მაგიდაზე გადაშლილ ქაღალდებს დააშტერდა. მერე თამაზს მიაპყრო გამომცდელი მზერა და შეეკითხა:

— რატომ ხართ მოწყენილი, არ გამოდის?

— ერთი ამას დამიხედეთ, — გაეცინა თამაზს, — როგორ შემატყო. ჰო, ჩემო პატარავ, ჯერ არ გამოდის, მაგრამ არაფერია, გამოვა.

— კარგი, კარგი, ახლა ნუღარ უშლი, — ხელი დაავლო დედამ, — წამო, წავიდეთ.

თამაზი გულდასმით ანგარიშობდა: კუთხეები, სიჩქარე, ბრუნვა...

ვახშამი გაცივდა. თამაზი თავს არ იღებდა სამუშაოდან. ჩამოხსნილა. ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲚᲐᲛᲞᲐ ᲐᲐᲜᲗᲝ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ.

— სწორია, ყველაფერი სწორია. მაშ, რაშია საქმე? — ერთი წუთით ასე ჩაფიქრებული იჯდა. ის-იყო საამქროში წასვლა დააპირა, რომ კაკუნი მოესმა.

— მობრძანდით! — დაიძახა თამაზმა. არც კი წამომდგარა, რადგან დიასახლისის გარდა არავის მოელოდა.

კარი გაიღო და ახალგაზრდა ქერათმიანი ქალი ზღურბლთან გაჩერდა.

— გალინა! — მიეგება თამაზი. — რა კარგია, რომ მოხვედი, ეს-ეს არის წამოსვლას ვაპირებდი. შემოდი.

— არა, წავალ, — სუსტი ხმით უპასუხა ქალმა, — მე მხოლოდ ის შინდოდა მეთქვა...

— შემოდი, შემოდი, — აღარ დააცალა თამაზმა, თვალებში ჩახედა და მაშინვე მიხვდა, რისი თქმაც უნდოდა, — ისევ ისეა?

— ისევ... ვერაფერს მივაგენით. შედეგი კი ისევ უარყოფითია. შენ რა ჰქენი? — ჰკითხა ქალმა.

— ვერც მე ვნახე ვერაფერი, — უიმედოდ გასცა პასუხი თამაზმა. — ერთ წუთს ორივე ჩუმად იდგა. თამაზმა სკამი მიაწოდა ქალს:

— დაჯექი, დაისვენე!

— არა, წავალ... იანკო მელოდება... ხო, სიმონმა დამაბარა, გულდასმით გადაათვალიეროს ტემპერატურის გამოანგარიშებაო.

— კარგი, კარგი, — აჩქარდა თამაზი, — იცი, რა გალინა, მოიცადე, აგერ დიასახლისმა ვახშამი მიიტანა. შეექეცი, თუ გინდა, ცხელ ჩაისაც მოგიტან.

— არა, არ მინდა, წავალ!

— მაინც არ გაგიშვებ ამ ღამით. ცოტა ხანს დაისვენე. და ერთად წავიდეთ. — ტახტთან მიიყვანა, დასვა, — მიწექ, დაისვენე, როგორი დაღლილი სახე გაქვს.

— არა, უნდა წავიდე, — გაიმეორა ქალმა, — იანკო მელოდება, ცოდვაა, — მაგრამ, ჩამოჯდა თუ არა ტახტზე, ისეთი შვება იგრძნო, რომ ძალა აღარ შესწევდა. წამომდგარიყო. თავი აკეცილ საწოლზე გადაასვენა და თვალებიც კი მილულა სიამოვნებისაგან.

თამაზი გულდასმით შეუდგა ლითონის ტემპერატურის ანგარიშს.

მან ცოტა ხნის შემდეგ იგრძნო ის თავისებური სიწყნარე, რომელიც დამკვიდრდება ხოლმე ოთახში, როცა ვინმეს ჩაეძინება. მიიხედა, გალინა ისევ ისე მიწოლილი იყო, ოღონდ ცალი ხელი ამოედო თავქვეშ.

თამაზი ფრთხილად მიუახლოვდა, მშვიდად ეძინა ქალს. თითქოს არც კი სუნთქავდა, ოღონდ ფერი მისცემოდა ძილში. თამაზმა ფრთხილად მოაშორა მკერდზე მოხვეული ხილაბანდი.

— როგორ დაქანცულა... — თბილი, ნაზი გრძნობა აღეძრა ვაჟს გულში, როგორც უფროს ძმას, როცა პატარა დაიკოს შენიშნავს, სადმე უალაგო ალაგას რომ ჩაეძინება, მთელი დღის ნარბენ-ნაცელქარს.

კიდევ შეუსწორა წამოსასხამი. ძირს ჩამოვარდნილი მარჯვენა ხელი უფრო მოხერხებულად დაუდო და ის-იყო მოშორდა საწოლს, რომ დერეფნიდან ფეხის ხმა მოესმა.

— ვინ უნდა იყოს? — გაიფიქრა თამაზმა, სინანულით დახედა მძინარე ქალს და ფეხაკრეფით გაემართა კარებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიღაც ბოხის ხმით გამოელაპარაკა დიასახლისს.

თამაზი შეკრთა.

— თამაზ, შინა ხარ? — მკაფიოდ მოესმა ნაცნობი ხმა.

თამაზმა კარი გააღო. მის წინ პროფესორი ლომთათიძე იდგა.

— გეძინა? — შეეკითხა, — მთელი საათია, დაგეძებ.

— მამა, — თამაზმა უხერხულად მოიხედა უკან, სადაც ოთახის ბინდ-ბუნდში მკაფიოდ მოჩანდა მძინარე ქალი.

— ეს ვინ არის?

— შემოდი, — აირია თამაზი, — რად არ მაცნობე, დაგხვდებოდი.

მოხუცი ჯიუტად შედგა კარებში.

— შენ რა? დაოჯახებულხარ კიდეც.

— არა, მამა, რას ამბობ? — დაიბნა თამაზი.

ერთ წუთს ჩაფიქრდა მოხუცი. თავი დახარა, თავისებურად შეაცმაცუნა ტუჩები.

— კარგი, მე ხელს არ შეგიშლი, — თქვა და მძიმე ნაბიჯით გაიჭრა ბნელ დერეფანში.

თამაზი გაოგნებული იდგა. ვერ მიმხვდარიყო, რა ამბავია მის თავზე. უცებ გამოერკვა:

— მამა, დაიცა, რა იყო, რა მოხდა? — დაედევნა უკან, — მამა, გამიგონე!

მოხუცი კიბეზე შედგა, გესლიანად გაიღიმა, თავით ფეხამდე აათვალიერა შვილი:

— გეცნობებინა მაინც, მოგილოცავდით!

— მამა, რა იყო, რა გაიფიქრე, გეფიცები, მე უშენოდ... — იმეორებდა თამაზი, — შემოდი სახლში.

— არა, მე შენთან შემომსვლელი არა ვარ, მშვიდობით, — და გზა განაგრძო.

თამაზი მაინც მისდევდა უკან.

— ნუ მომდევ! — შეუტია მოხუცმა, — თბილისში ჩამოხვალ და იქ მოვილაპარაკოთ!

როცა თამაზი გონს მოვიდა, პროფესორი უკვე შორს იყო. მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი სადგურისკენ მიიჩქაროდა იგი.

თამაზმა კიდევ გაიწია, თითქოს განიზრახა, დასწეოდა, მაგრამ უცებ მის სახეზე მამის მსგავსი სიჯიუტე აღიბეჭდა, მაგრად მოკუმა ტუჩები და უკან გამობრუნდა.

გალინას გაღვიძებოდა. წამომჯდარიყო. ცალი ხელით მკერდზე გახსნილ ხალათს ისწორებდა. ფართო თვალები შეაგება თამაზს.

— რა მოხდა, ვინ იყო?

— მამაჩემი... — თამაზმა ხელები ძირს დაუშვა და უღონოდ მიეყრდნო კედელს.

— რაო? — წამოდგა გალინა, — პროფესორი? აქ? მერე?

— წავიდა...

— როგორ თუ წავიდა? რად გაუშვი?

— რა მექნა...

გალინამ ტახტზე დავარდნილ ხილაბანდს დაავლო ხელი, თავზე წაიკრა და სულმოუთქმელად გავარდა ოთახიდან. თამაზი უკან დაედევნა. გალინა სადგურისკენ მიიჩქაროდა.

— როგორ მოგვიდა, განა ვინ დაგვეხმარება, თუ არა პროფესორი ლომთათიძე? — უსაყვედურებდა გზად თამაზს, — დავეწევით? ჰა, ჩვენ მასთან თბილისში ვაპირებდით წასვლას. პროფესორი ლომთათიძე თვითონ ჩამოვიდა, შენ კი არაფერი უთხარი!

თამაზი მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რა დახმარება შეეძლო გაეწია მათთვის მამას.

— შენ არ იცი, გალინა, ის ფიქრობს, რომ ჩვენ...

— რა დროს ეგ არის, არა ხედავ, რომ საქმე ბრკოლდება!? — გალინა უკვე მირბოდა. — რომელი გზით წავიდა, ნეტავი?!

სულმოუთქმელად გაირბინეს რუსთაველის ქუჩა, მოედანი გადაჭრეს, აჰა, სადგურიც, ბაქანს რომ მიუახლოვდნენ, ორთქლმავალმა უკვე გამოაშუქა ღამის სიბნელეში.

გალინა მუშა-მოსამსახურეებით სავსე ბაქანზე ავარდა. ის-იყო მატარებელიც ჩამომდგარიყო. ზედ ვაგონის საფეხურთან მიუსწრო გალინამ ლომთათიძეს.

— პატივცემულო პროფესორო, — შესძახა.

პროფესორი მობრუნდა, შეხედა ქალს მაგრამ, ეტყობოდა, ვერ იცნო.

— პატივცემულო პროფესორო, — გაიმეორა გალინამ. — ძალიან გთხოვთ დაიცადოთ, მომისმინეთ.

— გალინა, — იცნო პროფესორმა, — რა მოხდა?

მათ უკვე მიიპყრეს მგზავრების ყურადღება, თან ვაგონში შესვლას აბრკოლებდნენ. პროფესორმა უკან დაიხია ორიოდე ნაბიჯით.

— რა მოხდა? — გაიმეორა.

— იცით, ბატონო პროფესორო, ჩვენს ახალ დანადგარში, აი ნახევარ კოქსის სადნობში, — არეულად უხსნიდა გალინა, — რაღაც დაბრკოლებაა, ჩვენ ქალაქში წამოსვლას ვაპირებდით, რომ თქვენ დაგკითხოდით, და რაკი აქა ხართ, იქნებ...

— დაბრკოლება? მე რატომ არ მითხარი? — შეეკითხა პროფესორი შვილს, რომელიც ხმაამოუღებლად იდგა შორიახლოს.

— არ ვიცი... აი, სწორედ შენ რომ მოხვედი, ვანგარიშობდი, და...

— კარგი, წავიდეთ! ახლა შეიძლება ნახვა?

— როგორ არა, — გაუხარდა გალინას. — მამარდაშვილიც ლაბორატორიაშია...

პროფესორი და გალინა პირდაპირ ქარხნისკენ გაეშურნენ. თამაზი თავის ბინაზე გაიქცა. რომ ნახაზები და ანგარიშები მოეტანა.

მთელი ღამე გაათენეს ლაბორატორიაში.

ცნობილმა მელითონემ ბოლოს მაინც მიაგნო შეცდომას.

როცა დილით თამაზი პირველ მატარებელზე აცილებდა მამას, მოხუცმა შვილის დაღლილ, მაგრამ კმაყოფილ სახეს შეხედა, გაუღიმა და უთხრა:

— შენ მართალი იყავი, თამაზ. ეგ საქმე ღირს იმად, რომ ცოტა დააგვიანო სადიპლომო შრომის დაცვა. ნიჭიერი კაცი ჩანს ეგ მამარდაშვილი. უნდა დაეხმარო. იმუშავეთ. მეც გეხმარებით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

მხიარული სუფრა იყო გაშლილი პროფესორ ლომთათიძის სასადილო დარბაზში. სუფრის თავში იჯდა კეთილი თებრო, ხოლო სუფრის მეორე თავს ამშვენებდა მზესავით ნათელი გალინა ბუტენკო.

მომხიბვლელი იყო ეს უკრაინელი ქალიშვილი მხრებზე გადაფენილი ოქროს კულულებით, ღია ცისფერ კაბაში გამოწყობილი. ძნელად შეიცნობდით მასში იმღამინდელ წითელთავსაფრიან დაღლილ მუშაქალს.

სტუმრები, გალინას ძმა თხუთმეტ-თექვსმეტი წლისა, დასავით შნოიანი ჭაბუკი, თამაზის ამხანაგები — სტუდენტები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ქარხნის დირექტორი, მუშა-მექანიკოსი პავლე ბებურიშვილი თავისი დიასახლისით და პატარა ლალით, ყვავილივთ რომ ამკობდა სუფრას, — ყველა ერთიანად კმაყოფილი და მხიარული იყო.

— ა, თამაზ, როგორ იყო, პროფესორი რომ ჩამოვიდა და შენ ისე გამოისტუმრე, არც კი გააგებინე ჩვენი გაჭირვება, — ამბობდა ქარხნის დირექტორი, ოდნავ თმაშეჭაღარავებული, წარმოსადეგი კაცი. — გალინა რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს დავბრკოლდებოდით, მაინც, როგორ უცბად აღმოაჩინეთ შეცდომა? — მიმართა მან პროფესორს.

— ძველი მუშა ვარ, ამხანაგო ლევან, მე ხომ წარმოებიდან მივედი მეცნიერებაში. მაინც დაზგა თვითონ იტყვის, რაც უჭირს, თუ დაუკვირდები.

— მერე, როგორ მოხდა, რომ ეს ძველი მუშა ისე აღუდექი თამაზს, როცა ის წარმოებამ გაიტაცა? — უსაყვედურა ძმას თებრომ, — აკი გეუბნებოდი, ჩვენი თამაზი ცუდ რამეს როგორ იკადრებს-მეთქი, რომ არ დამიჯერე?!

პროფესორმა გულიანად გაიცინა.

— ხომ არ შეიძლება ქალმა, რაგინდ კეთილი იყოს ის, არ თქვას, „მე იმთავითვე ვგრძნობდიო", — მაგრამ იქ სულ სხვა ამბავი იყო, ჩემო თებრო... — მოხუცი გაჩუმდა, მერე შვილზე გადაიტანა ალერსიანი მზერა და სასმისი აიღო, — შენ მართალი იყავი, შვილო... მუდამაც გეჯობნოს, მე მხოლოდ მოხარული ვიქნები.

თებრომ ვეღარ მოითმინა: ის დიდი ხანია შესცქეროდა გალინას გვერდით გატრუნულ თამაზს. ახლა წამოდგა და მღელვარებით, რომელიც ისე ამშვენებდა ამ კეთილი მანდილოსნის სანდომიან სახეს, დაიწყო:

— პატივცემულო სტუმრებო, ჩვენ დღეს მარტო თამაზის დაბრუნებას არა ვზეიმობთ...

გალინას სიწითლე შეეპარა, თამაზიც შეწუხდა, თვალი მიაპყრო მამიდას, თითქოს მისი შეჩერება დააპირაო.

— დიახ, — ამბობდა თებრო, — მე მინდა ვთქვა, რომ დღეს ორმაგად ბედნიერი ვარ. დღეს ამ ოჯახს ემატება ახალი წევრი, — მღელვარება ვეღარ შეიკავა და აცრემლებული თვალები მიაპყრო ქალ-ვაჟს: — იბედნიერეთ, შვილებო, კარგები ხართ, კარგადაც... დაგაბეროთ! მე კი... მე, თუ რამე შემიძლია, სანამ ცოცხალი ვარ, ვფიცავ, შენც და შენს ძამიკოსაც, ჩემო გალინა, ისეთივე დედობა გაგიწიოთ, როგორიც ჩემი თამაზისათვის გამიწევია.

ყველა ზეზე წამოდგა, ზოგი ცრემლმორეულ თებროს ეხვეოდა, ზოგი ქალვაჟს ულოცავდა. პატარა ლალი წამსვე კისერზე შემოეხვია გალინას და კოცნა დაუწყო. თითონაც არ ესმოდა, რა ახარებდა ასე ძლიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიან ღამით გათავდა ეს ბედნიერი სუფრა.

თებრომ თავი გამოიდო, გალინა და მისი ძმა ხომ არ გაუშვა, ახლა ბებერ-შვილებს შეუტია:

— ამ შუაღამით, ბავშვით, როგორ შეიძლება! ეგეც არ იყოს, ხვალ კვირაა. გაივლ-გამოივლით ქალაქში და მშვიდად გაემგზავრებით დღის სინათლეზე. არასგზით არ გაგიშვებთ!

— ეს ამდენი ხალხი! — უარზე იდგნენ სტუმრები.

— როგორ გეკადრებათ, ჩემი თამაზის პატივისმცემი, მისი დიასახლისი!.. ორი ადამიანი ვერ მოვაწყო ამოდენა ბინაში? — არ ცხრებოდა თებრო, უკვე ააფრიალა კიდეც ზეწარ-საბნები და წითელ-წითელი მოვისპირიანი ბალიშები.

— მეტი გზა არ არის, უნდა დაეთანხმოთ, — დაურთო მოხუცმა პეტრემ. მერე ერთი გაიარ-გამოიარა ოთახში, მიუახლოვდა გალინას ძმას, რომელიც მორცხვად იდგა ფანჯარასთან და თავზე ხელი გადაუსვა.

— აბა, შენ იცი, ბიჭიკო, ისე იყავი, როგორც საკუთარ სახლში. ამიერიდან შენც შვილი ხარ ჩემი. ისწავლე და ზრუნვას არ მოგაკლებ!

ერთი მიმოიხედა და დამნაშავე ღიმილით მიმართა სტუმრებს:

— მე კი, თუ ნებას დამრთავთ... ცოტა სამუშაო მაქვს... აბა, თებრო, იდიასახლისე შენებურად, — თქვა და თავის კაბინეტში გავიდა.

ოთახი ნახევრად ჩაბნელებული იყო. კარი რომ გაიღო, უცებ გამოჭრილმა სინათლემ წიგნებით სავსე თაროები გამოსტაცა სიბნელეს.

პროფესორი მაგიდასთან მივიდა, სავარძელში დაეშვა, ერთხანს ჩუმად იჯდა. ჩაფიქრებულმა თითები აათამაშა მაგიდაზე, თითქოს რაღაცას იგონებდა, — ჰო, როგორაო? ისა სჯობს მამულისათვის... — გაიღიმა. თან თითქოს შეეშინდა, — არავინ მიმიხვდესო, მიაყურადა. ნელი მოძრაობა ისმოდა მხოლოდ. ამ ოთახის შრომას მუდამ პატივსა სცემდნენ ამ ბინაში.

მოხუცმა გადაშლილი ხელნაწერის კითხვა დაიწყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როსტომ ბეჭანიშვილი

სოფლის სურათები

☆

მზის ამოსვლამდის

ირიჟრაჟა. ვარსკვლავები გაფითრდნენ. ნოტიო ნიავმა დაბერა. თეთრად აფეთქებული ნუშები შეიშმუშნენ. სურნელება დააკმიეს. ღამურამ დაიფრთქიალა. ბებერ მუხის ტოტს კინაღამ ფრთები შეალეწა. უხმაუროდ ამდგარმა გაზაფხულის ნიავმა ერთხანს ფოთლებში იფუთფუთა, იშარიშურა, მაგრამ ბუნების ძილი დროზე ადრე ვერ გააფრთხო.

განთიადი ჯერ შორს იყო. სოფელში ძაღლმა შეიწკმუტუნა. უკანა ფეხის, წვერით მიწა გაფხაჭნა. მთვარეს შეჰყეფა, მაგრამ მიწის სინოტივემ გაჰკრა და ჩაჩუმდა.

ბაკში ხბომ ამოიბღავლა. ინდაურმა დაილოყლოყა. კრუხმა დაიკრიახა, ბატის სისინს ცხვარმა ყმუყუნით გასცა პასუხი, ზანტად გაიცოხნა. საქათმეში დაიყივლეს მამლებმა, დედალიც აკუტკუტდა, მაგრამ წამსვე ყველაფერი, სულიერი თუ უსულო, მიჩუმდა. დილის გემრიელი, შეუშმუშნავი ძილი აწვა ყველაფერს თვალებზე.

სოფლის შუაგულში მაღალი, ქვიტკირის სახლის კარმა გაიჭრიალა, კიბე დაირწა. სამუშაო ხალათში ჩაცმული ქალი გამოვიდა ჭიშკრიდან და გზას დაადგა. სწრაფად მიდიოდა. გზისა და ორღობეების მდუმარებაში გარკვევით ისმოდა მძსი ნაბიჯების ხმა. ყველას ეძინა. ქვასა თუ ხეს, ცასა და მიწას. ის დრო იყო, როცა ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვა ხოლმე. ამ დროს კი ელენე ელაშვილი ამდგარიყო, სამუშაოდ გამოსულიყო, დილის ტკბილი ძილი დაეტოვებინა.

ქალმა გადაჭრა სოფელი. ღელე და სულ მალე თვალუწვდენელ მინდორზე გავიდა. მიმოიხედა. შუა მინდორში ტანმძიმე და ტოტმრავალ მუხის ქვეშ მდგარ ტრაქტორისაკენ მიიჩქაროდა. მივიდა. ნიავივით შეფრინდა ზედ. საჭეს მჭიდროდ შემოაჭდო ნაჯაფარი, დაკორძებული ხელები. მაშხალებად გაიტყორცნა ბნელში ტრაქტორის სინათლე. მინდორი განათდა. ბასრმა გუთანმა ღონივრად ამოსდო გაუმაძღარი ყბა დედამიწას, და, თითქოს სატევარის პირიაო, სწორად და ღრმად გასჭრა. ტრაქტორი მარტოდმარტო გუგუნებდა. მანქანის თვალებიდან იშლებოდა სინათლის კონა. ფრთხებოდნენ თბილ მიწაში ჩაბუდებული გნოლები. ფრთქიალებდნენ მოზრდილი ფრინველნი. ავყია სვავები. აფრინდებოდნენ, ადგილს იცვლიდნენ. ჭახჭახებდნენ. დილის ძილი დაგვიფრთხაო.

საველე სადგომში ტრაქტორისტებს, ნაბადში გახვეულებს, ეძინათ. მანქანის გუგუნმა გაუკრთო მათ სიზმრები, მიხვდნენ, ბრიგადირს, როგორც ყოველთვის, მათთვის დაესწრო და პირველი გასულიყო მინდორში სამუშაოდ. ტრაქტორისტები ჟრიამულით წამოიშალნენ.

გუთანი კვნეტავს მიწას. გორახები იქელება, იფშვნება. მანქანის ძარღვები ისრუტავენ საწვავს. ვეება რკინის ხარი დადის, დააბოტებს თავის მუხლმაგარი ფეხებით და ცისხელა მინდორი თვალუწვდენ ტალღებად ქცეულა. გულს უშლის მზის პირველ სხივებს.

მინდორში უკვე მთელი ბრიგადა მუშაობს.

მზის ამოსვლამდის ასრულებს ელენე მთელი დღის გეგმას.

ცაზე მზე ბრწყინავს, გულში ხალისია და მკლავში — ძალა.

ქალის ღონიერ, სავსე მკერდს კი ამშვენებს პეპელასავით მოფარფატე ოქროს ვარსკვლავი.

სიამაყე

★

იგი ათი წლისა ძლივს იქნება. ოცდაათი წლის კაცის შარვალი აცვია, გრძელი და განიერი. შიშველ ფეხებზე ორმოცი ნომერი, ახალთახალი სალდათური ჩექმები ამოუცვია და მისი სიმძიმით შეწუხებული, დინჯად, ბერიკაციერით დადის. ხალათი სუფთა აცვია, თუმცა გულისჯიბე მუცელთან აქვს ჩამოტანილი. მხოლოდ ქუდი ახურავს თავის ზომისა და ქოჩორიც ფაქიზად აქვს დავარცხნილი. ეტყობა, თავსა და პატიოსნებას უფრთხილდება.

მამა ფრონტზე დაჰკარგვია. რა ვუყოთ, რომ პატარაა, იგია ოჯახში ვაჟკაცი. ტრაქტორისტებთან მუშაობს და საწვავს ეზიდება მინდორში.

მოვიდა რიხით, ვაჟკაცურად მითხრა:

— გამარჯობა!

მომცრო ფორანში ცხენი შეუბამს და ისეთი სიფრთხილით დასტრიალებს ლურჯას, რომ, ლამისაა, თავის საყვარელ ცხენს შეენაცვლოს ტვირთის ზიდვაში.

დროს უფრთხილდება. მალიმალ ცას შეხედავს, ეშინია, არ გაავდრდეს, ან ბინდმა არ მოუსწროს.

როცა საწვავით მისი ორმოცდაათლიტრიანი კასრი გავავსე, ხმადაბლა ეკითხე:

— ცხელა მინდორში?

— გავუძლებთ, — მიპასუხა.

— ხომ არ გღლის სიარული?

— არაფერია.

— დღეს დაამთავრებთ ხვნას?

— ვნახოთ, აკუმულატორმა თუ არ გვიმტყუნა, — მომიგო ის, რაც ყველაზე მეტად გაუგონია ტრაქტორისტებისაგან.

კასრს პირი რომ დაუცვა, არხიდან გადმოგდებულ რუში ხელ-პირი დაიბანა, სუფთა წყალი სარკედაც იხმარა და ქოჩორი გულმოდგინედ შეისწორა. იმავე რიხით, როგორც მოვიდა, დასძრა ფორანი.

ორღობე რომ გაიარა, მოულოდნელად ფორანი დაჭაობებულ ნეშომპალაში ჩაეფლო.

ომახიანად დასჭყივლა ბიჭმა ცხენს. წნელის ჯოხი შემოჰკრა ფეოდებზე. ფორანის ბორბლები ნახევრად ჩაეფლნენ ნეშომპალაში. ხელში სახრე აღარა ჰქონდა და ახლის ძებნაში რომ დრო არ დაეკარგა, წელზე ქამარი შეიჭიმა.

ქამარი ნელა გადაჰკრა ცხენს გავაზე, თან თვალებში ჩააჩერდა ლურჯას, ხომ არ ვაწყენინე, ხომ არ ვატკინეო. ლურჯამ ფორანი ადგილიდან ველარ დაძრა. ბიჭმა შემოურბინა ცხენს გარშემო. უქამრო შარვალი ჩაეჩაჩა.

გაშმაგდა, აენთო სიბრაზით. ქამარი ისევ წელზე შემოიჭირა და ხელით დაეჭიდა ფორანს. სუფთად დაბანილი მკლავები და პირისახე მოეთხუპნა. მის ომახიან ხმას ხრინწი გაერია, ცრემლიც ცოტაოდენ. შევატყე, საცაა უნდა ატირებულიყო. არ მინდოდა მისი შერცხვენა, მიველ, დავეჭიდე ფორანს და ლაფიდან ამოვუტანე. მშრალ გზაზე დავაყენე. დავრწმუნდი, საშიშროება აღარ მოელოდა, ჩემს საქმეს დავუბრუნდი.

მან ისევ დაიბანა ხელ-პირი, გასუფთავდა, ლაზათი მისცა სხეულს.

გულისყური მისკენ მქონდა.

რაღაცას ველოდი.

დაეტყო, რამდენიმეჯერ დააპირა ჩემსკენ წამოსვლა, მაგრამ გადაიფიქრა.

მერე, მთლად გაწითლებული და ოფლად დაღვრილი, გაუჯავრდა ლურჯას. უკან აღარ მოუხედავს, ისე მიეფარა თვალს.

თითქოს მეწყინა.

ძივხვდი, ამ თითის სიგრძე ბალღში რა დიდი შეგნება იყო, დიდი სული, თავდაჭერა.

თქვენი არ ვიცი და, მე ძლიერ მომეწონა მისი სიამაყე, რომ ჩემი დახმარება საერთო საქმისათვის, ვითომ ვერც შეამჩნია.

იგი ნამდვილი ვაჟკაცი იყო.

ან არა-და, რად უნდა ეთქვა მადლობა?

თაფლო

★

ამ ქალს თამარი ერქვა. თაფლო სოფელმა შეარქვა, არა იმიტომ, რომ ენატკბილი იყო, არამედ გულუხვობის გამო. მას ასიოდე სკა ფუტკარი ჰყავდა.

დღესაც, როცა იგი აღარ არის, მოდგებიან სოფლელები მისი სახლის ღობეზე და ომახიანად დაიძახებენ:

— თაფლო ძალო! — მერე გონს მოვლენ, გაახსენდებათ, რომ თაფლო გარდაიცვალა, გული ჩასწყდებათ და ხმაგაბზარული დაიძახებენ ოჯახის სხვა რომელიმე წევრის სახელს.

თაფლო იყო მაღალი, ჩადგმული დედაკაცი. სიბერის მიუხედავად, სახე კარგად ჰქონდა შენახული და მოხუცებში ლამაზად ითვლებოდა. ეცვა გრძელი ქართული კაბა, ჩიხტაკოპს იდგამდა, როცა სტუმრად ან ტირილში მიდიოდა ხოლმე.

ღამე ადრე იძინებდა, მაგრამ დგებოდა უთენია. ბევრი ნატრობდა სოფელში, რომ თაფლო გვიან ამდგარიყო, რომ თავისი ხმამაღალი ლაპარაკით და

წიწაკამოყრილი სიტყვებით არ გაეფრთხო ძილი დაღალულ გლეხკაცისათვის, მაგრამ ამაოდ. ნატვრა ნატვრად რჩებოდა. ჩივილსაც ვერავინ ბედავდა, თადგან ჩივილი თხოვნაა და თხოვნა ძალად წართმევაო. იცოდნენ თაფლოს სუსტი და, როგორც ხორშაკს, ისე ერიდებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაფლო მერგოლური იყო, ვაჟკაცივით ირჯებოდა შრომაში და ცდილობდა, თავისი რგოლი ყოველთვის მოწინავე ყოფილიყო. ზარმაცებს ვერ იტანდა. საყვედურის და კოლმეურნეობების კრებაზე დამუშავებისა არ სწამდა. მას საკუთარი, თავისი ენა ჰქონდა რგოლის წევრებთან. მწარე ენა ჰქონდა და თაფლოს ეძახდნენ, იმიტომ რომ ხელბარაქიანი, გულქართული, ხვავიან-დოვლათიანი იყო.

წამოდგებოდა თაფლო, შემოივლიდა საკოლმეურნეო ვენახს, ბალჩას, ბოსტანს, და იწყებოდა დილის გამამხნევებელი ვარჯიში.

— ქალო, მაგდან! მეხი კი დაგათხლიშე მაგ მძინარე თავზე. ქალო, ღორებს რომ დაუქცევიათ ბოსტანი, გგონია, მე გამოგირეკავ თუ! ადე, გაახილე ეგ ადრე და მალე დასახუჭი თვალები!

— ვანო, ვანო, — ისმოდა უკვე მეორე მხრიდან თაფლოს მეუღლის ხმა. — ცოლის მკლავზე ძილი არ მოგირწყამს ვენახსა. ე, წყალს რომ წაულეკავს კალაპოტი, ვერა ხედავ?

— მარო, ქა, მარო! — ქოთქოთებდა თაფლო. — აი, დაკუტდი აგრემც და მუხლში აღარ გაიშალო! ქლიავი რომ გაუკრეფიათ ბალღებსა, როგორ გგონია, მე გიზლავ თუ!

რამდენიმე წუთის შემდეგ გაისმოდა კარების ჭრიალი, ძაღლების ყეფა და ნამძინარევი ხმები.

— რას ამბობ, დედაკაცო, ვენახი გადაურეცხია?

— რაო, ქლიავი გაუკრეფიათო?

— ვაჰმე, ბოსტანო!

— ადექით, ადექით, სამარეშიც გეყოფათ წოლა, — დაუცაცხანებდა კვლავ თაფლო და შინ შებრუნდებოდა.

წინ უსათუოდ შეეგებებოდა ბებერი მამალი და ხრინწიანი ხმით დაიძახებდა ყიყლიყოს.

— დარდუბალაა, მაგ გასახმობ ყელში, — დაუტევდა თაფლო. — სადილობისას გეყივლა, არა სჯობდა!

სოფელი იწყებდა ცხოვრებას. ისმოდა ყვირილი, მენახირის ძახილი, ძროხების ბღავილი, ვენახში რუს გზა მიეცემოდა, ბოსტნიდან ღორები გამოჰყავდათ, მეზობელი მეზობელს ედავებოდა, შენმა ბალღებმა ქლიავი გამიკიწესო.

დედაკაცები მოახლოებულ რთველზე ლაპარაკით ჩაივლიდნენ გზაზე, ყანების ან ვენახების გზას დაადგებოდნენ. ბერიკაცები ყალიონის წევითა და „მე. შენი ჭირიმეს“ ძახილით დაღლიდნენ გზას. ახალგაზრდობა ჟრიამულით ჩაირბენდა, მიეშურებოდნენ სკოლისაკენ, ტრაქტორებისაკენ, მინდვრებისაკენ.

თაფლო ყველას გამოეძრახებოდა, დაარიგებდა, მწარესაც ეტყოდა.

თაფლოს სახლი გზის პირზე იყო და სოფლელები როგორც კი მის კარმიდამოს დაუახლოვდებოდნენ, თითქოს ჯარისკაცებმა გენერლის წინ უნდა გაიარონო, ხმას დაუწევდნენ, გაიწკვართებოდნენ, გული აუფანცქალდებოდათ.

თაფლო სოფლის საბჭოს აურჩეველ მოადგილედ ითვლებოდა. სოფელში მეორე ხმა მას ეკუთვნოდა.

გათენებიდან დაღამებამდე ფუსფუსებდა ეს გამრჯე დედაკაცი.

საკოლმეურნეო მინდვრებიდან რომ დაბრუნდებოდა, საოჯახო საქმეს მიეტანებოდა. ძროხებს მოსწველიდა, ცხვრებს დააბინავებდა, ქათმებს დააჭურებდა. ძაღლს, რომელიც ყველაზე მეტად სძულდა და უსაქმურს ეძახდა, დაუტატანებდა. თან ხორცის მოზრდილ ნაჭერს მიუგდებდა: „აჰა, ჩასცეცხლე, შე მგლისლუკმავ!"

ბინდისას კვლავ გაეძრახებოდა რამდენიმეს და დასაძინებლად წვებოდა.

მას ტკბილი სიტყვა თავის სიცოცხლეში არ უთქვამს. მოკვდა ისე, რომ ქებაც ვერ გაუბედეს, არ გაგვიჯავრდეს, არ დაგვცინოს ამ გოროზმა დედაკაცმაო.

— ქება მკვდარს უნდაო, — იტყოდა ხოლმე თაფლო. — ცოცხალი, ვინ იცის, დღეს რომ აქო, ხვალ საგინებელი გახდესო.

მოკვდა თაფლო. სოფელმა გულწრფელად დაიტირა. სიცოცხლეში დაშინებული, სიკვდილზეც ვერ ამბობდნენ ვერაფერს. უხმოდ ტიროდნენ. ტიროდნენ მართალი ცრემლებით. ვერ გაეგოთ, რად უყვარდათ ეს მრისხანე დედაკაცი.

აღარ ისმის დილაობით თაფლოს ომახიანი ძახილი, სოფელში კი ყველა ცას უყურებს. მოსავალი ამინდზეა დანდობილი, საათი ცუდად მუშაობს, ავიწყდებათ მომართვა.

სამაგიეროდ, რადიო დადგეს სოფლის შუაგულში. მისი ხმა ყველას აღვიძებს.

თაფლო რადიომ შესცვალა. თაფლოს სიყვარული და მოგონება უნებურად რადიოს დაუკავშირდა. სოფელს უყვარს დიქტორის ხავერდოვანი ხმა. თუმცა იგი მხოლოდ კარგს ამბობს. თაფლოსნაირად არ ქოთქოთებს. შეჩვეულ ყურს კი ხანდახან უნდა თაფლოს მრისხანე, სუსხიანი, მაგრამ მართალი და საყვარელი ხმის მოსმენა.

ლიბრიაანთ ბარბარე

★

ხმელი, კომშისფერი, ნაყვავილარი პირისახე, გასანთლული ძაფივით ხეშეში, მეჩხერი თმა, სავარცხლის ყოველ ჩამოსმაზე ნაშემოდგომარ აკაციასავით რომ თხელდება. მარცხენა სალი თვალი სულ დაცრემლილი, დაწითლებული, ავადმყოფი. მარჯვენა თვალი კი უვარგისი, ლიბრგადაკრული. მკლავები გრძელი, დაძარღვული.

აი ის, ბარბარე. ასეთად იცნობს მას, სამოცდახუთი წელიწადია, სოფელი. მის გვარს, სოფლის ჩვეულებისამებრ, ზედმეტი სახელი აქვს, ლიბრიაანთი. პირველი ლიბრი ბარბარეს პაპისპაპას ჰქონდა თვალზე გადაკრული.

ბარბარეს სახლი არ გაგაკვირვებთ. თუმცა კედლები ქვიტკირისაა, კრამიტიც ფარსაგი სინესტე ვერ შეიპარება, შიგ მაინც სიცარიელე, სიცივე იგრძნობა.

წალო თორმეტი ხელი ქვეშაგებითაა აკოკოლავებული. დედამ როგორც გაუმზადა სამზითვოდ, ისევე დარჩა. ლიბრიაანთ ბარბარე არავინ წაიყვანა ლიბრის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წალოს ძირში ძველი სკივრი დგას. სკივრი დიდი ხანია დაცარიელდა. ქიშმირის საკაბე, ქალის ძველებური წელსარტყავი, აზღუდი და ხილაბანდი ბარბარემ ახალგაზრდებს ჩამოურიგა.

პირმოტეხილ დოქს, ბუხრის პირას დედაბერივით რომ მოკუნტულა, ობი მოჰკიდებია. ბარბარე გულმავიწყობას გადაჰყოლია.

სხვენზე ბარბარეს ავლადიდებაა გაფენილი. ნაზამთრი, დამძრალი კარტოფილი, გალანახევარი ნიორი და ორ ლიტრამდე ლობიო. გატეხილ კრამიტიდან სხვენზე წვიმა ჩადის. კარტოფილს ობი მოსდებია, ნიორი დალეულა, დაფშატებულა, ლობიო კენჭებად ქცეულა, მის მოხარშვას ერთი შეკვრა შეშა არ ეყოფა. არც ესენი ახსოვს ბარბარეს. მათთვის არა სცხელა.

დადის. დღისით ღამურასავით ფარფატებს, ღობეს, მარგილს, ეკალბარდს ედება, იკაწრავს კანჭებს, იდაყვებს, ხელისგულს, პირისახეს. ხანდახან საღი თვალის ქუთუთოს ბროწეულის ეკალი გაჭკრავს ან მაყვლის ბუსუსი ჩასჩხვლეტს და გულგახეთქილი ბარბარე ორივე ხელს იფარებს თვალზე, არ გამომეთხაროსო. ცალი თვალით-ღა უყურებს დღის სინათლეს. მაგრამ იმდენია სანახავი ამ დალოცვილ ქვეყანაში, რომ ასი თვალიც არ გეყოფა. მას კი მხოლოდ ერთი თვალი აქვს. რა ვუყოთ, სამაგიეროდ, ფართოდ იხედება ეს თვალი. უფრთხილდება თვალის ჩინს.

თუმცა ბარბარე დედა არ არის და არც ყოფილა არასოდეს, მაგრამ მისი პირი რომ იწყევლება, ძუძუები მაინც ილოცებიან. ლოცავენ ყველაფერს: ხეს, წყალს, ქვას, ვენახს, ჰაერს, ფრინველს, ადამიანს. ყველაფერს. რასაც დაინახავ, მოისმენ, იგრძნობ, შეეხები, აღიქვამ.

ღამე ბინადაკარგული კრუხივით კუტკუტებს, უდროუდროოდ ეძახის მეზობლებს, მომავალ ბაზრობაზე ელაპარაკება, ძილს უფრთხობს. ვიღაცას სჭორავს. უჯავრდებიან, იღიმებიან, არ პასუხობენ. ის აინუნშიაც არ აგდებს. მაინც დადის, დაფლასუნობს. უვლის კარ-მიდამოს, ბაღჩა-ბოსტნებს. ზოგის დანგერულ ღობეზე ძეძვს დააყრის, ზოგის ბაღჩიდან ღორებს გამორეკავს, ქლიავის მოსაპარად გადასულ ბავშვებს დაჰკივლებს, დასწყევლის, გამოჰყრის. ყველას იცნობს, დიდსა თუ პატარას. ყველაზე გული შესტკივა, ძუძუ დაეწვება, ჯანმრთელი თვალი აუტირდება. მას თითქმის შვიდი სოფლის დარდი აწუხებს, მისი კი არავის ედარდება. თუ სოფელში ვინმე ავად გახდა, ის მივა პირველი. ექიმზე ადრე, მახლობელზე ადრე. ლეღვის ჩირს მიუტანს, ეტყვის, დაულბეთო თბილ წყალში, ნახარში დაალევინეთ, ყელის ტკივილი გაუვლისო. თუ მუცელი ასტკივდა ვინმეს, სადღაც ძონძებში მიგდებულს, შავი დღისათვის გადამალულ ჭაჭით სავსე ჩარექიანს გამოაძვრენს, წაუღებს, დაალევინებს, მოგარჩენსო ეტყვის. თუ რომელიმე პატარძალს ჩვილი აუტირდა, ღამეს გაუთევს, აკვანს დაურწევს, თან თავისი ჩახლეჩილი, ჟღარუნა ხმით ნანას უმღერებს, მაინც დააძინებს, ჩვილსაც, პატარძალსაც, თავსაც.

დადის, როგორც აჩრდილი, მოჩვენება, უბნიდან უბანში, სახლიდან სახლში, ეზოდან ეზოში. გადაიტანს ამბავს, ჭორს, ყურმოკრულს, გამოგონილს. აბეზარ ქარსა ჰგავს, ყველგან მოურიდებლად შეიჭრება, რაც ხელთ მოხვდება გამოიტანს, გააფრიალებს, გააფარფატებს, გააფარღალალებს. ამიტომ არის, რომ ჭინკა დედაკაცს ეძახიან ყველგან ყველაფრის თქმისათვის, მოჩივილისათვის, დამდურებისათვის. მას ხომ ყველასთვის გული სტკივა, ყველას უნდა რაღაცით ასიამოვნოს. თუ საქმით არა, სიტყვით მაინც. მაგრამ ვაი ამ სიტყვას! უშნოდ, უადგილოდ იტყვის, გულუბრყვილოდ, გაუაზრებლად. რას იზამს, კოლ-

მეურნეობაში მუშაობა აღარ შეუძლია, პენსიით ცხოვრობს. უსაქმობამ კი ასე იცის... უსაქმობაო? რას ამბობთ, ვისა აქვს ამდენი სასიარულო, სარბენი, სათქმელი, სადარდებელი, საფიქრელი, რამდენიც ბარბარეს. არავის! თავად ვერ გათხოვდა და ამით გაგულისებული მაჭანკლობს, თავისი მქავანა ენით მიაქვს და მოაქვს ამბები, ერთმანეთს ჰკიდებს ცრუს და მავნეს, თივასა და ცეცხლს, წყალსა და მიწას.

დადის ლიბრიაანთ ბარბარე დაუღლელად, დაუსვენებლად, ამოუსუნთქავად.

იმ დღეს კლუბში იყვნენ შეყრილი სოფლელები. ქვეყანა იქ იყო. ქალაქიდან ვიღაც სათვალიანი კაცი ჩამოსულიყო და ბევრი უნდა ელაპარაკაო, — ასე უთხრეს ბარბარეს. ბარბარეს მობეზრდა მარტოობა. წამოდგა და ფეხათრევით გაემართა კლუბისაკენ.

— შავი ჭირი ხომ არა მჭირს, რომ გამორჩეული ვიყო, — მიდურდურებდა თავისთვის ბარბარე. — ის, ვიღაც ქალაქელია, ბევრს ილაპარაკებს და ილაპარაკოს! თუ კარგ რამეს იტყვის დილამდე მოვუსმენ. მეც რა, შინ ჩვილი ამიტირდება, თუ ქმარი არ მიმიშვებს!

კლუბი სავსე იყო ხალხით. წინა რიგებში მოხუცები ისხდნენ, ცალი ყური ხელით ეჭირათ და ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ მოლაპარაკეს. ბარბარეც იქით უნდა წასულიყო, მაგრამ ბოლო რიგებში დარჩენა არჩია, თუ ყურის გდება მომბეზრდა, წავილაპარაკებ რამესო, — გაიფიქრა.

ქალაქიდან ჩამოსული კაცი რუსეთთან უკრაინის შეერთების სამასი წლის თავზე ლექციას კითხულობდა.

— ბიჭო, კაკო, — გადაულაპარაკა ბარბარემ მოჩიტულ ყმაწვილს, რომელიც ტექნიკუმში შესვლას აპირებდა, — ჰო, ბიჭო, შენა... ე ლექციაა, რაღაცა ბევრ ლაპარაკსა ჰქვიან?..

— ჰო, ბევრსა, მეცნიერულ ლაპარაკსა... — მიუგო კაკომ.

— მეცნიერულსაო, — გაიმეორა ბარბარემ. — ბიჭო, ბიჭო, — უცბად ისევ ამიშინდა დარბარე, — ჩვენც რომ ვლაპარაკობთ ხოლმე ბევრსა... სოფლის დედაკაცები, ამას რაღა ჰქვია...

— დალაგებული ლაპარაკი, ლოგიკური საუბარია ლექცია, — მიუგო კაკომ და გვერდით მდგომ ლოყებაფუებულ გოგონას თავმომწონედ გადახედა.

— ქა, — არ ისვენებდა ბარბარე, — მაშ ჩვენ რომ მოვდგებით ხოლმე ორღობეზე და დილამდე ვლაპარკობთ, აი, ჩვენა, დედაკაცები, ამას რაღა ჰქვია?..

— ე მაგას კი ჭორაობა ჰქვია... — ყურში ჩასჩურჩულა ახალგაზრდა ქალმა ბარბარეს და თან გაუღიმა.

— ი, ქა, თქვენცა, რაღას არ იტყვით ხოლმე, — თავისთვის ჩაიბუზღუნა ბარბარემ და გაჩუმდა.

როცა ლექცია დამთავრდა, კლუბის გამგემ გამოაცხადა, რომ ტრაქტორისტების ბრიგადირს სიტყვა აქვს სათქმელი და ნუ დაიშლებითო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცენაზე ერთი შავგვრემანი, მაღალმაღალი კაცი გამოვიდა. ის იყო ტრაქტორისტების ბრიგადირი. სახელად კოლა ერქვა.

კოლამ რიხიანად დაიწყო.

— აი, ჩვენ, ყველამ მოვუსმინეთ, რუსეთისა და უკრაინის ერთიანობის შესახებ. მათი ძმობა და სიხარული ჩვენი წილიც არის და საძრახი იქნება ვალში დავრჩეთ. ჩვენცა ვართ მეგობრები უკრაინისა, და ამ ძმობას ვერ ვუღალატებთ. აი, რა ამხანაგებო! ჩვენი წინადადებაა, ტრაქტორისტების ბრიგადამ სოცშეჯიბრში გამოიწვიოს უკრაინელი ტრაქტორისტები. ვინც გამარჯვებული გამოვა ამ შეჯიბრებიდან, ეწვიოს სტუმრად ერთიმეორეს და დახვედრა და მასპინძლობა ჩვენზე იყოს...

— გაუმარჯოს ჩვენს მეგობარს, ხაი ჟივე, უკრაინა! — დაიძახა კოლამ და ფრენით ჩამოვიდა სცენიდან.

კარგა გვიანობამდის გასტანა კლუბში ლაპარაკმა და მამლებმა უკვე მეორედ იყივლეს, როცა ხალხი აიშალა.

ორლობეებში ძაღლები აყეფდნენ, რამდენიმეჯერ ქალმა კაცს დაუძახა, სადღაც ჩვილი ატირდა, თანდათან მიჩუმდა ყველაფერი, დაბინავდა, დაიძინა.

გათენდა მეორე დღე. კრებაზე კი გადაწყდა, რომ სოცშეჯიბრებაში გამოიწვევდნენ უკრაინელ ტრაქტორისტებს და დეპეშაც გაგზავნეს კიევს, მაგრამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ხალხს და, ყველაზე მეტად კოლას, ერთი ამბავი აწუხებდათ, სახელდობრ ის, რომ ბრიგადის ორი წევრი ქალაქში სასწავლებლად გაგზავნეს, ერთიც ავად გახდა და საავადმყოფოში უპირებდნენ წაყვანას.

დაფაცურდა კოლა. შვიდკაციან ბრიგადაში სამი კაცის მოკლება დიდი ამბავი იყო, და კოლაც გაიქცა კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ხალხის სათხოვნელად.

კანტორაში იმდენი ხალხი იყო და თამბაქოს ისეთი ბოლი იდგა, რომ მინდორში გაზრდილ კოლას სუნთქვა გაუძნელდა. როგორც იქნა, გაიკვლია გზა თავმჯდომარისაკენ და ისეთი ხმით დაიწყო ლაპარაკი, რომ ხალხის ყაყანი დაეჩრდილა.

— სამი კაცი მინდა ბრიგადაში, სამი, — ყვიროდა კოლა.

ბარბარეც იქ იყო, კანტორაში. კლუბში წუხანდელი ლაპარაკის მოსმენის შემდეგ ძილი არ მიჰკარებია. ახლა გაიგო, რომ კოლას ხალხი უნდოდა და ყურები ცქვიტა, იქნება მე ამიყვანონო.

— რა ჭირად მინდოდა, პენსია თუ რაღაცა ოხრობა, — ბუზღუნებდა ბარბარე. — ქვეყანა შრომობს, ხელ-ფეხს იქნევს და მე, აქაო და პენსიონერი ვარო, ხელი არ უნდა გავანძრიო. ი, მეხი კი დავაყარე იმ პენსიას თავში!

კოლა, მთლად გაწითლებული, ყელს იხლეჩდა.

— გეგმა ჩამეშლება, გეგმა, თუ ხალხს არ მომცემ!

— რა გიშველო, მე თვითონ ცეცხლში ვარ ჩავარდნილი — ამბობდა თავმჯდომარე.

— მოულოდნელი რამ მოხდა. აბა, მე რა ვიცოდი, — ირწმუნებოდა კოლა.

— ერთ კაცს მოგცემ, — ხმას დაუწია თავმჯდომარემ. — ეს ერთ-დაშვილი წაიყვანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, მაგრე, რაღა! — ხელი ხელს დაჰკრა კოლამ.

— სხვას ვერავის, — დაუმატა თავმჯდომარემ.

— როგორ? — პირი დააღო კოლამ.

— ისე.

— მაშ მე რა ვქნა?

— მეაბრეშუმე ქალებს ვერ მოგცემ და მამაკაცები ხომ არა მყავს და არა. შენ თუ გეგმა ჩაგეშლება, მეც ჩამეშლება გეგმა.

ბარბარემ ოთახი მოათვალიერა. მეაბრეშუმე ქალების გაგონებაზე გული აუთამაშდა. კანტორაში ორი მეაბრეშუმე ქალი იყო — მელანო და ნატო. ისინი კარგა ხნით უმცროსები იყვნენ ბარბარეზე. მაგრამ ისე ხანი აღარ უჭირდათ, ორ-ორი შვილიშვილი ჰყავდათ. მელანო და ნატო ტრაქტორისტებად ნამუშევარი იყვნენ. ომის დროს სოფლის კაცები რომ გაიკრიფნენ ფრონტზე, მათ შეცვალეს ქმრები. მელანოს და ნატოს ღვაწლი და ხელბარაქიანობა ყველას ახსოვდა და ახლა კოლაც სწორედ მათ ადგამდა თვალს.

— აი, მელანო და ნატო მომეცი და გავათავოთ, — ღრმად ამოიქშინა კოლამ.

— აბრეშუმის ჭია ვიღას ჩავაბარო, არა, არა, — თავს იქნევდა თავმჯდომარე.

ბარბარე შეტოკდა. წინ წასვლა სცადა, ვერ შეძლო, ხალხს ისე გაეჭედა ოთახი, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა, მაშინ ბარბარემ კისერი წაიგრძელა და საკმაოდ ხმამაღლა თქვა:

— აბრეშუმი მე ჩამაბარეთ, ქა, ეგ რა სალაპარაკო გაგიხდათ!

ოთახში სიჩუმე ჩამოვარადა.

კოლა გაჩუმდა, თავმჯდომარემ კი ხმადაბლა იკითხა:

— შენ ხომ პენსიონერი ხარ, ბარბარე, სად შეგიძლია მუშაობა?

— ი, თქვენც ერთი, ქა, რომელი საპყარი და დავრდომილი მე მნახეთ, რატომ არ შემიძლია რა...

— მელანოს და ნატოს ბევრი ჭია აქვთ ჩაბარებული, მარტო ვერ აუხვალ!

— მე ჩემ ბებრულ მარჯვენას არ დავიშურებ და... — კოლა გამოცოცხლდა.

— ახლა რაღას იტყვი, — თვალებში ჩააშტერდა თავმჯდომარეს.

— ბარბარეს უმადლოდე, თორემ...

ხალხი დაიშალა. ბარბარე თავჩაქინდრული მიდიოდა შინისაკენ. გატეხილი კისერი ვეღარ უძლებდა ფიქრების სიმძიმეს. ლიბრიაანთ ბარბარეს უყვარდა თავი. მართალია, ჯერ სხვები უყვარდა და მერე თავისი თავი, მაგრამ თავი მაინც უყვარდა. რად უნდა ყოფილიყო ყველაფერში გამორჩეული! გათხოვება თუ არ ეღირსა და ულამაზო იყო, სიყვარული ხომ შეეძლო შნოიანი! განა მისი დამჭკნარი სახე სოფელზე ცრემლითა და დარდით არ იყო დაღარული? განა მას ხმისგამცემი და მოყვარული არ უნდოდა? გაეგოთ, მერე რა! გაეგოთ უკრაინაში, რომ კახეთში, ზოგიერთი მოხუცებული პენსიონერი კიდევ მუშაობს.

მუშაობს იმიტომ, რომ ჯერ გული არ დაწრეტილა ადამიანისადმი სასიყვარულოდ და სამეგობროდ, რომ ჯერ მის ულარუნა ნანას, ათიოდე ჩვილი კიდევ შეუძლია დააძინოს. იცოდნენ, რომ მკლავი ცვდება და იღლება, ბაგრამ გული არასოდეს! გული მთელია სიკვდილამდე, კუბოს ფიცრამდე. აბა, მაშ რა, ლიბრიაანთ ბარბარე რით არის ჩამორჩენილი!

შინ მობრუნებისას ლიბრიაანთ ბარბარე დასიცხულ ქათამივით დაბორიალობდა, ხან წალოს მიაწყდა, ხან ბუხარს, კინალამ დოქი არ გატეხა. იტრიალა, იწრიალა, მერე ხელი გაიქნია და გაეკრა საქმეს.

და მის ოთახში თაროებზე, იატაკზე, განჯინებში, წალოზე, სკივრის თავზე, ზედადგრებზე დადგმულ ლასტებზე გაიშალა თუთის ფოთოლი, ნორჩი, ხასხასა, სურნელოვანი. ახმაურდა აბრეშუმის ჭია. ამოძრავდა ფოთოლი, აშუშუნდა, გამოიხრა ჭიის ღონიერი ყბებით.

უფრო გახალისდა ლიბრიაანთ ბარბარე.

ახლომახლო გადაკაფა ყველა ფურცელი.

გახალისდა აბრეშუმის ჭიაც. მადა გაუათდა. მატყლის სამ ფთილას ვერ ჩაგრეხდა ბარბარე თითისტარზე, რომ ფოთოლი უკვე ქაფქირივით დახვრეტილი იყო.

უბანს დაეტყო ლიბრიაანთ ბარბარეს საქმე. გოგო-ბიჭებმა ქლიავს და ჭერამს ბრე გაადინეს. შებინდდებოდა თუ არა, ჩვილი ბალღები ტურებივით ჩხაოდნენ. სოფელში ერთიმეორეზე ჭორი აღარ დადიოდა. კარგიც და ავიც შინ ჩაიკეტა, ობი წაეკიდა, დახავსდა.

აბრეშუმის ჭია კი იზრდებოდა, გრძელდებოდა, სქელდებოდა.

მალე პარკიც გაჩნდა. თეთრი, ყვითელი.

გავიდა ხანი და ნამუშევარი კოლმეურნეობაში ჩააბარა ბარბარემ.

მის გარჯას, ხელბარაქიანობას, გულუხვობას თავისი გაეკეთებინა.

პარკი პირველი ხარისხისა აღმოჩნდა. კოლმეურნეობამ დააჯილდოვა იგი. გამოცოცხლდა დაბერებული, დაჩაჩანაკებული დედაკაცი. ცეცხლი აანთო გაყინულ ბუხარში.

იცინოდა. ალზე ალმასივით ბრწყინავდა მისი ცრემლიანი თვალი.

წინათ თუ სულ იმას გაიძახოდა ბარბარე, იმდენი ვერ მოვიცალე, მოვკვდეო, ახლა შეეცვალა საფიქრალი: იმდენი ვერ მოვიცალე, ასი წლის სიცოცხლე კიდევ ვინატროო, ამბობდა.

ისევ დაიწყო ბარბარემ სოფელში სიარული.

ბევრი რამ შეცვლილიყო ამ მოკლე ხანში.

გოდორაანთ ბიჭს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი გაეთავებინა ქალაქში და შინ დაბრუნებულიყო. ცალყბაანთ მიხოს ქალი დაენიშნა. ზურაბოს დეკეული ეყიდა. შავ მაროს სამსახური დაეწყო სოფლის საბჭოში.

ამდენ ახალ ამბავს გარეთ უნდოდა გამოტანა, გამომზეურება.

ლიბრიაანთ ბარბარემაც არ დაიზარა.

ისევ არახუნდა დოლი მინდორზე. ბერიკაცები აბუზღუნდნენ. დედაკაცები ქოქოლას აყრიდნენ პირუტყვს. ბალღები სალაღობო შაირს იზეპირებდნენ.

სოფელში სიცოცხლის, სიხარულის დაირა დაირხა, ახმაურდა.

გაიწია, გამოიწია, აიბურთა, აფუვდა ლხენაც და დარდიც.

ბარბარე დადიოდა, აერთებდა ოჯახებს, ეზოებს, უბნებს. ნაჩხუბრებს, ნამძრახებს აშოშმინებდა.

კოლმეურნეობამ კიდევ ჩააბარა აბრეშუმის ჭია ბარბარეს.

ახლა დარწმუნდა დედაკაცი, რომ სოფელს თურმე მისი მკლავისა სწამდა. გარჯისა სჯეროდა, რომ მისი შრომა, მისი ღვაწლი ჯერ კიდევ სასარგებლო იყო ხალხისათვის.

უფრო გულდაგულ მოეკიდა საქმეს.

დღე დღეს მისდევდა.

სოფლის გულისთქმა, დარდი, ნატვრა და წადილი ლიბრიაანთ ბარბარეს ეკერა პირზე.

პირველად მან დაიჩივლა დედაკაცებში, ელექტრონი არა გვაქსო.

წისქვილზეც მან დაიწყო ამას წინათ წუწუნი.

იმდენი ილაპარაკა, იმდენი იარა, რომ რაიონულ კომიტეტამდე მივიდა ამბავი. მერე ხალხის ერთსულოვანი ამხედრება სამუშაოდ და... გაკეთდა რიგზე ყოველივე.

მთელი სიცოცხლე ხელგულმარტოობას უჩიოდა ბარბარე.

თუმცა მთელ სოფელს თავის გამოზრდილად თვლიდა.

მართლაც, მხოლოდ ძუძუ არ უწოვებია სოფლისათვის, თორემ სხვა მხრივ მის კალთაშია გაზრდილი ყველა. მისი ჟღრიალა ხმით ნამღერი ნანა ყველას რგებია.

კოლმეურნეობამ მეორე პრემიითაც დაასაჩუქრა. აბრეშუმის ძაფიც მისცეს.

ბარბარე გულისხეთქით მოვარდა შინ.

ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე გარეთ არ გამოსულა.

დაექანცა მკლავი, ამოეშრიტა თვალის სინათლე, დაუშრა მოთმინების ფიალა.

ხუთშაბათს თავსაფარი მზად იყო.

ყაისნაღით ნაქსოვი სამწვერი აბრეშუმი საკალმახე ბადეს უფრო ჰგავდა ვიდრე თავსაფარს.

ბარბარეს გული აღარ უთმენდა კვირამდე.

სოფელს უკრაინელი სტუმრები სწვეოდა. კოლას ბრიგადასთან სოცშეჯიბრის ქაღალდების დასაწერად იყვნენ ჩამოსული.

სტუმრებს ხელის გულზე ისვამდნენ.

ყველას შეძლებული ოჯახი ჰქონდა და ერთიმეორეს ართმევდნენ სტუმრებს.

ამის თაობაზე შეიძლება მეზობლობაში უსიამოვნებაც მომხდარიყო, რომ მასპინძლები გასაჭირიდან კოლას არ დაეხსნა.

— მეზობლებო, — დაიძახა კოლამ და მანქანის კიბეზე შეხტა. — სტუმრები მთელ სოფელს ეკუთვნის და ვინმე ნაწყენი რომ არ დაგვირჩეს, სუფრა კლუბის ეზოში გავშალოთ!

სუფრას ჩიტის რძე არ აკლდა. სიმღერა ხომ ისეთი იყო, რომ ღრუბლებამდე ავიდა.

ჯერ მასპინძლებმა იცეკვეს ქართული, მერე სტუმრებმა უპასუხეს ცეკვით და მთელი სოფლის გოგო-ბიჭობის ტაშმა ხომ მიდამო გააყრუა.

ლიბრიაანთ ბარბარე ლხინში იყო. იგი სტუმრების გვერდით დაესვათ და ამ ხნის დედაკაცი ბალღივით წითლდებოდა და ფითრდებოდა.

ბარბარე ბედნიერი იყო. მაგრამ მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა უთხრეს, რომ ერთი სტუმარი თავის სახლში უნდა წაეყვანა დასაძინებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარბარე ფრენით მიუძღოდა შინისაკენ სტუმარს. ორი ღერი რუსული იცოდა, სალდათებისგან გაგონილი, და წამდაუწუმ გაიძახოდა:

— პაიდიომ, ტავარიშჩ, სესტრა...

სტუმარი ბარბარეს ხნის დედაკაცი იქნებოდა. ისიც არანაკლებ წვალობდა და ყოველ ფეხის გადადგმაზე ამბობდა:

— მადლობა, გენაცვალე...

ბარბარეს უნდოდა უკრაინელი სტუმრისათვის ეთქვა:

— შემომხედე, როგორა გგონია, აქაო და დავბერდი, ხალხის სიყვარული აღარ შემიძლია? იჰ, მზითევი თაგვმა შემიჭამა, არ მეღირსა გათხოვება, იმას შაინც ვიტყვი, ახალგაზრდას თუ ძონძები მეცვა, სიბერე სულ აბრეშუმში გამიტარებია-მეთქი...

ბარბარე თავის ახალ აბრეშუმის თავსაფარს ხელში ატრიალებდა, სათქმელი კი ვერ ეთქვა.

სტუმარი სახლში მიიყვანა, ლოგინი გაუშალა, თავად მეზობელთან გაიქცა და უთხრა.

— ქა, აი, ბალღების წიგნი როა, ის მომეცი...

— რომელი? დედა-ენა?

— ჰო.

ბარბარემ წიგნი შინ მოიტანა, სტუმარს გადაუშალა, სტალინის სურათი აჩვენა და უთხრა:

— აი, ამ კაცის მზეს შევხარით ჩვენა... ამან გვითხრა, რომ ჩვენ ერთმანეთი გვყვარებოდა!

სტუმარი მიუხვდა ამჯერად ბარბარეს ქართულს. ლიბრიაანთ ბარბარე სტალინზე ლაპარაკობდა.

მეორე დილას გააცილა ბარბარემ სტუმარი. საჩუქრად თავისი ახალი აბრეშუმის თავსაფარი მისცა და თან უთხრა:

— მე კიდევ მოვიქსოვ ჩემთვის. ეგ კი ჩემს სახსოვრად წაიღე. ძაფს დალოცვილი კოლექტივი მომცემს და ძალას შენი სიყვარული.

სტუმრები წავიდნენ უკრაინაში. საზეიმოდ ნათქვამ სიტყვას შრომითი სასწაულები უნდოდა.

ბარბარე კი დარჩა. ცოცხლობს ეს გულკეთილი, გულუბრყვილო დედაკაცი, ცოცხლობს სოფლისათვის. ხან მეტს ამბობს, ხან ნაკლებს, ბევრჯერ უადგილოს, უხეშს. იწყევლება კიდეც.

მისი ძუძუები კი ილოცებიან. ლოცავენ ამ მადლიან ქვეყანას, ცასა და მიწას, წყალსა და ჰაერს.

ყველაფერი — ცუდიც და კარგიც — სიყვარულით მოსდის.

ყველა სოფელსა ჰყავს თავისი მეისტორიე, ავან-ჩავანის მცოდნე, კარგისა და ავის ჟამთაღმრიცხველი, ყველა სოფელს, გამოუკლებლივ. ჩემს სოფელსაც ჰყავს ასეთი, ლიბრიაანთ ბარბარე.

ვადიმ სოგკო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუღი*

★

თავი მეოთხე

ლეიტენანტი კოროლევი მოულოდნელად გაფრინდა გროულის შტაბში. არმიის შტაბის უფროსმა დილით გაიძახა ინგლისური ენის მცოდნე რამდენიმე ოფიცერი და უბრძანა, დაუყოვნებლივ გაფრენილიყვნენ ამერიკელების იმ გაერთიანებათა შტაბებში, რომლებთანაც მოახერხეს რადიოკავშირის დამყარება. საბჭოთა ჯარები უკვე ელბაზე იდგნენ და ელოდნენ ამერიკელების მოსვლას. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე საბჭოთა და ამერიკელთა შტაბები ერთმანეთს უგზავნიდნენ მეკავშირე ოფიცრებს.

ეს დანიშვნა თოვლის ზვავივით დაეცა თავზე ლეიტენანტ კოროლევს.

მეკავშირე ოფიცრების გაგზავნით შტაბის უფროსს იმედი ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს, დაემყარებინა ზუსტი ურთიერთქმედობა ამერიკის ჯარებთან, რომლებიც სულ იგვიანებდნენ და, ყოველთვის აღმოჩნდებოდნენ ხოლმე იქ, სადაც მათ არ მოელოდნენ.

ახალი დანიშნულება არავის უხაროდა. ანუგეშებდათ მხოლოდ ის, რომ მივლინება მოკლე ხნით იყო და ჩქარა ისევ თავიანთ ნაწილებში დაბრუნდებოდნენ.

ოფიცრებმა შეიარეს თავიანთ უშუალო მეთაურებთან, მოახსენეს არმიის შტაბის უფროსის დავალებათა შესახებ, ხელი წამოავლეს პატარა ჩემოდნებს და მალე გაჩნდნენ აეროდრომზე, სადაც მათ ელოდა მეკავშირე თვითმფრინავების ПО-2 მთელი ესკადრილია.

აეროდრომზე კოროლევთან მივიდა შავგვრემანი ჭაბუკი, რომელსაც საზაფხულო კომბინეზონი ეცვა და თავზე ტყავის ქუდი ეხურა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, იური სამოჟუკი გახლავართ — თქვენს განკარგულებაში გამოყოფილი თვითმფრინავის მეთაური.

მარშრუტი დააზუსტეს და გენერალ გროულის შტაბში გაფრინდნენ.

ამერიკელთა დივიზია არ ჩქარობდა დანიშნულ ადგილისაკენ, და კოროლევს საკმაოდ დიდხანს მოუხდა ფრენა. იგი თანდათან სულ უფრო იჭრებოდა მარცხენა სანაპიროს სიღრმეში, ვიდრე ბოლოს არ დაინახა დიდი საზიდრები და გერმანიის გზებზე ნელა მხოხავი ტანკები „შერმანი“.

კოროლევმა ზუსტად გაიანგარიშა მანქანის მოძრაობა, აისბორნის მახლობლად აეროდრომზე დაჯდა და გენერალ გროულისთან გამოცხადდა.

დირექტორის კაბინეტში შევიდა თუ არა, ლეიტენანტმა უმალვე იგრძნო, რომ ამერიკელები დაკვირვებით ათვალიერებდნენ მათ. აქ მრავალი თვალი ამოწმებდა მის ყოველ მოძრაობას, საჭირო იყო, წესიერად დაეჭირა თავი. კარგად ვერ გაიგო, სად ეპატიჟებოდა გენერალი, მაგრამ უარის თქმა უხერხული იყო. და ლეიტენანტიც მიჰყვა გროულის მცირეოდენი მანძილით უკან, ამით იგი გამოხატავდა თავისი თანამგზავრის სამხედრო წოდებისადმი პატივისცემას.

---

* გაგრძელება. იხ „მნათობი“ № 2.

გენერალმა შენიშნა ეს და მოეწონა. არავინ იცოდა, თუ როგორი ბრძოლა იცოდა გენერალმა, მაგრამ ყველანი ლაპარაკობდნენ, რომ ზრდილობიანად თავდაჭერასა და ეთიკის წესებში იგი უდაოდ ყველაზე ბრწყინვალე ჯარისკაცად წარმოადგენდა ამერიკის არმიაშიო.

ისინი გამოვიდნენ რატუშის წინ, მოედანზე. გენერლისა და ლეიტენანტ კოროლევის უკან მოემართებოდა მთელი გენერალური შტაბი, გადამწერების ჩათვლითაც კი. ქუჩებში მოყიალე ამერიკელი ჯარისკაცები და სერჟანტებიც კი შეუერთდნენ საზეიმო მსვლელობას და ბოლოს, როცა უკვე გენერალი უახლოვდებოდა თეთრტილოგადაფარებულ ძეგლს, მათ საკმაოდ დიდძალი ხალხი მისდევდა. მოედანზე ირეოდნენ გერმანელები.

ჰორსტ კრამი მხიარულად გადახედავდა ხოლმე ახალგაზრდა საბჭოთა ლეიტენანტს. ვინ იცის, საიდან აღეძრა უცებ კრამს ასეთი რწმენა, მაგრამ ასე ფიქრობდა: ახლა ყველაფერი უვნებლად მოთავდება და არავითარი უსიამოვნება არ იქნებაო.

ლეიტენანტმა თავისთვის შენიშნა, რომ ყოველი გერმანელი, რომელიც ხელმძღვანელობდა მომავალ ცერემონიას, ჩაცმული იყო უბრალოდ, სუფთად, მაგრამ ღარიბულად, და ისინი სრულიად არ ჰგავდნენ იმ ნაპატიებ „ქალაქის მამებს“, რომლებიც მას არაერთგზის უნახავს ხოლმე ინგლისის, ამერიკისა და უცხოეთის სხვა ქალაქებში. ცალხელა ჰორსტ კრამმა უმალვე მიიპყრო კოროლევის ყურადღება. ხოლო ჰერტრუდას მღელვარებისაგან გაფითრებულმა სახემ, მას სიმპათია აღუძრა.

გროული ავიდა სპეციალურად მოწყობილ არც თუ ისე მაღალ ტრიბუნაზე და რამდენიმე წუთს ისე იდგა მარტო, თითქოს თავმოყრილ ხალხს ათვალიერებსო, სინამდვილეში კი დამსწრეთ საშუალებას აძლევდა, რათა კარგად დაჰკვირვებოდნენ მის პიროვნებას, მერე ხელის გაქნევით ანიშნა რამდენიმე ოფიცერსა და ლეიტენანტ კოროლევს, ასულიყვნენ ტრიბუნაზე.

ის იყო მაიორი ტილდენიც უნდა ასულიყო მაღლობზე, მაგრამ, თითქოს რაღაცა მოაგონდაო, იმავე წუთს ძირს ჩამოვიდა.

რიჰარდ გრიუნვალდი ძეგლის კვარცხლბეკთან მივიდა, ქუდი მოიხადა და მოკლე სიტყვა წარმოთქვა. იგი მიესალმა ფაშიზმზე გამარჯვებას და ილაპარაკა დემოკრატიის აღორძინების შესახებ მთელ მსოფლიოში.

რიჰარდი გადასცქეროდა ირგვლივ თავმოყრილ ხალხს და უნდოდა წამოეყვირა:

„ადამიანებო, ამხანაგებო, ჩემს სიცოცხლეში არ განმიცდია და, არც კი ვიცი, ოდესმე ისევე ვეღირსები თუ არა ასეთ სიხარულს! ჩვენ ყველას უფლება გვაქვს, გავხსნათ ეს ძეგლი, ჩვენ თვითონ დავიცავით, შევინახეთ, გადავარჩინეთ ის, მიუხედავად სასიკვდილო საფრთხისაო“.

მაგრამ გრიუნვალდმა ეს არა თქვა. იგი შესცქეროდა ამერიკელ გენერლის თვითკმაყოფილ სახეს, ტრიბუნის მახლობლად გაჩერებულ ვურსტის ვარდისფერ დრუნჩს და ფიქრობდა, ალბათ კიდევ ბევრი ბრძოლა მომიწევს, და არა მარტო მე, არამედ ყოველ ჩვენს ამხანაგს, ვიდრე შესაძლებელი გახდება ჩვენი აზრის თავისუფლად გამოთქმაო.

იგი ლენინზეც ფიქრობდა. აი, ეს ძეგლი დგას ახლა ჩვენ წინ თეთრტილოგადაფარებული და, ყოველმა ადამიანმა ამ მოედანზე როდი იცის, თუ რა უდიდესი ძალაა ამ წკრიალა ცივ ლითონში. მაგრამ, როგორც კი გაიხსნება ძეგლი, ამ ძალის შეკავება უკვე არაფერს შეუძლია. მაშინ არავის შეუძლია იცხოვროს

ისე, როგორც აქამდე. მაშინ ყველაზე ნიჭიერ ორატორზე უფრო დამაჯერებლად თვით ლენინის სახე მოუწოდებს ყველას მოქმედებისა და თავისუფლებისთვის ბრძოლისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიუნვალდმა ხელი მოკიდა ზონარს, რომელიც ამაგრებდა ტილოს; საკმარისი იყო ხელის ერთი გაქნევა და, ის ჩამოვარდებოდა.

ამასობაში ტრიბუნაზე რაღაც საეჭვო რამ ხდებოდა. გენერლის გვერდით გაჩნდა მაიორი ტილდენი. მისი მსუქანი, ნაზულუქევი სახე იმ კაცისა, რომელიც ყოველდღე იპარსავს და კანს იზელს, ახლა უსწორმასწოროდ ტოკავდა და იღრიჯებოდა.

საქმე ისაა, რომ ტრიბუნიდან გერმანელთა ჯგუფში ჩამოსული ტილდენი აღმოჩნდა მაღალი კაცის გვერდით. რომელიც მოუსვენარი თვალებით შესცქეროდა ტრიბუნას. მაიორმა მზვერავის შეუცდომელი შეგრძნებით დააზუსტა, რომ ეს გერმანელი გამოადგებოდა, და იმისათვის, რომ მასთან ლაპარაკი გაება, ჰკითხა:

— რა ძეგლია ეს?

იოჰან ვურსტმა პირფერული ღიმილით უპასუხა:

— ლენინის ძეგლია, ბატონო ოფიცერო.

ვურსტმა არ იცოდა, როგორ შეხვდებოდა ამ ცნობას ამერიკელი. ამიტომ მისი ღიმილი ორაზროვანი იყო: ტუჩების უმნიშვნელო მოძრაობით შეიძლებოდა ის გადაექცია როგორც მხიარულების, ისე მძულვარების ღიმილად. ვურსტი ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს მაიორის სახის გამომეტყველებას და შენიშნა, რომ მისმა ნათქვამმა ძალიან გააკვირვა ამერიკელი.

მაგრამ მაიორმა რამდენიმე წუთით დაიგვიანა.

დივიზიის ორკესტრის კაპელმეისტერმა დაინახა თუ არა, რომ საქმე უკვე ძეგლის გახსნაზე მიდგა, ჯოხი აიქნია. ორკესტრმა უცნაური მარში დაუკრა. ის ფოქსტროტს ჰგავდა, მაგრამ ყოველმა ამერიკელმა იცოდა, რომ სწორედ ეს იყო გენერალ გროულის დივიზიის არაოფიციალური ცნობილი ჰიმნი.

გრიუნვალდმა ზონარი მაგრად მოქაჩა.

მოედანზე სუფევდა სრული სიჩუმე, რომელსაც თვით მთის პატარა მდინარის წყლის რაკრაკიც კი შთაენთქა. მაისის ცაზე კაშკაშებდა მზე. მთიდან მსუბუქი გრილი ნიავი ჰქროდა. ზღვა ხალხის თავზე აფრენილი მტრედების გუნდებივით ხმაურობდა აპლოდისმენტი.

გენერალმა ძეგლს შეხედა.

მან დაინახა კაცი სამოქალაქო პიჯაკში.

გენერალი დაკვირვებით მიაცქერდა ძეგლს და ვერ მოიგონა, სად ენახა ეს სახე. ეს მაღალი, წინ გამოწეული და ჭკვიანი შუბლი ნაცნობად მოეჩვენა. დიახ, სადღაც უნახავს ის, ცოცხალი თუ ფოტოსურათში!

გენერალმა თავი დახარა უკვე მიახლოებული მაიორ ტილდენისკენ.

— ეს ლენინის ძეგლია, — წასჩურჩულა მაიორმა.

გენერალმა თავი ძლივს შეიკავა. უცებ მიხვდა, რომ მეტად რთულ მდგომარეობაში ჩავარდა. რა თქმა უნდა, მან ხელი უნდა შეუწყოს ყველაფერს, რაც დემოკრატიულია, რაც ანტიჰიტლერულია, მაგრამ ლენინის ძეგლის გახსნა ამერიკის ჯარების მიერ ახალდაკავებულ ქალაქში — ეს უკვე მეტისმეტი იყო... იმავე დროს, რა უდროო დროს მოვიდა ეს საბჭოთა ოფიცერიც. ის რომ არ ყოფილიყო, როგორმე შეიძლებოდა ამ საქმის მიფუჩეჩება, ახლა კი თავი ისე უნდა მოეჩვენებინა, თითქოს გენერალი გროული დიდად მოხარული იყო კომუ-

ნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ლენინის ძეგლის გახსნისა.

მოედანზე კი სიტყვა „ლენინი“ ქარიავით მიჰქროდა, მიექანებოდა გაქვავებულ ხალხის თავზე, გაიშრიალა იქ, სადაც იდგნენ ამერიკელი ჯარისკაცები, შემდეგ იგი სადღაც მოედნის ბოლოს მიყუჩდა.

— ლ ე ნ ი ნ ი!

ამ სიტყვამ მოზღვავებული ხალხი თითქოს ორ ბანაკად გაჰყო. გერმანელ მუშათა უმრავლესობას და ბევრ ამერიკელ ჯარისკაცს ძეგლისკენ მიპყრობილი თვალები სიხარულით გაუბრწყინდა, სხვებს კი აენთო ღვარძლითა და სიძულვილით იმ საშუალო სიმაღლის კაცის მიმართ, რომელიც გულდამშვიდებით და დაჯერებით გადმოსცქეროდა აღელვებულ ხალხს.

გენერალს გუნება გაუფუჭდა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ეპვგარეშე იყო, ცერემონია ჩქარა უნდა დაემთავრებინათ, მაგრამ ამ დროს ლეიტენანტმა კოროლევმა გენერლისაკენ ნაბიჯი გადადგა, მხედრული სალამი მისცა და ხმამაღლა უთხრა:

— ბატონო გენერალო, საბჭოთა კავშირის დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლი გახსნილია. ჩემი სურვილია, ამ საზეიმო წუთში შესრულებული იქნეს საბჭოთა კავშირის ჰიმნი და ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური ჰიმნი.

ლეიტენანტ კოროლევისათვის ადვილი ასატანი როდი იყო პირველი წუთები. თავდაპირველად ცერემონიას უყურებდა, როგორც ამერიკელების მიერ მოწყობილ მორიგ წარმოდგენას, მაგრამ მოულოდნელად კვარცხლბეკზე აღიმართა ლენინის ფიგურა, და კოროლევი მიხვდა, რომ საქმე უფრო სერიოზულად იყო, ვიდრე ეჩვენებოდა, — რომ აქ საქმე ეხებოდა საბჭოთა კავშირის პრესტიჟს.

ამ დროს შეუძლებელი იყო გაეგო ლეიტენანტს, თუ საიდან გაჩნდა აქ, ამერიკელების მიერ ამ ახალდაკავებულ ქალაქში, ლენინის ძეგლი. როგორ და როდის მოასწრეს დაედგათ ის, როდის მოასწრეს ყველაფრის მოწყობა, მისი საზეიმოდ გახსნისათვის? სახეში შესცქეროდა გენერალ გროულის და გრძნობდა, რომ ის, რაც მოხდა, თვით ამერიკელებისთვისაც კი მოულოდნელი იყო.

ლეიტენანტი კოროლევი აკვირდებოდა ხალხის გროვას და ხედავდა ლოდინითა და შეშფოთებით მისკენ მიპყრობილ მრავალ თვალს. როგორც კი იგრძნო ადამიანთა განწყობილება, მშვიდად მიუახლოვდა გენერალს და გამოთქვა თავისი თხოვნა.

გენერალს სხვა არა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ განკარგულება გაეცა. ორკესტრმა შეასრულა ამერიკის ჰიმნი.

კოროლევი გაქვავებული სახით უსმენდა, მუსიკოსები ამახინჯებდნენ ჰანგებს. რიტმებს ურევდნენ და ასე უკრავდნენ „იანკი-დუდლს“.

„ჩვენს ჰიმნს როგორღა დაუკრავენ, თუ თავიანთი ვერ შეისწავლეს, როგორც რიგი და წესია?“

მუსიკა შეწყდა და მოედანზე სიჩუმე ჩამოვარდა. კოროლევმა ცერად გახედა გენერალს საბჭოთა ჰიმნის პირველი ჰანგების აჟღერების მოლოდინში.

პაუზა ჭიანურდებოდა.

ლეიტენანტის ზურგს უკან ვიღაცა გაჩერდა, კოროლევს მაიორ ტილდენის მსტვენი ჩურჩული მოესმა:

— ჩვენ იძულებული ვართ, ბოდიში მოვუხადოთ ბატონ ლეიტენანტს. ჩვენი დივიზიის ორკესტრი არაა მომზადებული საერთაშორისო შეხვედრებისათვის. სამწუხაროდ, მუსიკოსებს ჯერ კიდევ არა აქვთ შესწავლილი საბჭოთა ჰიმნი.

ლეიტენანტს ხელი არ ჩამოუშვია ძირს, ისევ ნაბიჯი წარდგა გენერლისაკენ და მტკიცედ უთხრა:

— საბჭოთა კავშირის ჰიმნი შესრულებული უნდა იქნეს!

— ორკესტრს არ შეუძლია მისი შესრულება, — წინ წამოდგა მაიორი ტილდენი, რომელიც მიეშველა თავის გენერალს.

— ჰიმნი შესრულებული უნდა იქნეს, და თუ ამისი გაკეთება არ შეუძლია ორკესტრს, მაშინ მე თვითონ ვიმღერებ მას.

გენერალმა მხრები აიჩეჩა. დიდი სურვილის მიუხედავად, არ შეეძლო უარი ეთქვა: არ შეიძლება მეკავშირე არმიის ოფიცერს აეკრძალოს შეასრულოს თავისი ქვეყნის ჰიმნი.

— გთხოვთ! — კბილებში გამოსცრა გენერალმა.

ლეიტენანტი ტრიბუნის კიდეზე გავიდა. ყველანი მას შესცქეროდნენ. კოროლევმა იცოდა, რომ ხმა კარგი ჰქონდა და, მთელი გულისყურით მოუსმენდნენ, მაგრამ ამ დროს მოულოდნელმა ფიქრმა გაჰკრა: შეგროვილ ხალხში ბევრია გერმანელი მუშა, მათ არ ეცოდინებათ ახალი ჰიმნი, მაგრამ „ინტერნაციონალი“ მაინც ეხსომებათ. მათ შორის არიან ხანში შესულებიც, რომლებიც ჰიტლერამდელი პერიოდის მომსწრენი არიან; ნუთუ ბანს არ მომცემენო?

ლეიტენანტმა თავი მაღლა ასწია და ლენინს შეხედა. ვლადიმერ ილიჩი პირდაპირ შესცქეროდა, ბელადის გამოხედვაში კოროლევმა მხარდაჭერა იგრძნო. და სიჩუმეში, რომელშიც თითქოს ისიც კი ისმოდა, თუ როგორ წკრიალებდნენ შორეულ თეთრ ღრუბლებში გამოჭრილი მზის სხივები, უცებ გაისმა ქალის მაღალი ხმა.

— „აღზდექ კრულვითა დაღდასმულო“...

კოროლევი შეტოკდა. თავდაპირველად ჩუმად იდგა ტრიბუნის კიდეზე, მერე თვითონაც დაიწყო სიმღერა, თან გრძნობდა, როგორ უვსებდა გულს უდიდესი სიამაყის გრძნობის ტალღა თავის სამშობლოს გამო, დიდი ლენინის გამო, რომელიც გვერდით ედგა და უსმენდა მთელი ქვეყნის პროლეტარების ჰიმნს.

სიმღერა კი სულ იშლებოდა; აი, ის ამოცურდა სადღაც მოედნის მეორე მხრიდან, აყლერდა სხვადასხვა ადგილას, და ასე, მთელი მოედანი მოიცვა მოწოდებითმა ჰანგმა.

მხარმარცხნით, სულ ახლოს, კოროლევს მოესმა ახალი, ძალიან ძლიერი ახალგაზრდა ხმა. ეს იყო ამერიკელი ჯარისკაცი, იგი „ინტერნაციონალს“ მღეროდა ინგლისურად.

მღეროდნენ გერმანელები, მღეროდნენ ამერიკელები, მღეროდა ქარი, ყველასთან ერთად თითქოს ლითონისაგან ჩამოსხმული ლენინიც კი მღეროდა.

მერე მუსიკოსებმაც მოიგონეს, რომ მათ დიდი ხანია იცოდნენ ეს ამაყი და შესანიშნავი მოტივი და სიმღერას უცებ ჩაექსოვა საკრავების კრიალხმიანი სპილენძი. გარშემო ყოველივე დაპყრობილი იყო უძლეველი ჰიმნით, მაგრამ აი, ხმები შეწყდა. ლეიტენანტმა კოროლევმა ხელი ძირს ჩამოუშვა და მხიარული, აღტაცებული ღიმილით შეხედა გროულს. გენერალმა, როგორც იყო, ძალღონე მოიკრიბა და თავაზიანად გაუღიმა.

— ვფიქრობ, — შეეკითხა იგი, — ხარვეზი ჩვენი ორკესტრის განათლების საქმეში შევსებულია?

— დიახ, უდაოდ, მაგრამ არც ერთ ორკესტრს არ შეუძლია შეცვალოს ადამიანის სული, — უთხრა ლეიტენანტმა.

გროული გაჩუმდა. ნიშნად ცერემონიის დამთავრებისა, ხელი მაღლა აიქნია და ტრიბუნიდან ჩამოვიდა.

გენერალს მიჰყვნენ მისი მხლებელი ოფიცრები. აღგზნებული მოქალაქენი იშლებოდნენ, მაგრამ მრავალი გერმანელი, აგრეთვე ძეგლთან დარჩენილი ამერიკელი ჯარისკაცებიც, დიდხანს შესცქეროდნენ ლენინის მშვიდსა და ოდნავ მოღიმარე სახეს.

თავი მეცხრე

იმ ამბავმა, რაც მოედანზე მოხდა, ღრმად ააღელვა ლეიტენანტი კოროლევი და გადაწყვიტა გაეგო, თუ როგორ აღმოჩნდა ლენინის ძეგლი ქალაქში. ლეიტენანტის მდგომარეობა გროულის შტაბში, მას ავალებდა ემოქმედნა მხოლოდ ოფიციალურად. ამიტომ დივიზიის შტაბში მაიორ ტილდენს მიმართა.

მაიორი გადამეტებულად თავაზიანი იყო. მაგრამ მაინც არ დააყოვნა, გაკვირვება გამოეთქვა იმაზე, თუ რატომ აინტერესებდა ასე ეს ლეიტენანტს? რა თქმა უნდა, მაიორს შეუძლია გასცეს სათანადო ბრძანება და მთელი მდგომარეობა დაუყოვნებლივ გამორკვეული იქნება.

— მაგრამ ახლა, მე მგონია, ჯერ კიდევ არ არის იმისი დრო, რომ ასეთ საქმეს ხელი მოვკიდოთ. ბატონო ლეიტენანტო, გენერალმა გთხოვათ, დღესვე გაფრინდეთ თქვენს შტაბში და თან წაიღოთ საბჭოთა და ამერიკის ჯარების შეხვედრის ზუსტი გაანგარიშებანი.

ლეიტენანტმა მხედრული სალამი მისცა, ქაღალდი აიღო და აეროდრომზე წავიდა; მან კარგად იცოდა, რომ შტაბში გაფრენა აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. ალბათ, მაიორს უნდოდა კოროლევი დროებით მოშორებოდა ქალაქს. ამიტომ ლეიტენანტმა გადაწყვიტა, რაც შეიძლება, ჩქარა დაბრუნებულიყო აისბორნში.

ПО-2 წრე დაარტყა აეროდრომის ზემოთ და ელბისკენ გაფრინდა.

რამდენიმე წუთში კოროლევი თავის შტაბში იყო. ქაღალდები გენერალს ჩააბარა და მოახსენა ყოველივე, რაც ქალაქ აისბორნში მოხდა.

მაგიდასთან იდგა თმაქოჩორა ჭაღარა გენერალი. იგი მუქი თვალებით დაკვირვებით მისჩერებოდა კოროლევს და უსმენდა.

ძეგლის შესახებ ნაამბობმა გაცილებით უფრო მეტად დააინტერესა გენერალი, ვიდრე ოფიციალურმა ცნობებმა — ამერიკის ჯარებისა და საბჭოთა ნაწილებთან მათი შეხვედრის დროის შესახებ! მერე დიდხანს ჩაფიქრებული დადიოდა ოთახში.

ლეიტენანტი ჰყვებოდა იმ ამბავს, თუ როგორ მღეროდა „ინტერნაციონალს“ მთელი მოედანი. გენერალი ჩაფიქრდა გერმანელი ხალხის უდიდეს შესაძლებლობაზე, იმაზე, რომ გერმანიაში ოდესღაც იყო დიდი და ძლიერი კომუნისტური პარტია, იყო რევოლუცია, იყო თვით მუშათა დეპუტატების საბჭოებიც. ყოველივე ამას არ შეეძლო ისე ჩაევლო, რომ კვალი არ დაეტოვებინა.

— თქვენ, ამხანაგო კოროლევ, — უთხრა გენერალმა, — მოგიხდებათ არა მარტო კავშირი განახორციელოთ ჩვენსა და ამერიკელთა შტაბს შორის, არამედ, ფხიზლად უნდა ადევნოთ თვალ-ყური ქალაქის ამბებსაც. საქმე ისაა, რომ როგორც ეტყობა, ამერიკელები იქ არ დარჩებიან, ისინი მნიშვნელოვან მანძილზე დაიხევენ უკან, დასავლეთისაკენ. ამაზე უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება. ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პატიოსანი ადამიანების გადარჩენას, რომლებმაც დაიცვეს და შეინახეს ეს ძეგლი. სწორედ ისინი არიან გერმანიის მომავალი დემოკრატიული რესპუბლიკის ოქროს ფონდი, და ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მათზე. ეჭვსგარეშეა, ეს ძეგლი გატანილია საბჭოთა კავშირიდან და გვეკუთვნის ჩვენ. ამიტომ თქვენ უფლება გაქვთ, არა მარტო დაინტერესდეთ იმით, არამედ, თუ საჭირო იქნება, დაიცვათ კიდეც.

გენერლის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ კოროლევი ჩქარა გაემგზავრა ქალაქის გარეუბანში და ელბაზე გაფრინდა. როცა აისბორნს მიუახლოვდა, განკარგულება გასცა, ძირს დაშვებულიყო. სამოჟუკმა რამდენიმე წრე დაარტყა მოედნის ზემოთ.

კოროლევი დაძაბულად უთვალთვალებდა ყველაფერს, რაც კი ხდებოდა ქალაქის განიერ მოედანზე. იქ დიდძალი ხალხი ირეოდა, მაგრამ რას აკეთებდნენ ისინი ძეგლის მახლობლად, ლეიტენანტმა ვერასგზით ვერ გაარკვია. იგი აშკარად ამჩნევდა ხალხში უთვალავ მოყვითალო-მომწვანო ამერიკულ კოსტუმებს.

კოროლევმა სამოჟუკს ხელის გაქნევით ანიშნა აეროდრომი. სერჟანტი ოდნავ მაღლა აფრინდა, თან დაუმიზნა საფრენოსნო მინდორზე გაფენილ ასო „T“-ს, რომელიც გარკვევით მოჩანდა ჰაერიდან.

აისბორნში დაბრუნებისას ლეიტენანტმა შტაბს გადასცა ჩამოტანილი მასალები, მოახსენა, რომ საბჭოთა და ამერიკის ჯარების შეხვედრა უკვე ორგანიზებულად ჩატარდაო, და ქუჩაში გამოვიდა.

სერჟანტი სამოჟუკი მანქანაში ელოდებოდა, მაგრამ კოროლევმა წინადადება მისცა, ფეხით წასულიყვნენ.

კოროლევი და სამოჟუკი გზადაგზა ნელა საუბრობდნენ, თან ათვალიერებდნენ ყველაფერს, რაც ქალაქში ხდებოდა; ასე მოვიდნენ მოედანზე და მდინარის პირას მერხზე ჩამოსხდნენ.

ლენინის ძეგლის გარშემო დიდძალი ამერიკელი ჯარისკაცი იდგა. ერთმა ამერიკელმა გერმანელი ფოტოგრაფი მოიყვანა თავისი დიდი აპარატით. ჯარისკაცები სურათებს იღებდნენ ცალ-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფად.

ჯარისკაცები ისე გაერთვნენ, რომ ვეღარც კი შენიშნეს მაიორ ტილდენის გამოჩენა მოედანზე. იგი მიტრიალდ-მოტრიალდა ხალხში, თან ყური დაუგდო, თუ რაზე საუბრობდნენ ჯარისკაცები, მერე მოწყვეტით მიბრუნდა და შტაბისაკენ გაეშურა.

ლეიტენანტმა კოროლევმა კარგად მოისმინა ის, რაზედაც საუბრობდნენ ამერიკელი ჯარისკაცები და მიხვდა, ასე აჩქარებით რატომ გაჰქრა მაიორი ტილდენი.

რა თქმა უნდა, ჯარისკაცები მაინცდამაინც სიფრთხილეს არ იჩენდნენ, როცა ლენინის ძეგლთან იდგნენ და ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირზე. ლეიტენანტს მოაგონდა გენერლის გაფრთხილება იმაზე, რომ ამერიკის სარდლობას ძეგლის დადგმა დიდად არ მოეწონებაო.

კოროლევი და სამოჟუკი ბინაში წავიდნენ. მათთვის გამოყოფილი იყო ორი ოთახი პატარა სახლის პირველ სართულზე. აქ ცხოვრობდა ხნიერი გერმანელი ქალი; მას ძალიან დატანჯული სახის გამომეტყველება ჰქონდა. კოროლევის კითხვა-გამოკითხვის პასუხად მან თქვა: მე ხელზე მოსამსახურედ ვმუშაობდი ამ სახლში. ბოლშევიკების შემოსვლით დაშინებული სახლის მეპატრონენი წავიდნენ; მე კი მცველად დავრჩიო. ლეიტენანტმა ჰკითხა მართას, — ასე ეძახდნენ იმ ქალს, — ხომ არ იცი, ვინ დადგა ძეგლი მოედანზე? — არა, ეს არ ვიცი, მაგრამ სიამოვნებით შემიძლია წავიდე მეზობლებსა და ნაცნობებთან და, ყველაფერი დაწვრილებით გავიგოო.

კოროლევსა და სამოჟუკს ვახშამი არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ მართა უკვე დაბრუნდა. მართას კარგად არც კი ესმოდა, რათ უნდოდა კოროლევს გაგება იმისა, თუ ვინ დადგა ძეგლი და, ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდეც, ვაითუ ამით გრიუნვალდს რამე ზიანი მივაყენოო. მაინც უამბო, რომ ძეგლი დადგა დროებითმა ბურგომისტრმა.

კოროლევი დიდხანს ეკითხებოდა გრიუნვალდის შესახებ. მართას კი ბევრი რამის თქმა შეეძლო. იგი ოდესღაც კარგად იცნობდა რიჰარდს. ახალგაზრდობაში ეარშიყებოდა კიდეც მას. რიჰარდი ყოველთვის კომუნისტი იყო, და უკვირდა კიდეც, როგორ მოხდა, რომ ჰიტლერელებმა იგი საკონცენტრაციო ბანაკში არ ჩააგდესო. ახლა კი თვითონ გახდა ბურგომისტრი. დიახ, სწორედ თვითონ... თავისი ამხანაგების სახელით...

ეტყობოდა, რომ გენერლის ვარაუდი სავსებით სწორი იყო. უდავოა, ქალაქში არსებობს და მოქმედობს კომუნისტების ორგანიზაცია. სხვას არავის შეეძლო დაედგა ეს ძეგლი მოედანზე. მხოლოდ მათ შეეძლოთ ასე ორგანიზებულად ჩაეტარებინათ ლენინის ძეგლის გახსნა.

ლეიტენანტს კარგად ესმოდა, რომ დგამდნენ რა ძეგლს გერმანელი მუშები, ამერიკელებს არ მოელოდნენ ქალაქში. აშკარაა, მათ იმედი ჰქონდათ, რომ მოვიდოდნენ საბჭოთა ჯარები.

მერე კოროლევმა მოიგონა მართას ნაამბობი გრიუნვალდის შესახებ და აღნიშნა, რომ იგი ახლაც ქალაქის ბურგომისტრიაო. ნუთუ არ შეიძლება ვისარგებლო ამ გარემოებით და დავუკავშირდე მას? საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელსაც ხომ შეიძლება ჰქონდეს ბურგომისტრთან სავსებით ოფიციალური საქმეებიო.

კოროლევი ჩაფიქრდა და გაიარ-გამოიარა ოთახში. მერე ისევ მიუჯდა მაგიდას და იკითხა:

— ერთი ეს მითხარით, მართა, შეგიძლიათ თუ არა ახლა იპოვოთ ის რიჰარდ გრიუნვალდი?

—რა თქმა უნდა, — მიუგო გერმანელმა ქალმა ისე, რომ შეკითხვისთვის მნიშვნელობა არც კი მიუცია.

კოროლევმა რამდენიმე სიტყვა დაწერა ბლოკნოტის ფურცელზე და თქვა:

— ამხანაგო სამოჟუკო, თქვენ მაგისტრატში უნდა შეიაროთ; თუ იქ არავინ დაგიხვდათ, მაშინ ბურგომისტრ რიჰარდ გრიუნვალდის ბინაში მიხვალთ და ამ წერილს გადასცემთ. მართა გამოგყვებათ. ამ დავალების შესახებ ახლავე გავაფრთხილებ შტაბის მორიგეს.

ტელეფონის ყურმილი აიღო, შტაბში დარეკა და მორიგე ოფიცერს აცნობა, რომ სერჟანტ სამოჟუკს ვგზავნი მაგისტრატთან და ამის შესახებ მაიორი ტილდენი მინდა გავაფრთხილოო.

მორიგემ სწრაფად დააკავშირა იგი ტილდენთან. ლეიტენანტმა მაიორი წინასწარ გააფრთხილა: დროებით ბურგომისტრს მინდა ვაცნობო ჩემი მისამართი და ტელეფონის ნომერი, იმ შემთხვევისათვის, რომ შესაძლოა საბჭოთა ქონების ან საბჭოთა ადამიანების ბედთან დაკავშირებული რამე საქმე წამოიჭრასო. ტილდენი გამოეხმაურა მოკლე და ცივი რეპლიკით: „ო-კეი!“ და ყურმილი დადო.

კოროლევმა გაიღიმა და, როცა სამოჟუკს წასვლის წინ სიტყვას ეუბნებოდა, უბრძანა. გერმანელებთან არავითარ ლაპარაკში არ ჩაბმულიყო, მხოლოდ წერილი უნდა ჩაებარებინა ბურგომისტრისათვის.

სერჟანტმა კონვერტი ჯიბეში ჩაიდო და მართასთან ერთად სახლიდან გავიდა.

თავი მეათე

იმ საღამოს რიჰარდ გრიუნვალდთან ბინაში თავი მოიყარეს მისმა ამხანაგებმა. იაკობ ზონე მოწყენილი და გაღიზიანებული მოვიდა. მისი აზრით, ძეგლის გახსნა ნაჩქარევად მოუვიდათ. როგორც თვითონ ფიქრობდა, ამერიკელ გენერალს დიდად არ მოეწონა იმ დღის ცერემონია და შეეძლო ბრძანება გაეცა. მისი მოხსნის შესახებ. ზონე ყველაფერში ამტყუნებდა რიჰარდ გრიუნვალდს, რომელიც თითქოს ტყუილუბრალოდ აჩქარდა. ცალხელა კრიმიც ამ აზრისა იყო. ისინი მოვიდნენ გრიუნვალდთან, რათა მიეცათ წინადადება: ძეგლი იმავე ღამეს მოეხსნათ და ხელახლა დაემალათ.

გრიუნვალდების პატარა ოთახში სივიწროვე იყო. მეგობრები ისხდნენ სკამებზე. დახეულ სავარძლებზე, საწოლზე. საუბრობდნენ ხმადაბლა, ისე თავდაჭერილად, რომ შორიდან შემხედვარეს ეგონებოდა, თითქოს ჩვეულებრივი ამხანაგური საუბრისათვის შეყრილანო.

რიჰარდ გრიუნვალდი შესცქეროდა თავის ცოლს, ამხანაგებს, მათს მოწყენილ, დატანჯულ სახეს და ახლა, როცა გერმანიაში მოვიდნენ ამერიკელები, მუშაობის ახალ მეთოდებზე ფიქრობდა. იცოდა, რომ ყველა მისი ამხანაგი მშიერი იყო, ამერიკელების ხელისუფლება არც კი ფიქრობდა იმაზე, რომ მოსახლეობაში სურსათის განაწილება მოეწყო. იცოდა აგრეთვე ისიც, რომ ჰიტლერის წინააღმდეგ ბრძოლაში გამობრძმედილი ეს ადამიანები ახლა უკან კი აღარ დაიხევდნენ, არამედ ბოლომდე იბრძოლებდნენ. მათი ბრძოლის სიმბოლო, მათი ბრძოლის ალამი გახდა ლენინის ძეგლი.

გრიუნვალდმა მოისმინა წინადადება ძეგლის აღების შესახებ და ჩაფიქრდა. იგი მთელი არსებით წინააღმდეგი იყო. არა. არავითარ შემთხვევაში! ძეგლი უნდა იდგეს იქ, სადაც ის დადგმულია, მოედანზე, რატუშის წინ, ის უნდა იყოს სიმბოლო მუშათა ძლიერებისა. მათი გამარჯვების ნებისყოფისა. ის უნდა მოუწოდებდეს მომავალი ბრძოლისაკენ. რიჰარდს მოაგონდა ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებიც გერმანელ მუშებთან ერთად „ინტერნაციონალს“ მღეროდნენ მოედანზე. არა. არავითარ შემთხვევაში არ მისცემს ნებას აიღონ ძეგლი.

ასეთი აზრი უტრიალებდა თავში რიჰარდ გრიუნვალდს, ვიდრე იაკობისა და ჰორსტის მსჯელობას უსმენდა.

— ჩვენთვის ეს უბრალო ძეგლი კი არ არის, — ამბობდა ჰორსტი, თან იქნევდა ერთადერთ უზარმაზარ ხელს, — ჩვენთვის ეს ბრძოლის სიმბოლოა, ჩვენი დროშაა...

— სწორედ ამიტომ, — გააწყვეტინა გრიუნვალდმა, — დანაშაული იქნება, დავკეცოთ დროშა მაშინ, რაცა ბრძოლა გრძელდება. ახლა ძეგლის მოხსნა ნიშნავს საკუთარი დამარცხების აღიარებას, ამერიკელი გენერლის წინააღ ქედის მოხრას, გაცემას ყველაფერი იმისას, რისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით და საფრთხეში ვიყავით რამდენიმე თვის განმავლობაში.

— მაშ, შენ გინდა ამერიკელებს საშუალება მისცე, მოსპონ ძეგლი? — შეეკითხა იაკობი. ამ სიტყვებით მან თითქოს ხელი გაარტყა გრიუნვალდს. მერე შემობრუნდა მისკენ, უნდოდა ძალიან მკვახედ ეპასუხა, მაგრამ თავი შეიკავა.

— ძეგლის მოსპობა, — მიუგო გრიუნვალდმა, — ადვილი საქმე როდია. და რაც დრო გავა, მით უფრო გაძნელდება. სულ უფრო ფართოდ გავრცელდება ხმა ამის შესახებ გერმანიის ქალაქებში. ყოველი დღე — ჩვენი ახალი, დიდი გამარჯვებაა, ამხანაგებო. ყოველი ამერიკელი ჯარისკაცი ძეგლის ახლოს — ესეც ჩვენი გამარჯვებაა. ჩვენ უფლება არა გვაქვს ეს შესანიშნავი სახე წავართვათ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთ სიცოცხლეში პირველად ნახეს ლენინი.

და უცებ, ერთბაშად ყველას ისე მოეჩვენა, თითქოს არც კი იყო მერყეობის ეს წუთი, თითქოს არც არავინ იძლეოდა ძეგლის მოხსნის წინადადებას.

— ჩვენ უნდა მოვიფიქროთ, როგორ ვიმოქმედოთ მომავალში, — თქვა ჰორსტ კრამმა. — მოედნის ახლოს ყოველთვის უნდა იყვნენ ჩვენი ადამიანები. მოედანზე ხშირად გამოსვლა უხერხულია, მაგრამ ჩვენი თვალები ყოველთვის უნდა ხედავდნენ ლენინს. და თუ რაიმე საეჭვო მდგომარეობა წამოიწყო, დაუყოვნებლივ ყველა ერთად უნდა გამოვიდეთ. ამერიკელები ვერ გაბედავენ ამ ამბის ირგვლივ დიდი ხმაურობის ატეხას. თუ ჩვენ ფხიზლად ვიქნებით, ლენინის ძეგლი მოედანზე დარჩება.

გრიუნვალდმა დანიშნა მორიგეობა, დააწესა სიგნალი, რომლის მიხედვით მთელს ორგანიზაციას დაუყოვნებლივ თავი უნდა მოეყარა. მან ყოველივე ეს დიდი ხანია მოიფიქრა და ახლა ამხანაგებთან რჩევა-დარიგებით ამოწმებდა თავის გადაწყვეტილებას.

შესასვლელ კარებზე მოულოდნელად გაისმა ძლიერი კაკუნი.

— პოლიციაა, — წაიჩურჩულა ჰერტრუდამ.

— პოლიცია გაიფანტა. — თქვა ჰორსტმა.

— ამერიკელები იქნებიან, — გამოთქვა თავისი ვარაუდი იაკობმა.

— ყველაფერი შეიძლება, — ნელა თქვა გრიუნვალდმა.

კაკუნი განმეორდა.

— გავუღო? — იკითხა ჰერტრუდამ.

— გასაქცევი არსად გვაქვს, გააღე!

ჰერტრუდა კართან მივიდა, წუთით ზღურბლზე შედგა, სინანულითა და აღშფოთებით გამოხედა ქმარს და დერეფანში მიიმალა.

ოთახში მსხდომთ უცნობი ქალის ხმა შემოესმათ. გრიუნვალდმა დამშვიდებით ამოისუნთქა.

ნახევრად ბნელოდა. ელექტრონს ჯერ არ ანთებდნენ და უფარდო ფანჯარაში ქუჩის ფარნის მკრთალი შუქი შემოდიოდა.

— ელექტრონი ჩართეთ, — თქვა გრიუნვალდმა.

ვიღაცამ გაატკაცუნა ჩამრთველი. მოულოდნელი კაშკაშა შუქის გამო ყველამ თვალი მოუტა. როცა გრიუნვალდმა თვალი გაახილა, შუა ოთახში მორცხ-

ვად და გულთბილად მოღიმარი საბჭოთა სერჟანტი დაინახა. მის გვერდით იდგა გრიუნვალდის ძველი ნაცნობი ქალი — მართა, რომელიც ინტერესით შესცქეროდა ამ საერთო არევ-დარევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რუსმა ლეიტენანტმა, — ხმამაღლა წარმოთქვა მართამ, თან აშკარად ეტყობოდა, რომ ამაყობდა კიდეც თავისი ამ როლით, — მიბრძანა თქვენთან მომეყვანა თავისი სერჟანტი; იგი მოგმართავს შენ, რიჰარდ, როგორც ქალაქის დროებით ბურგომისტრს. ბატონ სერჟანტს თქვენთვის წერილი აქვს.

— საღამო მშვიდობისათ, — დამტვრეული გერმანულით წარმოთქვა სამოჟუკმა, — რომელია აქ ბურგომისტრი?

— მე. — მიუგო გრიუნვალდმა.

სერჟანტმა მას კონვერტი გაუწოდა.

იური სამოჟუკი ინტერესით შესცქეროდა გერმანელებს, რომლებსაც თავი მოეყარათ ამ პატარა, ღარიბულად მორთულ ოთახში.

სამოჟუკისათვის წინათ „გერმანელი" იყო გაბზოგადოებული სიტყვა. ეს შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მტერი, და ის უნდა მოსპობილიყო. სიტყვები „გერმანელი" და „ჰიტლერელი" მის შეგნებაში დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ ახლა, აისბორნში მცირე ხანს ყოფნისა, ძეგლის გახსნისა და მართასთან საუბრის შემდეგ სამოჟუკმა აშკარად გაიგო, რომ გერმანელები არიან სხვადასხვაგვარნი და ყველასთან ერთნაირად მიდგომა უკვე აღარ შეიძლება.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ასე დაინტერესებით ათვალიერებდა იგი გრიუნვალდს — აისბორნის ბურგომისტრს, და თუ მართას სიტყვებს დაეჯერებოდა — ძველ მუშა-კომუნისტს. ამ მუშის ენერგიული სახე მოეწონა სამოჟუკს. ასეთი სახე აქვთ ხოლმე იმ ხელოსნებს, რომლებმაც მთელი სიცოცხლე გაატარეს მეტალურგიულ ქარხნებში, გავარვარებულ ლითონთან.

იურიმ უმალვე მიაქცია ყურადღება ცალხელა ჰორსტ კრამს; მან ხელის ნაცვლად პროტეზი დაინახა, ძალიან გააკვირვა კრამის ხელისგულის სიდიდემ, ხელისგულისა, რომლითაც ის მაგიდაზე იყო დაყრდნობილი.

მერე ზონესა და სხვა გერმანელ ამხანაგებს გადახედა და შენიშნა საერთო ხასიათი, რაც აერთებდა ამ ოთახში თავმოყრილ ადამიანებს, — ყველას თვალებში მოლოდინის ისეთი დაძაბული, ჩაუქრობელი ცეცხლი ენთო, თითქოს დიდი ხანია მოელოდნენ სამოჟუკის გამოჩენას და დახმარებას.

იურიმ სწორედ მაშინ შეხედა რიჰარდ გრიუნვალდს, როცა იგი უკვე ამთავრებდა წერილის კითხვას. პირველ წამში გრიუნვალდის სახეზე ერთგვარი გულგრილობა გამოისახა.

— რა უნდა ვუპასუხო ლეიტენანტს? — შეეკითხა სერჟანტი.

— არაფერი. ეს ბრძანებაა, ხოლო ბრძანებაზე პასუხს არ აძლევენ, მას ასრულებენ!

— მაშ, კარგი, — მიუგო სერჟანტმა. — კარგად იყავით.

მართასთან ერთად ჩქარა გავიდა მეტად კმაყოფილი იმით, რომ მოახერხა გრიუნვალდის პოვნა და თვისი ლეიტენანტის წერილის გადაცემა მისთვის.

როცა მათი გასვლის შემდეგ ჰერტრუდამ კარი მიხურა, ოთახში შემობრუნდა, იქ სიჩუმე იყო. ყველანი მაგიდაზე დადებულ ქაღალდს მისჩერებოდნენ.

ჰერტრუდამ ხმამაღლა წაიკითხა:

— „ქალაქ აისბორნის დროებით ბურგომისტრს! ყველა შემთხვევაში, რომელსაც რაიმე დამოკიდებულება ექნება საბჭოთა მოქალაქეებთან ან საბჭოთა კავშირის კუთვნილ ქონებასთან, თქვენ ვალდებული ხართ მიმართოთ მე, ყოველთვის — დღისითაც და ღამითაც. ლეიტენანტი კოროლევი“.

ამის შემდეგ მიწერილი იყო მისამართი და ტელეფონის ნომერი.

— ოფიციალური წერილია, — ნელა წარმოთქვა გრიუნვალდმა. — იმედი მქონდა, რამე მხარდაჭერას მივიღებდით. თურმე ნუ იტყვით, ჩვენი დამოკიდებულება შეიძლება მხოლოდ ოფიციალური იყოს.

— ცხადია, — მოწყენით თქვა ჰორსტმა.

ჰერტრუდა კი შესცქეროდა ქაღალდს და დაძაბულად ფიქრობდა იმაზე, თუ რას ნიშნავს სიტყვები: „ყოველთვის — დღისითაც და ღამითაც“.

და რაც უფრო მეტს ფიქრობდა ჰერტრუდა, მით უფრო ნათელი ხდებოდა მისთვის წერილის ფარული აზრი.

დიახ, ლეიტენანტი სწორედ ლენინის ძეგლს გულისხმობდა, როცა იგი წერდა საბჭოთა კავშირის კუთვნილ ქონების შესახებ. მან სწორედ გრიუნვალდზე გაიფიქრა, წერილიც მას გამოუგზავნა და, არა ამერიკელებს.

— რა მოგივიდა ჰერტრუდა? — შეეკითხა მისი დიდი ხნის სიჩუმით გაკვირვებული რიჰარდი.

— ვფიქრობ, რომ თქვენ ვერაფერი გაიგეთ, — დარწმუნებით უთხრა ჰერტრუდამ, — თქვენ გთავაზობენ დახმარებას, ნებას გაძლევენ მიმართოთ, როცა გნებავთ, ღამითაც კი, თქვენ უბრალოდ ბრძანებას გაძლევენ: დაიცვათ ძეგლი და დაუყოვნებლივ აცნობოთ, თუ მას საფრთხე დაემუქრება. აბა, ყურადღებით დაუფიქრდით მინაწერს: „ყოველთვის—დღისითაც და ღამითაც“, დაუფიქრდით დროის შესახებ, იმის შესახებაც, თუ ვის მოუტანეს ის. ეს ოფიციალური წერილი როდია. მისი ნამდვილი აზრი მხოლოდ ოფიციალური ფორმითაა შენიღბული. მერწმუნეთ რომ ახლა ქალაქში ჩვენ ყველაზე საიმედო მხარდაჭერა გვაქვს.

ჰერტრუდას სიტყვებმა თავდაპირველად ცხოველი დავა გამოიწვია. ყველანი როდი ემხრობოდნენ იმას, რომ სწორედ ასე ყოფილიყო გაგებული საბჭოთა ლეიტენანტის წერილი, მაგრამ ძალიან დიდი სურვილი ჰქონდათ, ეგრძნოთ დახმარების საიმედო ხელი.

გვიან დაიშალნენ, თითო-თითოდ, ცდილობდნენ, არ მიექციათ ამერიკელი გუშაგების ყურადღება.

გრიუნვალდების ოთახში შუქი კიდევ დიდხანს ენთო. მაგიდაზე დახრილი რიჰარდი წერდა ფურცელს იმის შესახებ, თუ ვინ არის ლენინი, წერდა მისი სახელოვანი მეგობრისა და მისი საქმეების გამგრძელებლის — გენიალური სტალინის შესახებ, დიდი და ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის შესახებ. მეორე დღეს ეს ფურცელი უნდა გამოჩენილიყო მოედანზე, ძეგლის გვერდით და ქალაქის ყველა ქუჩაზე.

რიჰარდი დიდხანს წერდა. ფანჯარა შეფერადდა, მერე ცის კიდეს შუქი მოეფინა. ჰერტრუდა კი ქმრის გვერდით იჯდა, შესცქეროდა, რა ნელა მოძრაობდა კალამი ქაღალდზე. ხანდახან გადახედავდა ხოლმე იქვე მაგიდაზე მდებარე კოროლევის წერილს და ისეთი გრძნობა შეიპყრობდა, თითქოს მის გვერდით იყო ისეთი გიგანტური ძალა, რომლის დაძლევა არავის შეეძლო.

თავი მეთერთმეტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით, ტილდენი შევიდა თუ არა თავის კაბინეტში, უცებ კარებში გამოჩნდა ლეიტენანტი ვილიამ ბრედოუს შეშფოთებული და შეშინებული სახე.

ისინი არ იყვნენ მეგობრები, თუმცა უკვე საკმაოდ დიდი ხანია იცნობდნენ ერთმანეთს. ლეიტენანტი მსახურობდა საავიაციო პოლკში.

ომი ძალიან მოსწონდა ლეიტენანტ ბრედოუსს. საერთოდ, ნანობდა კიდეც, რომ ის ასე ჩქარა დამთავრდა და ვერ მოახერხა იმაზე მეტის მოხვეჭა, რაც მოასწრო. ვილიამ ბრედოუს აზრით, ომი წარმოებდა მხოლოდ იმისათვის, რომ მას ხელი მოეთბო დარბეულ ქვეყნებში სიგარეტებითა და შოკოლადებით სპეკულაციის წარმოებით.

გერმანიაში ლეიტენანტმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ხელოვნების მიმართ. კერძოდ, იგი დაინტერესდა სურათით, სკულპტურითა და უძველესი წიგნებით. ბრედოუ სრულიად არ ზრუნავდა შეესწავლა, გაერჩია რაფაელი, რომელიმე უნიჭო თხუპნიასაგან ან კლოპშტოკის თხზულებანი — ვილტერის წიგნებისაგან. სამაგიეროდ, იცოდა, თუ რა ძვირი ღირდა ამერიკაში ევროპიდან გატანილი სურათები. იგი სკივრებით გზავნიდა სურათებს ოკეანის გადაღმა. ამ სურათებს ღებულობდა მისი ძმა ვილიამ ბრედოუ-უფროსი, რომელიც იწვევდა კონსულტანტებს და მიღებულ სურათებს საკმაოდ მაღალ ფასებში ყიდდა. მართალია სურათების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაგდება უხდებოდა, იმიტომ, რომ ბრედოუ-უმცროსი იღებდა ყველაფერს, რაც კი მოხვდებოდა ხელში, მაგრამ სკივრებში უგემოვნო ოლეოგრაფებისა და იაფფასიანი რეპროდუქციების გვერდით, ზოგჯერ ხვდებოდა ხოლმე ხელოვნების ძვირფასი ნაწარმოებებიც. ძმებმა ბრედოუებმა მნიშვნელოვანი საოკუპაციო ბიზნესი მოაგვარეს.

საავიაციო პოლკსა და გროულის დივიზიაში არავინ სჯიდა ლეიტენანტის დამრბევ მოღვაწეობას; ოფიცრები, თითქმის ყველანი, ვაჭრობდნენ. განსხვავება იყო მხოლოდ ვაჭრობის გაქანებასა და მასშტაბში. ლეიტენანტი ბრედოუ ღებულობდა და აწარმოებდა სიგარეტების გადაყიდვას დიდ პაკეტებში, მაიორი ტილდენი კი — მთელი ყუთობით ყიდიდა.

ტილდენი ლეიტენანტის სახის გამომეტყველებით მიხვდა, რომ რაღაც სერიოზული ამბავი დატრიალდა. ბრედოუმ უმალვე დაიწყო ლაპარაკი.

იგი მოვიდა მაიორთან მხოლოდ იმიტომ, რომ სჯერა მისი. თავის პოლკში არ სურს. მიმართოს ვინმეს ამ საქმეზე. ეს საქმე კი მეტად მნიშვნელოვანი და გადაუდებელია. ბრედოუმ ჯიბიდან ამოიღო პატარა ფურცელი.

მაიორი პირველი სტრიქონის წაკითხვისთანავე გაფიცხდა, მაგრამ ჩქარა მოიკრიბა გონება და ფურცელი ბოლომდე ჩაიკითხა. დიახ, ლეიტენანტ ბრედოუს ყოველგვარი საფუძველი გააჩნდა აღელვებულიყო.

უხეშ, რუხ ფურცელზე მოთხრობილი იყო ამბავი ლენინის ძეგლის შესახებ, იმის შესახებ, თუ ვინ არის ლენინი, როგორ მოახდინა მან სტალინთან ერთად რევოლუცია რუსეთში და შექმნა საბჭოთა კავშირი. ამერიკელ ჯარისკაცებს ეპატიჟებოდნენ, მოედანზე მისულიყვნენ და ენახათ ლენინის ძეგლი.

— სად აიღეთ თქვენ ეს ფურცელი? — მრისხანედ შეეკითხა მაიორი.

— ამ ფურცლებს ურიგებდნენ ჩვენს ჯარისკაცებს, ძეგლის გვერდით, — მიუგო ბრედოუმ. — ეს კი ვიპოვე ოთახში, სადაც ჯარისკაცები და სერჟანტე-

ბი ბანქოს თამაშობენ ხოლმე. ვინ მოიტანა, ამისი გაგება ვერ მოვახერხე, რ ს შირჩევთ, მაიორო?

— ბრედოუ, გთხოვთ დაკვირვებით თვალყური ადევნოთ ... რაც კი თქვენს გარშემო ხდება. უწინარეს ყოვლისა, დააკვირდით იმ ადამიანებს, რომლებიც ქალაქში იყვნენ და ნახეს ძეგლი.

— კი მაგრამ, ქალაქში მთელი პოლკი იყო.

— მაშინ დაუცადეთ ჩემს მითითებებს. — ნერვულად წარმოთქვა ტილდენმა. — ეტყობა, ბევრმა ჩვენმა ჯარისკაცმა უკვე წაიკითხა ეს ფურცელი, ისინი სურათებსაც იღებენ ძეგლთან. ამისი აკრძალვა კი შეუძლებელია, მაგრამ რამეს მოვიფიქრებ. აუცილებლად უნდა მოვიფიქროთ რამე, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ყველაფერი ეს ცუდად გათავდეს.

ლეიტენანტი ბრედოუ თავის პოლკში წავიდა, მაიორი ტილდენი კი კაბინეტში ჩაიკეტა და ფიქრებში ჩაეფლო; რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო რთულად ესახებოდა თვალწინ მისი საკუთარი მდგომარეობა. რა თქმა უნდა, შეიძლება მივიდეს გენერალთან, მოახსენოს ყოველივე ეს და, ამგვარად, მოიხსნას პასუხისმგებლობა, მაგრამ რას მისცემს ეს? გენერალი გროული გამოდგება მხოლოდ პრესკონფერენციებისა და პარადებისათვის, სულ ერთია, ქმედით ზომებს მაინც ვერ მიიღებს. ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩება, საჭიროა უფრო რადიკალური რამ მოიფიქროს.

და აი, ბოლოს და ბოლოს, მაიორმა ტილდენმაც მოიფიქრა. კალამი აიღო და დიდხანს წერა. მერე თავისი პატაკი და ფურცელი პაკეტში ჩადო და დალუქა.

დასმენების წერაში მაიორ ტილდენს მცირე პრაქტიკა როდი ჰქონდა მიღებული; კაცმა რომ თქვას, განსაკუთრებული ტალანტი, ან პირადი ღირსებები როდი იყო მიზეზი იმისა, რომ კანტორის ჩვეულებრივი კლერკი — ჰენრი ტილდენი მოკლე დროში გახდა ოფიცერი, და ისიც, არა უბრალო ვინმე, არამედ დაზვერვის მაიორი.

სამსახურში ასე სწრაფად წინ წაწევის საიდუმლოება მდგომარეობდა სწორედ იმაში, რომ ტილდენს კარგად და დროულად ეხერხებოდა დასმენების წერა.

მაიორი ღრმა საიდუმლოებით მოცულ პირობებში აწარმოებდა თავის გამცემლურ მუშაობას და მის მიერ მსხვერპლად განწირულებმა ჩვეულებრივად არ იცოდნენ, ვინ იყო მათი განადგურების მიზეზი. თავიანთი წარუმატებლობის შესახებ ისინი შესჩიოდნენ თვითონ ჰენრი ტილდენს და ემშვიდობებოდნენ მას, როგორც საუკეთესო მეგობარს.

გენერალმა გროულიმ ზოგი რამ იცოდა თავისი დაზვერვის უფროსის დასმენების შესახებ, მაგრამ გროული თვითონაც არ თაკილობდა დასმენების წერას. ამიტომ აფასებდა და პატივს სცემდა კიდეც ტილდენს. და აი, ახლა მაიორი ტილდენი ემზადებოდა იმისათვის, რომ მისი მოფერების სამაგიერო არაკეთილსინდისიერი მადლობით მიეზღო.

დასმენა გენერალ გროულზე დაწერილი და გამზადებული იყო გასაგზავნად. მაიორი ბრალს სდებდა გენერალს მრავალრიცხოვან შეცდომებსა და ჩავარდნებში, აგრეთვე უმოქმედობაში; გენერალს მიაწერდა ლენინის ძეგლის გახსნას, ცნობას იძლეოდა, აგრეთვე, ჯარში ფურცლების გავრცელებისა და გენერლის სრული უუნარობის შესახებ. კომუნისტური პარტიის აგიტაციისა

და იატაკქვეშ მუშაობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ქალაქ აისბორნში... ერთი სიტყვით, დასმენა გამოვიდა დასაბუთებული და დამაჯერებელი.

ვიდრე ამერიკის დივიზიის შტაბში ვითარდებოდა ეს დაძაბული, მაგრამ გარეგნულად შეუმჩნეველი ინტრიგა, ლეიტენანტი კოროლევი გაფრინდა ელბას გაღმა და თავის გენერალს უამბო ყველაფერი, რაც უკანასკნელად მოხდა.

გენერალი უდიდესი ყურადღებით უსმენდა. მის წარმოდგენაში გამოისახა პატარა ქალაქის მოედანი. გონების თვალით დაინახა ლენინის ძეგლი და ამერიკელი ჯარისკაცები გრანიტის მაღალ კვარცხლბეკის გარშემო. სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ აქ, გერმანელთა ამ დამარცხებულ პატარა ქალაქში, ბევრმა ამერიკელმა პირველად გაიგოს დიდი სიმართლე ლენინის, რევოლუციისა და საბჭოთა კავშირის შესახებ. უნდათ მათ ეს თუ არა, ერთი რამ მაინც უდავოა, მათ შეგნებაში კვალი მაინც დარჩება. ნაამბობი ამ ძეგლის, გერმანელი მუშების და ლენინის შესახებ მიაღწევს ამერიკამდე.

გენერალს კი აინტერესებდა არა მარტო ამერიკელი ჯარისკაცები. აწარმოებდა რა ომს, იგი ფიქრობდა მშვიდობაზე, იმ სახელმწიფოზე, რომელიც უნდა აღმოცენებულიყო ჰიტლერული გერმანიის ნაცვლად. გენერალს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ახალი, ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო ევროპის ცენტრში. ეს კი ნიშნავდა, პირველ რიგში, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

ევროპის ისტორიაში გერმანია არასოდეს არ ყოფილა მშვიდობისმოყვარე. ტევტონელი რაინდები, პრუსიელი მემამულეები და რურელი მაგნატები ყოველთვის მიილტვოდნენ, რათა დაეპყროთ არა მარტო მეზობლები, არამედ მთელი მსოფლიოც კი, და ყოველთვის მარცხდებოდნენ. თავის დროზე ევროპის ყველა ქვეყანამ განიცადა გერმანელების თავდასხმა. თვით სიტყვა „გერმანელი" რაღაც გინებისმაგვარ სიტყვად გადაიქცა.

ახლა ამ სიტყვას უნდა მიეღო სულ სხვა აზრი. ევროპის ცენტრში უნდა შექმნილიყო მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო ხანგრძლივი, საიმედო მშვიდობიანობის უზრუნველყოფა ევროპის მთელ კონტინენტზე.

ხოლო იმისათვის, რომ შეიქმნას ასეთი სახელმწიფო, საჭიროა ადამიანები, ახლებურად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც ილტვიან, რათა იხილონ ერთიანი დემოკრატიული გერმანია. ასეთი ადამიანების გარეშე გერმანიას ძალე როდი შეუძლია გახდეს ნამდვილად მშვიდობისმოყვარე. არიან ასეთი ადამიანები, და ისინი გადაწყვეტენ კიდეც თავიანთი ქვეყნის მომავალს.

— ამგვარად, ამხანაგო კოროლევ, — ამბობდა გენერალი, — დაუყოვნებლივ დაბრუნდით და განაგრძეთ თვალ-ყურის დევნება. არაუგვიანეს ორი დღისა ამერიკის არმია დაიწყებს უკან დახევას. პირობები უკვე განსაზღვრულია. ამერიკელები იხევენ ქალაქ აიზენახს იქით; ხოლო მთელს ტიურინგიას გვიტოვებენ ჩვენ. მაშასადამე, აისბორნი გადმოვა ჩვენს ზონაში. მასზე გადის ძირითადი გზა, რომელზედაც იმოძრავებს ამერიკის არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ლენინის ძეგლი ადგილზე უნდა დარჩეს. ამერიკელმა ჯარისკაცებმა უნდა ნახონ იგი. თქვენ, როგორც მეკავშირე ოფიცერს, გეკრძალებათ რაიმე ხასიათის მუშაობის წარმოება მოსახლეობაში, მაგრამ ძეგლის ბედის საქმეში ჩარევა, ძეგლისა, რომელიც გვეკუთვნის, ჩვენ. — თქვენ უფლება გაქვთ და, ვალდებულიც ხართ, გაუკეთოთ ის. გისურვებთ წარმატებას და, იმედი მაქვს, დავალებას თავს გაართმევთ.

აისბორნში დაბრუნებისთანავე კოროლევი გამოცხადდა ტილდენთან, გადასცა მას სარდლობის პაკეტი და საკმაოდ დიდხანს ესაუბრა იმ იმედით, რომ გამოერკვია: იცოდა, თუ არა რამე მაიორმა ამერიკელების უკან დახევის ვადების შესახებ. მაგრამ მაიორი უაღრესად თავშეკავებული იყო, საუბრობდა მეტად ცივად და ლეიტენანტი მიხვდა, რომ მისგან ვერაფერს გაიგებდა, დაეშვიდობა, შტაბიდან გამოვიდა და ძეგლისკენ გაემართა.

კოროლევს გაუკვირდა, მოედანი ცარიელი იყო! დაინახა თუ არა მდინარის პირას გუშაგი, ცოტა მოშორებით კი — ამერიკის პოლიციის თეთრი მუზარადები, ლეიტენანტი მიხვდა, რომ ამერიკელთა სარდლობას გადაეწყვიტა თავიანთი ჯარისკაცები არ გამოეშვა ძეგლისაკენ. რა ვუყოთ მერე, ეს კიდევ უკეთესია, აკრძალული ხილი უფრო გემრიელია. ახლა, ალბათ, მთელი დივიზია ძეგლის შესახებ ლაპარაკობს.

რაღაც წითელი მოჩანდა ძეგლის ძირში და ლეიტენანტმაც გადაწყვიტა, ახლოს მისულიყო. ამერიკელმა გუშაგმა გულგრილად მისცა მხედრული სალამი. მას არ აინტერესებდა რუსი ოფიცერი: ნაბრძანები ჰქონდა, შეეკავებინა მხოლოდ ამერიკელი ჯარისკაცები და გაერეკა გერმანელები.

კოროლევი ძეგლთან მივიდა, მის ძირში მოჩანდა წითელი ვარდების თაიგული. „ვინ მოიტანა აქ ეს ყვავილები? — გაიფიქრა კოროლევმა. — ვინ დადო ისინი აქ? ვინ გამოიჩინა ასეთი გამბედაობა, ვინ ირისკა ეს სამკვდრო-სასიცოცხლო საქმე? როგორ მოვძებნო ის ადამიანები?“

საბჭოთა ოფიცერმა ღრმა მღელვარება იგრძნო. ეჩვენებოდა, თითქოს ეს მოკრძალებული ყვავილები მოტანილია არა მარტო ლენინთან, არამედ ისინი მიეძღვნება მთელს საბჭოთა კავშირს, როგორც იმედისა და სიყვარულის სიმბოლოს.

როგორ უნდოდა სცოდნოდა, ვინ მოიტანა სწორედ ის დიდი, ალისფერი ვარდი, რომელიც ახლა იდო სხვებისაგან გამოცალკევებით ხორკლიან ასფალტზე, ზედ გრანიტის კვარცხლბეკთან. იქნებ, ამერიკელი გუშაგისაგან შეშინებულმა რომელიმე გულადმა ანტიფაშისტმა ქალიშვილმა სწრაფად დადო ის აქ, ღამით.

ეს ადრეული ვარდისფერი მიხაკები ალბათ, რომელიმე ხანში შესულმა დარბაისელმა გერმანელმა მოიტანა. მას კოხტად ჩაეწყო ყვავილები წყლით სავსე პატარა ბოთლში, რომ ჩქარა არ დამჭკნარიყო მის მიერ მოტანილი მიხაკები. გერმანელი ალბათ დიდხანს ტრიალებდა ძეგლის გარშემო, უთვალთვალებდა, როდის გავიდოდა მოედნიდან ამერიკელი გუშაგი, და მხოლოდ მერე ჩამოდგა ბოთლი წინასწარ მიჩნეულ ადგილას.

ეს ვარდების დიდი თაიგული! იქნებ ის აქ დადვეს იმ მუშებმა, რომლებმაც შეინახეს ძეგლი. თაიგულს მიკრული ჰქონდა ბარათი. ალბათ ეს იყო მისალმება დიდი ლენინისადმი. ქაღალდი ვიღაცას ჩამოეხია. საფიქრებელია, რომ ის ჩამოხიეს თვითონ ამერიკელებმა. თაიგულს ქაღალდის მხოლოდ მცირე ნახევი შერჩენოდა.

ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც ძეგლთან დადეს ყვავილები, მხოლოდ ერთი რამ იყო მნიშვნელოვანი, სახელდობრ ისა, რომ საბჭოთა ოფიცერს კოროლევს ქალაქში ჰყავდა მეგობრები, რომლებთანაც შეხვედრა უსათუოდ მოუხდებოდა. მათი მოსპობა შეუძლებელი იყო, რამდენი გუშაგიც არ უნდა დაეყენებინათ ამერიკელებს.

თავი მეთოთრმეტე

ამერიკის ჯარების მოსვლის შემდეგ ქალაქ აისბორნის მუშათა უბნებში შიმშილობა დაიწყო. თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ მცხოვრებლებს გარდა ოკუპანტებისათვის განსაკუთრებით საჭირო პირებისა, ჯერ კიდევ არც ერთი გრამი პური არავის მიუღიათ. ამერიკელთა ხელისუფლებას ეგონა, სულ ერთი იყო, იცოცხლებდნენ, თუ შიმშილით დაიხოცებოდნენ ამ მუშათა ქალაქში მცხოვრები გერმანელები.

დივიზიის შტაბის გვერდით პირველ დღიდანვე გაჩნდა შავი ბაზარი, სადაც ამერიკელი ოფიცრები და ჯარისკაცები გერმანელებს ძვირფას ნივთებში უცვლიდნენ შოკოლადს, კარაქსა და სიგარეტებს. აქ მოდიოდნენ მხოლოდ ისინი, რომლებსაც ჰქონდათ ოქრო, ბრილიანტები და სურათები. რა შეეძლო გაეტანა ბაზარში რიჰარდს, თუ გესტაპოში მისი ყოფნის დროს ჰერტრუდამ საბანიც კი გაჰყიდა? აისბორნში კი უმრავლესობა რიჰარდისთანა იყო.

ქალაქში მცხოვრებთაგან ბევრი ვარაუდობდა, რომ ახალი მაგისტრატის შექმნასთან დაკავშირებით, ბოლოს და ბოლოს, მოგვარებული იქნებოდა სურსათის გაცემა მოქალაქეთათვის, მაგრამ იმედები არ გამართლდა. ამერიკელების ბიერ დანიშნული ახალი ბურგომისტრი — იოჰან ვურსტი გარდა საკუთარი თავისა, არავისზე არ ზრუნავდა. მაგისტრატის წევრები მაგალითს იღებდნენ შეფისაგან, და იყენებდნენ რა თავიანთ თანამდებობას, მდიდრდებოდნენ. დადიოდა ხმა — ვურსტი მოსახლეობისათვის განკუთვნილი კარტოფილითა და მარგარინით ვაჭრობსო.

ამ მძიმე დღეებში გრიუნვალდსა და მის ამხანაგებს ბევრი სამუშაო ჰქონდათ. გამოირკვა, რომ კომუნისტური ორგანიზაცია იატაკქვეშ უნდა წასულიყო ძანამდე, ვიდრე ამერიკელები დააპატიმრებდნენ ლენინის ძეგლის გახსნის ჯველა მონაწილეს. ამიტომ ქალაქში დარჩა მარტო გრიუნვალდი და იაკობ ზონე, დანარჩენები გავიდნენ გარეუბნებში, წინასწარ საიმედო ადგილას გადამალეს სასტამბო დაზგა, რომელზედაც ბეჭდავდნენ ფურცლებს ამერიკელ ჯარისკაცებისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია იძულებული ხდებოდა ხელახლა დამალულიყო იატაკქვეშ, გრიუნვალდი სულის სიღრმეში უდიდეს კმაყოფილებას გრძნობდა. ამხანაგების მუშაობის შედეგების შეფასება შეიძლებოდა არა მარტო გერმანელი მუშების, არამედ თვით ამერიკელი ჯარისკაცების საქციელის მიხედვით.

ერთხელ, გვიან საღამოს, გრიუნვალდმა დაინახა, როგორ მიუახლოვდა ძეგლს სამი ამერიკელი ჯარისკაცი. ის იყო ეჭვმა გაჰკრა გულში, რაღაც ცუდი ამბავიაო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჯარისკაცები ყვავილებით მოვიდნენ. როცა გუშაგი ცოტა ხნით მოშორებით გავიდა, ჯარისკაცებმა ყვავილები კვარცხლბეკზე ჩამოდგეს და წავიდნენ.

მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბული შეიქნა, როცა ქალაქში გაჩნდა ფურცლები. ახლა უკვე არა მარტო ძეგლი მეტყველებდა რუსეთის რევოლუციისა და საბჭოთა კავშირის შესახებ, რომელსაც ხელმძღვანელობდა სტალინი, არამედ ამაზე ცნობების წაკითხვაც კი შეიძლებოდა. ფურცლებმა რომ უდიდესი ინტერესი გამოიწვიეს ამერიკელ ჯარისკაცებში — ეს ეჭვსგარეშე იყო.

რიჰარდი დარწმუნებული იყო, რომ ამერიკელები შეეცდებოდნენ ორგანიზაციის დარბევას, და წინასწარ მოემზადა ამისათვის.

ამასობაში შიმშილის მოთმენა შეუძლებელი ხდებოდა. მუშების ბავშვები ხელგაშვერილი დარბოდნენ ბაზარში ამერიკელთა შტაბის წინ და ხარბად შეცქეროდნენ კონსერვებს, რომლებსაც ყიდიდნენ შეერთებული შტატების ოფიცრები. რიჰარდ გრიუნვალდიც ცუდად ცხოვრობდა. ჰერტრუდა დადიოდა სადღაც ქალაქგარეთ, ცდილობდა ძველი ტანსაცმელი გადაეცვალა სურსათზე, მაგრამ ძვირფასად ღირებული არაფერი ჰქონდა, ამიტომ ყოველი ცალი ნაშოვნი კარტოფილი გრიუნვალდისათვის სასიხარულო ამბავს წარმოადგენდა.

გრიუნვალდს მაინც ეგონა, რომ იგი სხვაზე უკეთ ცხოვრობდა. მრავალბავშვებიან ოჯახში, სადაც ეს ბავშვები შიმშილისაგან ნელ-ნელა იღუპებოდნენ, მშობლები სასოწარკვეთილებაში ვარდებოდნენ.

გერმანელთა შორის, გერმანელ უბრალო მუშათა შორის, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც იმედი ჰქონდათ ამერიკული დახმარებისა. ზოგიერთებმა გაბედეს კიდეც ამერიკელების შტაბში მისვლა, მაგრამ უბოდიშოდ გამოყარეს უკან, თან გახუცხადეს, რომ დამარცხებულ გერმანელებს არათუ მოთხოვნის, არამედ რაიმეს თხოვნის უფლებაც კი არა აქვთ. „სარდლობა თვითონ გაერკვევაო...“ — ასე განაცხადა შტაბის მორიგემ. თან დასძინა, საშინელს არაფერს ვხედავ იმაში, თუ ქალაქში რამდენიმე ასეული მჭამელით ნაკლები იქნებაო.

რა თქმა უნდა, მდიდარი ადამიანები მოახერხებენ თავის გატანას. მათთვის შიმშილი საშიში არაა. მათ მოეპოებათ გასაყიდიც და გადასაცვლელიც ამერიკულ დაბუღულ ხორცსა და შოკოლადზე, მაგრამ რა ეშველება მუშას?

გრიუნვალდი დაძაბულად ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო თვითონ იგი — ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

ერთხელ გრიუნვალდებთან მოვიდა სახეჩამომხმარი და მოწყენილი იაკობ ზონე.

— დღეს შვილი გარდამეცვალა, — თქვა მან, — ვურსტთან უნდა წავიდე, მაგისტრატში. იგი ვალდებულია, რამე გამიკეთოს. მეტი რაღა უნდა დავკარგო! დე, დაგვაპატიმრონ! სულ ერთია, შიმშილით მაინც ვიხოცებით.

რიჰარდი ჩაფიქრდა. იქნებ მართლა წავიდეთ ვურსტთანო?

— ვურსტი არ დაგვეხმარება, — მკვახედ თქვა ჰერტრუდამ, — ყველანი უნდა გავიძღნენ ქუჩაში, პირდაპირ ამერიკელთა შტაბში უნდა მივიდეთ და პური მოვთხოვოთ.

— დამაცა, — უთხრა რიჰარდმა, — თავდაპირველად ვურსტთან მაინც უნდა მივიდეთ.

წავიდნენ მაგისტრატში.

ბურგომისტრის კაბინეტში შევიდნენ თუ არა, დაინახეს ვურსტის ქალალდებზე დახრილი ვარდისფერი. თითქოს ვაზელინწასმული დრუნჩი. ბურგომისტრი ცუდად არ ცხოვრობდა მთელი ამ ხნის განმავლობაში.

— სწორედ ასეც ვფიქრობდი, — სხაპასხუპით წარმოთქვა ვურსტმა, რომელსაც მუშების გამოჩენის უმალვე არასასიამოვნო შიში გამოესახა თვალებში, — რომ ვინმე თქვენთაგანი უნდა გამოცხადებულიყო ჩემთან. ისიც ვიცი, რა საქმეზეც ხართ მოსული. ასე რომ ახსნა-განმარტებისათვის შეგიძლიათ დრო არ დაკარგოთ. უცებ გიპასუხებთ: შეიძლება პირველი თვიდან ას-ასი გრამი პური დაგირიგონ. რა თქმა უნდა, ამერიკის საოკუპაციო ხელისუფლებას შეეძლო ესეც არ გაეკეთებინა, მაგრამ გულკეთილობას იჩენენ თვით დამარცხებულების მიმართაც კი. ამრიგად, მომავალ თვიდან...

ივნისის დამლევი იყო. მაშასადამე, კიდევ მთელი თვე უნდა ეშიმშილათ. ვინ იცის, კიდევ რამდენი ბავშვი მოკვდებოდა ამ ერთი თვის განმავლობაში?

გრიუნვალდმა ზიზღით გადააფურთხა.

— წავიდეთ, იაკობ, — უთხრა მან და ბურგომისტრის კაბინეტიდან გამოვიდნენ.

როცა კარი მიიხურა, ვურსტმა შვებით ამოისუნთქა. მერე ქალალდი ახლოს მოსწია და განაგრძო გამოანგარიშება, რაც მუშების აქ შემოსვლის გამო შეწყვიტა. ვაჭრობას ცოტა მოგება როდი მოჰქონდა. პურის იმ რაოდენობიდან, რომელიც ამერიკელები გერმანელ მუშებისათვის დასარიგებლად ტოვებდნენ, დიდი ნაწილი გენერალ გროულის უვარდებოდა ხელში, ზოგი რამე რჩებოდა ოფიცრების სასარგებლოდ, დანარჩენები მიჰქონდათ ქალაქის მრჩევლებს — მაგისტრატის წევრებს. მუშები კი დაპირებებით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ.

ჰერტრუდა ქმრის სახის გამომეტყველებით მიხვდა, რომ მას სანუგეშო არაფერი მოუტანია. ქალმა არაფერი ჰკითხა დაბრუნებულებს, მაგრამ იაკობ ზონემ თითქმის ყვირილით დაიწყო ლაპარაკი:

— ჩვენ ყველანი დავიხოცებით მომავალ თვემდე! ნუთუ ისინი ფიქრობენ, რომ მომავალ თვემდე ბავშვებს შეუძლიათ უჭმელი იყვნენ?

— მომავალ თვემდე? — შეეკითხა ჰერტრუდა.

— დიახ, — თავი დაუქნია რიჰარდმა.

— ხალხი ხომ დაიხოცება!

— დიახ, ხალხი დაიხოცება, — მიუგო რიჰარდმა.

რიჰარდმა ეს სიტყვები წყნარად წარმოთქვა, მაგრამ ჰერტრუდა მიხვდა, როგორ უდუღდა ზიზღი გულში, და შეეშინდა. რიჰარდს შეეძლო მოთმინებიდან გამოსულიყო და საშინელი, გამოუსწორებელი რამ ჩაედინა.

— ახლავე თავს მოვუყრი ქალებს, — მტკიცედ განაცხადა ჰერტრუდამ, — ჩვენ წავალთ ამერიკელ გენერალთან, მოვთხოვთ პურს.

— და პურის ნაცვლად ტყვიას მიიღებთ! — უთხრა გრიუნვალდმა. — ქალაქში სამხედრო წესებია, სროლას ასტეხენ!

ახლა უკვე შეუძლებელი იყო ჰერტრუდას გაჩერება.

ამერიკელების წინააღმდეგ დაუოკებელმა ზიზღმა შეიპყრო ქალი. ისინი, ეს მაძღარი, თვითკმაყოფილი პირუტყვები, კიდევ ბედავენ ხმის ამოღებას ჰუმანიზმისა და დემოკრატიის შესახებ! რა იქნება მერე, თუ თავიანთ პირველ ნაბიჯებს ევროპაში ამერიკელები იწყებენ შიმშილით? მაშასადამე, მათ უნდათ, რომ გერმანელი მუშები, უბრალო ადამიანები ამოწყდნენ შიმშილით?

ჰერტრუდამ იგრძნო, რომ მას ახლა შეეძლო ყველაზე თავგანწირული საქმის ჩადენა.

— რატომ ხარ გაჩუმებული? — ყვირილით მიმართა მან ქმარს. — ჩვენ ყველანი ასე ჩუმად ამოვწყდებით. მე მოვიწვევ... ფეხზე დავაყენებ ქალებს. ისინი ამერიკელებს მოსთხოვენ პურს! ჩვენ ადამიანები ვართ!

— თქვენ დაგხვრეტენ! — უთხრა ზონემ.

— დე, დაგვხვრიტონ, — ყვიროდა ჰერტრუდა, — დე, დაგვხვრიტონ! სულ ერთია, თუ სიკვდილი გვიწერია, ბარემ ყველანი ერთად დავიხოცოთ!

ჰერტრუდა სირბილით გაიჭრა ოთახიდან.

— იქნებ ქალი მართალია, — ნაღვლიანად წარმოთქვა ზონემ.

რიჰარდმა არ უპასუხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი მოულოდნელად გაიღო და, თითქოს თავის ბინაში შედისო, ოთახში ნელა, გულდამშვიდებით შემოვიდა ლეიტენანტი ბრედოუ მას მოჰყვებოდა ამერიკელი ჯარისკაცი.

გარიუნვალდმა და ზონემ გაიფიქრეს, რომ ამერიკელები მოვიდნენ მათთან ისე, როგორც ოდესღაც ამ სახლში გამოცხადდა კარლ კრუკე, მაგრამ ბრედოუ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა გერმანელებს. ისე ეჭირა თავი, თითქოს ისინი არც კი იყვნენ ოთახში, შეამოწმა კედლები, მიაჩერდა ცუდად შესრულებულ ლითოგრაფიულ სურათს, რომელიც რიჰარდმა ოდესღაც ოც პფენინგად იყიდა; ბრედოუმ მხოლოდ დაილაპარაკა:

— არევ-დარევისა და ქაოსის დროს უპასუხისმგებლო ადამიანებმა მდიდართა ოჯახებიდან მრავალი სურათი დაიტაცეს. რამდენად მახსოვს, იმ სურათებში ზოგიერთი საკმაოდ კარგიც ერია. ახლა ჩვენ ვეძებთ ხელოვნების იმ ქმნილებებს, რათა ისინი მუზეუმისათვის შევინახოთ. ამ საქმეში შეგიძლიათ კარგად მოიგოთ; ყოველ ოცდაათი, ორმოცდაათი სანტიმეტრის ზომის სურათში მე ვწირავ თითო კოლოფ „ჩესტერვილდს“, უფრო დიდი ზომისათვის — ერთნახევარსაც კი არ დავიშურებ.

ერთხელ კიდევ შეათვალიერა კედლები საწოლის ქვეშაც შეიხედა, მაგრამ ოთახში ისეთი აშკარა, თვალსაჩინო სიღარიბე იყო, რომ გაკვირვებულმა ლეიტენანტმა ზიზღით დაუსტვინა და გარეთ გავიდა.

რიჰარდმა ამხანაგს გადახედა და თავი გააქნია.

— აი, ასე ფიქრობენ — ერთ კოლოფ სიგარეტად შეისყიდონ მთელი გერმანია.

— საინტერესოა, სად არის ახლა ჰერტრუდა? — წარმოთქვა იაკობმა და ფანჯარაში გაიხედა

გაიხედა, მაგრამ განიერ მყუდრო ქუჩაზე ახალი ვერაფერი დაინახა. აქა-იქ ისე ჩქარა მიმოდიოდნენ ადამიანები, თითქოს ეშინოდათ, ვინმეს არ შეეკავებინა ან შეურაცხყოფა არ მიეყენებინა მათთვის. ასფალტზე სწრაფად გადაიქროლა ამერიკელ სამხედრო პოლიციელებით სავსე ჯიპმა. ისინი დაძაბულ პოზაში ისხდნენ და მომარჯვებული თოფები ეჭირათ ხელში.

იაკობ ზონემ მძიმედ ამოიხვნეშა და ისე წავიდა, რომ არც კი გამომშვიდობებია რიჰარდს.

ცნობამ იმის შესახებ, რომ სურსათის დარიგებას დაიწყებდნენ ახალ თვიდან, ელვის სისწრაფით დაურბინა პატარა ქალაქს. ჰერტრუდამ ეს ახალი ამბავი თავის მეზობელ ქალს უთხრა. ამბავი უმალვე გაიჭრა — ოთახიდან ოთახამდე, ოჯახიდან ოჯახამდე, უბნიდან უბნამდე.

ყოველი ადამიანი თავისებურად ანგარიშობდა, ვარაუდობდა, და ყველა კარგად გრძნობდა, რომ ახალ თვემდე მუშათა უბნებში ჯერ კიდევ ბევრი დაიხოცებოდა.

ქალბმა თავი მოიყარეს ქუჩაზე; სასოწარკვეთილება და უიმედობა ადამიანებს ერეკებოდა ისეთი მოქმედებისაკენ, რომელსაც წინათ არც ერთი მათგანი არ იკისრებდა.

საიდანღაც გაჩნდა ორი ძველი ზეწარი. ერთ მათგანზე ირიბი ასოებით დააწერეს:

„ჩვენ შიმშილით ვიხოცებით! პური!“

მეორეზე კი უფრო მსხვილად დააწერეს:

„ჩვენი ბავშვები იხოცებიან! პური!“

ზეწრები ჯოხებით მაღლა ასწიეს. მიდიოდნენ ერთმანეთზე მაგრად ხელი-ხელ-ჩაჭიდებული ქალები.

ჰერტრუდა კოლონის წინ მიაბიჯებდა.

ყოველმა ქალმა იცოდა, რომ ისინი სასიკვდილო საფრთხისკენ მიდიოდნენ. ამერიკელებს შეეძლოთ მათ საწინააღმდეგოდ დაეყენებინათ ტყვიამფრქვევები, ტანკებიც კი გამოეყვანათ.

ქალები ახლა მხოლოდ ერთი აზრით იყვნენ გამსჭვალულნი, ეს იყო: მზრუნველობა მშიერ ბავშვებზე. ბავშვების გადარჩენისათვის მიდიოდნენ ისინი ამ თავზეხელაღებულ დემონსტრაციაზე. მზად იყვნენ მათი გულისთვის თავიც კი გაეწირათ. იქნებ ქალთა ამ „აჯანყებას“ აეძულებინა ამერიკელები ჩაფიქრებოდნენ ქალაქ აისბორნის ამბებს. იქნებ გონს მოვიდნენ, იქნებ დაამყარონ წესრიგი და პური მისცენ ყველას, ვინც ცოცხალი გადარჩებაო.

ჰერტრუდა მიდიოდა, და ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე გრძნობდა, თუ როგორ მატულობდა ქალებში საბრძოლო რწმენა. ვერა, ამერიკელები ვერ გაბედავენ უიარაღო დედების დახვრეტას!

გერმანელი ობივატელები დემონსტრაციის დანახვაზე ჭიშკრების ქვეშ იმალებოდნენ. თავს არიდებდნენ უბედურები... აი, თავიანთ ჯიპებზე გაიქროლეს ამერიკელმა პოლიციელებმა, ისინი გაკვირვებით შესცქეროდნენ დემონსტრაციის მსვლელობას, მაგრამ მისი შეჩერება ვერ გაებედნათ...

მრისხანე დემონსტრაცია ნელ-ნელა და შეუკავებლად მიემართებოდა ამერიკელთა დივიზიის შტაბისკენ.

დასასრული იქნება

თარგმანი პოლიო აბრამიასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ზეგერსი

წაგი

☆

1939 წლის ზაფხულის მიწურულში, როცა პირველი ფოთლები ბულვარის მტვერში ჭკნებოდა, ვინმე ჟან ჟილბერი ციხეში იჯდა. დალადიეს განსაკუთრებული კანონით იგი დაპატიმრებულ იქნა გასულ წელს, საყოველთაო გაფიცვის შემდეგ.

ჟილბერი რკინიგზელი იყო. იგი თავის პარტიაში და პროფკავშირში საშუალო აქტივისტად ითვლებოდა. მისი სახის ნაკვთები არაჩვეულებრივს არაფერს არ გამოხატავდა. მაგრამ ხანდახან მისი მშვიდი, მუქად მოლურჯო თვალები ისე ელავდნენ, თითქოს ეს თვალები ჩვეული იყო შორსმჭვრეტელობას, და თითქოს ჟილბერი რკინიგზელი კი არა, მეზღვაური ყოფილიყოს. ვისაც ჟილბერი თვალში თვალს გაუყრიდა, ის იბნეოდა, თითქოს ჟილბერმა მისი გულის სიღრმეში ყველასათვის ფარული იდუმალება დაინახაო.

ჟილბერი პატიმრობაში ძლიერ იტანჯებოდა. აქ მან უკეთ გაიგო თავისუფლების ფასი. ჟილბერს სძაგდა ციხის უფროსი, რომელმაც მას დაცინვით ჰკითხა: როგორ მოგწონს სახელმწიფო ხარჯზე გატარებული ეს შვებულებაო.

ჟილბერი ხშირად ფიქრობდა თავის ცოლზე, კლავდიაზე, რომელიც დაპატიმრების წინ შეირთო. პირველ ხანებში თავს ხალვათად გრძნობდა, რომ კლავდია ბავშვის მოლოდინში არ იყო, ახლა კი სწორედ ეს მდგომარეობა აღონებდა. ჟილბერი ცდილობდა ეფიქრა ყოველივე იმაზე, რაც უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ოღონდ თავისი ცოლი კლავდია, ერთობ ნაზი და მშვიდი, ყველგან და ყველასთვის მიმზიდველად მომღიმარი, თვალწინ არ დგომოდა. რაც ჟილბერის გულს ეკალივით ხვდებოდა.

ჟილბერი თავის თავს ჩვეულებრივ ადამიანად თვლიდა. მან კარგად იცოდა, რომ მრავალთაგან არ განსხვავდებოდა. მას არ ჰქონდა არც შინაგანი და არც გარეგნული რაიმე ბრწყინვალება, რაც ადამიანს თვალში ეცემოდა. დიდსა თუ პატარა დავალებებს, რასაც კი ჟილბერს მიანდობდნენ, ყოველთვის პირნათლად ასრულებდა. ეს იყო ლეგალური თუ არალეგალური ფურცლების გავრცელება, ნებადართულ თუ აკრძალულ კრებებზე სიტყვებით გამოსვლა. ჟილბერი მუდამ საიმედო კაცი იყო, სახალხო ფრონტის არსებობის დროსაც, როცა დალადიე ტორეზის გვერდით ტრიბუნაზე იდგა დევნის დღეებშიც.

როდესაც რაიმე მეტად მნიშვნელოვანი წერილი ან პროკლამაცია იბეჭდებოდა, გამომცემელი ხშირად ესაუბრებოდა ჟილბერს მათ შინაარსზე. ჟილბერს არ ჰქონდა ნიჭი, თავისი აზრები ქაღალდზე გადაეტანა; სხვის ნაწერებში ლამაზად გამოთქმულ თავის მოსაზრებებს ძლივსღა იცნობდა ხოლმე.

ახლა აქ, ციხეში, სადაც თავის თავთან მარტო იყო, გულში მწარედ ამბობდა, რა ფუჭად იხარჯება ეგზომ ძვირფასი დროო. მას თითქოს თვალწინ ედგა არარსებული გაზეთი, რომელშიც თავის აზრებს კითხულობდა. მაშინ მას ავიწყდებოდა თავისი სახლ-კარი და ყველა უბედურება, რაც მას შეემთხვა.

ჟილბერი ვინმე პავლე დიუპონთან ერთად მოათავსეს საკანში. დიუპონიც რკინიგზელი იყო. ერთმანეთს პროფკავშირის მეშვეობით შორიდან იცნობდნენ. ჟილბერს უნახავს დიუპონის ცოლიც, სამი შვილის დედა. ყველაფერი წინდახედული დიასახლისი. ჟილბერს არ შეეძლო არ ეფიქრა, ნეტავი ჩემი კლავდიაც დიუპონის ცოლივით ჭკვიანი იყოსო.

დიუპონის სიტყვებიდან ჟილბერისათვის ნათელი გახდა, რომ ომის საშიშროება თანდათან ახლოვდებოდა. ჟილბერმა პირველად მიმართა არა თავის თავს და მის წარმოდგენაში მყოფ მასას, არამედ დიუპონს, — ხედავ, დიუპონ, როგორ უნდოდათ ჩვენი მოტყუება, მაშინ მიუნხენში ჩვენ შეგვპირდნენ, რომ მშვიდობას სამუდამოდ დაამყარებდნენ. პირიქით, მათ დაარღვიეს ხელშეკრულება და მეგობარი ქვეყნები ბედის ანაბარა დატოვეს. ჰიტლერს კი ულვაშებში ეღიმებოდა და ის თანდათან უფრო გათავხედდა.

ჰო, სწორია, სწორი, — ეთანხმებოდა დიუპონი, — შენ ბევრი რამ იცი, როცა შენ აქ ხარ, სხვა მომხსენებელი რაღად გვინდა. ჟილბერს სჯეროდა თავისი ძალისა და სწამდა, რომ სხვებს თავისი გავლენის ქვეშ მოიქცევდა. მან ისიც სცადა, რომ თავისი აზრები დაეწერა. დიუპონი შეჰპირდა, მისი ნაწერი ადგილზე კონტრაბანდად მიეწვდინა. აღშფოთებულმა ჟილბერმა ისეთ საქმეს მოჰკიდა ხელი, რომელსაც თავისუფლებაში ყოფნის დროს გაუბედაობის გამო თავს ვერ იდებდა — ვერ გაბედავდა. მის წერილში შემდეგი ეწერა:

ჩვენ კიდევ შეგვიძლია მიუნხენში ჩადენილი დანაშაულობანი გამოვასწოროთ. ჩვენ კიდევ შეგვიძლია ჩავაჩუმოთ ომის გამჩაღებელნი. მოსკოვში მუდამდღე მიდის თვითმფრინავი. საჭიროა ერთ-ერთი სრულუფლებიანი ელჩი გავაყოლოთ მას, რომ უშიშროების პაქტს ხელი მოაწეროს, რისთვისაც საბჭოთა კავშირმა კარგა ხანია მოუწოდა დასავლეთის მთავრობებს.

ყოველივე ეს დიუპონისათვის გასაგები იყო, ხანდახან წაილაპარაკებდა:

— და თუ მაინც ომი გაჩაღდა?

— მაშინ ჩვენ დავიცავთ ჩვენს ქვეყანას ფაშისტებისაგან, — ეტყოდა ჟილბერი, — ახლა კი ყოველივე ის უნდა გავაკეთოთ, რომ ომს ხელი შეეშალოსო.

ერთბაშად ჟილბერს მოეწონა დიუპონის კითხვა, რომელიც მას წინათ აღიზიანებდა. ახლა ეს კითხვა მას ეხმარებოდა, ისეთი უბრალო და სხარტი პასუხის მოძებნა, რომელიც დიუპონისთვისაც გასაგები ყოფილიყო. თუ წინათ ჟილბერი თავის მეგობართა ნიჭით, გაქანების და წერის მანერით მოხიბლული მხდალად დუმდა, ახლა აქ, საკანში, მას დაავიწყდა როგორც თავისი მორცხვობა, ისე ურწმუნოება თავისი ძალებისადმი. ახლა მას მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: სხვებისათვის გაეზიარებინა ის, რაც ჭეშმარიტებად მიაჩნდა. მან გონებაში კიდევ ერთხელ გადაითვალა ფაშისტური ქვეყნების ის დაუსრულებელი მოთხოვნილებანი, რომელსაც უდიდესი სახელმწიფოები მოთმინებით უსრულებდნენ. ჟილბერმა გაიხსენა იტალიისა და აბისინიის ომი, შემდეგ მიუნხენის ბოლო აკორდი და ის ამბები, რომლებიც მას თან მოჰყვა. იგი წერდა: „განა სტალინმა უნდა გამოიღოს სხვების მაგივრად წაბლი ცეცხლიდან?“

დიუპონი ძალზე აღელვებული დაბრუნდა ბოლო დაკითხვიდან. ეს ომის პირველ დღეებში მოხდა. მან თქვა: — გვიანია, როგორც ჩანს, შენი ბოლო წერილიც გვიან მიუვიდა პარტიას. შენი რჩევა-დარიგება აღარავის უნდა. ჟილბერმა უცებ მოუსვენარი, შეშფოთებული თვალები მიაპყრო დიუპონს,

თითქოს თვითონვე ეშინოდა, დიუპონის გულში დაფარული საიდუმლოება არ დაენახა. ჟილბერი დაეჭვდა, ცივად მოშორდა დიუპონს, მაგრამ ძამინვე თავისი თავი გააფრთხილა არ დარწმუნებულიყო თავისი თანამგზავრის სულმდაბლობაში. ჟილბერს არ მოსწონდა როგორც ეჭვიანი, ისე აღფრთოვანებულად მიმნდობი ადამიანებიც.

დიუპონი მას მეტისმეტად ჩლუნგი გონების მქონე ადამიანად მიაჩნდა. შეიძლება დიდი ხნის პატიმრობა იყო ამის მიზეზი, რომ დიუპონი უეცრად გამოცოცხლდა და მოუსვენარი გახდა.

პარტიულობის აკრძალვის შედეგად გამოწვეულმა რეპრესიის ახალმა ტალღამ ციხეში პატიმრების რიცხვი გაადიდა. ახლა ჟილბერმა დაწვრილებით გაიგო ამ აკრძალვისა და პატიმრობის ამბები. მან ისიც გაიგო, რომ პარლამენტში „მუშებისა და გლეხების“ ჯგუფი დაარსდა. ქვეყნის სხვა ახალი ამბები საკანში ნაპრალებიდან შედიოდა. ჟილბერს ძლიერ გაეხარდა, როდესაც გაიგო, რომ პროკლამაცია საიდუმლოდ გავრცელებულა. მის შინაარსში მან თავისი აზრებიც იპოვა. ამან გაამხნევა. მისი წერილები სტატიებად გადაიქცნენ. ახლა მას უკვე შეეძლო ბრმად აღარ ჩაბღაუჭებოდა სხვის ნათქვამს. ჟილბერი მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ თავის მშობლიურ ენაზე რაც შეიძლება სხარტად და დაწვრილებით თავისი აზრი გადაეცა.

რასაც ჟილბერი წერდა, დიუპონი უშუალოდ ციხის უფროსს აწვდიდა, და რომ გეკითხათ, ასე რად იქცევიო, თავს იმით იმართლებდა, რომ მან დაჰკარგა რწმენა თავისი პარტიისადმი, რომ იგი პატიოსანი ფრანგია. მაგრამ დაკითხვებმა ძლიერ დაასუსტა, პატიმრობამ მოქანცა, ცემის ეშინია და თავისი ოჯახის ბედიც აწუხებს. თანაც დაჰკარგა განთავისუფლების იმედი. ციხის უფროსმა უბრძანა დიუპონს, — უფრო ახლო გაეცნო ჟილბერი, ლაპარაკისა და წერისათვის აღეგზნო იგი.

მაგრამ დიუპონსაც და ციხის უფროსსაც სულ მალე გული გაუტყდათ. ორივენი ოცნებობდნენ, რომ ჟილბერი აუცილებლად გატყდებოდა, თუ ისინი მოახერხებდნენ. წაეყენებინათ მისთვის მისივე ხელნაწერები.

უფროსები კი ციხის უფროსს უსაყვედურებდნენ, რომ ის არაფრად აგდებს თავის თანამდებობას, რომ მან ვერ უზრუნველყო ციხე ჯაშუშებით. უფროსები ფიქრობდნენ, რომ, რასაც პატიმარი ჟილბერი თავისი პარტიიუროსათვის ჯღაბნიდა, მარტო ვერ მოისაზრებდა. ჟილბერზე ახლად მიღებული ცნობები ადასტურებდნენ, რომ იგი სრულიად უნიჭო იყო და ამას ვერ დაწერდა. პატიმარმა მხოლოდ ის ძირითადი დებულებანი გამოიყენა, რომელთაც მის ყურამდე მიაღწია, ჯერჯერობით გაუგებარი გზით, და ციხის უფროსის ვალია, ეს გზა აღმოაჩინოს. ამიტომაც ციხის უფროსმა უნდობლად მიიღო დიუპონის მოტანილი ჟილბერის უკანასკნელი წერილი. ციხის უფროსს დაცინვით ურჩიეს მისმა უფროსებმა, რათა იგი უფრო ფხიზლად ყოფილიყო. პატიმარი ჟილბერი იმდენად გაუტიფრდა, რომ მას აღარც კი რცხვენია, სიტყვასიტყვით იხმაროს ის გამოთქმები, რომლებსაც მოსკოვი თავის სტატიებში აქვეყნებსო.

როდესაც ციხის უფროსმა თავისი თავის და თავისი ჯაშუშის გამართლება იმით მოინდომა, რომ საბუთები ჟილბერზე მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც მიიღეს, ხოლო ჟილბერის წერილები კი ბევრად ადრე. აქ. ციხეში, დაიწერაო, მას ცივად უპასუხეს: — შენი ვალია, აღმოაჩინო ის საიდუმლო გზა. საიდანაც ჟილბერს მოსკოვიდან სხვებზე ადრე მოსდის საჭირო მასალა: თქვენ ხომ არ გინდათ ჩვენც და თქვენი თავიც დაარწმუნოთ იმაში, რომ ჟილ-

ბერმა ასეთი ფრაზა. როგორც მაგალითად, „სხვების მაგივრად წაბლის ცეცხლიდან გამოღება“ თავისი თითებიდან გამოწოვაო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაოცებული ციხის უფროსი შემდეგს დასკვნამდე მივიდა: დიუპონს გარდა ჟილბერს ვერავინ მიაწვდის საჭირო ცნობებს. ჯაშუშს ურჩევნია, მიიღოს ფული ორივე მხრიდან და აი, დიუპონიც ასეთ ორმაგ თამაშს ეწევა. ციხის უფროსი დიუპონს ცემით და ლანძღვით შეხვდა. სწორედ ამისი ეშინოდა დიუპონს.

საკანში დაბრუნებისას დიუპონმა ჟილბერს შესჩივლა, თუ რა ცუდად მოექცნენ მას დაკითხვის დროს. დიუპონი ყველაფერში ჟილბერს თვლიდა დამნაშავედ. მან იგი შეიძულა. ჟილბერი დიუპონს მიუახლოვდა და თავისებურად მკაცრად გადახედა. დიუპონის ჩივილში მან რაღაც სიცრუე იგრძნო. მაგრამ მის კანზე ლურჯი ზოლები ხომ სიმართლეს ეუბნებოდა.

ციხის უფროსმა ისინი ერთმანეთს დააშორა და დიუპონის მაგივრად ჟილბერს სხვა ჯაშუში მიუჩინა. ჟილბერი ცალკე საკანში, თუმცა რამდენადმე დაეშვებული, მაინც ახერხებდა იმ ქაღალდების გამოყენებას, რომელთაც მას აწვდიდნენ. ჟილბერი თავს აჯერებდა, რომ მარცხის შემთხვევაში იგი მხოლოდ თავის თავს ავნებდა.

როდესაც ციხის უფროსი დარწმუნდა, რომ ცალკე საკანშიაც შეუძლებელი გახდა ამ საიდუმლო და ბეჯითად დაცული კავშირის შეწყვეტა ჟილბერსა და სხვა კომუნისტებს შორის, სასოწარკვეთილებამდე მისულმა ციხის უფროსმა მთელი ციხე თავდაყირა დააყენა. არასაიმედო ჯაშუშები სამსახურიდან დაითხოვა, პატიმრები თვითონვე დაჰკითხა, თანაც ბრძანა, თითოეული საკანი გაეჩხრიკათ. მაგრამ მაინც ვერ გახსნა ჟილბერის საიდუმლოება. საიდუმლო კავშირი კი შეუმჩნევლად მოძვრებოდა საკანში ძაფივით, რომელიც საოცრად მოქნილი და გამძლე იყო.

ციხის უფროსმა რამდენჯერმე დაჰკითხა პირადად ჟილბერი. ჟილბერი ხან ხუმრობით და ხან გულგრილად უპასუხებდა. მას ჯერ კიდევ არ ესმოდა, რატომ მაინცდამაინც მან, ჟილბერმა, მასში გამოიწვია ასეთი აუხსნელი სიძულვილი. იგი მაინც კმაყოფილი იყო თავისი ქცევთ მაშინაც, როდესაც გასაჭირში იმყოფებოდა. ის საკანში თავის ტახტზე წოლის დროს ფიქრობდა: ცხადია, ჩემი წერილები წაუკითხავთ, მაგრამ რა იყო ისეთი, რამაც ციხის უფროსი ასე გააცოფა. რა მონახა ასე გასაჯავრებელი ამ წინადადებაში: „სხვებისათვის წაბლის ცეცხლიდან ამოღება“? სწორედ ამ „წაბლმა“ მიიყვანა ციხის უფროსი უკიდურეს გაგიჟებამდე.

ჟილბერი სამხრეთ საფრანგეთში გაასახლეს. ციხის უფროსი ძალზე გახარებული იყო ვერაგი პატიმრის მოშორებით.

დიუპონი კი, როგორც მაღლიდან ყინულზე ფეხდაცურებული შეშინებული მთასვლელი, უფრო და უფრო ღრმად უფსკრულში ეშვებოდა, პოლიცია არ ზოგავდა ისეთ ადამიანებს, ვინც ადვილად ხელში უვარდებოდათ, და რადგან დამარცხებული დიუპონი სრულიად უმიზეზოდ მოღალატე გახდა, მას პოლიციისათვის უნდა დაემტკიცებინა თავისი პატიოსნება. ამ დროის განმავლობაში კი არ მოიპოვებოდა ისეთი საქმე, რის გაკეთებასაც დიუპონი არ იკისრებდა. როდესაც ციხიდან გაათავისუფლეს, ეს ჩვეულებრივ მორცხვი და მშიშარა დიუპონი ორგროშიანი ჯაშუში გახდა.

ჰიტლერის ჯარის შემოჭრის შემდეგ ჟილბერი სხვა პატიმრებთან ერთად აფრიკაში გააგზავნეს. ხმელთაშუა ზღვაზე გემით მოგზაურობისას, სიცხისა და

ბაღლინჯოებისაგან გაწამებულმა ჟილბერმა დიდად გაიხარა, როდესაც თავის საუკეთესო მეგობრებს შეხვდა და მათგან დაწვრილებით გაიგო ის, რაც მისთვის ამდენხანს გაუგებარი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც იქნა, ცოლის წერილიც მიიღო. ისიც პატიმრობაში იმყოფებოდა ქალების ბანაკში. ეს ბარათი დიდიხნის დაწერილი იყო. კლავდიამ თავისი წერილი ყოველ შემთხვევისათვის სხვა პატიმრის სახელზე გაგზავნილ წერილში ჩადო. ცოლი წერდა: „დაპატიმრების შემდეგ რა უაზრო კითხვებით არ მომმართეს. აუცილებლად უნდოდათ გაეგოთ, თუ რა გზით გაწვდიდი ციხეში საჭირო მასალებს, მე კი, საუბედუროდ ეს მასალები ვერც ერთხელ ვერ გადმოგეცი. ერთხელ დიუპონის ცოლიც შემხვდა. ის მხოლოდ თავის პენსიაზე და თავის სახლზე მელაპარაკა. თან შემომჩივლა, ჩემ შვილებს ბევრი რამ დააკლდათო. დარწმუნებული ვარ, რომ იგი სვასტიკიან დროშასაც გამოაფენს, ოღონდ მისმა ქმარმა სამუშაო ადგილი არ დაჰკარგოს. რაც არ უნდა შეგვემთხვეს, საყვარელო ჟან, ჩემი იმედი ყოველთვის გქონდეს ისე, თითქოს ისევ ერთ ჭერქვეშ ვიმყოფებოდეთო“.

ჟილბერს გემზე მყოფმა მეგობრებმა თავისი წერილებიდან ამოუკითხეს ის ადგილები, სადაც კლავდიაზე იყო ლაპარაკი. კლავდიას ღიმილი იშვიათი შუქი იყო იმ ადამიანებისათვის, ვისთანაც მას ურთიერთობა ჰქონდა იმ შავ დღეებში. ჟილბერისათვის ნათელი გახდა, რომ ცოლთან კავშირი უფრო განმტკიცდა.

გემზე ჟილბერის ზოგიერთ მეგობარს, რომლებიც ჟილბერის დაპატიმრების დროს არალეგალურად პარიზში ცხოვრობდნენ, ძველი გაზეთებიდან ამოჭრილი წერილების ნაფლეთები შემოენახათ. როდესაც ჟილბერი ამ წერილებში წააწყდა ფრაზას „სხვისი ხელით ცეცხლიდან წაბლის ამოღება“, რომელსაც თვითონაც ხშირად ხმარობდა, მაშინ მისთვის ნათელი გახდა, თუ რამ გააცოფა ციხის უფროსი. ჟილბერი დარწმუნდა, რომ მისი აზრები სწორი და სამართლიანია. მან ის სასიამოვნო კმაყოფილება იგრძნო, როგორსაც გრძნობდა იქ, ციხეში, როდესაც მისი აზრები, თითქოს თავისთავად, წინადადებად იქცეოდნენ. ახლა კი, მიუხედავად იმისა, რომ დიუპონი ფლიდი და ავაზაკი აღმოჩნდა და მის წერილებს პარტბიუროს კი არა, არამედ პოლიციას აწვდიდა, ჟილბერი მაინც მხიარულად აღელვებული იყო ამ მცურავ სახლში, ამ ჭუჭყიან და ამ მზისაგან გახურებულ გემზე.

თარგმანი გერმანულიდან **ნელი გოგიჩაძისა**

სიმონ ნვერავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი დროის ადამიანი

ნარკვევი

★

თავიდან დაიწყებდა თავის ხანმოკლე ცხოვრებას დავით ბურჯანაძე, გამოცდილი მწყემსი, ახლა რომ ცოცხალი იყოს. ივრის ნაპირებზე გაზრდილს დღენიადაგ მშობლიური მდინარის ჩქერების შხუილი ესმოდა. რამდენჯერ წამომდგარა უთენია ამ ხმაზე იგი და იორის წყალუხვ ხეობაში გასულა სამუშაოდ. ბედნიერი იქნებოდა დავითი, რომ დაცოლშვილებიდან რაღაც ხუთი წლის შემდეგ საყვარელი მეუღლე, ეკატერინე იმედაშვილის ქალი, არ გარდაცვლოდა.

ორი მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა ობლად. უფროსი. — ამალია, ოთხი წლისა იყო, უმცროსი, მაგდა ერთი წლისა. როცა მის ოჯახში დედინაცვალმა შემოდგა ფეხი, პატარა მაგდას ცხოვრების ბედი სხვანაირად დატრიალდა.

— ჩემო კარგო, მე არც ისე ჯანმრთელი ვარ, რომ ორივე ბავშვი აღვზარდო — მიმართა ერთხელ მეუღლემ დავითს მწყრალი ხმით.

საგონებელში ჩავარდნილ დავითს, რომელსაც თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ცხვრის ფარაში, საზაფხულო იალაღებსა და ზამთარში ყიზლიარის საძოვრებზე უხდებოდა ყოფნა, სხვა გზა არ ჰქონდა, თუ არა ის, რომ პატარა მაგდა ვინმესთვის მიებარებინა აღსაზრდელად.

მამის გული ფიქრებსა და დარდში ილეოდა.

— ქვეყანა დიდია, დავით, რამ დაგაღონა, იმ შენს დედაკაცს თუ არ შეუძლია ობლის აღზრდა, განა სხვა საშუალება არ არის? ახლა ობოლი არავინაა ჩვენში, დაგეხმარებით, ბავშვს საბავშვო ბაგაში მიიღებენ. აღზრდიან — უთხრა ერთხელ დავითს სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ.

მეორე დღეს დავითმა ერთი წლის მაგდა საბჭოს თავმჯდომარის მიერ ხელდახელ ნაშოვნი, მანქანით თბილისში წაიყვანა. ერთი საათის შემდეგ პატარა მაგდა ორთაჭალის საბავშვო ბაგის მშვენივრად მორთულ ოთახში რბილ საწოლზე ნებივრობდა. დავითმა ერთხელ კიდევ ჩაკოცნა პატარა მაგდა და აღმზრდელ ქალს — ეკას სიყვარულით ჩახედა თვალებში.

— მეც კაცი ვარ ქვეყანაზე და ქუდი მხურავს, ჩემო დებო, გთხოვთ ჩემს მაგდას ნუ მოაკლებთ დედობრივ ზრუნვას, ცოდვაა, დედა არა ჰყავს.

როცა დავითმა შენობის გრძელი კიბეები ჩამოირბინა, ბავშვის ტირილი მოესმა. შედგა, უკან მოიხედა, მაგრამ აივანზე გადმომდგარი ეკას თვალები რომ შემოეფეთა, თავი ჩაღუნა და გზა განაგრძო.

პატარა მაგდას შავგვრემანი სახე და მაყვალივით შავი თვალების შუქი მთაშიც არ ასვენებდა დავითს. ზოგჯერ, როცა დარდი დარევდა ხელს, სალამურს დასწვდებოდა, ააკვნესებდა, ააწკრიალებდა.

მაგდა წამოიჩიტა, გასუქდა ლოყები გაუღაქღაქდა, აღმზრდელები და, განსაკუთრებით, დეიდა ეკა სულ მამის სახელს უხსენებდა, მაგრამ მშობლის თვალიდან მოშორებულ ბავშვს მამისადმი გრძნობა მაინც არ ულვივოდა. ეს უფრო მაშინ გამომჟღავნდა, როცა ერთხელ დავითი მწყემსის ბეწვიანი, წოწოლა ქუდით ამოვიდა ბავშვის სანახავად. მაგდას ჯერ ფერი ეცვალა. მერე ისე მაგრად იწივლა, რომ მთელი საბავშვო ბაგის აღმზრდელები აივანზე გამოცვივდნენ.

ოთხი წლის მაგდა, თავის აღმზრდელებთან ერთად დუშეთის საბავშვო სახლში გადაიყვანეს. ახლა მას სულ ახალ გარემოში მოუხდა ყოფნა, მაგრამ კეთილი აღმზრდელების ხელში პატარა მაგდა მალე მიეჩვია უცნობ მხარეს. მაგდა უკვე საბავშვო ბაღშია. სწავლობს, ხატავს, მღერის, ცეკვავს. მალე რვა წლის გახდა. მეორე კლასშია. რვა წლის გოგონას ღრმად ჩააგონეს, რომ მას მამა ჰყავდა. ბავშვმა არ იცოდა რა იყო დედა, მამა. დედას იგი ეკას ეძახდა, ხოლო მამას — საბავშვო სახლის დარაჯს, სილიბისტროს, რომელიც, იშოვიდა თუ არა ცოტაოდენ დროს, ბავშვებში მაინცდამაინც მაგდას გამოარჩევდა და მასთან ხალისით თამაშობდა..

ერთხელ მაგდას მამისაგან გამოგზავნილი ბარათი წაუკითხეს. დავითი გულმხურვალე წერილს უგზავნიდა შვილს. მაგდა უსმენდა დეიდა ეკას, მაგრამ მაინც ვერ მიმხვდარიყო, ვინ იყო მისი მამა, ან რა იყო საერთოდ მამა. იმ ზაფხულს მაგდა ერთ-ერთმა აღმზრდელმა, რომელსაც და ჰყოლოდა ხაშმში გათხოვილი, მამასთან წაიყვანა იგი. როცა მაგდა სოფელში ჩაიყვანეს, უნდა გენახათ რა ამბავი დატრიალდა: მთელმა სოფელმა მოიყარა თავი დავითის ოჯახში; ბავშვები ღობეებში ძვრებოდნენ და რომლებსაც მოესწროთ მოსვლა, მაგდას ირგვლივ ტრიალებდნენ. მამა შინ არ იყო, მთაში ცხვრის ფარა გაერეკა. მაგდა დედინაცვალს არ მიეკარა, მისთვის სულ ერთი იყო ახლა დედინაცვალი, თუ მეზობლის ქალი, — ყველას ერთნაირად გაურბოდა. ატირდა. დეიდაშვილები შემოეხვივნენ და სახლში წაიყვანეს. მაგდა მაინც უცხოდ გრძნობდა თავს.

პაპა ივანეს რომ უთხრეს მაგდას ჩამოსვლის ამბავი, კინაღამ გაგიჟდა ბერიკაცი, თოხი ხელიდან გააგდო, და ამ დროს მაგდაც მიიყვანეს მასთან. მოხუცმა პატარა მაგდა მაგრად ჩაიკრა მკერდში. პაპა ივანეს გრძელი და ხშირი წვერები მაგდას თავსა და სახეს რბილად ეფინებოდა, ალერსში ხვევდა. დედის უბიდან ამოვარდნილ ობოლ ბავშვს უცნაური სიხარული ჩაესახა გულში. პაპა ივანემ, როცა გული მოიჯერა ხვევნა-კოცნით, ბავშვი ძირს ჩამოსვა. მაგდამ თავის დეიდაშვილებთან ერთად ივანეს მიერ ახლად გამოჭრილი ჩალა შინ მიიტანა ზურგით. ივანე უყურებდა მაგდას და ბერიკაცის გული სიხარულით ივსებოდა.

მეორე დღეს დავითი სულმოუთქმელი მოვარდა მთიდან. ერთ-ერთ მწყემსს მიეხარებინა მისთვის შვილის ჩამოსვლა. პირველად არც მას მიეკარა მაგდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მამა სწორედ ეს ძიაკაცი უნდა ყოფილიყო. იგი რამდენჯერ უნახავს მაგდას ორთაჭალაში. აი, ახლა მოიგონა მისი სახე. მაშ, ნამდვილად ეს არის მამა, დეიდა ეკა რომ ყოველდღე ჩასჩიჩინებდა — მამა, მამაო.

— მამა, მამა... — შეშინებულივით წამოიძახა მაგდამ და მამას გაშლილ მკლავებში ჩაუვარდა.

იმ ღამეს გახურებული თონიდან ცხელი პურების ამოღება არ შენელებულა. ქათმები დაკლეს, ქვევრიდან ღვინო ამოიღეს. პაპა ივანემ პირველმა

შესვა რვა წლის უნახავი მაგდას სადღეგრძელო. მაგდას უფროს და — ამბლიას უხაროდა, იცინოდა და თან უკვირდა, დღეს რა ამბავი ხდებაო, ეუბნებოდნენ წინათ, და გყავსო, მაგრამ არ სჯეროდა, ახლა კი, [illegible] უმცროსი და.

ის ღამე მხიარულებაში გათენდა. მეორე დღეს დავითი თბილისში წავიდა, მაგდას საკაბე და ფეხსაცმელი მოუტანა. მაგდას ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ მამას სურდა, თავისი ფულით ნაყიდი ტანსაცმელი ჩაეცვა საყვარელ გოგონას.

ზაფხულს მაგდა სოფელში დარჩა.

მაგდა ხან პაპა ივანესთან ტრიალებდა ვენახში, ხან მამასთან მიჰქონდა სადილი ყანაში.

რაც დრო გადიოდა, დავითი იმ აზრით იმსჭვალებოდა, რომ მაგდა შინ დაეტოვებინა. გუმანს როგორღაც მალე მიუხვდა სოფლის საბჭოს თავმჯდომარე. მან არ მოუწონა დავითს ეს აზრი.

— შენა, ისე გეტყობა, რომ იმ უფროს გოგოსავით გინდა უსწავლელი დარჩეს მაგდა, — უთხრა მას თავმჯდომარემ, — რად უბნევ გზას, რად არ გზავნი დუშეთში? არ ჩაიდინო ცოდვა, გოგო უსწავლელი არ დატოვო. როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, გიცხადებ, მაგდა აუცილებლად უნდა წაიყვანო იქ, საიდანაც მოგიყვანეს პატიოსანმა ადამიანებმა.

დავითმა მეორე დღეს მაგდა დუშეთში ჩაიყვანა.

ეს იყო უკანასკნელი შეხვედრა მამასა და შვილს შორის. მალე დავითი გარდაიცვალა. მაგდა ახლა მამითაც ობოლი დარჩა. სწორედ მაშინ მოსწყდა მის გულს მამის ნუგეში, როცა ნამდვილად იგრძნო მამობრივი სიყვარულის ძალა.

თერთმეტი წლის მაგდა მახინჯაურის საბავშვო სახლში გადაიყვანეს. მაგდა უკვე შვიდწლედში სწავლობს. პალმებსა და ნაძვებში ჩაფლული საბავშვო სახლი და მარად მწვანე მიდამოები მაგდას საოცარ სანახაობად ეჩვენებოდა. მღელვარე ზღვა, მწვანე კონცხის ულამაზესი მწვერვალები, შორს ბათუმის ხედი, ზღვის შუა გულში რეიდზე მდგარი გემები და ლურჯად მოლივლივე ზღვის ტალღები მაგდას გონებას კიდევ უფრო ამდიდრებდნენ. მაგდა უფრო ხარბად დაეწაფა სწავლას. მაშინ ომის მრისხანე დღეები იყო. ცა ქუხდა და ქვევით ქარიშხალი მძვინვარებდა.

მაგდამ ბევრი ახალი მეგობარი გაიჩინა მახინჯაურში, მაგრამ მასავით უდედმამო ლიდასავით არავინ ჰყვარებია. ისინი ერთად სწავლობდნენ, ერთად თამაშობდნენ, ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. ერთხელ, როცა მწვანე კონცხიდან გადასცქეროდნენ ფირუზისფერ მოლივლივე ზღვას, მაგდამ თავის მეგობარს უთხრა:

— ლიდა, იცი, რა გითხრა?

— რა, მაგდა?

— ჰმ, შენ ხომ არავინა გყავს?

— მერე?

— მოდი, დავთქვათ, რომ დღეიდან დები ვიყოთ, კარგი? — მაგდას მისდა უნებურად გული აუჩუყდა, ტირილი წასკდა.

— დები ვიყოთ, მაგდა დები, ნუ ტირი!

ლიდამ ერთ დღეს თავის დობილს გაუმხილა, ხვალ საბავშვო სახლიდან მივდივარ და შენც წამოდიო, მაგრამ მაგდა როგორ დატოვებდა საბავშვო სახლს, შვიდწლედიც არ ჰქონდა დამთავრებული.

რა გაეწყობოდა, გოგონები ტირილით გაშორდნენ ერთმანეთს.

მაგდას დიდი სურვილი ჰქონდა, შეესწავლა აბრეშუმის პარკის ხარშვა და ძაფის ამოხვევა. მიზანი შეუსრულდა. იგი მუშად მიიღეს მახარაძის-რიონის აბრეშუმსახვევ-საძახავ ფაბრიკაში.

ამ დღიდან სულ ახალი ხანა იწყება მაგდას ცხოვრებაში.

საამქროს უფროსი გულთბილად შეეგება მაგდას:

— ცხადია, შენ, ჯერ ჩვენი პროფესიის არაფერი გაგეგება, ამიტომ აგირჩევ ისეთ ოსტატს, რომელიც სულ მალე შეგასწავლის პარკის ხარშვასა და ძაფის გრეხვას.

მაგდა ამ ძიაკაცს მორიდებით მიჰყვებოდა საამქროში და თან შიშითა და კრძალვით აკვირდებოდა ირგვლივ აჩუხჩუხებულ პატარა ქვაბებს, რომლებშიაც აბრეშუმის პარკები საოცარი სისწრაფით ხტოდნენ. მაგდა გაკვირვებული უყურებდა მათ და თავისთვის ფიქრობდა, ამ ადუღებულ ქვაბებთან ქალებს რა აძლებინებთო.

საამქროს უფროსი ერთგან შეჩერდა.

— აი, კიდევ ერთი მოწაფე მოგიყვანე, ოსტატო! — ამის თქმა ძლივს მოასწრო საამქროს უფროსმა, რომ გაისმა:

— ლიდა, დაო...

— მაგდა...

დიდხანს იყვნენ ერთმანეთს ჩახვეულნი ლიდა და მაგდა. ბოლოს ისევ საამქროს უფროსმა დაარღვია სიჩუმე:

— რადგან ასეთი მეგობრები ხართ, მეტს არაფერს გეტყვი, ლიდა, დანარჩენი შენ იცი!

ორი დათნაფიცი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. მათი ცხოვრების გზები ისევ გაერთიანდა, მაგრამ ახლა ერთი უკვე აბრეშუმის პარკის სახელგანთქმული მხარშველი იყო, მეორე კი მისი მოწაფე.

ლიდა დღედაღამ ასწავლიდა თავის დობილს აბრეშუმის პარკის ხარშვასა და ამოხვევის ტექნიკას. ლიდას შრომამ მალე გამოიღო ნაყოფი და მაგდა ერთ თვეში მის გვერდით დადგა ადუღებულ ქვაბებთან, როგორც ოსტატი.

მაგდა ლიდა ბახტაძესთან, ციალა ღლონტთან, ნორა ჯიბუტთან, გუგული კაკაძესთან, ნადია ანთიძესთან და სხვებთან ერთად მთელს რაიონში ცნობილი ადამიანი გახდა. მალე მოწინავე სტახანოველის სახელი დაიმკვიდრა.

გადიოდა დრო, მაგდას გულში ახალი სურვილი ჩაისახა. გადაწყვიტა აბრეშუმის ქსოვის საქმე შეესწავლა. ძალიან წუხდა მეგობრების და, მათ შორის ლიდას დატოვებას, მაგრამ ამ წუთში ადამიანურმა სისუსტემ თუ სიძლიერემ თავისი გააკეთა. მაგდა თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კარებს მიადგა. ფაბრიკის ხელმძღვანელთა რჩევით, მაგდა მიიღეს საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში, რომელიც ბეჯითმა მოსწავლემ ერთი წლის შემდეგ ფრიადზე დაამთავრა

მაგდას საქსოვი დაზგა ჩააბარეს. იმ დღიდან კიდევ ახალი ხანა დაწყო მის შრომითს ცხოვრებაში. იმ ღამეს მის თვალს ძილი არ მიჰკარებია. დიდი ხნის ოცნება ახლა სინამდვილედ ექცა და უდედმამოდ გაზრდილი გოგონა მშობლიური ქვეყნის ზრუნვას დედის ალერსივით გრძნობდა.

მაგდას აბრეშუმის ქსოვის დაუფლების საქმეში ცოტა დაბრკოლება და სიძნელე როდი გადაეღობა, მაგრამ ახალგაზრდა გოგონა ამ სიძნელეებს არ შეუშინდა. ბევრი ფიქრი, ბევრი შრომა და ბევრი უძილო ღამე შეიქმნა

საჭირო იმისათვის, რომ მაგდას სახელოვანი მქსოველი ქალის სახელი მოეხვეჭა. არც უსიხმოვნებას მორიდებია მისი ალალ-მართალი გული და არც გადაჭარბებული შექებისათვის უთხოვებია მას ყური. იგი ყველაფერში დაკვირვებასა და ზომიერებას იჩენდა. როცა ფაბრიკის საპატიო დაფაზე ამოიკითხა თავისი გვარი, გაეხარდა, მაგრამ როდი გაყოყოჩდა. მეორე დღეს უფრო ბეჯითად განაგრძო მუშაობა. როცა მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილის გამოშვებისათვის დააჯილდოვეს, გაეხარდა, მაგრამ როდი დაკმაყოფილდა მიღწეულით. მეორე დღეს დღიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. როცა საამქროს ცვლის ოსტატმა, სერგო ფაჩუაშვილმა, მეტად დაკვირვებულმა კაცმა, მანქანის ტექნიკურად ათვისებისა და მისი სუფთად მოვლისაკენ მოუწოდა, როდი იწყინა, ან სახე როდი მოენუსხა, პირიქით, მის ახალგაზრდულ სახეს ღიმილი გადაეფარა, შავი წარბები კიდევ უფრო გაეხსნა.

— ამ ფაბრიკაში პირველად ვხვდები ისეთ გონიერ, დაკვირვებულსა და დაინტერესებულ მქსოველ ქალს, როგორიც ეს არის ახლადმოსული გამხდარი, კაფანდარა და შავტუხა გოგონა მაგდა. შენ რას იტყვი, გალინა, მართალს ვამბობ! — ღიმილით მიმართა ინსტრუქტორ ქალს საქსოვი საამქროს ცვლის სახელოვანმა ოსტატმა.

— რა გულთმისანი ხარ, დავით, მეც სწორედ ამაზე ვფიქრობდი ახლა. დამასწარი. ბიჭო, ამის თქმა. მერე როგორ ქსოვს, არ იკითხავ? წუნს ვერ მოუნახავ. ჯერ რაა, ერთი წელიც არ არის, რომ მუშაობს. და მის ნაქსოვს რომ დახედავ, გული გაგინათდება პირდაპირ. არა, ხელოვნურ აბრეშუმსაც რომ საუცხოოდ ქსოვს, ერთხელაც არ უნდა გაუწყდეს ძაფი დგიმსავარცხლის ზედმეტი დაჭიმვისაგან? ისე როგორ გაუშვებს მანქანას, რომ თანაბრად და ზომიერად მუშაობდეს? — კმაყოფილი ეუბნებოდა გალინა რაჭველიშვილი ცვლის ოსტატს დავით გრიგორიანს შესვენების დროს და თავის ეშხიან თვალებს იქითკენ მიანათებდა, საითკენაც მაგდა მაქოსავით სწრაფად მოძრაობდა მანქანის გაშვების მოლოდინში.

ეს იყო ოთხი წლის წინათ.

მას შემდეგ მაგდა თავაუღებლივ ეუფლება ქსოვის ტექნიკას. სწავლას დახარბებულ მაგდას ისე გაეხსნა გონება, რომ მისთვის ახლა ქსოვის ყოველგვარი ნიუანსი ადვილად დასაძლევი გახდა. ფაბრიკის დერეფნებსა და საამქროებში, კრებებსა და თათბირებზე მაგდას სახელი ისე ხშირად გაისმოდა, რომ ბევრჯერ თვით მაგდაც ჩაფიქრებულა, მე ვარ ეს, თუ სხვაზე ლაპარაკობენო. ზოგჯერ მის სახელს რადიოშიც გაიგონებდით, მაგრამ დინჯ, დაკვირვებულ, თავდაჭერილ, ქსოვის საქმის დაუფლებაში გაბედულ გოგონას არ აკმაყოფილებდა მიღწეული. იგი სულ ახლის ძიებაში იყო. მალე შეითვისა ქსოვილის ამორღვევის წესები, რის გამო ქსელის ძაფების წყვეტიანობა შეამცირა. მაქოს, სამაქოეს ყუთში სწორად მოთავსება, მაქოში მისაქსელი ძაფის, აგრეთვე ქსელის ცალკეული ძაფების დგიმსავარცხელში თანაბარი და თანაზომიერი გატარება, რასაც საუცხოოდ ახამებდა მაგდა დროის ეკონომიასთან, გახდა ძაფის წყვეტილობის ლიკვიდაციის საქმეში მთავარი საშუალება. მან სულ მალე აითვისა კოვალიოვის მეთოდი ჩქაროსნულ ქსოვისა. ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული ოცი წამისა, მას თერმეტ წამში გაჰყავს ქსელის ძაფი დგიმთაცმასა და ფერდში, ხოლო ნაცვლად გათვალისწინებულ ოთხი-ხუთი წამისა, ორ-სამ წამს ხარჯავს მაქოს გამოცვლასა და ძაფის ძებნაზე. ამგვარი შრომით ყოველთვიურად გეგმის გადამეტებით ორას ორმოცდაათ მეტრ

ზოლიან ვისკოზის ტილოს ქსოვს. მაგდა სულ პირველი ხარისხის ქსოვილს უშვებს. მან იანვრის თვის გეგმა ასოცდახუთი პროცენტით შეასრულა.

დიდი ფაცა-ფუცი შეიქმნა ერთ დღეს ფაბრიკაში. ახალი საქსოვი დაზგები მოეტანათ. ყველას ეშინოდა ამ მანქანაზე მუშაობის დაწყება, ყველა შორიშორს უტრიალებდა. ფაბრიკის დირექციამ არჩევანი მაგდა ბურჯანაძეზე აიღო. რატომ ბურჯანაძეზე? იმიტომ, რომ მაგდა მუშებში გამოირჩევა დაკვირვებით. საქსოვი დაზგის კარგად ცოდნით, მანქანის ტექნოლოგიური პროცესების ღრმა შესწავლით და წინდახედულებით. მაგდამ პირველმა აითვისა 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ჩემოსხმული ახალი, გაუმჯობესებული საქსოვი დაზგა. ყველანი გულისფანცქალით მოელოდნენ ამ ახალი მანქანის ამუშავებას. ათასი თვალი დაჰყურებდა მაგდას მუშაობას იმ დილით. მაგდაც ღელავდა, ტრიალებდა დაზგის ირგვლივ, ხან ხარბად დააცქერდებოდა თვითეულ მის ნაწილს, ხან კი ფიქრებს რომ გაართმევდა თავს, თვალებს მიანათებდა მაქოში თავისუფლად მოთავსებულ მასრას, ხელით მოსინჯავდა გასაშვებად დამზადებულ მანქანას. წუთი და — საამქროც აგუგუნდა. ამხანაგებმა გამარჯვება მიულოცეს მაგდა ბურჯანაძეს. ამან კიდევ უფრო გაახმაურა მაგდას სახელი. კომკავშირელ გოგონას ეს წარმატება ეცოტავა, მაშინ მან დაიწყო მეორე დაზგაზე მუშაობა. მაგდა წარმოებიდან მოუწყვეტლად სწავლობს საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასში. საამქროდან გამოვა თუ არა. სკოლაში შედის. გაკვეთილებს მოამზადებს თუ არა, ძილი მოეკიდება. მაგრამ ფიქრი ხვალინდელ დღეზე ძილშიაც ჩაჰყვება. დრო მაგდასათვის ძვირფასი რამ არის. როგორც კი მოახლოვდება სამუშაოს დამთავრების წუთები. მაგდა ცალ თვალს საქსოვი მანქანის გვერდით კედელზე ჩამოკიდებულ წიგნის ჩანთისაკენ გააპარებს. ნახევარ საათში იგი მერხზე უნდა იჯდეს.

ერთხელ საამქროში გამოაცხადეს, ყველანი მიტინგზე გამოცხადდით დაუგვიანებლადო. მაგდამ დახედა თავის საყვარელ დაზგას, ხელი დაავლო წიგნების ჩანთას და მუშებით გაჭედილ კლუბის დარბაზში შევიდა. დასაჯდომი ადგილი რომ ვერ იშოვა, წინა რიგების გვერდით კედელს მიეყრდნო. პრეზიდიუმიდან რატომღაც განსაკუთრებით აკვირდებოდნენ დღეს მას.

გაისმა ზარის წკრიალი. მაგდა შეკრთა, ფიქრებისაგან გამოერკვა. თვალი პრეზიდიუმს მიაპყრო. თავმჯდომარემ მიტინგი გახსნა და სიტყვა წინადადებისათვის საქსოვი საამქროს ცვლის ოსტატს — დავით გრიგორიანს მისცა. მან ილაპარაკა საბჭოთა ქვეყნის მიღწევებზე, კონსტიტუციაზე, შემდეგ წინადადება შემოიტანა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებული იქნეს მოწინავე მქსოველი ქალი... მაგდა დავითის ასული ბურჯანაძე... უცებ ტაშმა იგრიალა. გაბრუებული და გახარებული მაგდა მაგრად მიეკრა კედელს. მას ათასი მეგობრისა და ამხანაგის თვალი მისჩერებოდა.

ერთ წუთში თითქოს ყველამ მის მღელვარე სულში ჩაიხედა.

მაგდამ მორიდებულად ასწია თავი, კედელს მოშორდა, მორცხვად გაიხედა პრეზიდიუმისაკენ. ბუნდოვნად ხედავს, რომ ტრიბუნაზე გალინა რაჭველიშვილი ადის. გალინა მკაფიოდ აცხადებს:

— ჩვენი ფაბრიკის კოლექტივს დღეს წილად ხვდა ბედნიერება, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებთან ერთად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ეროვნებათა საბჭოში დაასახელოს ჩვენი ფაბრიკის მუშა, სტახანოველი მქსოველი ქალი მაგდა დავითის ასული ბურჯანაძე. მაგდას არ ახსოვს მშობლები. ის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გა-

ზარდა. მან წარმატებით დაამთავრა საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, რის შემდეგ ფაბრიკაში მქსოველად დაიწყო მუშაობა. ბურჯანაძე არის ენერგიული მუშა. სისტემატურად ასრულებს გამომუშავების ნორმებს და ქსოვს მხოლოდ პირველი ხარისხის ქსოვილს. ამხანაგმა მაგდამ ღირსეულად დააფასა პარტიისა და მთავრობის მზრუნველობა და მას თავდადებული შრომით უპასუხა. ჩვენი კოლექტივი რწმენას გამოთქვამს, რომ ამხანაგი ბურჯანაძე გაამართლებს ამომრჩევლების ნდობას და იქნება მოწინავე ადამიანი.

მაგდა ღელავს. „რა იქნებოდა ჩემი დედმამა მოსწრებოდა ჩემს ამ ბედნიერებას“ ფიქრობს მაგდა. გრძნობს ყველა მას შეჰყურებს, ყველა მას უღიმის. ისინიც ღელავენ, მათაც ახარებდა მაგდას ბედნიერება.

ამ დღიდან კვლავ ახალი ხანა დაიწყო მაგდას ცხოვრებაში. ყოველ დღეს ახალი სიხარული და ახალი ბედნიერება მოაქვს. ამ სიხარულის საპასუხოდ მაგდა მესამე დაზგაზე გადავიდა. რამდენი სიცოცხლე და სიყვარული ჩქეფს ამ პატარა ტანის გოგონაში. სად იყო მასში ჩამარხული ამდენი ძალა და ენერგია, ახლა რომ ამ დაზგაზე მუშაობისას გამოამჟღავნა მაგდამ? როგორ არ უნდა გაახაროს ადამიანი მაგდას წარმატებამ და წინსვლამ? რა იყო და რა არის, სად იყო და რა სიმაღლეზე ავიდა ერთ დროს უფსკრულის პირად მისული ადამიანი?..

ჯერ კიდევ არ განელებულიყო ის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც მაგდაზე მოახდინა დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებამ, რომ იგი დიდი სიყვარულით შეიყვანეს ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა წინასაარჩევნო კრებაზე სახელმწიფო ცირკის შენობაში. სამიათასიანი მიტინგის თვალი რომ ერთბაშად მისკენ მიეპყრო, მაგდა კინაღამ გაიპარა სცენიდან, როცა ამ ზღვა ხალხის სიყვარულის გრძნობამ მის ზედაპირზე შეაგდო მაგდა, იგი ისევ გამხნევდა. როცა ორატორებმა აღფრთოვანება გამოხატეს მაგდას შრომითი მამაცობისა და წარმატებების გამო, მაგდამ საპასუხო სიტყვა ტაშის გრიალში ძლივს დაამთავრა.

— ჩემი განვლილი ცხოვრების გზა დიდი არ არის, ამხანაგებო, მაგრამ იგი სავსეა პარტიისა და მთავრობის ზრუნვით ჩემდამი. ჩემი დედა და მამა საბჭოთა ქვეყანაა, ამ ქვეყანაში დაირწა ჩემი ცხოვრების აკვანი და მასვე შევალევ ჩემს სიცოცხლეს...

დიდხანს გუგუნებდა ტაში. კრებიდან გამოყოლილი მღელვარება არც სახლში ჩამცხრალიყო. გახურებულ გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ამ დროს ფოსტალიონმა საერთო საცხოვრებლის კარები შემოაღო და მაგდას რამდენიმე წერილი ერთად გადასცა. მაგდამ პირველი და მეორე წერილი გახსნა. ქუთაისიდან და ფოთიდან ულოცავდნენ ამხანაგები გოგონას წარმატებას.

მაგდამ დახედა მესამე კონვერტს და ხმამაღლა წამოიძახა: „ჩემი სოფლიდანაა!“ წერილი გახსნა: „მაგდა! გილოცავ ბედნიერებას, ვერ წარმოიდგენ იმ სიხარულს, რაც ჩვენ განვიცადეთ ამ დღეებში. სონა ძალომ გაზეთი მოიტანა კოლმეურნეობიდან და წამიკითხა. თითქოს არ მჯეროდა, მაგრამ ვანოსთან ერთად შენს სურათს რომ დავხედეთ და ბიოგრაფიაც წავიკითხეთ, სიხარულისაგან გული კინაღამ ამომივარდა. დედაჩემი ესმას გაჰყოლოდა სკოლაში მშობელთა კრებაზე, თამარს რომ დაენახა დედა დაეძახა მისთვის, გაიგე ჩვენი მაგდა დეპუტატობის კანდიდატად რომ არის წამოყენებულიო? თურმე მასწავლებლები კითხულობდნენ, ნეტავ მაგისი რა არისო. თამროს ეთქვა, დისშვილიაო. ყველას

უხარია შენი დაწინაურება. მაგდა, გთხოვთ გამოგვიგზავნო წერილი და ყველაფერი მომწერო დაწვრილებით, თუ როგორ შეხვდი ამ ამბავს. ესმა სიხარულით ფეხზე აღარ დგება. გულში იკრავს გაზეთს, გკოცნის და გიალერსებს. ამალია დასაწოლადაა. ამ დღეებში დაწვება კიდეც, ბიჭს ელის... ისე, ბავშვები კარგად ჰყავს ჯანმრთელად არიან. ჩვენც კარგად ვართ. მხოლოდ პაპა ივანე არის ავად, შემოდგომას აქეთ სულ ლოგინში წევს. საწყალი დედაჩემი გაათავა მაგის მოვლამ.

ასე, ჩემო დაო! იყავი ჯანმრთელად. შენ იცი და შენმა ქალობამ ახლა, როგორ დააფასებ შენს პატივისმცემლებს, შენს მზრუნველსა და აღმზრდელ ქვეყანას, ამის იმედი კი მაქვს, რომ არავის არ შეგვარცხვენ. აბა შენ იცი, მაგდა!

გწერთ შენი კეთილის მსურველნი და შენი ბედნიერებით აღფრთოვანებულნი დეიდაშვილები ანეტა, ვანო და ესმა".

მაგდამ თავი ვერ შეიკავა და ქალურმა სისუსტემ სიხარულის ცრემლები მოჰგვარა. განსაკუთრებით ააღელვა იგი პაპა ივანეს მოგონებამ და იმ ბედნიერი წუთების განცდებმა, რომლებიც მას პირველად ჩაესახა გულში მასთან ვენახში შეხვედრისას. უცებ მის თვალწინ მთელმა მისმა ცხოვრების სურათებმა გაირბინეს.

ფიქრებში გართულს თითქოს მეორედ ჩაესმა ყურში ერთ-ერთი ორატორის სიტყვა!

— აი, როგორ იბადება და იზრდება ჩვენს ქვეყანაში ადამიანი: საბავშვო ბაგიდან, ობლობიდან — უმაღლესი საბჭოს დეპუტატობამდის! რა მწვერვალია! მაგრამ რა ახლოა და ბუნებრივია თვითეული მისი საფეხური, რაოდენი სიცოცხლე და სიყვარულია შიგ ჩაღვრილი. ასეთია ჩვენი ქვეყნის ძალა.

ამ სიტყვებს თითქოს მეორე ხმა შეუერთდა:

— აი, ჩვენი დროის ადამიანი!

ამ უკანასკნელ სიტყვას სიყვარულით იმეორებდა მაგდა და მის გონებას არ შორდებოდა ფიქრი იმ დიდი მოვალეობის შესახებ, რომელიც მას მტკიცედ ჩაენერგა გულში თავისი ხალხის ულევი სიყვარულის გამო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოც. ნ. ურუშაძე

სტალინი მსოფლიოს პროგრესულ მწერალთა შემოქმედებაში

★

ევროპისა და მთელი მსოფლიოს მხატვრული სიტყვის ოსტატთა შორის, რომლებიც შეეცადნენ ი. სტალინის მხატვრული სახის მოცემას, განსაკუთრებით დიდია ანრი ბარბიუსის როლი და მნიშვნელობა. ყველაზე ღირსშესანიშნავი, რაც მან ამ მიმართულებით გააკეთა, არის მისი სახელგანთქმული წიგნი „სტალინი", რომელიც 1934 წელს გამოქვეყნდა.

წიგნის შესავალ ნაწილში, სადაც მოსკოვის გულია დახატული — წითელი მოედანი ლენინის მავზოლეუმით და ჭაღარა კრემლის კედლებით — ბარბიუსი იძლევა ი. სტალინის დახასიათებას: „ის არის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ჩვენს თანამედროვეთა შორის. მას მიჰყვება 170 მილიონი კაცი... მთელი თავის არსებით მაღლდება იგი ევროპასა და აზიაზე, წარსულზე და მომავალზე. ეს ყველაზე სახელოვანი და, მასთან ერთად, ყველაზე გამოუცნობი კაცია მსოფლიოში".

ასეთი შესავალის შემდეგ ბარბიუსის წიგნში იშლება მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის რევოლუციური მოძრაობის სურათი მთელ რუსეთის იმპერიაში, კერძოდ, ამიერკავკასიასა და საქართველოში. სწორად მოხაზულ ისტორიულ ფონზე მკითხველის თვალწინ აღდგება მარქსიზმის განვითარების სურათი რუსეთის იმპერიის სინამდვილეში, რასაც უკავშირდება ახალგაზრდა ლენინისა და სტალინის მკაფიო სახეების გამოკვეთა, ადამიანებისა, რომელთაც, ბარბიუსის თქმით, ჭეშმარიტი რევოლუციური ინსტინქტით აირჩიეს პროფესიული რევოლუციონერის გზა.

ბარბიუსი უცხოელ მკითხველს აცნობს ი. სტალინის დაუღალავ რევოლუციურ მოღვაწეობას ბათუმში, ჭიათურაში, ქუთაისში, ბაქოში, მის პრინციპულ პროპაგანდას როგორც პრესაში, ისე საჯარო გამოსვლებში, მუშათა კრებებზე და საპყრობილეებში. ასე წარმოდგება ბარბიუსის წიგნის დასაწყისში სტალინის საქმიანობა 1905 წლის რევოლუციამდე. აქ მკაფიოდ არის დახატული სტალინის, როგორც გამოცდილი ახალგაზრდა რევოლუციონერის სახე. რევოლუციონერისა, რომლის მნიშვნელობა, ბარბიუსისავე სიტყვით, ამ დროს უკვე სცილდება საქართველოსა და ამიერკავკასიის ფარგლებს.

ამის შემდეგ ბარბიუსი დიდი შთამაგონებელი ძალით და პოლიტიკური სიმახვილით შლის სტალინის გმირული ბრძოლების ეპოპეას 1905 წლის რევოლუციის პერიოდიდან ოქტომბრის რევოლუციამდე; სტალინი რეაქციის მძიმე წლებში ლენინთან ერთად, ლენინის ხელმძღვანელობით, სჭედდა რევოლუციის გამარჯვების საქმეს.

წიგნის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „რკინის ხელი", ბარბიუსი ხატავს სტალინის, როგორც სამოქალაქო ომის გამარჯვებათა ორგანიზატორისა

და მხედართმთავრის, მოღვაწეობას, აქვე დახასიათებულია სტალინი როგორც მშვიდობიანი მშენებლობის უდიდესი ორგანიზატორი.

ბარბიუსი ხაზს უსვამს ლენინისა და სტალინის მჭიდრო მეგობრობას, თანამშრომლობასა და ურთერთგაგებას. „როცა ლენინი აღარ იყო, — წერს ბარბიუსი. — მისი საქმე თავის თავზე აიღო მეორემ... მაშინ დაიწყო და განსაკუთრებით საგრძნობი გახდა სტალინის ამაღლება და უდიდესი გაზრდა მისი ისედაც დიდი ავტორიტეტისა. სულ უფრო და უფრო წამყვანი ხდებოდა მისი ფიგურა".

გეგმიანი სოციალისტური მშენებლობის ყოველი დარგის შესახებ მსჯელობასთან ერთად ბარბიუსი ხაზს უსვამს სტალინის უდიდეს როლს და ნათელყოფს მისი გენიის მრავალმხრივობის გამოვლენას თეორიასა და პრაქტიკაში.

სტალინისადმი უდიდესი სიყვარულით არის შთაგონებული ბარბიუსის წინასწარმეტყველური სიტყვები: „თუ დაიწყება ომი, საბჭოთა ხალხების რწმენის უდიდესი საფუძველი იქნება სტალინი. იგი თავის ხელში გააერთიანებს პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას, ან, უფრო სწორად, ის წინანდებურად გააერთიანებს მას მოვლენათა ქარიშხალში. საბჭოთა კავშირში ამას სთვლიან გამარჯვების საწინდრად".

სამამულო ომის ბრწყინვალე დაგვირგვინებამ მოგვცა ბარბიუსის ამ წინასწარმეტყველების უტყუარი გამართლება.

განსაკუთრებით უდიდესი მხატვრულ-პუბლიცისტური ძალით არის შთაგონებული ბარბიუსის წიგნის უკანასკნელი დასკვნითი თავი „კაცი საჭესთან". ანრი ბარბიუსი იძლევა სტალინის ასეთ დახასიათებას. „ეს რკინის ადამიანია: მისი გვარი გვაძლევს მის სახეს, სტალინი — ფოლადი. ის უდრეკია როგორც ფოლადი. მისი ძალა არის შეუდრეკელი, საღი აზრი, მისი ცოდნის სიფართოე, გასაოცარი შინაგანი შეკრებილობა, სიცხადისადმი მისწრაფება, უდიდესი თანმიმდევრობა, გადაწყვეტილებათა სისწრაფე, სიმტკიცე, განუწყვეტელი ზრუნვა ადამიანთა შერჩევის საქმეში.

სიკვდილის შემდეგ ადამიანი მხოლოდ დედამიწაზე ცოცხლობს. ლენინი ცოცხლობს ყველგან. სადაც არიან რევოლუციონერები; მაგრამ შეიძლება ითქვას: არავისში ისე არ განხორციელებულა ლენინის აზრი და სიტყვა. როგორც სტალინში, სტალინი — ეს არის ლენინი დღეს... არც ერთ რევოლუციონერს პრაქტიკულად ისე არ გაუმდიდრებია რევოლუცია... როგორც გაამდიდრა სტალინმა",

ა. ბარბიუსთან ერთად საბჭოთა ქვეყანას და ი. სტალინს ადიდებდნენ მსოფლიოს მხატვრული სიტყვის სხვა ოსტატებიც.

ცნობილი დანიელი მწერალი მარტინ ანდერსენ ნექსე სტალინის დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით წერდა: „საბჭოთა კავშირის წარმატება და ბედნიერება იმაშია, რომ მის ხელმძღვანელობაში აღმოჩნდა მსოფლიო მასშტაბის ორი დიდი მოღვაწე — ლენინი და სტალინი. სტალინის სიდიადე, ისე როგორც ლენინისა, იმაშია, რომ მისი პიროვნება წარმოადგენს, შეიძლება ასე ითქვას, შუქურას მთელი მსოფლიოს ჩაგრული ხალხებისათვის".

ლენინისა და სტალინის ისტორიულ მნიშვნელობასა და სიდიადესთან ერთად მარტინ ანდერსენ ნექსე ხაზს უსვამს ორივე ბელადის უბრალოებას, თავმდაბლობას და ამხანაგურ დამოკიდებულებას ყველას მიმართ. იგი ამბობს: „სტალინი ამხანაგია. საბჭოთა კავშირში ყოველი მოქალაქე მას უცქერის როგორც ამხანაგს, და, თავისთავად იგულისხმება, რომ ეპყრობა მას, როგორც ამხანაგს... სტალინი ყველა მუშის ამხანაგია. ამასთან ერთად იგი მთელი თავით

მაღლა დგას მსოფლიო ბურჟუაზიის ყველა გამოჩენილ მოღვაწეზე". მისივე გამოთქმით, სტალინი — „ახალი ქვეყნის ხუროთმოძღვარია და მომავალიც მას ეკუთვნის. ასობით მილიონი ხალხი მთელ დედამიწაზე მადლიერების გრძნობით ფიქრობს მასზე".

ასევე აღფრთოვანებით წერდა სტალინზე, მისი დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით, ფაშისტური ტირანიის მძიმე უღელქვეშ მგმინავი ესპანელი პოეტის სესარ არკონადა. მისი თქმით, „სტალინი არის იმ სიმაღლეთა შემოქმედი, სადაც სიცოცხლე მშვენიერია და იგი ცხოვრების სახელწოდების ღირსია, სადაც ადამიანი თავს გრძნობს ძლიერად, დიდსულოვნად, მხიარულად და ბედნიერად, სადაც ადამიანი, რომელიც წარსულში მონა იყო, დღეს თავისი თავის ბატონი ხდება". არკონადა განსაკუთრებით უსვამს ხაზს ამ უკანასკნელ გარემოებას და ამბობს, რომ სტალინის სიდიადე გამოიხატება როგორც ახალი მაღაროებისა და ქარხნების მშენებლობაში, ისე ახალი მსოფლგაგებისა და ახალი ჰუმანიზმის მქონე ადამიანის ჩამოყალიბებაში. იგი წერს: „ახალი სტალინური ჰუმანიზმი კაცობრიობაში ქმნის აღორძინების ახალ ეპოქას. საბჭოთა ქვეყანაში ადამიანი იმიტომ არის ყველაზე ძვირფასი კაპიტალი, რომ იგი ადამიანია, იმიტომ რომ იგი თავის თავს ეკუთვნის... იმიტომ რომ იგი თვითონ არის თავისი ბედნიერების მჭედელი... არასოდეს ადამიანი არ ყოფილა ამ სიმაღლეზე დაყენებული. ამაშია ლენინისა და სტალინის უდიდესი დამსახურება".

გმირი ესპანელი ხალხი დღესაც ისევე იჩაგრება ფაშისტური ტირანიის უღელქვეშ, როგორც მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ესპანელი ხალხი ქედს არ იხრის. იგი იბრძვის თავისი ქვეყნის დაკარგული თავისუფლების აღსადგენად. ამ ბრძოლაში ესპანელი ხალხის ფიქრები და იმედები დიადი საბჭოთა ქვეყნისაკენ, სტალინისაკენ იყო მიპყრობილი. ესპანელი ხალხის სულისკვეთებას ღრმად სწვდება და გამოხატავს იგივე პოეტი ლექსში — „კრემლის ვარსკვლავი".

დაჰკრავს საათი, დაემხობა ჯალათთა ხროვა
და საბოლოოდ გაიჭრება გზა გაუვალი,
და იმ გზით კრემლის მოელვარე ვარსკვლავთან მოვა
ჩემი სამშობლო — ესპანეთი თავისუფალი.

ის სულს აიგზნებს სიხარულის აღმაფრენისა,
ნახავს სტალინის ძვირფასსა და საყვარელს სახეს,
მავზოლეუმის კარს შეაღებს, მივა ლენინთან
და სიყვარულის შუქს აუნთებს მის უკვდავ სახელს.

(თარგმ. ალ. აბაშელისა).

ასე განუყრელადაა დაკავშირებული საბჭოთა ქვეყანასთან ესპანეთის მომავალი განთავისუფლება ყოველი ესპანელი მებრძოლი პატრიოტის შეგნებასა და მისწრაფებაში, რაც კარგად აქვს გამოთქმული ესპანელი ხალხის თავისუფლების მომღერალს, ცნობილ პოეტს პედრო გარფიასს ლექსში — „სტალინი".

პოეტი აქ მიმართავს სტალინს და აღნიშნავს, რომ მისი სახელი ღამითაც უნათებს ესპანელ ხალხს, ძალას ჰმატებს მუშას, სიხარულს ჰფენს ტყეში პარტიზანს. სტალინის სახელის გაგონებაზე, პოეტის თქმით, წელში სწორდება მთელი ესპანეთი და იგი განთავისუფლების იმედით აღინთება. სამშობლოდან დევნილი პოეტი ასე მიმართავს სტალინს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითხარ, ოდესმე ჩემს სამშობლოში
თუ მეღირსება მე დაბრუნება,
როდის გამითბობს გულს გამწარებულს
ჩემი ლამაზი ქვეყნის ბუნება
ო, ესპანეთი,
სამშობლო ჩემი,
იმ ძველ ბორკილებს როდის დალეწავს...
ო, მითხარ, სტალინ...,
შენ შემოგცქერის
მილიონების გული მართალი,
ვისაც სწყურია თავისუფლება,
შენ ხარ დიადი მათი სარდალი,

(თარგმ. კონსტ. ლორთქიფანიძისა).

საბჭოთა ქვეყანა ყველა უბრალო ადამიანისა და ჩაგრულის იმედია მთელ მსოფლიოში. ყველაზე შორეული — სამხრეთ ამერიკის ლათინური ქვეყნების — ჩაგრული ხალხების ფიქრებიც ძლევამოსილი სოციალიზმის ქვეყნისაკენ არის მოპყრობილი. ამ ქვეყნის მშრომელები ორგვარ ჩაგვრას განიცდიან: ერთი მხრივ მათ კისერზე ადგას მძიმე უღელი თავიანთი ქვეყნის ფაშისტური და ფაშიზაციის გზაზე მდგარი მმართველი ოლიგარხიული წრეებისა და, მეორე მხრივ, უღელი ჩრდილო-ამერიკის უოლსტრიტელი მაგნატებისა. ჩილის, არგენტინის, ბრაზილიის, ვენესუელისა და სხვა ქვეყნების ხალხები ხსნას-მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში ხედავენ. ამით აიხსნება, რომ ამ ქვეყნების გამოჩენილი პოეტები — პაბლო ნერუდა, ჟორჟი ამადუ, ტუნიონი, ლეონი და სხვები გულწრფელად და ძლიერი პოეტური ხმით უმღერიან სტალინს, როგორც მთელი პროგრესული კაცობრიობის ნათელი მომავლის და ყველა ჩაგრული ხალხების განთავისუფლების იმედს. ისინი, საბჭოთა კავშირის მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებით და სოციალიზმის მშენებლობის მბრწყინვალე წარმატებებით აღფრთოვანებულნი, გულწრფელი გრძნობით აღსავსე ლექსებს მიუძღვნიან ი. სტალინს.

თავისუფლების მგზნებარე მებრძოლი ჩილიელი კომუნისტი პოეტი პაბლო ნერუდა თავის პოემაში „დე გაიღვიძოს ტყის მჭრელმა“ შთაგონებით აღსავსე სტრიქონებს უძღვნის საბჭოთა ქვეყნის გმირულ ბრძოლას მეორე მსოფლიო ომში, უმღერის დიდ სტალინს, როგორც სოციალიზმის ქვეყნის გამარჯვებათა ორგანიზატორს.

სტალინისადმი ძლიერი სიყვარულის გრძნობით არის გამთბარი პოეტის შემდეგი სტრიქონები:

ძველისძველ კრემლის სამს ოთახში
ცხოვრობს ბელადი;
მას სიამაყით ეძახიან
იოსებ სტალინს...
გვიან ღამითაც მის ფანჯარაში არ ქრება შუქი,
ქვეყნიერების მომავალზე ის ზრუნავს მაშინ
და თავის ქვეყნის სასიკეთოდ ათენებს ღამეს,
მან თვითონ შექმნა ეს ქვეყანა, თვითონ აღზარდა,
თვითონ დაიცვა არა ერთი განსაცდელისგან,
ის არის ამ დიად ქვეყნიდან განუყოფელი,
ჯანმოუღლელი
როგორც მისი მშობელი ხალხი.

(თარგმ. ილო მოსაშვილისა).

ამ სიტყვების შემდეგ პოეტი ეხება სტალინის ღვაწლს საბჭოთა ქვეყნის დაცვაში — სამოქალაქო ომის წლებიდან სამამულო ომში ბრწყინვალე გამარჯვებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი პოეტური შთაგონებით და ღრმა სიყვარულით არის, აგრეთვე, აღბეჭდილი ბრაზილიელი რევოლუციონერი პოეტის ჟორჟი ამადუს პოემა „სიმღერა დიდ საბჭოეთზე", რომელშიც პოეტი უგალობს საბჭოთა ქვეყანას როგორც სიმართლისა და თავისუფლების ბურჯს. პოეტის თქმით, საბჭოთა ქვეყანა არის ყველასათვის საყვარელი დედა და მსოფლიოს ერთადერთი მხსნელი, რომლის გულისაგან „ღვივდება ცეცხლი, დიდი რწმენა გამარჯვებისა". საბჭოთა ქვეყნის გული კი, მისი სიტყვებით, ფოლადისაგან არის ნაჭედი:

დიდი სტალინის ფოლადისგან, ვით კლდე მაგარი,
იგი მსოფლიოს საიმედო, მტკიცე გულია,
ხალხთა იმედი, მისი მზე და სიხარულია.

(თარგმ. ხ. ვარდოშვილისა).

ლათინური ამერიკის რევოლუციონერი პოეტებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან საბჭოთა ქვეყნისა და სტალინის მიმართ თავიანთი გულწრფელი გრძნობების გამოხატვაში.

არგენტინელი პოეტი რაულ გონსალეს ტუნიონი შთაგონებული ლექსით მიმართავს ი. სტალინს:

ვიცით, შენ მოსპობ ქვეყანაზე ომების კერას,
ვიცით, ჩვენ ვიცით, სულ ახლოა ომების ბოლო,
თავისუფლება იზეიმებს, ჩვენ ასე გვჯერა,
აღსდგება შრომა, გაიხარებს მშრომელი მხოლოდ,
შრომის ქვეყანას დაუმკვიდრებ მშვიდობის ერას,
შენ, დიდო სტალინ, შენ მესაჭევ, შენ წინამძღოლო.

(თარგმ. ირაკლი აბაშიძისა).

ვენესუელელი პოეტი კარლოს აუგუსტ ლეონი პოემაში „სიმღერა საბჭოთა კავშირზე მშვიდობიანობის დღეებში" აღფრთოვანებულ სტრიქონებს უძღვნის ლენინსა და სტალინს. ახასიათებს რა ლენინს, როგორც მშრომელი ხალხების ღრმა სიყვარულით გამსჭვალულ ადამიანს და მამას, იგი დასძენს:

ლენინ! შენ მუდამ იცოცხლებ ხალხში,
ჩემი ქვეყანაც შვებას მოელის,
მამას გეძახის: რუსი, ქართველი,
ფრანგი, ჩინელი, თუ ინდოელი.
არა, არ გძინავს, შენ ცოცხალი ხარ...

. . . . . .

ფხიზლობს სტალინი, შენი მემკვიდრე,
რომ სისხლისმღვრელი აგვცდეს ომები.

(თარგმ. ალიო მირცხულავასი).

ლათინური ამერიკის ქვეყნების პოეტების ასეთ ვაჟკაცურ სიმღერას და გულწრფელ განცდებს საბჭოთა ქვეყნისა და მისი ბელადებისადმი უერთდება

შორეული ქვეყნის — კუნძულ ჰაიტის ზანგი მომღერლის რენე დე პეტრის ხმაც. იგი თავის ლექსში „სიმღერა ადამიანზე, განთიადზე“ მთელი მსოფლიოს ყველა ჩაგრული ზანგის გრძნობებსა და სიყვარულს გამოხატავს სტალინის მიმართ. ესე თქმით, ზანგები თავიანთი ბედნიერი მომავლის იმედს სტალინის სახელს უკავშირებენ.

ჩინეთის განმათავისუფლებელი ბრძოლების აქტიური მონაწილე, ცნობილი პოეტი ემი სიაო ლექსში „სიმღერა სტალინზე“ სტალინს პოლარულ ვარსკვლავს უწოდებს. ეს მნათობი გზას უნათებს ბნელ ღამეში მხეცებით სავსე უღრან ტყეში მყოფ ჩინელ მწყემსს და მას სამშვიდობოზე გასვლის იმედს აღუძრავს. ამიტომ ყმაწვილი მწყემსი მადლობას მიუძღვნის ზეცას და ამ კაშკაშა ვარსკვლავს.

ძლიერი ხმით და გულწრფელად უმღერის სტალინს ჩინელი პოეტი ჩჟუ-ძი-ცი ლექსში „კაცობრიობის გზის მანათობელი ვარსკვლავი“, რომელიც მან მიუძღვნა სტალინს. მსგავსად ემი სიაოსი, ჩჟუ-ძი-ცი სტალინს მანათობელ ვარსკვლავს და თავისი ქვეყნის მზეს უწოდებს. პოეტი გამოთქვამს ჩინელი ხალხის მადლიერების გრძნობას სტალინისადმი, რომელმაც იხსნა მთელი მსოფლიოს ხალხები და მათი კულტურა.

კორეელი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას გამოთქვამენ სტალინის მიმართ მოწინავე კორეელი პოეტები.

პოეტი სე მან ირი ლექსში „საყვარელი სახელი“ აღნიშნავს, რომ სტალინის სახელი განსაკუთრებით ძვირფასი გახდა კორეელი ხალხისათვის მას შემდეგ, რაც გაწამებული კორეელი ხალხი აღდგა ტყვეობიდან გამოსახსნელად.

კორეელი ხალხის ძლიერი აღფრთოვანება და სიხარული გამოთქმულია პოეტის ლექსის იმ სტრიქონებში, რომლებიც მიძღვნილია საბჭოთა ჯარების მიერ ჩრდილოეთ კორეის განთავისუფლებისადმი.

ლექსში პოეტი გულისტკივილს გამოხატავს იმის გამო, რომ მშობლიური კორეის სამხრეთის ცაზე ჯერ კიდევ მონობის ღრუბლებია ჩამოწოლილი და ხალხი ახალი ბატონების უღელქვეშ გმინავს. მაგრამ ასეთ გულისტკივილთან ერთად პოეტი იმედს გამოთქვამს, რომ სტალინის სახელით გამხნევებული სამხრეთ კორეის ხალხიც მოიპოვებს თავისუფლებასა და მაშინ მთელი კორეელი ხალხი კიდევ უფრო ძლიერად უმღერებს იმ ადამიანს —

...სხივოსანი ვისი სახელიც
ხალხებისათვის ძვირფასია, ვიდრე ჰაერი.
სასურველია პურზე მეტად, მზეზე ნათელო!

კორეელი პოეტი კიმ დე გიუ სტალინს მზეს უწოდებს; სტალინი ლენინური სიმართლის სხივებს აგზავნის დედამიწის ყოველ მხარეში. პოეტის თქმით, სტალინმა კორეელი ხალხი დააყენა ახალი, ბედნიერი ცხოვრების გზაზე.

თავისუფალნი და ბედნიერნი
სხვადასხვა ტომის ხალხნი მრავალნი,
შენი დიადი აზრით გამთბარნი,
შენი ცხოვრების გზებით, ქედებით,
მშვიდობის დაცვით შეერთებულნი,
საუკუნეთა თანამავალნი,
უკვდავი შუქით განათებულნი
შენს მზეს უვლიან, ვით პლანეტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგესალმები შენ, ბრძენო სტალინ,
ქებას გიგალობ ალალი ლექსით
შენ, უდიდეს რუსეთის მზესა!

(თარგმ. ალიო მირცხულავასი).

განახლებული, დემოკრატიული გერმანიის საქმისათვის დაუღალავი მებრძოლი, საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი, ცნობილი გერმანელი პოეტი იოჰანეს ბეხერი გულწრფელი გრძნობთ და განცდებით ლაპარაკობს სტალინზე თავის წერილებსა და ლექსებში.

ბეხერი ლაპარაკობს სტალინის მოღვაწეობის მრავალმხრივობაზე, მისი ზეგავლენის უდიდეს მნიშვნელობაზე ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავების საქმეში როგორც საბჭოთა ქვეყანაში, ისე მთელი მსოფლიოს პროგრესული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

ი. ბეხერმა შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა სტალინის მიმართვას საბჭოთა ხალხებისადმი ჰიტლერელი ურდოების თავდასხმასთან დაკავშირებით. პოეტი ხაზს უსვამს ბელადის ამ სიტყვის ისტორიულ მნიშვნელობას:

მძიმე წუთებში მისმა ძალამ შესძრა სამყარო,
უძლეველ ბელადის სიტყვის ძალას ზღვარი არ ჰქონდა,
დიად საქმისთვის მისი სიტყვა ყველგან დაჰქროდა,
ყველა ჩვენგანში იგი იქცა გმირობის წყაროდ.

(თარგმ. ს. ეულისა).

აღფრთოვანებით მიმართავს სტალინს, როგორც თავისი ქვეყნის გამათავისუფლებელსა და მომავლის იმედს, უნგრელი რეტკეშ არპადი ლექსში „წითელი ვარსკვლავი". პოეტი ხატავს უნგრელი ხალხის ცხოვრების ჯოჯოხეთურ პირობებს ჰიტლერული ფაშიზმის უღელქვეშ, რომლისგანაც იგი დაიხსნა საბჭოთა ქვეყანამ. პოეტი გამოთქვამს უნგრელი ხალხის გულწრფელი მადლიერების გრძნობას სტალინისადმი:

სტალინ, შენ გვიხსენ მშრომელნი, იმედო ჩვენი გულისა,
შენ მიერ მიწა უნგრელ კაცს, ლუკმა მართალი პურისა,
უნგრელი კაცის ზეიმი არასდროს დაისუდრება,
სტალინ, შენ მოგვეც სიცოცხლე, შენ მოგვეც თავისუფლება.

(თარგმ. ირ. აბაშიძისა).

ახალი ცხოვრების გზაზე დამდგარი ალბანელი ხალხის მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობა არის ჩაქსოვილი ალექს ჩაჩის საიუბილეო ლექსში „სტალინი ჩვენთან არის".

პოეტი ალბანეთის ხალხის ფაშიზმის უღლისაგან განმათავისუფლებელს სტალინს ხალხთა მასების დროშას უწოდებს. პოეტი ლაპარაკობს ნანგრევებად და ფერფლად ქცეული ქვეყნის აღორძინებასა და განახლებაზე, რასაც სახალხო რესპუბლიკა ახორციელებს. ალბანელი ხალხი ამისათვის სტალინს უმადლის. პოეტი ამბობს, რომ ალბანეთში მთებიც კი უმღერიან დიდ სტალინსო.

ჩეხი პოეტი ოლდრიხ ზემეკი თავის ლექსში „დიდი მეგობარი" აღტაცებული უმღერის სტალინს, როგორც გამარჯვებისა და ხალხთა ცხოვრების განთია-

დის რწმენის შთამაგონებელს, რომელიც არ შედრკა ვერაგი მტრის დროებითი წარმატების დროს და ფაშიზმის უღელქვეშ მყოფ ყველა ხალხს გამარჯვების რწმენას უნერგავდა. ამ ლექსის უკანასკნელ სტროფში პოეტი ასეთ ძახილით ავსებს სტალინს:

ჩვენ მტრების ხელში გვკლავდა ნაღველი
და ბოღმისმეტი რა დაგვრჩენოდა,
გვახსენდებოდა შენი სახელი
და გამარჯვება მტკიცედ გვჯეროდა.

(თარგმ. გრ. აბაშიძისა).

დიდი მხატვრული ძალით და ღრმა ემოციური მღელვარებით არის აღბეჭდილი ჩეხი პოეტის ფრანტიშეკ გრუბინის ლექსი „პრაღის მაისი". პოეტი უგალობს საბჭოთა ხალხების გმირულ განმათავისუფლებელ ბრძოლას. ლექსის უკანასკნელი სტრიქონები გამოხატავენ ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მადლიერების გრძნობას საბჭოთა ქვეყნისა და მისი ბელადის სტალინის მიმართ ჰიტლერელი ფაშიზმის კლანჭებიდან სამშობლოს განთავისუფლების გამო.

სტალინის საქმის განხორციელებისაკენ მიმართული მედგარი ბრძოლისათვის მომწოდებელი სიტყვებით ამთავრებს თავის ლექსს ცნობილი ავსტრიელი პოეტი ჰუგო ჰუპერტი:

როცა მისი მგზნებარების მწვერვალს ვუახლოვდებით,
ძმებო, ისე ვიბრძოლოთ, როგორც იგი იბრძოდა,
უფრო შეგვადუღაბოს მისი დროშის ნათელმა.
ცოცხალია სტალინი,... მისი ყოფნა იგრძნობა
ღღესაც, როცა პირველად უიმისოდ გათენდა.

(თარგმ. ხუტა ბერულავასი).

როდესაც საბჭოთა ქვეყნის პოეტებმა თავიანთ ლექსებში გამოთქვეს კომუნიზმის საფუძვლების მშენებელი ხალხის უღრმესი მწუხარება ბელადის გარდაცვალების გამო, მათ იმედიან ხმას, რომელიც სტალინის საქმის უძლეველობისა და გამარჯვების ღრმა რწმენით არის ნასაზრდოები, შეუერთდა საზღვარგარეთის მებრძოლი პოეტების ასევე იმედიანი ხმა. ამ ხმაში ჩაქსოვილია ბელადის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარე ფიქრები და განწყობილება.

სტალინის უკვდავებას უმღერიან ყველა ქვეყნის მოწინავე მწერლები და პოეტები, ვისთვისაც ძვირფასია კაცობრიობის ბედნიერი მომავალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოც. ვ. სიფრაშვილი

სოციალისტური და ბურჟუაზიული დემოკრატია

★

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — კაპიტალიზმის ნგრევისა და კომუნიზმის გამარჯვების ერა. იგი მოასწავებდა ძირეულ მობრუნებას კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალისტური სამყაროდან კომუნისტური სამყაროსაკენ. მან დაასუსტა საერთაშორისო იმპერიალიზმის საფუძვლები, გაუადვილა პროლეტარიატს კაპიტალის ბატონობის დამხობისათვის ბრძოლა და ჩვენი პარტია ეროვნული ძალიდან ინტერნაციონალურ ძალად, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის „დამკვრელ ბრიგადად" გახადა.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ არა მარტო დაამხო კაპიტალიზმის ბატონობა, — ფაბრიკა-ქარხნები, რკინიგზები, მიწა, ბუნების წიაღი გამოაცხადა ხალხის საკუთრებად — საზოგადოებრივ საკუთრებად, არამედ მან ადამიანთა შეგნებაშიაც გამოიწვია ძირეული გარდატეხა. კაცობრიობის ისტორიაში მან პირველმა მისცა მშრომელ ხალხს ნამდვილი თავისუფლება, ფართო გასაქანი, უნარის, ნიჭისა და ტალანტის განვითარების და აყვავების განუსაზღვრელი შესაძლებლობა. საწარმოო საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარებამ ძირფესვიანად შესცვალა ხალხის დამოკიდებულება შრომისადმი. იძულებითი კატორღული შრომის ადგილი თავისუფალმა შემოქმედებითმა შრომამ დაიკავა. მშრომელმა ხალხმა პირველად დაიწყო მუშაობა რაობის „დამკვრელ ბრიგადად" გახადა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისა და ც. კ-ის სექტემბრის პლენუმის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ახალი ფურცელი გადაუშალეს ჩვენ დიდ ხალხს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ისტორიაში, მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიზმისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ისტორიაში. პარტიის XIX ყრილობისა და ც. კ-ის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი წარმოადგენს ახალ ნიშანსვეტს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განმტკიცების, გაფურჩქვნისა და აყვავების ისტორიაში.

კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ბადალი დემოკრატია, რომელიც გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციით არის განმტკიცებული. კაცობრიობის ისტორიამ სხვადასხვა ფორმის დემოკრატია იცის: მონათმფლობელური (ზოგიერთი ქვეყნის), ფეოდალური, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და ბურჯჟუაზიულ-პარლამენტალური დემოკრატია. მაგრამ ყველა ე. წ. დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ფორმა წარმოადგენდა და წარმოადგენს კაპიტალისტურ ქვეყნებში ნამდვილი დემოკრატიის მტერს, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის იარაღს.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ნამსხვრევებზე აღმოცენდა ახალი ტიპის დემოკრატია — საბჭოთა დემოკრატია, რომელიც არა მარტო განსხვავდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცობრიობის ისტორიაში ყველა ფორმის დემოკრატიისაგან, არამედ მასთან დიამეტრალურად საწინააღმდეგოს წარმოადგენს თავისი ხალხურობით და თანმიმდევრული დემოკრატიული შინაარსით.

მხოლოდ საბჭოთა დემოკრატიამ ასახა ისტორიაში პირველად მშრომელი ხალხის განუსაზღვრელი უფლებანი არა მარტო არჩევნებში, არამედ სახელმწიფოებრივ-ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებამ გააცამტვერა ბურჟუაზიული სოციოლოგების ანტიმეცნიერული „მტკიცება" იმის შესახებ, თითქოს მუშები და გლეხები მოკლებული იყვნენ სახელმწიფო მართვა-გამგეობისა და საზოგადოებრივი განვითარების ხელმძღვანელობის უნარს, თითქოს მათ მხოლოდ ნგრევა შეეძლოთ და არა აშენება. ახლა მტრებიც კი ხედავენ, რომ საბჭოთა ხალხი თავისი ცხოვრების ბატონ-პატრონია და წარმოადგენს ახალი ისტორიის მკეთებელ შემოქმედ ძალას.

საბჭოთა დემოკრატია ჯერ კიდევ 1918 წლის „ყველა მშრომელის უფლებათა დეკლარაციით" და 1924 წლის პირველი კონსტიტუციით, როცა არ იყო საყოველთაო, პირდაპირი, ერთსაფეხურიანი და დახურული არჩევნები, უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე ყველაზე „სრული" ბურჟუაზიული დემოკრატია.

ვ. ლენინი თავის ცნობილ შრომაში „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი" მიუთითებდა, რომ „პროლეტარული დემოკრატია მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია ყოველგვარ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე, საბჭოთა ხელისუფლება მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე თვით ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა" (ვ. ლენინი, რჩ. ნაწ. ტ. IV, გვ. 117-118).

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შემოღებამ ძირეული ცვლილებანი გამოიწვია საბჭოთა დემოკრატიაში. გამარჯვებული სოციალისტური წყობილების ქარტიის მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ძირითადი კანონის სსრ კავშირის კონსტიტუციის შემოღებამ ახალი ბრწყინვალე ფურცელი გადაშალა საბჭოთა დემოკრატიის განვითარების ისტორიაში. საქვეყნოდ ცხადყო საბჭოთა დემოკრატიის ხალხურობა, ბოლომდე თანმიმდევრულობა და ყოველმხრივ უპირატესობა ყველა ფორმის ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე.

გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის დროშით ბედნიერმა საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით კიდევ უფრო განამტკიცა სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვითუნარიანობა, დაიცვა დიდ სამამულო ომში სამშობლოს ღირსება თავისუფლება და დამოუკიდებლობა და უდიდეს წარმატებას მიაღწია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარებისა და აყვავების საქმეში. საბჭოთა ქვეყანაში უკანასკნელი 28 წლის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 29-ჯერ, წარმოების საშულებათა წარმოება კი 55-ჯერ; ნაციონალურმა შემოსავალმა 1952 წელს 12-ჯერ მეტად გადააჭარბა 1913 წლის ნაციონალურ შემოსავალს. გამარჯვებულმა სოციალიზმმა — გაშალა-განამტკიცა და ააყვავა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი, რომლებიც კომუნისტური საზოგადოების აგებისათვის მძლავრ მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენენ.

ბურჟუაზიული კონსტიტუციები აღმოცენდნენ და ეყრდნობიან საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრებას და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, სადაც კონსტიტუციით დაკანონებულია „... მშრომელთა უმრავლესობის არაუზრუნველყოფა საზოგადოების ერთ პოლუსზე და არა მშრომელი, მაგრამ უზრუნველყოფილი უმცირესობის ფუფუნება მეორე პოლუსზე“ (სსრკ კონსტიტუციის პროექტი, გვ. 21).

სსრ კავშირის კონსტიტუცია აღმოცენდა კაპიტალიზმის ლიკვიდაციის საფუძველზე, სოციალიზმის გამარჯვების ბაზაზე, რომლის ძირითად პრინციპს წარმოადგენს საწარმოო საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება. ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მოსპობილია უმუშევრობა, შრომა გადაიქცა საპატიო მოვალეობისა და ღირსების საქმედ ფორმულით: „ვინც არ შრომობს, ვერც ჭამს“.

ბურჟუაზიული კონსტიტუციები აღმოცენდნენ ანტაგონისტური კლასების არსებობის ფაქტიდან. იქ დემოკრატია ექსპლოატატორული კლასების ხელშია, ხოლო მშრომელი კლასების ხვედრია კონსტიტუციით დაკანონებული მჩაგვრელი კლასებისადმი მორჩილება. საბჭოთა კონსტიტუცია აღმოცენდა ანტაგონისტური კლასების ლიკვიდაციის ფაქტიდან. საბჭოთა კონსტიტუცია და კონსტიტუციით დაკანონებული დემოკრატია ემყარება ორი მეგობრული კლასის მუშათა კლასისა და გლეხობის კლასობრივ კავშირს, თანამშრომლობას და მეგობრობას. ეს კლასები დგანან ხელისუფლების სათავეში.

ბურჟუაზიული კონსტიტუციები აკანონებენ რასებისა და ერების არათანასწორუფლებიანობას, თითქოს ბუნებრივად არსებობენ „სრულფასოვანი“, და „არასრულფასოვანი“, „სრულუფლებიანი“, და „არასრულუფლებიანი“. „კეთილშობილნი“, და „არაკეთილშობილი“ ხალხები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში და ინგლისში რასიზმის საზიზღარმა პოლიტიკამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტები ანგლოსაქსური, ე. წ. უმაღლესი რასის ალმით გააფთრებულ სისხლიან ბრძოლებს აწარმოებენ არაანგლოსაქსური რასებისა და ხალხების წინააღმდეგ. ამერიკელმა კოლონიზატორებმა 15-მილიონი ზანგი უუფლებო მონებად გადააქციეს. ინგლისელმა აგრესორებმა აღმოსავლეთ აფრიკაში კენიის 5-მილიონიანი ზანგი მოსახლეობა ჯოჯოხეთური შანთებით აწამეს და მონურ მდგომარეობაში ჩააყენეს.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია ღრმად ინტერნაციონალურია. საბჭოთა კონსტიტუცია გადაჭრით უარყოფს ხალხების კატეგორიებად დაყოფას და განურჩევლად კანის ფერისა, ენისა, კულტურული დონისა, სახელმწიფოებრივი განვითარების დონისა, მათი წარსული და თანამედროვე მდგომარეობისა. სსრ კავშირში შემავალი ყველა ხალხისათვის დაკანონებულია თანაბარი უფლებით სარგებლობა საზოგადოების სამეურნეო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

ბურჟუაზიული კონსტიტუციები იყოფა ორ ჯგუფად, ერთი ჯგუფი კონსტიტუციებისა მთლიანად უარყოფს მოქალაქეთა დემოკრატიულ უფლებებს. მეორე ჯგუფი კონსტიტუციებისა სიტყვით ლაპარაკობს ხალხთა დემოკრატიულ უფლებებზე, მაგრამ საქმით არარაობამდის დაჰყავს ხალხის დემოკრატიული უფლებები შემზღუდავი შენიშვნებით.

საბჭოთა კონსტიტუციის დემოკრატიულობა, თანმიმდევრობა და უპირატესობა ბურჟუაზიული კონსტიტუციების წინაშე ფმაშია, რომ ის არ სჯერდება

ხალხის უფლებათა ფორმალურ ფიქსირებას, მას სიმძიმის ცენტრი გადაქცეს უფლებათა გარანტიის საკითხზე, უფლებათა განხორციელებაზე.

ბურჟუაზიული კონსტიტუციები, მათ შორის ე. წ. ყველაზე „სრულ“ კონსტიტუცია და დემოკრატია, წარმოადგენს კერძო საკუთრების, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის, რასობრივი დისკრიმინაციის, ეროვნული შუღლის, კოლონიების ძარცვა-გლეჯისა, მშრომელ ხალხთა ფართო მასების ეკონომიურად, პოლიტიკურად დამცირებისა და მაქსიმალური მოგებისათვის ბრძოლის იარაღს.

ბურჟუაზიული ქვეყნების თითქმის ყველა კონსტიტუციაში შეტანილია შრომისა და სამუშაოს მიღების უფლება, მაგრამ არ მოიძებნება კაპიტალისტურ სამყაროში არც ერთი ქვეყანა, სადაც არ იყოს უმუშევრობა. ამჟამად კაპიტალისტურ სამყაროში უმუშევართა რიცხვი მრავალ ათეულ მილიონს შეადგენს.

სსრ კავშირი არა მარტო უზრუნველყოფს ყველა სრულწლოვანი მოქალაქის შრომის უფლებას, არამედ იძლევა ყველა შესაძლებლობას და ფართო გასაქანს თვითეული მოქალაქისათვის გაფურჩქნოს თავისი შემოქმედებითი უნარი. ჩვენს ქვეყანაში არა მარტო მოისპო უმუშევრობა, არამედ სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ყოველწლიურად მილიონობით იზრდება. შრომის გმირობისათვის ბრძოლა და თავდადებული შრომა ხალხთა პირდაპირ მოთხოვნილებად გადაიქცა. სსრ კავშირში ყოველწლიურად იზრდება ჩვენი ქვეყნის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის კულტურულ-მატერიალური საყოფაცხოვრებო პირობები. ჩვენი ხალხი დიდი ხანია დაადგა საამური და ბედნიერი ცხოვრების გზას. სსრ კავშირში უდიდესი თანხები იხარჯება მშრომელთა დასვენების, ჯანმრთელობის, განათლების და ხალხთა საკეთილდღეო სხვა ღონისძიებების გატარებისათვის. ხალხის საამური და ბედნიერი ცხოვრება თავის გამოხატულებას პოულობს ჩვენი დიდი ქვეყნის მოსახლეობის ზრდაში. მარტო უკანასკნელი 3 წლის მანძილზე 9.500.000 კაცით გაიზარდა მოსახლეობა.

ფორმალურად თითქმის ყველა ბურჟუაზიული კონსტიტუცია არ უარყოფს მოქალაქეთა განათლების უფლებას, მაგრამ სინამდვილეში კაპიტალისტურ სამყაროში მოსახლეობის 70 — 80%-ზე მეტი მოკლებულია განათლების საშუალებას. კაპიტალისტურ სამყაროში განათლება ხელმისაწვდომია მხოლოდ მდიდარი კლასებისათვის. ინგლის-ამერიკის სკოლის ასაკის ბავშვთა 50%-ზე მეტი სკოლის გარეშეა დარჩენილი: მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში 30-მილიონზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარია.

სსრ კავშირში განათლების უფლება გარანტირებულია კონსტიტუციით ყველა მოქალაქისათვის და მათი შვილებისათვის, რომელთაც შექმნილი აქვთ ყველა პირობა არა მარტო საშუალო და უმაღლესი განათლებისათვის, არამედ ყველაზე მოწინავე თეორიის, მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისათვის, რათა გაფურჩქნონ თავიანთი ტალანტი მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკისა და კულტურის ყველა სფეროში კომუნისტური წყობილების აგების დასაჩქარებლად. კაპიტალისტურ სამყაროში ასეული მილიონობით ადამიანი წერა-კითხვის უცოდინარია, სასკოლო ასაკის ბავშვთა ნახევარზე მეტი ყოველწლიურად სკოლის გარეშე რჩება. კოლონიურ ქვეყნებში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 70 — 80%-მდე აღწევს. დაწყებითი სკოლების დიდი ნაწილი დაძველებული და ჩამონგრეულია.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ კონსტიტუციებში შეტანილია ფორმალურად სიტყვის, პრესის და კრების თავისუფლების მუხლები, მაგრამ ფაქტიურად ასეთ თავისუფლებას მთლიანად მოკლებულია ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული მასები. სიტყვის, პრესის და კრებების თავისუფლება გარანტირებულია მხოლოდ გაბატონებული კლასებისათვის, რომელთაც აქვთ არა მარტო პოლიტიკური უფლება ამ თავისუფლების გამოყენებისათვის, არამედ ეკონომიური და ფინანსიური შესაძლებლობა, შენობები სტამბებისა და რედაქციისათვის, ქაღალდი პრესისათვის, ფინანსები მოსყიდულ კორესპონდენტთა და აგენტთა ფართო ქსელისათვის.

საბჭოთა კონსტიტუცია არა მარტო აღიარებს სიტყვის, პრესის, კრებების და დემონსტრაციების თავისუფლებას, არამედ ჩვენი სახელმწიფო უზრუნველყოფს სათანადო შენობებით და სახსრებით მათ განხორციელებას.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, იაპონიაში, რუმინეთში, ბულგარეთში და სხვა ქვეყნებში ქალები მოკლებული იყვნენ ფორმალურ უფლებებსაც არჩევნებში. ესპანეთში, პორტუგალიაში, საბერძნეთში, შვეიცარიაში, ავსტრიაში და სამხრეთ ამერიკის მთელ რიგ სახელმწიფოებში ქალებს ახლაც აკრძალული აქვთ არჩევნებში მონაწილეობა. მაგრამ იმ ქვეყნებშიაც, სადაც ქალებს არჩევნებში მონაწილეობის ფორმალური უფლება აქვთ იმდენი შენიშვნებითაა შეზღუდული წლოვანობის, განათლების, ქონებრივობის, ბინადრობის და სხვა, რომ არარაობამდე მიდის მათი უფლებები.

სსრ კავშირში კონსტიტუციის საფუძველზე ქალები მამაკაცებთან ერთად არა მარტო უდიდეს შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან მრეწველობაში, ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, საკოლმეურნეო მინდვრებში, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების ყველა სფეროში, არამედ ისინი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ პარტიულ სამეურნეო, პროფესიონალურ და საბჭოთა აპარატში სახელმძღვანელო პოსტებზე კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.

ექსპლოატაციისა და მონობის უღლიდან თავისუფალი საბჭოთა ქალები მთელ ჩვენს დიდ ხალხთან ერთად უდიდესი კულტურული და საწარმოო აღმავლობით ხვდებიან ქალთა საერთაშორისო ტრადიციულ დღესასწაულს 8 მარტს და ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის საყოველთაო დემონსტრაციის დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს — 14 მარტს. კომუნისტური პარტიის დიად იდეებზე აღზრდილი და შთაგონებული საბჭოთა გმირი ქალები უდიდესი შემოქმედებითი ინიციატივისა და თაოსნობის მაგალითებს იძლევიან XIX პარტიული ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლებში. უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ათასობით სპეციალისტი ქალი წავიდა სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა დროულად რეალიზაციისათვის.

სსრ კავშირის მრავალრიცხოვან აგრონომთა 40-პროცენტზე მეტი ქალებია, რომელთა დიდი უმრავლესობა საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში და კოლმეურნეობებში შრომითი აქტივობას იჩენენ და მოწინავეთა რიგებში დგანან. ასეული ათასობით ქალი გახდა სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მოწინავე, ათეული ათასობით ქალი მუშაობს ჩვენი

მექანიზებული სოფლის მეურნეობის მინდვრებზე ტრაქტორისტებად და კომბაინერებად და გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს. ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის გამარჯვების ბაზაზე სულ უფრო და უფრო ფართოდება უმაღლესი განათლების სპეციალისტთა რიცხვი. უმაღლესი განათლებით ქალთა რიცხვი 1940 — 1952 წლებში სამჯერ და მეტად გაიზარდა. 1952/53 სასწავლო წლის დასასრულს სსრ კავშირში უმაღლესი განათლებით ქალთა რიცხვი მილიონამდე აღწევდა.

სსრ კავშირში ქალები აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის განვითარების საქმეში. საკვლევო-სამეცნიერო, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ჩაბმულია ორნახევარ მილიონზე მეტი ქალი. 60-ათასზე მეტი ქალი აწარმოებს სამეცნიერო და პედაგოგიურ ნაყოფიერ მუშაობას უმაღლეს სასწავლებლებში. სსრ კავშირის დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მილიონზე მეტი მასწავლებელი ქალი მუშაობს, რომლებიც კომუნისტური შეგნებისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აწარმოებენ ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბევრმა ქალმა გამოავლინა ტალანტი და შემოქმედებითი უნარი ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. სსრ კავშირში ქალებს საპატიო ადგილი უკავიათ საბჭოთა მწერალთა დიდ კოლექტივში.

დიდ და საპატიო როლს ასრულებენ ქალები ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. სსრ კავშირში მილიონზე მეტი ქალი მუშაობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში. ჩვენს ქვეყანაში 1940 — 1952 წლებში ექიმ ქალთა რიცხვი ორჯერ მეტად გაიზარდა. 1953 წლის ზაფხულისათვის ექიმ ქალთა რიცხვი 210 ათასს აღემატებოდა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ დედათა და ბავშვთა კეთილდღეობის საქმეს. ყოველწლიურად ათეული მილიარდი მანეთი იხარჯება მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დახმარებისათვის. მარტო საქართველოს რესპუბლიკაში მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს სახელმწიფოსაგან დახმარების სახით მიღებული აქვთ 1944 — 1953 წლებში 600 ათას მილიონ მანეთამდე.

მაშინ როდესაც კაპიტალისტურ სამყაროში მშრომელი ქალები უმუშევრობის, შიმშილის, ტანჯვა-წამების ზნეობრივი დამცირებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლი ხდებიან და ზედმეტ ადამიანებად არიან გამოცხადებულნი სსრ კავშირში ქალები პარტიისა და მთავრობის, მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი პატივისცემითა და დაფასებით სარგებლობენ. 35 ათასზე მეტ ქალს მინიჭებული აქვს „გმირი დედის“ საპატიო წოდება და სამნახევარ მილიონზე მეტი ქალი დაჯილდოებულია „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და მედლებით. სსრ კავშირში ყოველწლიურად მილიარდობით თანხები იხარჯება პიონერთა ბანაკებისა და ბავშვთა სანატორიუმებისათვის. ხალხთა მატერიალური და კულტურული მზარდი მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისა და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშობლიური ზრუნვის შედეგად ჩვენს ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა და შესამჩნევად იზრდება მოსახლეობა.

მესამე მსოფლიო ომის გამჩაღებლები — ამერიკის იმპერიალისტები ყოველგვარ სისაზიზღრეს მიმართავენ ბავშვებისა და ახალგაზრდობის მორალურად გადაგვარებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების და მარშალიზებული

ქვეყნების მშრომელთა ერთი ნაწილის პესიმისტური განწყობილება, მომავლის უიმედობა და ცივი ომის პროპაგანდის შიში იქამდის მიდის, რომ ადგილი აქვს მასობრივ მიდრეკილებას ნარკოზის გამოყენებისადმი. თვით კოლუმბიის მიერ გამოქვეყნებული ცნობებით, 20 წელზე ნაკლები ასაკის 40 ათასზე მეტი ვაჟი და ქალიშვილი იყენებს ნარკოზს. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში კაპიტალისტურ ქვეყნებში პოლიტიკური ცხოვრებისადმი პასიობას იჩენენ არა მარტო ქალები, არამედ მამაკაცების გარკვეული ნაწილიც.

სსრ კავშირში ბედნიერი და საამური ცხოვრების შემოქმედნი, კომუნიზმის მშენებელი ქალები მამაკაცებთან ერთად კონსტიტუციის დაკანონებულ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ფართოდ მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. სსრ უმაღლეს საბჭოში 280 დეპუტატი ქალი იყო, აქედან 8 ქალი საქართველოდან მოდიოდა. 2.209 ქალი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, ხოლო ნახევარ მილიონზე მეტი ქალი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია. მარტო საქართველოს უმაღლეს საბჭოში დეპუტატებად არჩეულია 37 ქალი და ადგილობრივ საბჭოებში — 9.543 ქალი. ქალები ჩვენს ქვეყანაში დიდ როლს ასრულებენ სასამართლო ორგანოებშიც. სსრ კავშირის სახალხო სასამართლოებისა და სახალხო მსაჯულთა 40 პროცენტზე მეტი ქალია.

საბჭოთა ქალების მაგალითის მიხედვით ახალსაზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ სახალხო დემოკრატიული ქვეყნების მშრომელი ქალები, რომელთაც თავიანთი გმირული მუშაობით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ქალთა იდეურ-პოლიტიკური ზრდის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებში საქართველოდან იყო 8 დეპუტატი ქალი, ხოლო 14 მარტისათვის კენჭის საყრელად წამოყენებულია უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად 17 ქალი.

მიმდინარე წლის 8 მარტს — ქალთა საერთაშორისო ტრადიციულ დღეს — მსოფლიოს მშრომელი ქალები, აღფრთოვანებულნი კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ქალების იდეურ-პოლიტიკური აქტიობით და შემოქმედებითი საქმიანობით, კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მთელ მსოფლიოში. საბჭოთა ქალების კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული შრომა აღაფრთოვანებს მსოფლიოს მშრომელ ქალებს და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებს. მშვიდობისა და დემოკრატიზმის მებრძოლთა რიგებში ერთიანდებიან კაპიტალისტური სამყაროს მშრომელ ქალთა ათეული მილიონები. ქალთა საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც 1945 წლის 1 დეკემბერს დაარსდა 65 ქვეყნის 135 მილიონ ქალს აერთიანებს. საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში გაერთიანებული მებრძოლი ქალები კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით თანმიმდევრულად იბრძვიან სოციალისტური და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში.

მარტო უბრალო ჩამოთვლა იმ შენიშვნებისა, რომლებიც ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციებს აქვთ გაკეთებული, ნათელყოფს კაპიტალისტური სამყაროს მმართველი კლასების თვალთმაქცობას და მათ მიერ შეთითხნილი კონსტიტუციების არსს. ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში 60 ბურჟუაზლობს ამერიკის ქონების ორ მესამედს, ინგლისში 120 მაგნატი და საფრანგეთში

„200 ოჯახი“ ფლობენ ინგლის-საფრანგეთის ნაციონალური სიმდიდრის ნახევარზე მეტს. ამიტომ, როცა ლაპარაკია ამერიკის, ინგლის-საფრანგეთის დემოკრატიაზე, ლაპარაკია არა ამ ქვეყნების ხალხთა ფართო მასების დემოკრატიაზე, არამედ ზემოთ აღნიშნული ერთი მუჭა მაგნატების, ფინანსისტების, ძალოვნების უოლ-სტრიტთა კომპანიონების დემოკრატიაზე, სწორედ ამით აიხსნება დემოკრატიისათვის შეუთავსებელი და აღმაშფოთებელი ფაქტი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა პრეზიდენტის არჩევნების დროს 1952 წლის სექტემბერში, როდესაც ამომრჩეველთა ხმების 34 პროცენტი ძლივს შეაგროვა ახალი ომის მომზადების ინიციატორმა ეიზენჰაუერმა. ამან მას ხელი არ შეუშალა, პრეზიდენტად არჩეულიყო.

ბურჟუაზიული დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციები შეზღუდულია არა მარტო ქონებრივი, ბინადრობის განათლების, ნაციონალობის, სქესის, წლოვანების და სხვ. ცენზით, არამედ სამსახურებრივი მდგომარეობითაც. მთელ რიგ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ქვეყნებში არჩევნების უფლებას მოკლებულია: დაბალი ჩინის სამხედრო მოსამსახურენი და ჯარისკაცები, მოსწავლეები და სტუდენტები, სხვის კმაყოფაზე მყოფი ახალგაზრდობა, შრომის უნარმოკლებული მოხუცები, უმუშევრები, ხელზე მოსამსახურენი, და სხვ. ამას ემატება ამომრჩეველთა დაშინება, ხმების შესყიდვა, საარჩევნო ოლქების თვითნებური გადიდება, ამომრჩეველი მშრომელი მოსახლეობის პასიობა არჩევნებში, და სხვ., რითაც არარაობამდის მიდის ხალხთა ფართო მასების ე. წ. დემოკრატიული უფლებები. ამის საუკეთესო მაჩვენებელია დასავლეთ გერმანიაში გასულ წელს ბუნდესტაგის ე. წ. „არჩევნები“, როცა ამერიკისა და ადგილობრივი პოლიციის მიერ დაწოლისა და დაშინების ვითარებაში გერმანელი ხალხის დაუძინებელი მტერი, ამერიკის იმპერიალიზმის აგენტი, რევანშისტი ადენაუერი ხალხის „არჩეულად“ გამოაცხადეს.

მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში არჩეულად ითვლება არა მარტო ის, ვინც არჩევნებში მიიღო ხმების უმრავლესობა, არამედ ისიც, ვინც შეაგროვა ხმების ნახევარი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსიური ოლიგარქიისა და მსხვილი კომპანიონების გამარჯვებას არჩევნებში. რაც შეეხება ორპალატიან სისტემას მთელ რიგ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ ქვეყნებში, იგი წარმოადგენს მშრომელთა ფართო მასების მოტყუების, ჩაგვრის, დამონების და პოლიტიკური დამცირების დამატებითს საშუალებას. ზედა პალატის ამოცანაა, უარყოს და გააუქმოს ყოველგვარი კანონი, რომელიც ოდნავ მაინც ასახავს დემოკრატიის ინტერესებს. ქვედა პალატა არსებითად წარმოადგენს სათათბირო დაწესებულებას. ქვედა პალატის გადაწყვეტილებას იმდენადა აქვს ფასი, რამდენადაც ის გამოხატავს იმპერიალისტური ბურჟუაზიის ინტერესებს. ზედა პალატის დეპუტატობა ინგლისში, ამერიკაში და სხვა ქვეყნებშიც მემკვიდრეობით გადადის.

სსრ კავშირის ორპალატიანი სისტემა ბურჟუაზიული ქვეყნების ორპალატიანი სისტემისაგან არსებითად განსხვავებულია. ჩვენს ქვეყანაში, ჯერ ერთი, ეროვნებათა საბჭო და კავშირის საბჭო თანასწორი უფლებებით სარგებლობენ, მეორეც, კანონი დამტკიცებულად ითვლება მას შემდეგ, როცა იგი მოწონებულია ორივე პალატის მიერ და, მესამეც, ჩვენს ქვეყანაში ორივე პალატის დეპუტატები ირჩევიან საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და დახურული კენჭის ყრით.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ქვეყნებში არჩევნების მოახლოების დროს იწყება დეპუტატობის კანდიდატების უხვი დაპირებანი ამომრჩეველთა მიმართ, მაგრამ, დამთავრდება თუ არა არჩევნები, მომავალ არჩევნებამდე წყდება კავშირი ამომრჩეველთა და ამორჩეულთა შორის. დეპუტატებს არა მარტო უკან მიაქვთ საზეიმო დაპირებანი, არამედ ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ მშრომელთა საწინააღმდეგო ახალი საზიზღარი კანონების შემოღებაში.

სსრ კავშირში უმაღლესი ორგანოების არჩევნების შემდეგ ამომრჩეველთა და დეპუტატებს შორის კავშირი კიდევ უფრო მტკიცდება, რადგან ხალხის რჩეულნი ხალხთა ინტერესების პირდაპირი გამომხატველი არიან.

პარტიის XIX ყრილობისა და ც. კ-ის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით, შეიარაღებული საბჭოთა ხალხი უდიდესი წარმატებით ხვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. უმაღლესი საბჭოს არჩევნები ხდება ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს სამეურნეო-ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ვითარებაში, მსოფლიოში, მშვიდობის, დემოკრატიზმისა და სოციალზმისათვის ბრძოლის ვითარებაში.

ჩვენს დიად ქვეყანაში გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციით დაკანონებული, განმტკიცებული და აყვავებული სოციალისტური დემოკრატიზმის ნამდვილად ხალხური პრინციპების საფუძველზე არჩევნები აღაფრთოვანებს მსოფლიო პროგრესულ კაცობრიობას მშვიდობის, დემოკრატიზმისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლებში.

ახლა მსოფლიოში ყველა მშვიდობისმომხრე ხალხი კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით მჭიდროდ ირაზმება სოციალიზმისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების გარშემო. მათ კარგად იციან, რომ მშვიდობის შენარჩუნება და ამერიკის და მისი პარტნიორების მიერ მომზადებული მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილება შეუძლია მხოლოდ სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკს, რომელსაც სათავეში უდგას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო — სსრ კავშირი.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე სოციალიზმი გარდაუვალი კანონზომიერებით გზას იკაფავს გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში. სოციალიზმს სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი დემოკრატიული ბანაკის 800-მილიონმა ადამიანმა, რომელთა შემოქმედებითი შრომა და გმირული ბრძოლა მშვიდობის, დემოკრატიზმისა და სოციალიზმისათვის აღაფრთოვანებს მსოფლიოს პროგრესულ კაცობრიობას.

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის უძლეველი მოძღვრების საფუძველზე . სოციალისტური დემოკრატიის დროშა გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში.

დიმიტრი ბენაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხისათვის

*

როდესაც მხატვრული ფორმისა და შინაარსის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემაზეა საუბარი, ისინი ერთმანეთისაგან უნდა განვაცალკევოთ. განცალკევება კი შესაძლებელია მხოლოდ გონების, აბსტრაქციის მეშვეობით, რადგანაც თუ ფორმა და შინაარსი ერთმანეთის მიმართ ადეკვატურია — მათი რეალური დაშორება შეუძლებელია, ისინი განუყოფელნი არიან. როგორც მარქსი ამბობდა, ის, რაც ბუნებათმეცნიერებაში კეთდება მიკროსკოპით და ქიმიური რეაქტივებით, საზოგადოებრივ მეცნიერებაში აბსტრაქციის ძალამ უნდა გააკეთოს.

იბადება კითხვა: რა მიზნით იმსჭვალება ხელოვანი ადამიანის სულის შენების დროს? ცნება „სულის" მარქსისტული გაგება თავიდანვე გამორიცხულად თვლის არა მარტო ადამიანის სულის შესახებ რელიგიურ წარმოდგენას, არამედ ყოველგვარ იდეალისტურ წარმოდგენას სულზე. ამიტომ სული აქ გაგებულია, როგორც უაღრესად განვითარებული მატერიის თვისება, რომელიც ბუნებას კი არ ეწინააღმდეგება, არამედ წარმოადგენს მის ორგანულ ნაწილს.

ხელოვანის ფუნქცია, რომ მან ადამიანის სული უნდა ააშენოს, განსაზღვრავს მისი მოქმედების მიზანს. მიზანს კი არავითარი აზრი არა აქვს უშედეგოდ. შედეგს ესთეტიკის ენაზე, სიტყვიერ ხელოვანში სახე ეწოდება. მაგრამ სიძნელე ამის გაგებაში კი არ არის, არამედ იმის გაგებაში, თუ რეალურად მოქმედი ადამიანები როგორ წარმოისახება ხელოვნებაში და როგორ იღებენ ისინი სახის ფორმას. რომ ეს სიძნელე დაძლეული იქნეს, პირველ რიგში უნდა გაანალიზდეს რეალურად მოქმედი ადამიანების სულიერი ცხოვრება, როგორც საფუძველი რეალისტური ხელოვნებისა.

მარქსი ამბობდა, რომ ადამიანს საზოგადოების გარეშე არ შეუძლია არსებობა. თვით რობინზონიც კი, რომელიც ავტორის მიერ იყო ერთგვარი ცდა საზოგადოებრივი ურთიერთობისაგან მოწყვეტისა, უდაბურ კუნძულზე ცხოვრობს იმ იარაღის შემწეობით, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის შედეგად იყო შექმნილი. ბოლოს კი რობინზონი კვლავ ადამიანურ საზოგადოებას ქმნის თავის გარშემო. ამრიგად, ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ აიძულებს მას დაამყაროს გარკვეული ურთიერთობა ადამიანებთან, საზოგადოებასთან. ამ ურთიერთობის საფუძველზე ის ნახულობს არა მარტო თავისი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებებს, არამედ სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც. მაგრამ ანტაგონისტურ საზოგადოებაში ადამიანთა დიდი ნაწილის მატერიალური და სულიერი დაკმაყოფილება მათი ველური ექსპლოატაციის ხარჯზე ხდებოდა. ამ საფუძველზე საზოგადოებრივ ურთიერთობაში ადამიანის სულის განმსაზღვრელი იყო მისი რეალური მდგომარეობა. იგივე მდგომარეობა მას უქმნიდა გარკვეულ იდეებს, ვნებებს, წარმოდგენებს. ამ იდეებში, ვნებებში და წარმოდგენებში აისახებო-

და რეალური სინამდვილე, როგორც მათი წარმომშობი წყაროა. ხელოვნებისათვის, რომელსაც რეალურად მოქმედი ადამიანები შემოქმედებითი წარმოსახვის მეშვეობით სახეობის ფორმაში გადაჰყავს. საინტერესოა სწორედ ეს სულიერი ქვეყანა თავისი იდეებით, ვნებებით, წარმოდგენებით. ამრიგად, იდეა, რომელსაც რეალური ცხოვრება წარმოშობს, არის ხელოვნების შინაარსი. მაგალითად, ოთარაანთ ქვრივი, როგორც სახე, განმსჭვალული იყო საქმისა და მოქმედების იდეით. ვინც მოქმედებს აქვს უფლება იცხოვროს ამ ქვეყანაზე, რაც მოკლებულია ამ თვისებას, უნდა დაიღუპოს. თავადაზნაურობა, როგორც სოციალური ერთეული, უნდა დაიღუპოს, რადგანაც აქ საქმე და მოსაქმე გათიშულია. ამ იდეით არის შეპყრობილი ოთარაანთ ქვრივი და ეს იდეა ხდება მისი სულის ორგანულ ნაწილად. მამაკაცისა და დედაკაცის თანასწორუფლებიანობის იდეამ განმსჭვალა „ვეფხისტყაოსნის" დიდებული ხასიათები. ამ იდეის გამო აუჯანყდა ნესტანი თავის საკუთარ მამას, რომელიც ოფიციალური დამცველი იყო გაბატონებული საზოგადოებისა და უარყოფდა ქალის გახელმწიფების უფლებას. ადამიანის სიცოცხლის მიზნის ჭეშმარიტად ამოცნობის იდეამ შეიპყრო ფაუსტი. ამ საფუძველზე მან უარყო იოანეს სახარების პირველი დებულება, რომ პირველთაგან იყო სიტყვა და თავის საბრძოლო დროშაზე დააწერა: პირველთაგან იყო საქმე. დროთა შორის დარღვეული კავშირის აღდგენის იდეამ შეიპყრო ჰამლეტი. მაგრამ გონებისა და ნების კონტრასტი ხელს უშლიდა მას დარღვეული ჰარმონიის აღდგენაში. რომეო და ჯულიეტა განიმსჭვალა ორ მოსისხლე გვართა შორის გამთიშველი უფსკრულის ამოვსების იდეით, მაგრამ დამარცხდნენ გარკვეული მიზეზების გამო.

ამრიგად, იდეა არის ხელოვნების შინაარსი, რომლითაც განმსჭვალულია სახე, როგორც შემოქმედებითი წარმოსახვის შედეგი. მაგრამ ხელოვნების ნაწარმოებში იდეა მხოლოდ მაშინ ინარჩუნებს თავის მიმზიდველობის ძალას, როდესაც სახეში კონკრეტულ ფორმას იღებს. მკითხველისა და მაყურებლის წინაშე ნაწარმოებმა შინაარსი მის ზოგადობაში კი არ უნდა წარმოადგინოს, არამედ ამ ზოგადობის ინდივიდუალიზირება უნდა მოახდინოს, ზოგადი იდეა კონკრეტულ გრძნობად ფორმაში უნდა განასახიეროს. თუ შინაარსის ზოგადი ბუნება პირდაპირ იქნება გადმოცემული ნაწარმოებში, როგორც აბსტრაქტული დებულება, როგორც მსჯელობა, როგორც მოძღვრება, მაშინ ხელოვნების კონკრეტულ სახეში ერთმანეთს განეთიშება ფორმა და შინაარსი. ამგვარი გათიშვის შედეგად ნაწარმოებში აბსტრაქტული მსჯელობა ბატონდება. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს არჩილისა და კესოს საუბარი ჩატეხილი ხიდის გამო. რამდენადაც ოთარაანთ ქვრივის სახეში მოქმედების იდეა გადამდნარია გრძნობად ფორმაში სახოვანი, სურათოვანი, გრძნობიერი საშუალებით, იმდენად სახემ მეტი ცხოველმყოფელობა და სიცოცხლე შეიძინა, იმდენად თავის დიდების მწვერვალს მიაღწია. არჩილი და კესო კი სქემებს წარმოადგენენ, რომლებშიც „ჩატეხილი ხიდის" იდეა აბსტრაქტული მსჯელობის ფორმითაა წარმოსახული. თავისთავად არჩილის მოთხოვნა, რომ კესოს უსათუოდ უნდა შეჰყვარებოდა გიორგი, რომ გვარიშვილობის პრინციპი არ აღდგომოდა წინ, დაუჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. გიორგისა და კესოს სიყვარული შეუძლებელია. არა მარტო იმიტომ, რომ გვარიშვილობა უშლიდა ხელს, არამედ უპირველესად იმიტომაც, რომ მათი კულტურული დონე ერთმანეთისაგან ისე იყო დაშორებული, როგორც ცა და დედამიწა. გიორგის რომ მაშინდელი პეტერბურგის უნივერსიტეტი ჰქონოდა დამთავრებული,

მაშინ გიორგისა და კესოს ურთიერთობა სულ სხვა ფორმას მიიღებდა.

ისმება კითხვა: რატომ მოხდა ასე? მხოლოდ იმიტომ, რომ დიდმა ელვამ „ჩატეხილი ხიდის" პრობლემა არჩილში და კესოში წარმოადგინა, როგორც აბსტრაქტული მსჯელობა, რომელიც ლოგიკური მსჯელობის ფორმას იღებს, დიალოგში. აქედან დასკვნა: ნაწარმოებში, სადაც იდეა წარმოდგენილია, როგორც აბსტრაქტული მოძღვრება, დიალოგი ამა თუ იმ დებულების დამტკიცების ფორმას იღებს ლოგიკური ცნებების ენაზე. ნაწარმოებში იდეის აბსტრაქტული წარმოსახვა ხელს უშლის ჩვენი დროის დრამატურგების დიდ ნაწილს, რომ მათ შექმნან ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებები. განგებ აკვიატებული ტენდენციის საფუძველზე დრამა იქცევა ლოგიკურ მსჯელობად და ამ ნიადაგზე ის წყვეტს არსებობას, როგორც ხელოვნების ნაწარმოები და სხვა დარგების ფუნქციის შემსრულებლად იქცევა. ამგვარი მოქმედება ორგვარი საფრთხის წინაშე აყენებს დრამას: იგი ან მარტო დროსტარების და გართობის უბრალო თამაშობამდეა ჩამოქვეითებული (როგორც მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი — „ვარდი ასფურცლოვანი"). ანდა მაყურებლის ჭკუის ძალდატანებითი დარიგებისა და სწავლების სენს შეუპყრია (როგორც რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი — „ქორწილი საკრეულაში"). ეს საფრთხე მარტო დრამატურგიის წინაშე როდი დგას. თანამედროვე ქართული პროზის ბევრი ნიმუში დიდი ხანია დადგა ამ საშიშროების წინაშე. კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა" ჩვენი დროის იდეებს წარმოგვიდგენს სქემებად. ცნებების ენაზე ლოგიკური მსჯლობის ფორმაში და ამიტომ მკითხველის ინტერესების სფეროს გარეშე რჩებიან. ამ იდეებს თავისი შესასიტყვი ფორმა ვერ უპოვიათ.

როგორც ცნობილია, იდეის მხატვრული განსხეულება ფორმაში ხელოვნების ნაწარმოებს პირველად აქცევს ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებად. ეს არის აქსიომა. სიძნელე ამის მიხვედრაში კი არ არის, არამედ სიძნელე იწყება იქ, სადაც ისმის კითხვა: როგორ ვიპოვოთ გარეგანი მხატვრული ფორმა სულიერი ცხოვრების შინაგანი ფორმის საფუძველზე? როგორც ცნობილია, ადამიანის სულიერი ცხოვრება ხელოვანის წინაშე დგას, როგორც მარად ამოუწურავი საუნჯე. ხელოვანმა ადამიანის სულის შენების დროს, ერთი მხრივ, ადგილიდან უნდა დაძრას მისი იდეები, ვნებები, ინტერესები და გარეთ გამოიტანოს მისივე მდიდარი შინაგანი ქვეყანა, მეორე მხრივ, ღრმად უნდა ჩასწვდეს მიზეზებს, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანთა ერთი ნაწილის ზნეობრივი დაცემის, ადამიანური ბუნების დაკარგვის წყაროს. ადამიანი ყოველთვის როდი აძლევს ხელოვანს საშუალებას, გაიგოს მისი ნამდვილი ბუნება. შურისძიება, მტრობა, მლიქვნელობა, სიხარბე, გაუტანლობა, ეგოიზმი ისეთი ვნებებია, რომლებსაც ადამიანი მალავს თავის თავში და სხვა ადამიანს ხელს უშლის მაშინვე შეიცნოს იგი. მაგრამ გარემოება, რომელშიაც ადამიანს უხდება ცხოვრება, აიძულებს მას, სხვა ადამიანებთან დამოკიდებულების დროს გამოამჟღავნოს თავისი ბუნების ნამდვილობა. შემოქმედებითი წარმოსახვის უნარი ხელოვანს საშუალებას აძლევს, რეალურ მოვლენებზე და ადამიანებზე დაყრდნობით შექმნას სახე, როგორც იდეის გამოსახვის ფორმა, მაგრამ აქ ერთი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ. თუმცა სახე, როგორც მწერლის შემოქმედებითი წარმოსახვის რეალური ფორმა, ბუნების პროდუქტი არ არის, მწერლის შემოქმედებითი ნაყოფია, მაგრამ ამისდა მიუხედავად სახეს, ისე როგორც ბუნებისა და ცხოვრების ყოველ მოვლენას, აქვს თავისი საკუთარი ტენდენცია და მწერლის

შემოქმედებითი წარმოსახვის უნარის ძალა იმაში კი არ არის, რომ უარყოს ეს ტენდენცია, არამედ იმაში, რომ სხვებისათვის ნათელყოს სახის ობიექტური ხასიათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, სინამდვილის შემოქმედებითი წარმოსახვის უნარი ძირითადი საშუალებაა სახეების შექმნისათვის; იგივე წარმოსახვის უნარი წინა პლანზე აყენებს მოთხოვნილებას, რომ დიადი სახეები დიადი საქმეებისათვის იყვნენ მოწოდებულნი. ამიტომ დიადი ხელოვნებაში ამაღლებულიც არის, ამაღლებული კი ყოველთვის მშვენიერია. მაგრამ საკითხავია პირველი — რა არის მშვენიერი, მეორე — როგორ აღიძვრება იგი ხასიათში, მესამე — როგორ ვლინდება იგი გარეგანში და როგორ იძლევა თავისთავის შემეცნების საშუალებას. იმისათვის, რომ პირველ კითხვას ვუპასუხოთ ჯერ მშვენიერის ცნება ზოგად ფორმაში უნდა განვსაზღვროთ.

არსებობს აზრი, რომ „მშვენიერება არის სიცოცხლე". ჯერ ერთი, სიცოცხლე აქ აღებულია აბსტრაქტულად და მას კონკრეტული მნიშვნელობა დაკარგული აქვს ფორმულაში. ამ გარემოებამ არ შეიძლება არ შექმნას **უხერხულობა ასეთი კითხვის დასმის დროს:** რაკი მშვენიერი არის სიცოცხლე, შეიძლება თუ არა მშვენიერი იყოს ცხოველური სიცოცხლე? პასუხი თავისთავად ცხადია. მაშასადამე, პირველ რიგში ამგვარმა ფორმულამ კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს სიცოცხლისა და ცოცხალ არსებათა, რათა კონკრეტული შინაარსი მივცეთ მშვენიერების ცნებას. ამ საფუძველზე ცნება „მშვენიერება არის სიცოცხლე" ლოგიკურად უნდა ეხებოდეს ადამიანის სიცოცხლეს, მაგრამ ადამიანის სიცოცხლე აქაც აბსტრაქტულად არის წარმოდგენილი და არა აქვს კონკრეტული შინაარსი. ავადმყოფი ადამიანის სიცოცხლეს მარქსი უწოდებს თავისუფლებაშეზღუდულ სიცოცხლეს. თავისუფლებაშეზღუდული სიცოცხლე კი ვერ იქნება მშვენიერი, რადგანაც აქ დარღვეულია ფიზიკური და სულიერი ჰარმონია. აქედან ცხადია, რომ მშვენიერის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ სიცოცხლე არა საერთოდ, ზოგადად, აბსტრაქტულად, არამედ ადამიანის ჰარმონიისადმი მისწრაფების მაღალი იდეალისა და ფორმის ადეკვატური მთლიანობა **სახეში.**

ადამიანის მისწრაფება, რომ ჰარმონიულობა დაამყაროს ბუნების განურჩევლობაში, რომ მან თავის ესთეტიკურ გემოვნებას დაუმორჩილოს ბუნების მოუხეშავი ფორმების გარდაქმნა — იმის გაგებისაკენ მიგვითითებს, რომ ბუნებას აკლია რაღაც და ადამიანი ცდილობს, ბუნების ეს ნაკლოვანებანი შეავსოს მასზე აქტიური მოქმედებით. ბუნების გარდაქმნის გეგმა, ეს უდიდესი ძეგლი კომუნიზმის ეპოქისა, ბრწყინვალე ნიმუშია იმისა, თუ საბჭოთა ადამიანები წინასწარ აღებული იდეით როგორ ქმნიან ბუნების მოუხეშავ ფორმებს ადამიანური გემოვნების მიხედვით. ბუნებას ადამიანი ძალით ართმევს იმას, რასაც სურვილით არ იძლევა.

მსჯელობენ აგრეთვე, რომ მშვენიერი არის ადამიანის მხედველობის არეზე სასიამოვნოდ მოქმედი საგანი. ჯერ ერთი, მხედველობა ვერ აიღებს თავის თავზე მშვენიერის საერთოდ და კერძოდ ხელოვნებითი მშვენიერის განხილვის მძიმე ტვირთს და, მეორეც, მშვენიერი გარეგნულად ყოველთვის ლამაზს როდი ნიშნავს. ხელოვნებითი მნიშვნელობა ხასიათში ცოცხლობს და ხშირად ადამიანის მხედველობა უძლურია მისი შემეცნების დროს. თვალისათვის ბევრი რამ არის ლამაზი და სასიამოვნო ბუნებაში და, კერძოდ, შემოქმედებითი წარმოსახვის უნარით შექმნილ სახეში. მაგრამ ისინი მშვენიერნი არიან პრინცი-

პულად. ოტელოს სახის უხეში ნაკვთები სასიამოვნოდ როდი მოქმედებს მხედველობის არეზე, მაგრამ როდესაც შექსპირის ჯადოსნური ტექსტი მაყურებლისათვის და მკითხველისათვის ობიექტურ სინამდვილად აქცევს ოტელოს სულიერ ცხოვრებას, მაშინვე მშვენიერების შარავანდედით იმოსება მისი იდეა-ვიდუმი.

მშვენიერის შესახებ არსებობს მესამე მოსაზრებაც, რომლის სათავეა გერმანელი იდეალისტის — შელინგისა და ფრანგი სიმბოლისტების არხირეაქციული თეორია მის შესახებ, რომ ხელოვნების ნაწარმოებში მშვენიერია ასახვის ფორმა და არა მისი შინაარსი. შელინგის სიტყვით, იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, რეაქციონურია შინაარსი თუ რევოლუციონური, ლიბერალურია თუ რადიკალური, კაცთმოძულეა თუ ფილანტროპული, არამედ იმას, თუ როგორ არის იგი გაფორმებული, რადგანაც შემოქმედებითი გააზრების შემდეგ მშვენიერების სფეროში შედის მხოლოდ და მხოლოდ ფორმა, როგორც მარადიულობა. ფრანგი სიმბოლისტები უფრო შორს წავიდნენ მშვენიერების ცნების გაგებაში. ბოდლერის აზრით, არა ასახული ობიექტის ღირსება განსაზღვრავს მშვენიერის ცნებას, არამედ ასახვის ფორმა. ბოროტს, მახინჯს, კაცისმკვლელს, ქურდს, ტირანს, ეგოისტს, ჯალათს მე მივანიჭებ ყოველგვარ ღირსებას ხალხის თვალში ასახვის ფორმის მეშვეობით.

თუ მშვენიერის პრობლემის განმსაზღვრელად ფორმას გამოვაცხადებთ და, ბოდლერის მსგავსად, სუბიექტური გემოვნების საფუძველზე — ჯალათს, ტირანს, ქურდს, ბოროტს ფორმის მეშვეობით ყოველგვარ ღირსებას მივანიჭებთ, მაშინ სადღა არის საზღვარი მშვენიერისა და საძაგელის?! მშვენიერი, პირიქით, არსებობს როგორც მიზნის (შინაარსის) და საშუალების (ფორმის) მთლიანობა. მშვენიერი მიზანშეწონილებას გარეგან ფორმად კი არ ატარებს, არამედ შინაგანისა და გარეგანის, შინაარსისა და ფორმის შესატყვისობაში ააშკარავებს თავის ცხოველმყოფელობას. გათიშულობა ფორმასა და შინაარსის შორის ხელოვნების მშვენიერში მოხსნილია, რადგანაც აქ ზოგადი და კერძო ცნება და საგანი მიზანი და საშუალება ერთიმეორეს ავსებენ და ერთმანეთს განმსჭვალავენ. მშვენიერში აზრი (შინაარსი) ხორცშესხმულია და ამაღლებული.

სწორედ ამ საფუძველზე მშვენიერმა რომ თავისი თავი გამოაჩინოს ხასიათში, საჭიროა თვითონ ხასიათმა კონფლიქტებითა და კოლიზიებით სავსე გზა გაიაროს და თავისი სულის სიმდიდრე გარეთ გამოიტანოს, კონფლიქტისა და კოლიზიის საშუალებით. კოლიზიას სახისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც კვესისათვის — ტალს. კონფლიქტებითა და კოლოზიებით იყო გარშემორტყმული „ახალგაზრდა გვარდიის“ გმირი ოლეგ კოშევოი. მისი მისწრაფება, რომ სიცოცხლის ფასად მოუპოვოს თავის ხალხს თავისუფლება, არის ამაღლებული და ამ საფუძველზე მშვენიერი. იგივე შეიძლება ითქვას ცნობილი რუსი პოეტის ტვარდოვსკის პოემის გმირზე ტიორკინზე. აქ წამოყენებული დებულება შეგვეძლო დაგვედასტურებინა კლასიკოსების მიერ შექმნილი ამაღლებული და მშვენიერი სახეებით, რათა უკუგვეგდო ყალბი, იდეალისტური დებულება, რომ მშვენიერი ააშკარავდება მხოლოდ ფორმაში.

მარქსისტული ესთეტიკა კატეგორიული ფორმით უარყოფს როგორც პირველ, ისე მეორე და მესამე მოსაზრებას ხელოვნებითი მშვენიერის შესახებ, რადგანაც არცერთი მათგანი არ გამოხატავს ჭეშმარიტად მშვენიერის ბუნებას. გაზეთი „პრავდა“ მოწინავე წერილში, რომელიც მიძღვნილი იყო რუსთაველისადმი, წერდა, რომ მხოლოდ ის სახეა მშვენიერი, რომელიც მიისწრაფვის

მაღალი იდეალებისაკენ, ჭეშმარიტი ჰარმონიისაკენ. ადამიანის ჰარმონიისადმი მისწრაფების იდეალი თავისთავში ადამიანურია: ადამიანური კი, უმაღლესი იდეალია მშვენიერისა და მშვენიერი მაშინვე ქრება სახეში, როდესაც ამ ადამიანური იდეალის წინააღმდეგ არის შექმნილი ხასიათი. ამიტომაა, რომ ამაღლებული ხასიათში იმავე დროს მშვენიერია და გულისხმობს ფორმისა და შინაარსის მთლიანობას. ამაღლებული, რომელიც ხასიათში ბატონობს როგორც ატრიბუტი, წარმოდგება ინდივიდუმის გარშემო შექმნილი ობიექტური პირობებისაგან. და თუ ხელოვანი თავის თავს ნებას აძლევს, აამაღლოს ინდივიდუმის ხასიათში ერთი რომელიმე გრძნობა, ამით რეალიზმს კი არ შორდება, არამედ ასაბუთებს რეალიზმის უძლეველ ძალას ხელოვნებაში.

ამრიგად, ამაღლებული ორგანული თვისებაა მშვენიერისა და ნიშნავს გადამწყვეტი უპირატესობის მინიჭებას ერთი რომელიმე ატრიბუტისადმი მეორის ხარჯზე, მაშინ მშვენიერი იმ ატრიბუტში გამოჩნდება, რომელიც ამაღლებულია ხასიათში; ამიტომ, ამაღლებული ამავე დროს არის დიადიც და უძლეველიც, რადგანაც მხოლოდ მას შეუძლია სიკვდილის, ამ აუცილებელი და ძლიერი ფენომენის, დამარცხება. „სიყვარული ამარცხებს სიკვდილსო“, ამბობდა ი. სტალინი და ეს ჭეშმარიტი აზრი ყველაზე უფრო ნათლად გამოხატავს ამაღლებული სიყვარულის უძლეველობას. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ამაღლებული მივიჩნიოთ „იდეის უპირატესობა ფორმის მიმართ“. ამგვარი აზრი არა მარტო ცალმხრივია, არამედ შემცდარიც. ამაღლებული შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ იდეისა და ფორმის ადეკვატურობაში — სახეების მეშვეობით. იდეის უპირატესობა ფორმის მიმართ, თვითონ იდეას აქცევს სქემად, განყენებულ, უსიცოცხლო ცნებად, რომელსაც დაკარგული აქვს ქმედითი მნიშვნელობა ფორმის მიმართ. განზოგადების' პრინციპი, ხელოვანს უტოვებს უფლებას არსებითისა და დამახასიათებელის გზით განსაკუთრებულად გამოიყოს რომელიმე ადამიანური გრძნობა და გაზარდოს მისი მნიშვნელობა იმ დონემდე, ვიდრე დიადსა და უძლეველობას მიაღწევდეს. ამის შემდეგ ამ გრძნობას ენიჭება უფლება თავისთავი მაღლა დააყენოს სხვა ადამიანურ გრძნობებზე. ამასთან ერთად, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამგვარად ამაღლებული გრძნობა ხასიათში იყო ინდივიდუმის არა მარტო ამაღლების; არამედ დაცემის წყარო.

ჭეშმარიტად ამაღლებული ადამიანში ბადებს სურვილს — გააკეთოს რაღაც დიადი და სასარგებლო კაცობრიობისათვის. ამავე საფუძველზე ხასიათების ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობა წარსულში წარმოშობილი იყო კაცობრიობის მომავალი ბედნიერების სურვილით. ამაღლებულმა გრძნობამ დაბადა სურვილი პრომეთეოსში — გარდაქმნას ცხოვრება კაცობრიული იდეალების მიხედვით. ამ სურვილით შეპყრობილი პრომეთეოსი საღვთო კანონს არღვევს და ცეცხლს სტაცებს ღმერთს, რათა ადამიანს გაუნათოს ცხოვრებაში წინსავალი გზა. ინდივიდუმმა იცის, რომ ღმერთი ამ ნიადაგზე დასჯის მას, მაგრამ პრომეთეოსი მზადაა, გულდამშვიდებით და სულიერი წონასწორობის დაცვით შეხვდეს სასჯელს, რადგანაც ამაღლებულის ნიადაგზე წარმოშობილი სურვილი მან უკვე პრაქტიკაში განახორციელა. ფიზიკური ტანჯვა არარაობად მოჩანს პრომეთეოსის სულიერი ზეიმთან.

მაგრამ განზოგადების პრინციპის საფუძველზე ხელოვანი ინდივიდუმიდან, მისი ხასიათიდან მარტო დიადს როდი გამოყოფს. თვით ცხოვრება მხოლოდ დიადი ხასიათების წარმოშობის წყარო როდია. ის წარმოშობს უარყოფითს

ინდივიდუმებსაც. ამ პირობებში ადამიანის კონკრეტული მდგომარეობა განსაზღვრავს მის ბუნებას. ვ. ლენინი ლაქიის ბუნების შესახებ წერს: „ლაქიის მდგომარეობას ის ახასიათებს, რომ ხალხთმოყვარეობის მეტად ხარბი ერი დოზა აუცილებლად შეუერთოს მორჩილებისა და ბატონობის ინტერესების დამცველის მეტად დიდ დოზას, რაც გარდაუვალად წარმოშობს ლაქიის, როგორც სოციალური ტიპის, დამახასათებელ თვალთმაქცობას. მთავარი აქ სოციალური ტიპია და არა ცალკეულ პირთა თვისებები. ლაქია შეიძლება ფრიად პატიოსანი ადამიანი იყოს, თავისი ოჯახის სანიმუშო წევრი, საუცხოო მოქალაქე, მაგრამ მისი გარდაუვალი ხვედრია ის, რომ ითვალთმაქცოს, რადგანაც მისი პროფესიის ძირითადი ნიშანია იმ ბატონის ინტერესების შეერთება, რომლის მიმართ მან „იკისრა“ რწმენითა და ალალმართლობით“ იმ წრის ინტერესებთან, რომლიდანაც აჰყავთ შინამოსამსახურენი.

ამიტომ თუ საკითხს განვიხილავთ პოლიტიკოსის თვალსაზრისით. ე. ი. მილიონობით ადამიანისა და მილიონთა ურთიერთობის თვალსაზრისით, არ შეიძლება არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ლაქიის, როგორც სოციალურ ტიპის, მთავარი თვისებებია თვალთმაქცობა და სილაჩრე. სწორედ ამ თვისებებს ასაზრდოვებს ლაქიის პროფესია (ლენინი, თხზულ. ტ. 29, გვ. 644).

ეს დებულება ჩვენ საშუალებას გვაძლევს შესაფერი დასკვნები გავაკეთოთ არა მხოლოდ ლაქიის მიმართ, არამედ ყოველი ინდივიდუმის მიმართ, რომელიც შემოქმედებითი წარმოსახვის შემწეობით რეალური ცხოვრებიდან აისახება ხელოვნებაში. სწორედ ამიტომ ლოგიკურ ჭეშმარიტებად ითვლება ხოლმე. როცა ამბობენ, რომ ყოველი ადამიანი თავისი დროის პირმშოაო. დრო აძლევს სულიერ საზრდოს ადამიანს და აყალიბებს მის იდეებს, შეხედულებებს, წარმოდგენებს, ვნებებს. ყოველი ხასიათი, რომელიც შექმნილია გამოცდილი ოსტატის ხელით, განსაზღვრულია არა მწერლის სუბიექტური ფანტაზიით, მისი შიშველი წარმოსახვის უნარით, არამედ ხანგრძლივი, ობიექტური დაკვირვებით ცხოვრების ღრმა ცოდნით, ინდივიდურის სულიერი ცხოვრების თანმიმდევრობითი შესწავლით. ხასიათის წარმოსახვის დროს თვალსაზრისი ნაწარმოების გმირისა ხშირად ემთხვევა ავტორის თვალსაზრისს, მაგრამ ჭეშმარიტი შემოქმედის ძალა იმაშია, რომ გმირის თვალსაზრისი გამოხატოს თვით გმირის ხმითა და ფერით; მას ყოველთვის უნდა შერჩეს თავისი საკუთარი ინდივიდუალობა. ყველაზე უფრო სახიფათო ფორმა სახისა და ხასიათის შექმნისა მწერლის მიერ — არის სურვილი შემოქმედისა, რომ თავისი პირადი „მე“ თავზე მოახვიოს ხასიათს. ასეთ პირობებში იკარგება ხასიათისა და სახის ინდივიდუალური თვისებები და მწერლის სუბიექტური ინდივიდუალობა იქცევა სახის ინდივიდუალობად. ამ გზით შექმნილი სახეები და ხასიათები ყოველთვის განსაზღვრულნი, ერთფეროვანი მოსაწყენი არიან. ამგვარ ვითარებაში მწერალი სახეში იმეორებს თავის თავს; იგი ქმნის ხასიათს, რომელიც წარმოადგენს არა ობიექტური სინამდვილის ჭეშმარიტ მხატვრულ უკუფენას, არამედ საკუთარი პიროვნების დაგერეოტიპს.

მარქსისტული თვალსაზრისით, ჭეშმარიტი გზა სახეებისა და ხასიათების შექმნისათვის არის შემოქმედის მიერ ცხოვრების ღრმა ცოდნა, ადამიანის ფსიქოლოგიაზე დაკვირვების უნარი და არსებითის, დამახასიათებლის დამახსოვრების ნიჭი. მწერალი უნდა მისდევდეს ხასიათების გულისთქმას, მათ განწყობილებებს.

ნაწარმოებში ამ თუ იმ დაბრკოლების გადალახვა უნდა ხდებოდეს არა მწერლის სუბიექტური სურვილის მიხედვით, არამედ თვით ხასიათის ბუნებისა და ნების მიხედვით. ამ ფაქტის ცოცხალ მაგალითს იძლევა ტოლსტოის მეგობართან საუბრის ჩანაწერი. მეგობარი ეუბნება ტოლსტოის: „ამბობენ, რომ თქვენ ძლიერ მკაცრად მოექეცით ანა კარენინას, აიძულეთ ის თავისი სიცოცხლე დაემთავრებინა ვაგონებ ქვეშ, მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს მას არ შეეძლო მუდამ მორჩილად მჯდარიყო ალექსი ალექსის-ძესთან". ტოლსტოიმ გაიღიმა. ეს შეხედულება, უპასუხა ტოლსტოიმ, მე მაგონებს ამბავს, რომელიც შეემთხვა პუშკინს. ერთხელ მან (პუშკინმა. დ. ბ.) რომელიღაც თავის მახლობელს უთხრა: რა მოხერხებულად გამისხლტა ხელიდან ტატიანა, წარმოიდგინეთ ის ქმარს გაჰყვა; ამას კი არაფრით არ მოველოდი მისგან. იგივე შემიძლია გავიმეორო ანა კარენინას შესახებ. საერთოდ ჩემი გმირები აკეთებენ ზოგჯერ ისეთ რამეს. რომლზედაც მე სრულიად არ მიფიქრია. ისინი აკეთებენ იმას, რაც უნდა კეთდებოდეს ცხოვრებაში ნამდვილად და როგორც ხდება ხოლმე სინამდვილეში, და არა ისე, როგორც მე მსურს" («Русские писатели о литературе», том II, 1939, стр. 143).

სწორედ ეს გარემოება ჰქონია მხედველობაში ვ. ლენინს, როდესაც ტოლსტოის მისამართით ამბობდა: „თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, მას თავის ნაწარმოებში უნდა აესახა რევოლუციის თუნდაც ზოგიერთი არსებითი მხარე" (ვ. ლენინი, თხზ., ტ. 15, მე-4 გამოცემა, გვ. 236). ამავე აზრს ადასტურებს ი. სტალინი: „... მწერალმა უნდა ისწავლოს ცხოვრებისაგან. თუ მწერალი მხატვრულ ფორმებში ასახავს ცხოვრების სინამდვილეს, ის უეჭველად მივა მარქსიზმთან. არ შეიძლება გამოიგონო სახე და მოვლენა კაბინეტში ჯდომით". (საუბარი საბჭოთა მწერლებთან 1932 წელს). სამწუხაროდ, ამ გარემოებას ხშირად ივიწყებს არა მარტო ზოგიერთი ჩვენი მწერალი, არამედ ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნეც. ლიტერატურათმცოდნეების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მწერალს შეუძლია ყველაფერი შექმნას და გარდაქმნას; თითქოს მწერლის ნებას ემორჩილება სახის ნება. მათივე აზრით, ამიტომ არის ხელოვნება ცხოვრების გარდაქმნის მძლავრი საშუალება. ალბათ ამ ყალბი მოსაზრებით ხელმძღვანელობს პოეტებისა და პროზაიკოსების ერთი ნაწილი, რომელიც რეალური ცხოვრების და ამ ცხოვრებაში მოქმედი ადამიანების სულიერი ზრახვების შესწავლის ნაცვლად შიშველი წარმოსახვის გზით წერს ნაწარმოებებს, რომლებიც რჩებიან მკითხველის ცოცხალი ინტერესების სფეროს გარეშე. ამის ტიპიურ მაგალითად ჩვენ შეგვეძლო დაგვესახელებინა ისეთი ნაყოფიერი მწერალი, როგორიც სოლომონ თავაძეა. ჩვენი დროის იდეები მის ნაწარმოებში („კავკასიონთან", „ფოლადი") წარმოდგენილია არა, როგორც გრძნობად ფორმაში გაფანტული და ინდივიდუალიზირებული შინაარსი, არამედ როგორც აბსტრაქტული მოძღვრება, როგორც ცნება. ეს აბსტრაქტული ცნებები თითქოს ავტორის ძალდატანებითი ქმედების წყალობით სახეებში შედის და გამოგონილ ადამიანებად აქცევს მათ. ასეთივე მოვლენას ვხვდებით თანამედროვე პოეტურ ეპოსშიც. მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძის პოემა „აკაკი წერეთელი" (ჩვენ პირობით ვუწოდებთ „პოემას", რამდენადაც ის ნამდვილად პოემა კი არ არის, არამედ ცუდად დაწერილი გრძელი ლექსია) ამ ნაწარმოების იდეური სამყარო ამოდის იმ გაგებიდან, რომ „აკაკი წერეთლის ბრწყინვალე პოეზიის გამგრძელებელი არის გალაკტიონ ტაბიძე. ზოგადი აზრის,

ზოგადი იდეის თვალსაზრისით შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს, რადგანაც მე-20 საუკუნის ლიტერატურაში გალაკტიონ ტაბიძე აღმართულია, როგორც შემოქმედებითი შეერთება ძველისა და ახალისა, მაგრამ თავისთავად ეს შეშმარიტი იდეა ნაწარმოებში წარმოდგენილია როგორც ლოგიკური ცნება, როგორც აბსტრაქცია და არა როგორც ხორცშესხმული კონკრეტულობა, როგორც გრძნობად ფორმაში გადამდნარი სახეობრივი აზროვნება. ზემოთაც იყო ნათქვამი და აქაც ვიმეორებთ, რომ ხელოვნების ნაწარმოებმა მკითხველის წინაშე შინაარსი, იდეა მის ზოგადობაში კი არ უნდა წარმოადგინოს, არამედ ზოგადი იდეის, შინაარსის ინდივიდუალიზირება უნდა მოახდინოს სახეების საშუალებით. რაკი გალაკტიონ ტაბიძემ ამის საწინააღმდეგო გზა აირჩია და ისეთი ინსტრუმენტი დაიჭირა ხელში, რომელიც მისი მიუჩვეველი ხელის თითების შეხების დროს არაჰარმონულ ხმებს გამოსცემდა, პოემა დარჩა მკითხველის ინტერესების მიღმა და მოკვდა როგორც მხატვრული ნაწარმოები.

ამგვარად კვდება ყველა „ნაწარმოები", რომელშიაც იდეა, შინაარსი საყვირის როლს ასრულებს და ხასიათებში წარმოდგენილია ლოგიკური ცნებების სახით.

მაშ რა გადაარჩენს ხელოვნების ნაწარმოებს ამგვარი კატასტროფისაგან? მხოლოდ და მხოლოდ შინაარსისა და ფორმის მთლიანობა. ეს დებულება სწორია, მაგრამ ზოგადი მნიშვნელობის მატარებელია, და თუ ის კონკრეტიზირებული არ იქნა, ეს ლოგიკური ცნება დაემსგავსებოდა ზემოთდასახელებულ ნაწარმოებებში წარმოდგენილ იდეას, რომელსაც ვერ მოუძებნია ცოცხალი, კონკრეტული შინაარსი სახეების მეშვეობით.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ ფორმის ანალიზის გზით.

სიტყვიერი ხელოვნების ეპიკურ ფორმაში სახე ძირითადი ელემენტია, რომლის მეშვეობითაც აისახება სინამდვილე. მარქსისტული ესთეტიკა, როგორც მეცნიერება ხელოვნების კანონების შესახებ, სახეს განსაზღვრავს, როგორც რეალური სინამდვილის შემოქმედებითი წარმოსახვის ფორმას. ამიტომ სახეების ხასიათი ყოველთვის განსაზღვრულია სინამდვილით. ვერც ერთი ხელოვანი ვერ განმსჭვალავს სახეს ისეთი იდეალით, რომლის ელემენტებიც თვით ხასიათში ბუნებრივად არ არის მოცემული. მაგრამ სინამდვილის შემოქმედებითი წარმოსახვა არ არის სარკისებური-მკვდრული აქტი, იგი რთული, გაორებული, მიხვეულ-მოხვეული აქტია, რომელიც, როგორც, ლენინი გვასწავლის, შეიცავს ცხოვრებისაგან ფანტაზის გაფრენის შესაძლებლობას.

ამ საფუძველზე ხელოვნებაში ასახული სახე ბუნების მსგავსი კი არ უნდა იყოს, არამედ ბუნებრივი.

ახლა დავუბრუნდეთ მხატვრული ფორმის ანალიზს, რათა ნათელვყოთ მისი ბუნება და დამოკიდებულება შინაარსთან. ამ დამოკიდებულებაში მთავარია კითხვა: გულგრილია თუ არა ფორმა შინაარსის მიმართ?

რა პარადოქსადაც არ უნდა მივიჩნიოთ გოგოლის მიმართვა მხატვარ მოლერისადმი, მაინც იქ არის ჭეშმარიტების მარცვალი ადამიანის ბუნების შესახებ. მხატვარ მოლერს გოგოლი სწერდა: „ჩემი დახატვა ძალიან ძნელია, რადგან არათუ დღეების, არამედ ერთი დღის განმავლობაშიაც კი მე ვგრძნობ, რომ მაქვს არათუ ერთმანეთისაგან განსხვავებული გამომეტყველება, არამედ ერთიმეორისაგან განსხვავებული მნიშვნელობის სხვადასხვანაირი სახეც".

გოგოლმა, როგორც ადამიანის ბუნების უბრწყინვალესმა მცოდნემ, კარგად იცოდა, რომ ადამიანის სახის კანის ფერში აღიბეჭდება ყოველივე, რაც სულში ხდება. გოგოლი ხშირად ხუმრობდა ხოლმე, რომ სახე ფერია კანის, რომელშიაც გამოსჭვივის შინაარსი. გოგოლის ჰუმორი, როგორც ყოველთვის, აქაც ინარჩუნებს ჭეშმარიტების ძალას. მართლაც, ბუნებას ისე შეუქმნია ადამიანი, რომ სახის კანის ფერში, ისე როგორც სეისმოგრაფში, ჩანს მისი შინაგანი სულიერი ცხოვრება. შეიძლება უხეშ შედარებად მოგვეშვენოს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ნაწარმოების ფორმა ისეთივე დამოკიდებულებას იჩენს შინაარსისადმი, როგორც სახის კანი — ადამიანის სულიერი ცხოვრებისადმი. ამის დასადასტურებლად შეგვეძლო მოგვეტანა რაფაელის ცხოვრების ერთი შტრიხი. რაფაელმა რომის პაპისაგან მიიღო შეკვეთა მადონების დახატვის თაობაზე. შემკვეთელის იდეა იყო მადონას ისეთი გამოსახვა, რომელშიაც ზეცისაკენ სულიერი სწრაფვა გამოსახვის ფორმის ლეიტმოტივი იქნებოდა. სხეულის დასუსტების ხარჯზე მხატვარს წინ უნდა წამოეწია მადონას ზეცისკენ მიმსწრაფი სული. რაფაელი მიხვდა, რომ შემკვეთელის მიერ მიცემულ თემაში იყო აშკარა წინააღმდეგობაა შინაარსსა და ფორმას შორის. დედისა და შვილის გამოხატვა იმგვარად, როგორც ამას შემკვეთელი მოითხოვდა, შეუძლებელი იყო. დედაშვილობის უმაღლესი იდეალი მოითხოვდა არა დედის სხეულის ფიზიკურ დასუსტებას, არამედ გაზრდას, გაფართოვებას, რათა მიწიერი ყოფილიყო და არა ზეციერი. ამ ნიადაგზე რაფაელის მადონაში დედაცა და შვილიც გამოხატავენ ფიზიკურად ძლიერ, სიცოცხლით სავსე სხეულის მშვიდ ნეტარებას. სახის გამომეტყველება, კანის ფერი, მთელი გულმკერდის გამოსახულება შეეფარდება დედა-შვილობის ამქვეყნიურ იდეალს. ძირითადი საშუალება, რომლითაც რაფაელმა ნაწარმოების იდეალს, შინაარსს თვითარსებობა მიანიჭა, ობიექტური და ამ ნიადაგზე სხვებისათვის გასაგები გახადა, არის ფერი. მუსიკაში ამგვარი დამოკიდებულება აშკარავდება იდეასა და ბგერას შორის. ზ. ფალიაშვილის „დაისის“ უვერტიურა თავისი მაღალი შინაარსით ჩვენთვის სავსებით გასაგები ხდება ადეკვატური მუსიკალური ბგერების მეშვეობით.

მაშ რა არის სიტყვიერ ხელოვნებაში იდეის, შინაარსის გარეგანი გამოაშკარავების ძირითადი საშუალება, რომელიც მას ხელოვნების ნიმუშად აქცევს? ეს ძირითადი საშუალება გახლავთ მხატვრული სიტყვა. მხოლოდ მხატვრულ სიტყვას შეუძლია შეჭრა ადამიანის იდეურ და ემოციონალურ სამყაროში, რათა რეალურად არსებობის უფლება მოუპოვოს და სხვებისათვის გასაგები გახადოს ინდივიდუმის იდეები, ვნებები, ემოციები. ამ ნიადაგზე მხატვრულ სიტყვას მაგიური მნიშვნელობა ენიჭება და ნაწარმოების ფორმის სხვა ელემენტთა შორის ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს. ისე როგორც ადამიანის თავში რაიმე აზრის დაბადება ხდება მხოლოდ და მხოლოდ ენობრივი მასალის ბაზაზე, როგორც აზრის რეალობა ენით მყარდება, ასევე ნაწარმოების იდეა, შინაარსი მხატვრული სიტყვის მეშვეობით იძენს რეალურად არსებობის უფლებას. ამიტომ მხატვრული ენა ფორმის კატეგორიაა და ბასრ იარაღს წარმოადგენს მწერლის ხელში. ფორმის კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე ნაწარმოების სიუჟეტიც. ზოგიერთი ლიტერატურისმცოდნე ფიქრობს, რომ სიუჟეტი იდეური კატეგორიის ელემენტია ნაწარმოებში, და არა ფორმის კატეგორიისა. ეს აზრი სწორი არაა. სიუჟეტი რომ იდეურ-შინაარსობრივი კატეგორია იყოს, მაშინ ერთ და იმავე თემაზე, ერთსა და იმავე სიუჟეტზე ორი სხვადასხვა

მსოფლმხედველობის მწერალი სხვადასხვა იდეური მნიშვნელობის ნაწარმოებს ვერ დაწერდა. ლიტერატურის ისტორიამ არა ერთი და ორი მაგალითი იცის იმისა, რომ ერთსა და იმავე თემაზე და სიუჟეტზე ორი, ერთიმეორისაგან სწინააღმდეგო, თვალსაზრისის ნაწარმოები დაწერილა.

როგორ გავიგოთ სიუჟეტი, როგორც ცნება?

ვიდრე ამ საკითხს გავარკვევდეთ, საჭიროა ამბავის ცნების გარკვევა, რადგანაც ამბავი პირველადია, სიუჟეტი მეორეული. არისტოტელი ამბავს ფაბულასაც უწოდებს. მაგრამ ლიტერატურათმცოდნეობა იმდენად შორს წავიდა, რომ არისტოტელისებური განმარტება ამბავისა, როგორც ფაბულისა, მას ვერ დააკმაყოფილებს, ისე როგორც ვერ დააკმაყოფილებს არისტოტელის ბუნებისადმი წაბაძვის თეორია. ეს უხერხულობა ჯერ კიდევ ჰეგელმა იგრძნო და ანგარიში გაასწორა არისტოტელთან. ამიტომ ამბავისა და ფაბულის ერთიმეორის სინონიმად მიჩნევას საფუძველი გამოეცალა. მარქსისტულ ესთეტიკაში ეს კი არაა საძიებელი, არამედ ის, თუ რა კატეგორიის მნიშვნელობისაა თვითონ ამბავი.

ესთეტიკაში ცნობილია, რომ ინდივიდუმის მოქმედებით, რომელსაც მიზნად აქვს დასახული გაბატონებული წესრიგის დარღვევა ან განმტკიცება, იქმნება ამბავი. მაგრამ ყოველგვარი ამბავი როდი გამოდგება ხელოვნების ნაწარმოებისათვის. ამბავი თავისთავად მნიშვნელოვანი უნდა იყოს საზოგადოებრივი თვალსაზრისით. მწერლის მიერ შემოქმედებითი წარმოსახვის დროს ამბავის ყოველი დეტალი თავისთავს როდი ანიჭებს არსებობის უფლებას. მხოლოდ არსებითი და დამახასიათებელი დეტალი შემოინახავს ამბავში თვითარსებობას. ამგვარი დეტალების ერთობლიობა ჰქმნის დეტალების მთელ ჯაჭვს. ამ ჯაჭვს პოეტიკის ენაზე სიუჟეტი ეწოდება. სხვანაირად კი ნაწარმოების გმირების განვლილ გზას, რომელშიაც არის გარკვეული კანონზომიერება, სიუჟეტის სახელი ჰქვია. მაგრამ სიუჟეტი შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს, იგი ბუნებით დაუბოლოვებელია და მაცდუნებელი: მას არ გააჩნია შემაკავებელი ცენტრი და მცირე მნიშვნელობის ამბავის სიუჟეტიც კი, რომელიც შეიძლება ესკიზის, მოთხრობის ან ნოველის თემად გამოდგეს, იქცევა სამკარიანი რომანის დაწერის საბაბად. რაკი ამბავი უკვე მომხდარია, მისი სიუჟეტი მოყოლის დროს რაღაც რომანტიკულ ელფერს იღებს ნაწარმოებში ხასიათის წარმოსახვის დროს. რომანტიკულობა ახალ განათებას აძლევს ამბავში დაგროვილ არსებითსა და დამახასიათებელ დეტალებს და ამ დეტალების გააზრება მსმენელში ან მკითხველში სასიამოვნო განწყობილებას აღძრავს. სიუჟეტის ამ თვისების წინააღმდეგ გამოდის ფაბულა; იგი შემაკავებელი ცენტრია სიუჟეტისა; მხოლოდ მას გააჩნია უნარი, დაამთავროს სიუჟეტი იქ, სადაც ხასიათები დასრულდნენ, როგორც ინდივიდუმები. ამრიგად, ფაბულა ხელს უწყობს ცალკე დეტალების თვითდასრულებას ისე, რომ მთლიანობა კი არ ირღვევა, არამედ მთლიანობა რჩება, როგორც ძირითადი კანონი ინდივიდუმსა და ტექნიკურ ელემენტებს შორის.

სიუჟეტი, როგორც ფორმისეული კატეგორია, იქმნება, ერთი მხრივ, მწერლის შემოქმედებითი ფანტაზიის და, მეორე მხრივ, რეალური სინამდვილის მეოხებით. რომელია უფრო ხელსაყრელი ხელოვანისათვის? ორივე ხელსაყრელია, მაგრამ ორივეს მიმართ საჭიროა ფხიზელი დამოკიდებულება. სიუჟეტს, რომელიც მწერლის ფანტაზიით არის შექმნილი, უნდა ჰქონდეს რეალურად არსებობის უფლება, ხოლო მასალას სიუჟეტისათვის; რომელსაც ცხოვრება

წარმოშობს, ესაჭიროება ხელოვანის ფილტრი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხელოვანი მომხდარი ამბავის უამრავი დეტალებიდან იღებს არსებითსა და დამახასიათებელს. ხელოვანის ეს თვისება, რომელიც განზოგადების პრინციპიდან გამომდინარეობს, უპირატესობას ანიჭებს მას ბუნების წინაშე, მაგრამ შეცდომა იქნებოდა დაგვეპირისპირებინა ხელოვანი და ბუნება. ბუნება ხელოვანისათვის არის უმდიდრესი მასალა, საიდანაც ის იღებს ყველაფერს, რაც კი ხელოვანს ესაჭიროება ხასიათის შესაქმნელად.

ჩვენ ბუნებისა და ხელოვანის დაპირისპირებაში კი არ უნდა ვეძიოთ ჭეშმარიტება, არამედ მათ მთლიანობაში. ერთ-ერთი მათგანისათვის უპირატესობის მინიჭებამ დაკარგა თავისი აზრი მას შემდეგ, რაც მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე ხელოვნებისა და ბუნების ურთიერთობის საკითხი მეტაფიზიკის სფეროდან გამოვიდა და მეცნიერების კვლევის ობიექტად იქცა. მეცნიერებას კი არ შეუძლია ძიკერძოება. ის გონების თვალით ჭვრეტს და ზომავს ხელოვნებისა და ბუნების ურთიერთობას და მკაცრად განსაზღვრული, ობიექტური რჩება ამ საკითხების გადაწყვეტისას. მაგრამ გვეუბნებიან, რომ განზოგადების პრინციპი, რომელიც ხელოვნების სულს და გულს შეადგენს, უკუგდებული უნდა იქნესო. განზოგადება თითქოს არც არის საჭირო; ზოგად მნიშვნელობამდე აყვანა ხასიათისა ეწინააღმდეგება ბუნებასო, აგრეთვე, ფიქრობენ რომ შემოქმედებითი ფანტაზიის ძალები განსაზღვრულია. მათემატიკური სიზუსტით, ამბობენ, ისინი შეიძლება დამტკიცდეს, რომ არ შეიძლება ხელოვნებითი ნაწარმოების შედარება ცოცხალი ადამიანის სახესთან ნაკვთების სილამაზის თვალსაზრისით...

ამ შეხედულებიდან გამორიცხულია განზოგადების პრინციპის ყველაზე დამახასიათებელი თვისება, რომ ხელოვანი არსებითსა და დამახასიათებელს იღებს ბუნებიდან. არსებითისა და დამახასიათებელის გარეშე კი ხელოვანი გაიმეორებდა ბუნებას და შემოქმედებითი წარმოსახვის უნარით შექმნილ ხასიათს დაუკარგავდა ზოგად მნიშვნელობას.

თუ მე ვიცი, რომ ოთარაანთ ქვრივი დაბლა დგას მის რეალურ პროტოტიპზე, მე დავკარგავდი ნდობას არა მარტო ოთარაანთ ქვრივისადმი, როგორც დიადი ხასიათისადმი, არამედ დავკარგავდი აგრეთვე რწმენას ხელოვნების ძლიერებისადმი ადამიანის სულიერი ცხოვრების გარდაქმნაში.

ხელოვნების განუზომელი მნიშვნელობა განზოგადებაშია და არა რეალურად არსებული ადამიანის განმეორებაში, ისიც ბუნებრივზე უფრო ღარიბ ფორმაში. ამ აზრის მოწინააღმდეგენი კითხულობენ: ნუთუ ცოცხალი სახე არაა მშვენიერი, ხოლო პორტრეტზე გამოსახული, ან დაგერეოტიპზე გადაღებული მშვენიერია? საკითხის ამგვარი დასმა ხსნის რაიმეს? რა თქმა უნდა, არა. მხოლოდ გაუგებრობა შეუძლია წარმოშვას მან. არც პორტრეტი, და მით უფრო დაგერეოტიპი, არ ჩაითვლება ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშად. პორტრეტი და დაგერეოტიპი იძლევა მხოლოდ გარეგნულ მსგავსებას; იქ არა ჩანს ადამიანის სული, რაც შემოქმედებით წარმოსახვას აძლევს ხელოვნების ნაწარმოების მნიშვნელობას. არსებულის განმეორება ხელოსნობაა და არა ხელოვნება. ხელოსანს მთელ თავის სიცოცხლეში საქმე აქვს არა ადამიანის სულთან, არამედ მის შედეგთან; ის კი არ განიცდის, არამედ სხვის მიერ განცდილის ფიზიკურ მოქმედებას გამოხატავს გარეგანში. „ხელოსანი კი არ ცხოვრობს, არამედ ცხოვრებას, ადამიანურ გრძნობებსა და სახეებს ბაძავს... შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა. მ თ ე ლ ი ფ ი ზ ი კ უ რ ი დ ა ს უ ლ ი ე რ ი ბ უ ნ ე-

ბის ძალთა თავმოყრაა. იგი ეუფლება არა მარტო მხედველობასა და სმენას, არამედ ადამიანის ხუთივე გრძნობას. გარდა ამისა, იგი ეუფლება სხეულსაც, აზრსაც, გონებასაც, ნებისყოფასაც, გრძნობასაც, მეხსიერებასაც, ფანტაზიასაც. შემოქმედების დროს მთელი ფიზიკური და სულიერი ბუნება მიმართული უნდა იყოს იმისაკენ, რაც წარმოსასახვი სუბიექტის სულში ხდება" (კ. სტანისლავსკი). ამ პროცესში შემოქმედებითი ფანტაზიის ძალა განსაზღვრული არ არის, არამედ განუსაზღვრელია.

შემოქმედებითი პროცესი ყოველთვის თხოულობს შემოქმედის ვირტუოზობის განუსაზღვრელობას, რადგანაც არ არსებობს მისი სისრულის საზღვარი.

ისე როგორც ნაცნობი გარეგნული მოქმედება შინაგან გრძნობას იწვევს, ასევე შინაგანი სურვილის დაბადება გარეგან მოქმედებაში მეღავნდება. ეს პროცესი ისე ხდება, რომ უბრალო დამკვირვებელისათვის იქ მრავალფეროვნება ქრება და ჩვეულებრივი ტრაფარეტი ბატონდება. თითქოს აქ არის შეზღუდულობა განცდებისა და განწყობილებებისა, მაგრამ თუ ღრმად შევხედავთ საკითხს, ადვილად შევატყობდით, რომ გარეგანი ცხოვრების ცვალებადობა ყოველთვის ახალ თვისებას ანიჭებს ხასიათს, განცდასა და შემეცნებას. ადამიანი ცვლის რა გარეგან ქვეყანას, ამით ცვლის თავის ბუნებასაც. თუ ამას მივუმატებთ თვით ხელოვანის შემოქმედებითი წარმოსახვის უნარს, ფანტაზიას, რომელსაც აქვს უფლება, კომბინირების გზით გააცხოველოს, გაამრავალფეროვნოს, გააცოცხლოს ჩვენი შეგრძნობანი და შემეცნებანი, მაშინ მოხსნილია ტრაფარეტი. ბუნება და საზოგადოებრივი ცხოვრება უხვია ახალი სახეებისა და ხასიათების წარმოსაქმნელად. ძველისაგან განსხვავებით, ახალი ცხოვრება ყოველთვის თავის შესატყვის ხასიათებს აყენებდა ხელოვნების ცენტრში. ყოველი ახალი თაობა თავისთავის განსხეულებას ხელოვნებაში აღწევდა ამ თაობიდან წარმოშობილი სახეებით.

სიახლის შექმნაში სიუჟეტს, ფაბულას და ნაწარმოების ფორმისეული კატეგორიის სხვა ელემენტებს დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ სიუჟეტი უწყობს ხელს, შეიჭრეს მკითხველი ნაწარმოების რთულ ქსოვილში; კანონზომიერად განვითარებული სიუჟეტი მკითხველის ცნობისმოყვარეობას აღძრავს და აღძრული ცნობისმოყვარეობა არ დაწყნარდება, ვიდრე არ დაკმაყოფილდება. რეალიზმი საერთოდ და, კერძოდ, სოციალისტური რეალიზმი, ხასიათის შემოქმედებითი წარმოსახვის დროს სიუჟეტს იყენებს, როგორც საშუალებას ხასიათის სულიერი ცხოვრების გახსნისათვის. ამიტომ სიუჟეტი ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებში მძაფრია და მკვრივი. უსიუჟეტოდ წარმოდგენა დიდი ნაწარმოებისა შეუძლებელია. თემა, სიუჟეტი, ფაბულა ეხმარება ხელოვანს ნაწარმოების შინაარსის გახსნაში, და სწორედ ამაშია მისი ღირსება.

ნაწარმოების ფორმის კომპოზიციურ ელემენტთაგან სიტყვიერ ხელოვნებაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ სიტყვას. იგი ნაწარმოების ფორმის ძირითადი და, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო ელემენტია. მწერლის ხელში მხატვრული სიტყვა საშენი მასალაა, რომლის საშუალებითაც — შემოქმედებითი წარმოსახვის გზით — იქმნება სახე, როგორც ფორმისა და შინაარსის მთლიანობა.

ამრიგად, ფორმისეული კატეგორიის ელემენტების განხილვის შედეგად ხელოვნებითი ნაწარმოების ფორმა წარმოგვიდგება, როგორც ყველა მხატვრული ელემენტის ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც შინაარსის (იდეის) რეალურობა მეღავნდება. ფორმა უშუალო სინამდვილეა შინაარსისა.

ბიბლიოგრაფია

★

ნოე ზომლეთელის რჩეული ნაწერები

ნ. ზომლეთელი პროლეტარულ მწერალთა იმ პირველ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც თავიდანვე მტკიცედ დაადგა რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის გზას, გააგრძელა მე-19 საუკუნის ლიტერატურის პროგრესულ-რეალისტური ტრადიციები, გვერდი აუარა იმ დროს გაძლიერებულ დეკადენტურ მიმდინარეობებს და შეეცადა მხატვრულ სახეებში გამოეხატა ეპოქის სასიცოცხლო ინტერესები.

პროლეტარული მწერლები პირველნი იყვნენ, რომლებიც ხელს უწყობდნენ მშრომელი მასების აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით. რევოლუციის პირველ წლებში სამწერლო ინტელიგენციიდან პროლეტარული მწერლობა იყო მთავარი ძალა, რომელსაც ეყრდნობოდა პარტია ნამდვილი სოციალისტური ლიტერატურის შექმნისათვის ბრძოლაში.

ის მხატვრული სისუსტე, რაც დამახასიათებელი იყო ქართული პროლეტარული მწერლობის პირველი თაობისათვის, თანდათანობით დასძლია მომდევნო თაობამ და დღეს, როდესაც გვინდა გავითვალისწინოთ ის უშუალო წინამძღვრები, რომელთა საფუძველზე შეიქმნა და განვითარდა მსოფლიოში ყველაზე იდეური საბჭოთა ლიტერატურა, გვერდს ვერ ავუქცევთ პროლეტარული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედებასაც. ამიტომ უნდა ითქვას, რომ სახელგამმა უთუოდ კარგი საქმე გააკეთა ნ. ზომლეთელის რჩეული ნაწერების გამოცემით.

ნ. ზომლეთელმა მთელი თავისი სიცოცხლე და სამწერლო მოღვაწეობა ორგანულად დაუკავშირა პროლეტარიატის გმირული ბრძოლისა და გამარჯვების საქმეს. იგი სამწერლო ასპარეზზე 1905 წლის რევოლუციის მზადების პერიოდში გამოვიდა და თან მოიტანა ოცნება სანეტარო მომავალზე.

აღარ მინდიხარ, ზამთარო,
სუსხიან-ტალახიანო,
მო გაზაფხულო, ნორჩყვავილ
და მწვანე ბალახიანო! („ამონაკვესი").

რეაქციის მძიმე წლებში ნ. ზომლეთელს, მიუხედავად ცარიზმის მხრით სასტიკი დევნა-შევიწროებისა, რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებისა და გადასახლებისა, არ გასტეხია გული რევოლუციაზე, არ დაჰკარგვია გამარჯვების რწმენა. „რაგინდ მდევნოს მწარე ხვედრმა, არჩეულ გზას არ დავაგდებო", ამბობდა იგი 1907 წელს დაწერილ ლექსში, ხოლო 1910 წელს ხაზგასმით აღნიშნავდა:

მტრის იერიში დღეს თუ უკან გვწევს,
სულ სხვაგვარი დღე მოგველის ხვალა, —
მტერზე იერიშს თითონ მიიტანს
შეერთებული მუშათა ძალა.

„მშვიერობა ქოხებს, ომი დარბაზებს!" — აი საბრძოლო დევიზი ნ. ზომლეთელის მთელი რევოლუციამდელი შემოქმედებისა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში ნ. ზომლეთელი თავის სამშობლოში — საქართველოში ეპატიჟებოდა ქვეყნის მხსნელ გაზაფხულს —

აენთე და აგუგუნდი,
მოდი, ჩვენო პატარძალო!

ნ. ზ ო მ ლ ე თ ე ლ ი. რჩეული. სახელგამი. 1953.

და მოუწოდებდა მეგობარ მგოსნებს, მის შესახვედრად მოემართათ ჩანგი.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გახდა ნ. ზომლეთელის კალამი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. პოეტი აღფრთოვანებით მიესალმა მუშურ-გლეხურ მთავრობას, კომუნისტურ პარტიას, როგორც მისი აქტიური წევრი 1920 წლიდან. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი უძღვნის ლექსებს მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადებს ლენინსა და სტალინს, უმღერის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, საკოლმეურნეო მოძრაობას სოფლად და საერთოდ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს. ლექსში „ოქტომბრის გზაზე" ნ. ზომლეთელი გვევლინება როგორც ეპოქის გულწრფელი მომღერალი:

მივალ, რომ ყოველ ჩაქუჩის დარტყმას
გავაჟედინო გულშიც ხალისი;
პოეტი, ვინც რომ აშორდა ამ ხმას,
ო, რარიგ არის შესაბრალისი.

დემოკრატიული მწერლობიდან პროლეტარული და შემდეგ საბჭოთა მწერლობის პოზიციებამდე — აი, გზა, რომელიც გაიარა ნ. ზომლეთელმა თავისი თითქმის 40-წლიანი საშწერლო მოღვაწეობის მანძილზე.

მიუხედავად ამ მწყობრი პროლეტარული მსოფლმხედველობისა, ამ იდეური სიმტკიცისა და სიმახვილისა, ნ. ზომლეთელმა ვერ შეძლო ეპოქის ჭეშმარიტი მესიტყვე გამხდარიყო, რადგან მის შემოქმედებაში იგრძნობა დისჰარმონიულობა შინაარსსა და ფორმას შორის. ნ. ზომლეთელის პოეზიის მხატვრული სამოსელი აშკარად შეუსაბამოა იმ მაღალი შინაარსისა, რომლის გამოხატვას ცდილობს ავტორი. თვით ნ. ზომლეთელიც არ იყო მაღალი შეხედულებისა თავის შემოქმედებაზე. იგი თავის თავში არ ხედავდა პროლეტარული პოეზიის ძლიერ წარმომადგენელს და პირდაპირ აცხადებდა: „მწვერვალისათვის ვერ მიმიღწევიაო".

სარეცენზიო წიგნში ნ. ზომლეთელის შემოქმედება ქრონოლოგიური პრინციპითაა წარმოდგენილი, დაყოფილია პერიოდებად და მკითხველი საკმაოდ ნათლად ითვალისწინებს მწერლის შემოქმედებითს გზას. წიგნს დართული აქვს რედაქტორის (კ. ბობოხიძის) მოკლე ნარკვევი ნ. ზომლეთელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა შინაარსობრივად პრიმიტიული და მხატვრულად სუსტი ნაწარმოებების ხარჯზე (რომელთა რიცხვი არც თუ ისე მცირეა), რჩეული ნაწერების კრებულში თავისი გამოხატულება ეპოვა მწერლის მოთხრობების, სატირულ-იუმორისტული ფელეტონებისა და თარგმანების საუკეთესო ნაწილს, რაც მკითხველს უფრო სრულ წარმოდგენას მისცემდა ნ. ზომლეთელის მრავალმხრივ სამწერლო მოღვაწეობაზე.

აუცილებელი იყო ლექსს — „პირველი ყრილობის 30 წლისთავისათვის", რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დაარსების 30 წლისთავისადმია მიძღვნილი, რედაქციისაგან დართვოდა შენიშვნა, რომ აქ ნაგულისხმევია პარტიის არა პირველი, არამედ მეორე ყრილობა.

კრებულში შეტანილი უნდა ყოფილიყო ნ. ზომლეთელის პირველი ლექსი (მიძღვნილი დიდი რუსი მწერლის ალ. პუშკინისადმი), რომელიც 1899 წელს დაიბეჭდა. მაშინ მწერლის შემოქმედების პირველი პერიოდის საზღვრები იქნებოდა 1899 — 1917 წლები და არა1905—1917 წლები. როგორც ეს სარეცენზიო წიგნშია. გარდა ამისა, არ არის გამართლებული ცალ-ცალკე გამოყოფა 1921 — 1930 და 1930 — 1938 წლებისა. ფაქტიურად ეს ერთი პერიოდია.

შეინიშნება სხვა, შედარებით უმნიშვნელო, ხასიათის ნაკლოვანებებიც. ზოგჯერ ლექსების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა დარღვეულია. მაგალითად: 1924 წელს დაწერილი ლექსი „ლენინი — დროშა" მოთავსებულია 1921 და 1922 წლებით დათარიღებულ ლექსებს შორის. წერილში „ნოე ზომლეთელი" არაზუსტია ნ. ზომლეთელის ზოგიერთი ლექსის სახელწოდება. მაგალითად, უნდა იყოს: „ფოლადის ბელადი (ი. სტალინ — ჯუღაშვილს)", არის: „ი. სტალინს — ჯუღაშვილს"; უნდა იყოს: „მძიმე მრეწველობის სახკომს ამხ. ს. ორჯონიკიძეს", არის: „ამხანაგ ს. ორჯონიკიძეს", და სხვ. ამასთანავე ეს კრიტიკული წერილი წიგნის სარჩევში ნ. ზომლეთელის პოემების რიცხვშია შეტანილი.

კ. ხინთიბიძე.
ა. მირიანაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეხური ზღაპრები ქართულად

★

ცნობილია, რომ ზღაპრებში ჩაქსოვილია ხალხის სიბრძნე, მკვეთრად არის გამოვლენილი ხალხის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა, ბოროტებასთან ადამიანის გაბედული შერკინება, სიმართლისათვის და სიკეთისათვის ბრძოლა.

ზღაპრების ეს საერთო თვისება აღბეჭდილია ჩეხურ ზღაპრებშიც. ამას გარდა, ზღაპრების ფოლკლორული სიუჟეტები თუმცა მოარულია, მაგრამ თვითეული ერი თავის სპეციფიკურ, ნაციონალურ ელფერს აძლევს მათ და წინა პლანზე სოციალური მოვლენები გამოჰყავს.

ჩეხური ზღაპრების ზოგიერთი სიუჟეტი და იდეა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ენათესაობა ქართულ ხალხურ ზღაპრებს, განსაკუთრებით მორალური და სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემების შემცველ ზღაპრებში.

ჩეხურ ზღაპრებში კარგად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ფენისა და კლასისაგან შემდგარი საზოგადოების დიფერენციაცია, სოციალური და ეკონომიური სხვაობა; დამაჯერებლად არის მხილებული ამ ნიადაგზე წარმოშობილი შუღლი თვით ძმათა შორისაც კი, უსამართლობა და ბოროტება, კერძო საკუთრებისადმი გაუმაძღრობა, ძალა-უფლების ხელში ჩაგდების სურვილი და სხვ. მაგალ., ზღაპარში „მეფე ჭრცვინი" ნათქვამია: „ყველაფერზე ერთი აზრისანი იყვნენ, მაგრამ როცა უნდა გადაწყვეტილიყო, ვინ დაესვათ მეფედ, მათ შორის დავა და კინკლაობა შეიქნა: არავის სურდა სხვისი ბატონობა მოეთმინა, ყველას თვითონ მოუნდა სხვაზე გაბატონება".

კარლ ერბენი (1811 — 1870) ცნობილი ჩეხი ფილოლოგი, ისტორიკოსი და ფოლკლორისტია. ის თავგამოდებული იბრძოდა ჩეხოსლოვაკიის ნაციონალური ავტონომიისათვის. 1848 წლიდან სეიმის წევრი იყო. კ. ერბენს დიდი ამაგი მიუძღვის ჩეხური ხალხური ლექსების, ბალადების, ლეგენდებისა და ზღაპრების შეკრება-დამუშავებაში. ის, როგორც მეცნიერი, გარკვეული პრინციპებით ხელმძღვანელობდა შეკრება-დამუშავების დროს: კუთხურ მეტყველებას, კოლორიტს იცავდა, აზუსტებდა გეოგრაფიულ სახელებს და ტექსტის მიმართ გულმოდგინეობასა და დაკვირვებას იჩენდა. ეს გარკვევით ემჩნევა ქართულად გამოცემულ „ჩეხურ ზღაპრებსაც".

კრებულში მოთავსებულ ათი ზღაპრიდან ყურადღებას რამდენიმე ზღაპარი იპყრობს. პირველი ზღაპარი — „გრძელი, განიერი და შორსმჭვრეტელი" მოგვაგონებს იმ ქართულ ზღაპრებს, სადაც მონაწილეობას იღებენ: ბელტიყლაპია, ზღვაყლაპია, ფეხდოლაბა, ჩიტიკალია და სხვ. დასახელებული ჩეხური ზღაპარი ამჟღავნებს ადამიანის შინაგან კეთილშობილებას. მეფე ხედავდა თავისი დედისერთა ვაჟიშვილის უსაქმურობას, მის უდარდელ ცხოვრებას და ფუფუნებას. ამიტომ მოინდომა მისი ვამოცდა: საცოლეს ამორჩევის მიზნით საფრთხეში ჩააგდო, დიდი გაჭირვება გამოატარა, რათა ვაჟს შორსმჭვრეტელობა, ძალოვნება, უშიშროება გამოეჩინა და შრომა შეჰყვარებოდა. მეფე არ მოტყუვდა. ვაჟი გამარჯვებული დაბრუნდა. მეფის შვილმა თავის მსახურებს (გრძელს, განიერს და შორსმჭვრეტელს, რომლებმაც გაჭირვებიდან გამოიყვანეს იგი) შესთავაზა თავისთან დარჩენა, უზრუნველად და ხელგაუნძრეველად ცხოვრება. მათ, როგორც ზღაპრის მორალი გვამცნობს, „ასეთი ზანტი ცხოვრება არ მოსწონდათ, გამოეთხოვნენ და წავიდნენ და მას აქეთ, ალბათ, მთელ ქვეყანაზე დახეტიალობენო". ცხადია, შორსმჭვრეტელობა, ძალოვნობა, უშიშროება და შრომის სიყვარული, რომლის სინონიმებიც არიან „გრძელი, განიერი და შორსმჭვრეტელი", მთელ ქვეყანაზე დაიარებიან მშრომელი და გაჭირვებული ხალხის დახმარებისა და გათვითცნობიერებისთვის.

მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია „ზღაპარი სიკვდილზე". აქ საინტერესო ის არის, რომ ქრისტე და პეტრე მოციქული მშრომელ ადამიანთან, — მჭედელთან მივიდნენ. მჭედელმა ასი წლის სიცოცხლე გამოითხოვა და ისეთი საშუალებაც, რომლითაც ასი წლის შემდეგ სიკვდილს დაებამდა. ამ გარემოებამ ნამდვილი უბედურება გამოიწვია, „ათასი მავნე ჭიაღუა გაამრავლა და ხალხიც დაიმშა. მჭედელი სიკვდილს თვითონვე დაემორჩილა. ჩეხი ხალხის რწმენით, მისი განთავისუფლება შემოსეული მავნე ჭიაღუისაგან დამოკიდებულია ჩაქუჩისა და გრდემლის მფლობელი ადამიანებისაგან. ამასთან ერთად, ეს ზღაპარი გამოხატავს სიკვდილის გარდუვალობას: დაბადება, ზრდა და სიკვდილი — ეს ცხოვრების კანონია, და მას ვერაკითარი ძალა ვერ შეაჩერებს.

კ. ერბენი, ჩეხური ზღაპრები. ჩეხურიდან თარგმნილი ელენე ერისთავის მიერ. საბლიტგამი. 1953 წ.

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაშიც მოგვეპოვება ამის შესატყვისი ზღაპარი, რაც იმის დამადასტურებელია, რომ სიკვდილის პრობლემა ყველა ერის ხალხურ სიტყვიერებაში ჰპოვებს ადგილს. ქართული ზღაპარი მეტად ლაკონურად და ბრძნულად ხსნის ადამიანის სიკვდილის გარდუვალობას: „მიწა თავისას მოითხოვსო“, ამბობს ჩვენი ხალხი.

ერთ ზღაპარზედაც გვინდა შევჩერდეთ. ეს არის „ჯირკისა“ — ბავშვის გამომსახველი ჯირკი, რომლის ყოლასაც ღარიბი ცოლ-ქმარი ნატრობდნენ. მაგრამ ეს „ჯირკისა“ მეტად თვალხარბი, გაუმაძღარი და ეგოისტი აღმოჩნდა. ასეთ ადამიანებს კი, ზღაპრის მორალით, თავისივე თვალხარბობა, გაუმაძღრობა დაღუპავს. ასევე დაემართა „ჯირკისას“. ცოლ-ქმარს, შიშით, შვილის შეძენაზე ნატვრაც კი ეეღარ გაებედათ. ჩეხი ხალხის აზრით, საშინელებაა ოჯახში იზრდებოდეს „ჯირკისას“ მსგავსი ეგოისტი და გაუმაძღარი ახალი თაობა, ამიტომ ასეთის ყოლა საფრთხეს უქადის და ის უნდა დაისაჯოს. როგორც ჩანს, ჯირკისა გოგონაა. ასეთი ბოროტი და თვალხარბი გოგონა თითქმის იშვიათად გვხვდება მსოფლიო ხალხურ სიტყვიერებაში. ამის ადეკვატური ქართული ზღაპარი საწინააღმდეგოა „ჯირკისასი“. ჩვენი ზღაპრის გოგონა მოხუცებულებს ეხმარება: სახლს ჰგვის, საჭმელს ამზადებს, არ აწუხებს სხვებს, პირიქით, სიკეთისა და ბედნიერების შემტანია ოჯახში.

ასეთია მსგავსება და განსხვავება ჩეხურსა და ქართულ ხალხურ ზღაპრებს შორის.

ორიოდე სიტყვა თარგმანზე. ჩეხურ ზღაპრებს ეტყობა კარგი მთარგმნელის ხელი. ზღაპრები თარგმნილია კარგი ქართული ენით. მიუხედავად ამისა, „ჩეხურ ზღაპრებში“ ორიოდე უხეირო წინადადებაა გაპარული: „ჩვენი კვერცხებიანად ვიწვებით“, „ბატს საკურთხევლად ორ კვირას ასუქებდა“. ერთი შენიშვნაც: კრებულის იდეოლოგიურ მთლიანობას არღვევს ზღაპარი „რარაში და შეტეკი“.მართალია, ეს ზღაპარი სხვადასხვა ფენის ადამიანების ეგოიზმს, კერძო საკუთრების ინსტინქტს ავლენს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ მანკიერებას ებრძვიან არა დადებითი გმირები, არამედ ავი სულები და ჭინკები. ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა, ეს ზღაპარი არ შეეტანათ კრებულში.

ანა ღვინიაშვილი.

„ლიტერატურული პორტრეტები“

★

საბჭოთა ლიტერატურა კვლევისათვის მდიდარ მასალას იძლევა. სამწუხაროდ, ეს მასალა, თანამედროვე ქართველი საბჭოთა მწერლების შემოქმედება, მათი ნაწარმოებები, ყოველმხრივ და ღრმად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. ცალკეული წერილები და გამოკვლევები ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნილებას. მონოგრაფიული შრომების შექმნაში კი ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობა ჩამორჩება. დღემდე არ არის დაწერილი სრულყოფილი მონოგრაფია გამოჩენილ ქართველ საბჭოთა მწერლებზე. ამ მხრივ ჩვენს ლიტერატურას დიდი ხარვეზი აქვს.

შალვა რადიანს მიზნად დაუსახავს თავისი „ლიტერატურული პორტრეტებით“ რამდენადმე შეავსოს ეს ხარვეზი და მკითხველს წარმოდგენა მისცეს ცნობილი ქართველი საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი გზის შესახებ. მაგრამ წიგნი, რომელიც შეიცავს გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ლ. ქიაჩელის, შ. დადიანის, ი. გრიშაშვილის, კ. გამსახურდიას, ა. მირცხულავას, დ. შენგელაიას, კ. ლორთქიფანიძის, გ. აბაშიძის, გ. ქუჩიშვილის ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრულ ანალიზს, მთლიანად ვერ აკმაყოფილებს ლიტერატურული კრიტიკის წინაშე წაყენებულ მოთხოვნას. მასში ბევრი რამ სადავო და ზოგადია.

შ. რადიანი საყურადღებო აზრებს გამოთქვამს გ. ტაბიძისა და გ. ლეონიძის შემოქმედებაზე. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მათ შესახებ დაწერილი წერილები უნაკლო იყოს. გ. ტაბიძის ლექსების განხილვისას ავტორი ზოგჯერ თავის თავს ეწინააღმდეგება და არსებითი ხასიათის შეცდომას უშვებს.

შ. რ ა დ ი ა ნ ი — „ლიტერატურული პორტრეტები“, საბჭოთა მწერალი, 1953.

მკვლევარის აზრით, გ. ტაბიძის რევოლუციამდელი პოეზია თავისი ხასიათით დეკადენტური იყო, მის სულიერ ვითარებას ერთგვარად შეესაბამებოდა სიმბოლიზმის პოეტური მრწამსი (იხ. გვ. 12). მართალია, ავტორი წერს: მიუხედავად იმისა, რომ გ. ტაბიძე იყო სიმბოლისტი, მთელ რიგ მომენტებში იგი მაინც საგრძნობლად განსხვავდება ქართველ სიმბოლისტ-დეკადენტებისაგან — „ცისფერყანწელებისაგან" (გვ. 12), მაგრამ ავტორს გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელი პოეზია მაინც ვერ წარმოუდგენია სხვაგვარად, თუ არა სიმბოლისტურად. ამას მოწმობს შემდეგი ადგილიც: „... გ. ტაბიძე სიმბოლიზმის გარეშე წარმოუდგენელია, ისევე როგორც წარმოუდგენელია ქართული სიმბოლიზმი გ. ტაბიძის გარეშე" (გვ. 13). ყოველივე ამის შემდეგ ავტორის მტკიცება, რომ გ. ტაბიძე ქართულ პოეზიაში „თავიდანვე გამოვიდა, როგორც ნოვატორი, რომელმაც გამოავლინა ახალი გზა, გახდა ახალი პოეტური კულტურის ფუძემდებელი", დამაჯერებელი არ არის, რადგან სიმბოლისტი და დეკადენტი არ შეიძლება ნოვატორი და ახალი პოეტური კულტურის ფუძემდებელი იყოს. როგორც ცნობილია, სიმბოლიზმი წარმოადგენდა რეაქციას კლასიკური რეალისტური ლიტერატურის მიმართ, ის იყო რეაქციული ლიტერატურული მიმართულება და სავსებით უარყოფდა რეალიზმს. თუ გ. ტაბიძე სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღიდანვე, ვიდრე დიდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე, სიმბოლისტი იყო, მაშინ შეუძლებელია იგი იმთავითვე ნოვატორად და ახალი პოეტური კულტურის ფუძემდებლად გამოვაცხადოთ. აქვე უნდა ითქვას, რომ შ. რადიანს გ. ტაბიძე მარტო ფორმის მხრივ როდი მიაჩნია ნოვატორად. მისი აზრით, გ. ტაბიძე ნოვატორია იდეის, შინაარსის მხრივაც. ავტორი იქვე, სადაც გ. ტაბიძეს ახალი პოეტური კულტურის ფუძემდებლად აცხადებს, წერს: „ეს ნოვატორობა გულისხმობდა მისი შემოქმედების ყველა მხარეს" (გვ. 3), ე. ი. როგორც ფორმას, ისე შინაარსს. საკითხი ნათელია. აქ ავტორი არსებითად ცდება და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავის თავს ეწინააღმდეგება. „გ. ტაბიძის ლექსებს, — წერს შ. რადიანი, — ახასიათებს მომჯადოებელი ჰარმონია, ეს ლექსები აგებულია იშვიათი მელოდიურობის საფუძველზე. მელოდიურობის მრავალფეროვნებით მე-20 საუკუნის ქართველი პოეტებიდან მას თითქმის ვერავინ შეედრება. იგი სავსებით მუსიკას უმორჩილებს ლექსში ყველა დანარჩენ ელემენტს. რიტმიული და ფონეტიკური ხასიათის უნაზესი მუსიკალური ბგერადობა შეადგენს გ. ტაბიძის ლექსების სულს. ასეთ შთაბეჭდილებას იწვევს — „ლურჯა ცხენები", „მთაწმინდის მთვარე", „მე და ღამე", „ბინდი ღამისა გაჰქრა", „ქარი", „აღარ არის მენესტრელი", „სიჩუმის ანგელოსი", „ყვავილების ქალი", „თეთრი ქარები", „ღამეც, რა მოგვიდა", „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში", „სახლი ტყის პირად". ამ ლექსებს ახასიათებთ როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მელოდიურობა" (გვ. 38), ავტორი არაფერს ამბობს ამ ლექსების მეორე მხარეზე — მათ შინაარსზე, იდეაზე. აქ მკვლევარი შინაარსსა და ფორმას თიშავს ერთიმეორისაგან და განიხილავს ნაწარმოებს არა მთლიანობაში, არამედ ცალმხრივად, მხოლოდ ფორმის მხრივ აფასებს მას. სწორედ კვლევის ასეთ მეთოდს მიჰყავს იგი იმ დასკვნამდე, რომ გ. ტაბიძე თავიდანვე ყოველმხრივ ნოვატორი და ახალი პოეტური კულტურის ფუძემდებელი იყო.

შ. რადიანის აზრით, გ. ტაბიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში არცთუ ისე სუსტად ჟღერს ნ. ბარათაშვილის პოეზიის მოტივები, და არა მარტო ბარათაშვილის, არამედ ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლისაც კი. „ქართული კლასიკური პოეზიის წარმომადგენლებიდან, — წერს შ. რადიანი, — გ. ტაბიძე ყველაზე მეტ ნათესაობას ნ. ბარათაშვილთან გრძნობს (უპირველესად ეს ითქმის რევოლუციამდელი ლექსების შესახებ)... ნ. ბარათაშვილის უშუალო გავლენის გარდა, გ. ტაბიძე ზოგან ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ა. წერეთლის და სხვ. ქართველი პოეტის გავლენასაც განიცდის... როგორც ი. ჭავჭავაძე, ისე გ. ტაბიძე დიდი მღელვარებით გამოხატავს მშობლიური ქვეყნის დაშორებით გამოწვეულ სულისკვეთებას. გარდა იმისა, რომ ი. ჭავჭავაძეს და გ. ტაბიძეს საერთო თემა აქვთ, ამ შემთხვევაში განსაზღვრული სულისკვეთებაც ერთგვარად აქვთ გამოთქმული" (გვ. გვ. 41, 43). თუ ეს ასეა, მაშინ დამაჯერებლობას მოკლებულია ავტორის შემდეგი დებულება: „რევოლუციამდე გ. ტაბიძისათვის იყო „პოეზია უპირველეს ყოვლისა", ამ დროს იგი ლაპარაკობდა, რომ მის პოეზიას საზრდოს აძლევს მარტოობა, პასიური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, „როცა ხალხში ვარ, მეკარგება რწმენა, ხალისი, როცა მარტო ვარ, მაქვს სამგოსნო წმინდა ტაძარი" („ჩემი ქნარი"). რევოლუციის შემდეგ გ. ტაბიძეს სულ სხვადასხვაგვარად ესმის ეს საკითხი" (გვ. 25). მე-12 გვერდზე კითხულობთ: „სიმბოლისტური „ორქვეყნიურობის" გაზიარებით, გ. ტაბიძეს სინამდვილე ეჩვენებოდა ილუზიონალურად, არარეალურად. მას სჯეროდა მეორე, „ზერეალური" ქვეყნის არსებობა. ეს მისტიკური განცდა მთელი სიძლიერით არის გადმოცემული „ლურჯა ცხენებში". აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. ბარათაშვილს, ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს ცხოვრებისადმი პასიური დამოკიდებულება

არასოდეს არ ჰქონიათ, ისინი სიცოცხლის აზრს ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლაში ხედავდნენ: მათ პოეზიას საზრდოს აძლევდა არა მარტოობა და ცხოვრებისადმი მასიური დამოკიდებულება, არამედ თვით ცხოვრება. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი ხალხს ემსახურებოდნენ დაუღალავად. ყოველივე ამის შემდეგ გაუგებარია, თუ რა ნათესაურ კავშირს ნახულობს შ. რადიანი (რომელსაც გ. ტაბიძე რევოლუციამდე წარმოდგენილი ჰყავს როგორც სიმბოლისტი) ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის პოეზიასა და გ. ტაბიძის ამ პერიოდის პოეზიას შორის. აქ საქმე გვაქვს აშკარა წინააღმდეგობას, რომელიც გამომდინარეობს წმინდა ესთეტიკურ-ლიტერატურული მსჯელობიდან და არა ნაწარმოებების სოციალურ-პოლიტიკური შეფასებიდან.

შ. რადიანი უმთავრესად პარალელების ხერხს მიმართავს, მიუთითებს, თუ სხვადასხვა ლიტერატურულმა სკოლამ რა გავლენა მოახდინა მწერალზე, და ამ საკითხს მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე მხატვრული შემოქმედების მთავარ, განმსაზღვრელ ფაქტორს.

ეს ეხება არა მარტო გ. ტაბიძის შემოქმედებას, არამედ გ. ლეონიძის პოეზიასაც. ავტორის აზრით, გ. ლეონიძის ადრინდელი „ლექსების შინაარსი უპირატესად გამოხატავდა იმ ხანად ქართულ ლიტერატურაში მოდერნისტული მიმართულების ზეგავლენით გავრცელებულ იდეებს... პირველ ხანებში იგი ცდილობდა აეთვისებინა სიმბოლისტური, ცისფერყანწელების სკოლის პრინციპები და ეკლო ამ გზით. გავიხსენოთ მისი ლექსები — „ოდა პიკასოს“, „ლიტანია“, „თბილისის სასაკლაო“, „ვეფხვი“ და სხვები (გვ. გვ. 47, 49). მართალია „სიმბოლიზმი „ცისფერყანწელობა“ არასოდეს არ განსაზღვრავდა გ. ლეონიძის პოეზიის ძირითად მიმართულებასა და განვითარების გზას“ (გვ. 50), მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მან ნაწილობრივ აითვისა სიმბოლისტური სკოლის პრინციპები? („გავიხსენოთ მისი ლექსები: „ოდა პიკასოს“, „ლიტანია“, „თბილისის სასაკლაო“, „ვეფხვი“ და სხვები). ამიტომ საჭირო იყო ავტორს ეჩვენებინა, თუ რა სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების გავლენით აითვისა პოეტმა, თუნდაც ნაწილობრივ, სიმბოლიზმის პრინციპები. შ. რადიანს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია მწერლის რევოლუციამდელ მსოფლმხედველობაზე და იმ კლასობრივ და სოციალურ მოვლენებზე, რომლებმაც მწერალში წარმოშვა შინაგანი წინააღმდეგობანი. ამ წინააღმდეგობათა დაძლევა შესაძლებელი გახდა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. თუ დღეს გ. ტაბიძისა და გ. ლეონიძის პოეტური ნაწარმოებები ასე მომხიბლველია და ხალხის საყვარელ ქმნილებებს წარმოადგენს, ეს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი გამარჯვების შედეგია.

გ. ლეონიძის შემოქმედებაზე დაწერილ მასალას სიზუსტე და სიცხადე აკლია. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ მაგალითს: „ფორთოხალა“ დაწერილია ენერგიული, რიტმულად (აქ და ყველგან დაცულია ავტორის სტილი. ვ. ჯ.) მრავალფეროვანი ლექსით, რაც ხან უახლოვდება სასაუბრო ხალხურ სიტყვას, ხან ლირიკულ-აწეულ სიმღერას: მთელი პოემა გამსჭვალულია მაღალი ლირიზმით, მასში მდიდრად არის წარმოდგენილი ლირიკული ეპიზოდები, მაგრამ ის მაინც არ არის დიდი ლირიკული ლექსი. მასში გვაქვს მოცემული ეპიკური პოეზიის დამახასიათებელი ელემენტები, მაგრამ მაინც არ არის რომანი ან მოთხრობა. „ფორთოხალა“ ლირიკულ-ეპიკური ნაწარმოებია, თუმცა ეს ნიშანი არ განსაზღვრავს სავსებით მის თავისებურებას“ (გვ. 75). თუ რომელი ჟანრის ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის „ფორთოხალა“, ამონაწერიდან ძნელი გასაგები ხდება. „ფორთოხალას“ სიუჟეტი და კომპოზიცია იმდენად მარტივია, რომ ძნელი წარმოსადგენია, მკვლევარს ძალა არ შესწევდეს მასზე გარკვეული აზრი გამოთქვას და მკითხველს გადაჭრით უთხრას — „ფორთოხალა“ პოემაა თუ რომანი.

წიგნში მოთავსებული ზოგიერთი პორტრეტი შესრულებულია ნაჩქარევად, ერთფეროვანი საღებავებით, რის გამო არ ჩანს მწერლის ინდივიდუალობა, მისი შემოქმედების ძირითადი თვისებები. განსაკუთრებით მკრთალად, ესკიზურად არის მოცემული ცნობილი პოეტის ი. გრიშაშვილის ლიტერატურული სახე. აქ ავტორი უმთავრესად აღწერითს მეთოდს იყენებს და ნაწარმოებთა იდეურ-ესთეტიკური დონის განსაზღვრის ნაცვლად თემების დასახელებას, მათ უბრალო ჩამოთვლას და რეგისტრაციას ეწევა. „ი. გრიშაშვილის მრავალი ლექსი, — წერს შ. რადიანი, — მიძღვნილია სოციალისტური მშენებლობისადმი, პოეტი თავის შემოქმედებაში ასახავს იმ გრანდიოზულ მიღწევებს, რომელთაც ყოველდღიურად ადგილი აქვს საბჭოთა ქვეყანაში. ამიტომ არის იგი ასე ამღერებული განახლებულ ხრამჰესზე, ფეროქარხანაზე, ქართულ ავტომობილზე, ციტრუსების ბაღებზე, დოვლათიან საკოლმეურნეო სოფლებზე. განსაკუთრებით ახალი თბილისი ხდება ი. გრიშაშვილის აღფრთოვანებული ლექსების საგანი. მრავალი ნაწარმოები მიუძღვნა მან ხალხთა მეგობრობის თემას“ (გვ. 147). ასეთ ზოგად ფრაზებზეა აგებული მთელი წერილი. საერთო ფრაზებს არ სცილდება აგრეთვე ი. გრიშაშვილის მხატვრული ნაწარმოებების ფორმის ანალიზი და შეფასება. ი. გრიშაშვილის პოეზიის დამახასიათებელ თვისებას წარმოად-

გენს, წერს ავტორი, „არტისტული ოსტატობა", „ბრწყინვალება და ბგერადობა", მისი ლექსები გვაგონებენ „მეჩუკურთმის უნაზეს ნამუშევარს", და ა. შ.

„ბევრ შემთხვევაში იგი (ი. გრიშაშვილი)სიყვარულის გრძნობას, — წერს შ. რადიანი, — ერთობ ამარტივებდა და ადამიანთა ცხოველურ დამოკიდებულებას უგალობდა. ყველაზე მშფოთარე, უაზრობამდე მისული, ვნება ხდება ი. გრიშაშვილის პოეტური ამღერების ობიექტი" (გვ. 143).აქვე ავტორი წერს: „ამასთანავე ი. გრიშაშვილის პოეზიაში გვაქვს გამოხატული პათოსი ისეთი სიყვარულისა, რომელიც დაშორებულია ვულგარობას, მისტიკას. ასეთ შემთხვევაში მასთან სიყვარული არ გავს უხამს ჰალანტობას, არამედ გამსჭვალულია ჯანსაღი, ბუნებრივი აღტაცებით... ი. გრიშაშვილის განცდა სიყვარულისა სავსებით გამსჭვალულია გულწრფელობით, იგი გვევლინება დაკვირვებულ მეთვალყურედ, ფსიქოლოგად, რომელიც ზედმიწევნით ითვალისწინებს თავის გრძნობასა და განცდებს, დეტალურად გაანალიზებს მათ". მაშასადამე, თუ, ერთი მხრივ, ი. გრიშაშვილი ერთობ ამარტივებდა სიყვარულის გრძნობას და ადამიანთა ცხოველურ დამოკიდებულებას უგალობდა, მეორე მხრივ, მის პოეზიაში თურმე გამოხატულია პათოსი ისეთი სიყვარულისა, რომელიც დაშორებულია ვულგარობას და მისტიკას. აქაც ავტორი მხოლოდ ფაქტის რეგისტრაციას ახდენს და არა მის ანალიზს.

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლის ლეო ქიაჩელის შემოქმედება წიგნში ცალმხრივად არის გაშუქებული. შინაარსობრივ ანალიზთან ერთად მოცემული არაა ფორმის ანალიზიც. როცა ლ. ქიაჩელის მხატვრული ოსტატობის საკითხს ეხება, შ. რადიანი წერს: „ლ. ქიაჩელი დაჯილდოებულია ნათელი და მკაფიო ხედვით, მას გააჩნია უნარი სახის უბრალო მოძრაობაშიც კი დაინახოს დამახასიათებელი დეტალი... „გვადი ბიგვა" ისევე, როგორც თითქმის ყველა მისი ნაწარმოები, უმთავრესად აგებულია დიალოგზე. დიალოგები წარმართავენ რომანის ეპიურ ხაზს, იწვევენ ახალ და ახალ სიუჟეტურ კვანძებს. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ დიალოგების სიჭარბე ნაწარმოებში არ არის ცუდი, ხშირ შემთხვევაში მაინც ღლის მკითხველს" (გვ. 113). ჯერ-ერთი, სწორი არ არის, თითქოს „გვადი ბიგვას" ეპიკურ ხაზს მხოლოდ დიალოგები წარმართავდეს. რომანში კომპოზიციურ მთლიანობაშია მოცემული დიალოგი, მოქმედების სიცხოველე და ჰუმორი. მეორეც, სწორი არ არის, თითქოს „საერთოდ დიალოგების სიჭარბე ნაწარმოებში არ არის ცუდი". სიჭარბე უკვე თავისთავად ცუდია. საბჭოთა მხატვრულ ნაწარმოებში ცხოვრება, სინამდვილე, სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები ნაჩვენებია სახეთა მთელ სისტემაში, პერსონაჟების მოქმედებასა და ხასიათების ურთიერთობაში. ხასიათის ჩამოყალიბება და მისი სრული განვითარება უმთავრესად ხდება მოქმედებაში. საბჭოთა მხატვრული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია არა დიალოგი, არამედ მოქმედება.

აქვე ყურადღების ღირსია ერთი გარემოება. ავტორი, იზიარებს რა ა. ჭეიშვილის შეხედულებას „გვადი ბიგვას" შესახებ, წერს: ლ. ქიაჩელის „მთავარი ხერხი არის ხასიათების გახსნა შემოქმედებაში". თუ ეს ასეა, მაშინ საკითხავია: რატომ ამბობს ავტორი, რომ ლ. ქიაჩელის თითქმის ყველა ნაწარმოები აგებულია დიალოგზე?! აქ აშკარა წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე და მკითხველს ვერ გადაუწყვეტია, ავტორის რომელი დებულებაა სწორი.

სქემატურადაა მოცემული აგრეთვე შ. დადიანის პორტრეტი. ავტორი წერს: შ. დადიანი სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე თავისი გამოსვლის პირველი დღიდანვე— მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდანვე — განუხრელად მიჰყვებოდა ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს. 127-ე გვერდზე ვკითხულობთ: „შ. დადიანის ორგანული და გულწრფელი შემოსვლა საბჭოთა ლიტერატურაში მომზადებული იყო მისი რევოლუციამდელი პროგრესული შემოქმედებით. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მან კიდევ უფრო მეტი ენერგიით გაშალა შემოქმედებითი მუშაობა და შექმნა უფრო მომწიფებული მხატვრული ნაწარმოებნი. მთელი თავისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის განმავლობაში შ. დადიანს არასოდეს არ უმუშავნია ისეთი ინტენსიობით და ინტერესით, როგორც ჩვენს დროს". მაგრამ აქ ავტორი არაფერს ამბობს იმ თვისობრივ და ხარისხობრივ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს შ. დადიანის რევოლუციამდელი და სოციალისტური რევოლუციის შემდგომდროინდელი პერიოდის შემოქმედებას შორის. ამ ამონაწერიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს შ. დადიანის შემოქმედება თავიდანვე ერთი ხაზით ვითარდებოდა. ამრიგად, ავტორი შ. დადიანის შემოქმედებას რამდენადმე ე. წ. „ერთიანი ნაკადის" თეორიის საფუძველზე იხილავს.

„დემნა შენგელაიამ, — წერს შ. რადიანი, — რევოლუციის წინა წლებში დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. მაშინ იგი აქვეყნებდა მეტწილად დეკადენტური ხასიათის ნოველებსა და მინიატურებს... „სანავარდოში" არ არის ნაჩვენები ნორმალური ადამიანები, თითქმის ყველა შეშლილია, ბნედიანია, მახინჯია, ან დაავადებულია... „თბილისში" დ. შენგელაია გვევლინება

ტიპიურ დეკადენტად" (გვ. 213, 215). მაგრამ დ. შენგელაიას შემოქმედებითი მოღვაწეობის ამ ადრეულ წლებშიაც შეინიშნებოდა მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობანი. წვრილბურჟუაზიულ-დეკადენტური განწყობილების გვერდით იგი არც თუ იშვიათად ამეღავნებდა რეალისტურ თვალსაზრისს, ინტერესს საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და ცხოვრებისადმი" (გვ. 216). მწერლის „ამ ადრეული ხანის ნაწარმოებებიდან რეალისტური თვალსაზრისი ყველაზე უფრო ნათლად გამოჩნდა მოთხრობაში „გზა" (გვ. 217).

„ბათა ქექიას" ავტორის რეალისტური თვალსაზრისი ნათლად გამოჩნდა არა მარტო „გზაში", არამედ სხვა მოთხრობებშიც. მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ მკვლევარი უმთავრესად ყურადღებას ამახვილებს მწერლის ადრინდელ ნაწარმოებებზე და დაწვრილებით არ იხილავს სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შექმნილ მის ძირითად ქმნილებებს, ცხადია, შემოქმედის განვლილი გზის შელამაზება და სინამდვილის მიჩქმალვა დაუშვებელია, მაგრამ არც იმის თქმა არის საკმარისი, რომ „ბათა ქექია" ქართული პროზის ერთ-ერთი თავისებური ნაწარმოებია... „ცისკრის" თემად აღებულია ხელოსნებისა და ამქრული წყობილების რღვევა და კაპიტალიზმის განვითარება... „წითელი ყაყაჩო" შეეხება დიდ სამამულო ომში საბჭოთა ინტელიგენციის მონაწილეობას", და ასე შემდეგ. საკითხავია: რა წარმოდგენას მისცემს მკითხველს მწერლის შემოქმედებითი სახის ასეთი „ანალიზი"? „წითელი ყაყაჩოს" ზოგიერთ ეპიზოდს შორის არ არის შინაგანი კავშირი, ზოგიერთი ეპიზოდი მარტოოდენ ილუსტრაციაა" (გვ. 228): რომელ ეპიზოდებს შორის არ არის შინაგანი კავშირი, ან რომელი ეპიზოდია მარტოოდენ ილუსტრაცია, ამის შესახებ მკვლევარი არაფერს ამბობს. „ავტორი არ ფიქრობს ნაწარმოების კომპოზიციურ მთლიანობაზე". საიდან ჩანს ეს? „ნაწარმოებში, არც თუ ისე იშვიათად, ხასიათებისა და მოვლენების სახეებით გახსნის ნაცვლად გვაქვს რიტორიკა, დეკლამაცია" (გვ. 228). რიტორიკა და დეკლამაცია ნაწარმოების სერიოზული ნაკლია. შ. რადიანი კი ამის კონკრეტულ დასაბუთებას არ ცდილობს, ზოგადი დეკლარაციული განცხადებით კმაყოფილდება.

კ. ლორთქიფანიძის რომანი „კოლხეთის ცისკარი" ქართული საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. ამ რომანს მკვეთრი სიუჟეტი და რთული კომპოზიცია აქვს. სამწუხაროდ, სარეცენზიო წიგნში „კოლხეთის ცისკარი" ამ მხრივ ნაკლებად არის განხილული და შეფასებული. ავტორი უმთავრესად მის შინაარსს გადმოგვცემს და რომანს ცალმხრივად აშუქებს.

წიგნის 236-ე გვერდზე შ. რადიანი წერს: „კ. ლორთქიფანიძე ფსიქოლოგიური ანალიზის ოსტატია". და შემდეგ ხშირად იმეორებს ამ ფრაზას. კრიტიკოსს უნდა გაერკვია, კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებში რა მიმართულებით ვითარდება ფსიქოლოგიური ანალიზი, როგორი ხერხით გვიხატავს მწერალი ხასიათებს, სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების გავლენას ადამიანის ფსიქიკაზე, გრძნობებისა და ინტერესების შეხლას ადამიანში. კ. ლორთქიფანიძე მარტო ფსიქოლოგიური პროცესების აღწერით როდი კმაყოფილდება, მას ერთნაირად აინტერესებს როგორც ადამიანის შინაგანი სულიერი მდგომარეობა, ისე მისი ჩამოყალიბება. კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებებში ვხვდებით არა მარტო უკვე დადგენილ ხასიათებს, არამედ თვით ხასიათის შემუშავებისა და ჩამოყალიბების პროცესსაც. სწორედ ეს არის კ. ლორთქიფანიძის შემოქმედების ერთ-ერთი თავისებურება, რომლის შესახებ სარეცენზიო წიგნში თითქმის არაფერია ნათქვამი.

„კოლხეთის ცისკარს", წერს შ. რადიანი, ახასიათებს ზოგიერთი ნაკლიცო, და იქვე დასძენს: „მასში სუსტად არის ნაჩვენები პარტიული ორგანიზაცია. პარტია, როგორც ხალხის წარმმართველი ძალა, მთელი თავისი მოცულობით არ ჩანს ნაწარმოებში. რასაკვირველია, არ იქნება სწორი, რომ მარტო ტარასი ხაზარაძეში დავინახოთ მთელი პარტია" (გვ. 248). ყოველ დებულებას, რომ იგი ცარიელ სიტყვებად არ ჩანდეს, კონკრეტული დასაბუთება ესაჭიროება. „კოლხეთის ცისკარზე" ზემოთ გამოთქმულ აზრს კი ასეთი დასაბუთება აკლია. შეიძლება რომანში პარტიული ორგანიზაცია არ იყოს გამოყვანილი, — მაგრამ პარტია, როგორც ხალხის წარმმართველი ძალა, ნათლად ჩანდეს. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ დახატავს მწერალი კომუნისტი-პერსონაჟების სახეებს. ტარასი ხაზარაძე სწორედ კომუნისტი-პერსონაჟის სრულყოფილი სახეა, „მისი ძლიერების წყარო — პარტიაა" (გვ. 240). ავტორი გამოკვლევის მთელ ამ ნაწილში გაკვრით, ორიოდე სიტყვით ეხება მწერლის სტილსა და ენას.

შემდეგი წერილი ეხება გრ. აბაშიძეს, რომლის შემოქმედებას მკვლევარი მაღალ შეფასებას აძლევს. სავსებით სწორია, როდესაც შ. რადიანი წერს: გრ. აბაშიძე ცოცხალ პოეტურ სახეებში წარმოგვიდგენს ჩვენი სინამდვილის ღირსშესანიშნავ მოვლენებს და ადამიანებს. მაგრამ სწორი არ არის ის აზრი, თითქოს გრ. აბაშიძე თავის ლექსში „წითელ მოედანზე" უპირატესად მიმართავდეს აღწერითს მეთოდს. აღწერითი მეთოდით პოეზიაში მოვლენის, ფაქტის, საგნის, დროის, გარემოს უბრალო რეგისტრაცია ხდება. ლექსი „წითელ მოედანზე" ცხოველი და მგზნებარე შთაგონებით არის დაწერილი. აქ სინამდვილე და ლირიკული გმირის განცდა გადმოცემულია

მხატვრულ სახეებსა და ცოცხალ სურათებში, რაც არ არის დამახასიათებელი აღწერითი პოეზიისათვის.

სარეცენზიო წიგნში შედარებით კარგად არის მოცემული კ. გამსახურდიას სოციალურ-ფსიქოლოგიური პორტრეტი. ავტორის აზრით, კ. გამსახურდიას ლიტერატურული მარცხი მირი. თადად დაკავშირებულია მის შემოქმედებითს ფსიქიკასთან. სავსებით სწორია შ. რადიანი, როდესაც წერს: „ისტორიას კ. გამსახურდია გვიჩვენებს იდეალისტურ-კონსერვატული რომანტიკული ფილოსოფიის ნიშნის ქვეშ" (გვ. 185).

სწორედ ამით აიხსნება, რომ მის ისტორიულ რომანებში „არ ჩანს ხალხი, დაბალი ფენა, რომელიც მტრულ განწყობილებაში იყოს მაღალ ფენასთან და მათ შორის სოციალური წინააღმდეგობა არსებობდეს" (გვ. 186). მართლაც „კ. გამსახურდია არ ცდილობს სოციალური უთანასწორობისა და წინააღმდეგობის გარკვევა-გათვალისწინებას, არამედ იგი გადავარდნილია ისტორიული სახეების იდეალიზაციაში" (გვ. 186). ცხადია, „დავით აღმაშენებელი" ამის ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს. მაგრამ არ კმარა მარტო იმის თქმა, რომ კ. გამსახურდია თავის ისტორიულ რომანებში ფეოდალური არისტოკრატიის მაღალი წრის ადამიანების იდეალიზაციას ახდენს. საჭიროა ამ დებულებას კონკრეტული დასაბუთება, რაც შესაძლებელია მხოლოდ ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზის გზით. ასეთი ანალიზი მწერალს დაეხმარება შეცდომების დაძლევაში, ხოლო მკითხველისათვის გასაგებს გახდის, თუ რომელი სახეა იდეალიზებული. მწერლის შემოქმედებითი ნაკლოვანებების აღნიშვნის დროს საჭიროა მეტი სიზუსტე და სიცხადე.

წიგნში ვხვდებით სტილისტურად არაზუსტ გამოთქმებსაც: „გალ. ტაბიძის ლექსებში მოისმოდა მეფის ტახტის დალეწვით გამოწვეული კმაყოფილების განცდები" (გვ. 21); ანდა რისი მთქმელია შემდეგი სტრიქონები: „ეს ნაწარმოები შეიცავს იდეათა ფართო წრეს, რომელიც ეპოქალურ მოვლენებს ცოცხლად და ღრმად აგვისახავს" (გვ. 64); „გ. ლეონიძე ი .სტალინის ბავშვობისა და ყრმობის წლებს გვიხატავს ლამაზ მხატვრულ ფორმებში. მომავალი ბელადის სახე ნაწარმოებში გაღმოცემულია გმირულ ხაზებში" (გვ. 65); „ეშმარიტი შემოქმედების წამყვან თვისებას უეჭველად უნდა შეადგენდეს ცხოვრება" (გვ. 194). განა შეიძლება შემოქმედის თვისება იყოს ცხოვრება? ასეთი შეუსაბამობანი, ბუნდოვანი და არაკონკრეტული მსჯელობანი წიგნში იშვიათი როდია.

კარგი იქნება თუ. წიგნის ხელმეორედ გამოცემის დროს ავტორი გაითვალისწინებს ჩვენს შენიშვნებს.

ვლ. ჯიბუტი

გამოკვლევა ქართული მხედრული შრიფტის შესახებ

☆

გაზ. „პრავდა" 1952 წ. 5 თებერვლის მოწინავეში, ეხებოდა რა პოლიგრაფიული მრეწველობის აქტუალურ საკითხებს, წერდა: „საბჭოთა პოლიგრაფია, ისევე როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, მეცნიერულ საფუძველზე ვითარდება. საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა, წარვმართოთ იგი პოლიგრაფიული წარმოებისა და გამომცემლობის საქმის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადასაწყვეტად".

სწორედ ასეთი პრობლემისადმია მიძღვნილი ბენო გორდეზიანის გამოკვლევა ქართული მხედრული შრიფტის შესახებ.

პოლიგრაფიული მრეწველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს, კერძოდ, საშრიფტო მეურნეობა. უკვე მეოთხე საუკუნეა, რაც ქართული ალფაბეტი შრიფტის სახით ვითარდება. ქართული შრიფტის მეურნეობრივი ისტორია იწყება 1629 წლიდან, მას შემდეგ, რაც სტამბურად გამოიცა პირველი ქართული წიგნი.

ბ. გორდეზიანი. ქართული მხედრული შრიფტი. გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა". 1953.

ქართული სტამბისა და ბეჭდური წიგნის ისტორიის საკითხებზე არა ერთი და ორი შრომაა გამოქვეყნებული. მართალია, ისინი შეეხება შრიფტის ზოგიერთ მხარესაც, მაგრამ ქართული შრიფტის გრაფიკული სახისა და მისი აგებულების განვითარების საკითხზე სპეციალური გამოკვლევა აქამდე თითქმის არა გვქონდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

1947 წლის დადგენილებით, შეიქმნა ქართული შრიფტის ლაბორატორიაც. ამ დროიდან ქართული მხედრული შრიფტის სისტემატური მეცნიერული შესწავლის საქმეს მტკიცე საფუძველი ჩაეყარა.

ბ. გორდეზიანს საპატიო ამოცანა დაუსახავს: მოგვცეს ქართული მხედრული შრიფტის თანმიმდევრული განვითარების ისტორია. ამასთანავე, მის ნაშრომში ეს ისტორია უმთავრესად პრაქტიკულ-გამოყენებითი თვალსაზრისითაა შესწავლილი, და სწორედ ამაშია ამ წიგნის ღირსებაც.

ნაშრომში განხილულია ქართული შრიფტის განვითარების ძირითადი მომენტები, დაწყებული 1629 წლიდან, როდესაც „იგი უფრო ხელნაწერ ასოთა მოძრავი ტრაფარეტი იყო, ვიდრე სტამბისათვის მისაღები შრიფტი“ (გვ. 22). ბ. გორდეზიანი სამართლიანად ასკვნის, რომ ქართული შრიფტის ნამდვილი დამუშავება თბილისში სტამბის გახსნისა (1709 წ.) და მისი ინიციატორის ვახტანგ VI-ის სახელთანაა დაკავშირებული. სამწუხაროდ, ბ. გორდეზიანს განხილული არა აქვს მე-18 ს. პეტერბურგსა და მოსკოვს დაბეჭდილი ქართული წიგნები, თუმცა შედარებით ვრცლად ჩერდება იგი მე-19 საუკუნეში მოსკოვსა და პეტერბურგში დაბეჭდილი წიგნების შრიფტზე და ნათლად უჩვენებს იმ დიდ წარმატებას, რაც აქ განსაკუთრებით თეიმურაზ ბატონიშვილის მოღვაწეობით, იქნა მიღწეული ქართული მხედრულის გაუმჯობესებისა და კანონზომიერი შრიფტის სახით ჩამოყალიბებაში

მართალია, რუსეთში ხმარებული მხედრულის მოხაზულობა პირველხანებში დიდად არ განსხვავდებოდა თბილისურისაგან, მაგრამ რუსული საშრიფტო მეურნეობის გავლენით ქართული თანდათანობით ვითარდება და, ამგვარად, ქართული შრიფტის წარმოებაში ინერგება ახალი მიღწევები. 1820-იან წლებში დამზადებული სამშტრიხიანი მხედრული „იმდენად ეკონომიური და კეთილსაკითხავი აღმოჩნდა, რომ მალე გავრცელდა საქართველოშიაც და ერთერთ ძირითად შრიფტად იხმარებოდა ქართულ პოლიგრაფიაში“ (გვ. 62).

1860-იანი წლებიდან ჩვენში ახალი პერიოდი იწყება როგორც საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე, კერძოდ, პოლიგრაფიულ მეურნეობაშიაც. 60-იანი წლების ქართველ განმანათლებლებს, ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით, საჟურნალო-საგამომცემლო ცხოვრებაშიაც ახალი სხივი შეაქვთ. ამ წრის წევრმა მიხ. ყიფიანმა შექმნა ახალი ქართული შრიფტი, რომელიც თავისი გრაფიკული მოხაზულობით ეყრდნობოდა არსებულ შრიფტს და თანაც ეგუებოდა მანქანური წარმოების მოთხოვნილებას; ამასთანავე, მიხ. ყიფიანი წავიდა არა ხელნაწერი ალფაბეტის, არამედ არსებული შრიფტების გრაფიკული სრულყოფის გზით, რაშიაც მან გამოამჟღავნა გარკვეული მხატვრული გემოვნებაც.

მ. ყიფიანმა კარგად გაითვალისწინა ბეჭდვითი სიტყვის გავრცელებისაგან გამომდინარე მოთხოვნები, როგორც წარმოებრივი ხასიათისა, ისე მკითხველთა (მომხმარებელთა) მხრივ იმით, რომ არსებულ შრიფტში შეიტანა მნიშვნელოვანი გრაფიკული და ტექნიკური გაუმჯობესება და ამ სახით შექმნა ადვილად საკითხავი და, ამასთანავე, ძველი გრაფემიდან შეუმჩნევლად განსხვავებული შრიფტი.

ბ. გორდეზიანის აზრით, „მიხ. ყიფიანის შრიფტი, როგორც თავისი მოხაზულობით, ისე მკაფიობით ერთერთ საუკეთესო შრიფტად ითვლება და მისი გამრავლება სხვადასხვა ზომებში ჩვენი საშრიფტო მეურნეობისათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს“ (გვ. 86). მ. ყიფიანის მიერ შემუშავებული შრიფტი ცნობილმა მესტამბემ ს. მელიქიშვილმა ჩამოასხმევინა ვენაში (1864), რის გამოც ამ შრიფტმა მიიღო „ვენურის“ სახელწოდება.

წიგნში განხილულია მე-19 ს. მეორე ნახევარში შემუშავებული სხვა შრიფტებიც, რომელთაც შედარებით დიდი როლი არ შეუსრულებიათ ქართულ საშრიფტო მეურნეობაში. 1860-იანი წლებიდან ქართულ სტამბებში გაბატონებული იყო უმთავრესად მიხ. ყიფიანის შრიფტები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ახალი ხანა იწყება კერძოდ პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობის განვითარებაშიაც. წიგნი, პერიოდული გამოცემები ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობის ფართო მასებისათვის. ამ დროიდან ქართული შრიფტის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის მუშაობა სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ ხასიათს იღებს. ეს მუშაობა სხვადასხვა დაწესებულებაში მიმდინარეობდა. უკანასკნელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წ. 26 აპრილის დადგენილებით პოლიგრაფიის, გამომცემლობისა და წიგნით ვაჭ-

რობის საქმეთა სამმართველოსთან შეიქმნა „ქართული შრიფტის კომიტეტი". ამ კომიტეტმა არსებული ქართული შრიფტების საფუძველზე დაამზადა რამდენიმე ახალი მოხაზულობის შრიფტი. ამ მხრივ აქამდე საბოლოოდ დამუშავებულია და ხმარებაშიაც შემოღებული ბ. ბორდეზიანის, ნახაზები. ესაა გროტესკული ჯგუფის შრიფტი, რაც ძმთავრესად პერიოდული გამოცემებისათვისაა გამიზნული. ამ შრიფტის უპირატესობა, ჩვენი აზრით, იმაშია, რომ იგი ადვილად იკითხება, მკაფიოა და ვენურთან შედარებით ეკონომიურიც არის (ნაკლებ ადგილს იკავებს).

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ეს შრიფტი მთლიანი სახითაა (ციფრებით, ნიშნებით, ძველი ასოებით) დამუშავებული და გამიზნულია სრული გარნიტურისათვის. მთავრობის მიერ 1950 წ. „მკაფიოს" სახელწოდებით დამტკიცებული ეს შრიფტი, უნდა ვიფიქროთ, საპატიო ადგილს დაიკავებს ქართული შრიფტის მეურნეობაში და, ზოგიერთი საჭირო გაუმჯობესებათა გათვალისწინებით, ადვილად შეიძლება გაბატონებული მდგომარეობაც მოიპოვოს.

ბ. ბორდეზიანი ეხება ქართული შრიფტის გაუმჯობესების მხრივ ერთ მეტად საინტერესო, სახელდობრ, მხედრული მთავრული ასოების საკითხს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნიკოლოზ თფილელის განცხადებას (1782 წ.), რომ „მხედრული ასომთავრული ძველთაგან არ ყოფილ არს და აწ გავაკეთე და ჩემი მოგონილიაო", უნდა ითქვას (და ამას სწორად შენიშნავს ავტორი), ქართულ სტამბაში მე-19 ს მეორე ნახევრამდე მხედრული ასომთავრული არ იხმარებოდა.

მხედრული ასომთავრული შრიფტი პირველად მიხ. ყიფიანმა შეიმუშავა. ეს შრიფტი ერთხნობით გავრცელდა, მაგრამ თანდათანობით მისი ხმარება შენელდა; მას მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ. მის ამოღებას ხშირად წიგნიერების, წერა-კითხვის გავრცელების გაადვილების ინტერესით ასაბუთებდნენ; ასახელებდნენ აგრეთვე მხედრული ასომთავრულის საერთოდ ტექსტისათვის შეუხამებელ მოხაზულობას და სხვ.

„დროების" რედაქცია, ასაბუთებდა რა ასომთავრულის შემოღებას, აცხადებდა: „უასომთავრულოდ კაცი საკუთარ სახელს ძნელად გამოიცნობს ხოლმე, ასე რომ კითხვაში ხშირად შეუნიშნავად რჩებიან უცხო ქვეყნების და კაცების სახელები... ამასთანავე ყოველი აზრი კითხვაში უფრო მკაფიოდ და ნათლად იხედება, რადგანაც ის ყოველთვის ასომთავრულით იწყება ხოლმე. ასომთავრულის შემოღებით აგრეთვე თვითონ ქართული სტამბაც მრავალგვარდება და მშვენიერდება... როდესაც მკითხველებს ასომთავრულზე თვალი გაუტყდებათ მაშინ ისინი ღირსებად ჩათვლიან ნაკლულევანებას, რომელსაც პირველად ხედავენ" („დროება". 1867 წ. № 1 და 2).

ამჟამად ბ. ბორდეზიანი აღძრავს ასომთავრულის შემოღების საკითხს. „დღეს, როდესაც ეროვნული ენა და კულტურა არაჩვეულებრივად ვითარდება და მდიდრდება, მთავრულის საჭიროება დღითიდღე ნათელი ხდება. გარდა იმისა, რომ მთავრული სრულიად შესცვლის ჩვენი ტექსტების მონოტონურ სახეს, მას დიდი მნიშვნელობა ექნება ტექსტის აზრობრივად სწორი ათვისებისათვის და ნაბეჭდის პრაქტიკული გამოყენებისათვისო" (გვ. 115).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ბ.ბორდეზიანის ნაშრომი ფართოდაა ილუსტრირებული ქართული შრიფტების სურათებით. ქართული მხედრული შრიფტის ისტორია ამ მხრივაც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი. წიგნს დართული აქვს „მცირე ლექსიკონი", რომელიც დაეხმარება მკითხველს, რათა გაერკვეს საშრიფტო მეურნეობის სპეციალურ საკითხებში.

ბ. ბორდეზიანის ნაშრომს სიამოვნებით გაეცნობიან არა მხოლოდ პოლიგრაფიული მრეწველობის სპეციალისტები, არამედ საერთოდ ქართული ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებიც.

პროფ. პ. გუგუშვილი

ახალი ქართული პედაგოგიური ჟურნალი

გასული წლის ივლისში განაახლა მუშაობა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიურმა პედაგოგიურმა ჟურნალმა — „კომუნისტური აღზრდისათვის".

„ძირითადი ამოცანა, რომლის გადაჭრაშიც ჩვენმა ჟურნალმა უშუალო და აქტიური მონა-

---

„კომუნისტური აღზრდისათვის", ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ორგანო. №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 1953 წ. რედაქტორი—გ. ნიორაძე.

წილეობა უნდა მიიღოს, — ვკითხულობთ პირველი ნომრის სარედაქციო წერილში — არის მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მათი შეიარაღება მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით. საბჭოთა მასწავლებელი... კარგად უნდა ერკვეოდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკაში... ჟურნალი უნდა ზრდიდეს მასწავლებლობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის, შემტევი რევოლუციური სიფხიზლისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით".

ჟურნალში წარმოდგენილია შემდეგი განყოფილებები: პედაგოგიკა, მეთოდიკა, გამოცდილებიდან, კონსულტაცია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ქრონიკა.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ სკოლის აღმზრდელობითი მნიშვნელობის შემდგომი ამაღლებისა და საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდობის მიერ პროფესიის არჩევის პირობათა უზრუნველყოფის მიზნით ამოცანად დასახა სათანადო ღონისძიებათა გატარება პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასასვლელად. ამ მიმართულებით მთელ საბჭოთა კავშირში გაჩაღდა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. ბუნებრივია, რომ ჟურნალი ყურადღების ცენტრში აყენებს ამ საკითხს. საჭიროა გაირკვეს ისეთი ზოგადი საკითხები, როგორიცაა პოლიტექნიკური სწავლების მნიშვნელობა და ადგილი კომუნისტური აღზრდის სისტემაში, პოლიტექნიკური სწავლების შინაარსი, მისი იდეის ჩასახვა და განვითარება და სხვ..

№ 1-ში მოთავსებულია დოც. უშ. ობოლაძის წერილი, რომელშიც ზოგადი დიდაქტიკური თვალსაზრისით გაშუქებულია პოლიტექნიკურ სწავლებასთან დაკავშირებული ორი პრობლემა: ვაკვეთილისა და ექსკურსიის საკითხი ბუნებათმეცნიერული საგნების სწავლებისას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და მითითებულია ზოგიერთ არსებით ღონისძიებაზე, რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს პოლიტექნიკური სწავლების ამოცანების შესაბამისად ამ საგნების სწავლების გარდაქმნის მიზნით.

პედაგოგიკური მემკვიდრეობის შესწავლის დარგში აღსანიშნავია მ. კეკელიძის წერილი (№ 5), რომელშიც ვრცლად გადმოშლილია ახალი მასალების მიხედვით დიდი რუსი პედაგოგის უშინსკის ცნობილი მოწაფის დ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა გორის სამასწავლებლო სემინარიაში.

პროფ. გ. თავზიშვილის წერილში — „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები პოლიტექნიკური სწავლების შესახებ" (№ 2) ნაჩვენებია, რომ მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა ნათლად გაარკვიეს პოლიტექნიკური სწავლების რევოლუციური როლი მშრომელი ხალხის კულტურული განვითარებისა და წარმოების გადიდების საქმეში, მათ დაამტკიცეს პოლიტექნიკური სწავლების აუცილებლობა მომავალ თაობათა ყოველმხრივი განვითარებისათვის. ი. სტალინი პოლიტექნიზმს ითვალისწინებს იმ ღონისძიებათა სისტემაში, რომლებიც მიმართულია საბჭოთა საზოგადოების ისეთი კულტურული ზრდისაკენ, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრის ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას.

ცნობილია, რომ ჩვენში რაიონის განათლების განყოფილებები სისტემატურად აწყობენ ე. წ. „პედაგოგიურ კითხვას". მისი ჩატარება მაღალ დონეზე დიდმნიშვნელოვან ამოცანადაა დასახული. პროფ. დ. ლორთქიფანიძის წერილი — „საფუძვლიანად შევისწავლოთ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება" (№ 3) მიზნად ისახავს, დაეხმაროს „პედაგოგიურ კითხვაში" ჩაბმულ მასწავლებლებს ისეთი საკითხების აღძვრით, როგორიცაა, მაგალითად, სკოლისა და მასწავლებლის გამოცდილების შესწავლა-განზოგადების ძირითადი ამოცანები და საფუძვლები, გამოცდილების დანერგვის გზები და ფორმები, მოთხოვნები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს გამოცდილების განზოგადების შესახებ დაწერილი ნაშრომი, და სხვ..

გენიალური რუსი მწერლის ლ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავს მიეძღვნება დოც. ვ. ქაჯაიას წერილი, სადაც გაშუქებულია ტოლსტოის პერაგოგიური შეხედულებანი (№ 3).

მისასალმებელია, რომ ჟურნალი თავის ფურცლებზე გარკვეულ ადგილს უთმობს მეტყველების ფსიქოლოგიის საკითხებს. ამ მხრივ ჩვენთვის დახმარების გაწევა შეუძლია პროფ. დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიური ინსტიტუტის მუშაკებს. მეტყველების ფსიქოლოგიას საქმე აქვს მეტყველებასთან, როგორც ადამიანთა მოქმედების ერთ-ერთ სახეობასთან. მას ენის საკითხები ეხება, როგორც მეტყველებითი მოქმედების საკითხები, ხოლო მეტყველებას, ისე როგორც ყოველგვარ მოქმედებას, თავისი ფსიქოლოგია აქვს. „განწყობის თეორიის" საფუძველზე არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი დასკვნის მიღება შეიძლება სკოლაში ენის სწავლების საკ-

კეთესოდ დაყენების საქმეში. ჟურნალში ჯერჯერობით წარმოდგენილია ფსიქოლოგების — დოც. ბ. ხაჭაპურიძის, დოც. ა. მოსიავის და დოც. ა. ავალიშვილის წერილები.

ბ. ხაჭაპურიძე თავის წერილში არკვევს სწავლების ზოგიერთ საკითხს ბუნებისმეტყველებაში, ა. მოსიავა კი ახასიათებს მეტყველებაზე მუშაობის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს წერა-კითხვის სწავლების პროცესში.

დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ მოსწავლეთა მიერ რუსულ წერითს მეტყველებაში დაშვებული შეცდომების მეცნიერულ ანალიზს და აქედან გამომდინარე პრაქტიკულ დასკვნებს. ამ საკითხს მიეძღვნება დოც. ა. ავალიშვილის ნაშრომი: „მოსწავლეთა ზოგიერთი შეცდომის შესახებ რუსულ წერით მეტყველებაში" (№ 3), რომელიც წარმოადგენს მდიდარი ფაქტიური მასალის შესწავლისა და განზოგადების შედეგს.

დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე ფიზიკის სწავლების ზოგიერთ საკითხს მიეძღვნება დოც. ა. მიქაძის საყურადღებო სტატია, რომელიც მოთავსებულია ჟურნალის № 6-ში.

საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდის დარგში ჩვენი სკოლის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება არა ერთი რომელიმე საშუალება, გზა ან მეთოდი, არამედ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის მთელი სისტემა. ჩვენი ახალთაობის პატრიოტული თვალსაზრისით აღზრდის საკითხებს ეხება დოც. ტ. სარიშვილის ნაშრომი: „მოსწავლეთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით" (№ 3).

დოც. ს. ფურცელაძის წერილი (№ 1), რომელიც ეხება ქართულ სკოლაში რუსული ენის სწავლების მეთოდიკის ზოგად საკითხებს, სავსებით სამართლიანად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართულ სკოლაში რუსული ენის შესწავლას საფუძვლად უდევს: პარტიისა და მთავრობის ისტორიული დადგენილებები, ი. სტალინის საენათმეცნიერო შრომები და ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობა.

მეთოდიკის განყოფილებაში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე შ. ჩუბინიძის სტატია: „სკოლის მონაწილეობა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში" (№ 2).

რა თანმიმდევრობით უნდა ვასწავლოთ წინადადების წევრები ქართულში? ამ კითხვას არკვევს დოც. ლ. კვაჭაძის სპეციალური ხასიათის ნაშრომი (№ 1). ავტორი ვრცლად წარმოგვიდგენს საკითხის ისტორიას, ახასიათებს საქმის ვითარებას ძველ გრამატიკებში და კრიტიკულად განიხილავს ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში შეხედულებებს წინადადებების წევრთა თანმიმდევრობის სწავლების დარგში.

პოლიტექნიზმის პრობლემასთან დაკავშირებით იპყრება მთელი რიგი კონკრეტული საკითხები ფიზიკის დარგში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს დოც. ა. მიქაძის სტატია (№ 1), რომელშიც მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილების საფუძველზე მოკლედ დახასიათებულია ფიზიკის სწავლების ის ძირითადი მიმართულებანი, რომლებმაც ერთგვარი შემოწმება გაიარეს საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და რომელთა მასობრივად დამკვიდრებას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტექნიკური სიწავლების პირობების მოსამზადებლად.

მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარების მიზნით ჟურნალში წამოჭრილია მთელი რიგი საკითხები. ეს საკითხებია: ქართული ზმნის კატეგორიების სწავლება არაქართულ სკოლებში, რუსული ზმნის ერთი კატეგორიის სწავლება X კლასში, ცხოვრებაზე ცდა-დაკვირვების ორგანიზაცია, საკონტროლო წერითი მუშაობა მათემატიკაში, და სხვ. ყურადღებას იპყრობს ბ. ინწკირველის წერილი — „ვეფხისტყაოსნის" კომპოზიციის სწავლება IX კლასში", რომელიც უთუოდ გამოადგება ქართული ლიტერატურის მასწავლებელს რუსთაველის უკვდავი ქმნილების სკოლაში სწავლების გასაადვილებლად.

ამრიგად, ჟურნალის — „კომუნისტური აღზრდისათვის" დღემდის გამოსული ნომრები ეხმაურება სკოლის პრაქტიკულ საჭირბოროტო საკითხებს. სასურველია, ჟურნალში მეტი რაოდენობით იბეჭდებოდეს ჩვენი მოწინავე მეცნიერების წერილები, რომლებშიაც გაშუქებული იქნება მეცნიერების სხვადასხვა დარგის კონკრეტული საკითხები.

უდავოა, რომ პედაგოგიური ჟურნალი პირველად ყოვლისა უნდა აშუქებდეს ამა თუ იმ სამეცნიერო დისციპლინის მეთოდიკის საკითხებს. ამასთანავე, ჩვენი აზრით, ჟურნალმა თავის ფურცლებზე არამცირედი ადგილი უნდა დაუთმოს თეორიულ-მეცნიერული ხასიათის ნაშრომებს, რომლებიც შესაძლოა არ წარმოადგენდნენ საკითხების დალაგებას მეთოდიკის თვალსაზრისით, მაგრამ არკვევდნენ აქტუალურ საკითხებს პროგრამით გათვალისწინებულ თემებთან დაკავშირებით.

ვარლამ ძიძიგური

საქ. სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი

საქ. სსრ ... ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

★

სახელმწიფო გამომცემლობა

ვ. ი. ლენინი — მოსახლეობისადმი, „დემოკრატიის“ და დიქტატურის შესახებ, რა არის საბ-ჭოთა ხელისუფლება? გვ. 110, ფასი 1 მან. 10 კაპ.

ა. ი. მიქოიანი — საქონელბრუნვის შემდგომი განვითარებისა და სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ (მოხსენება და დასკვნითი სიტყვა). ბ/მგ. გამოშვებისათვის ირ. ყიფიანი, გვ. 92, ფასი 95 კაპ.

ს. ვისკოვი — სსრ კავშირი მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში. რედ. მ. კოხახია, გვ. 171, ფასი 1 მ. 35 კაპ.

ალიო მირცხულავა — ლექსები და პოემები (ერთტომეული). რედ შ. სულაბერიძე. გვ. 656, ფასი 14 მან. 40 კაპ.

კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი (წიგნი მესამე). რედ. ს. ჭილაია, გვ. 496, ფასი 8 მან. 20 კაპ.

გრიგოლ აბაშიძე — ლექსები და პოემები (ერთტომეული). რედ. გ. ხუხაშვილი, გვ. 544, ფასი 12 მან. 40 კაპ.

მიხეილ ბუბენოვი — თეთრი არყის ხე (თარგმანი მ. ახალაძისა და ვ. ქოჩორაძისა). რედ. თ. კოპლატაძე, გვ. 380, ფასი 4 მან. 10 კაპ.

ქეთევან დათიკაშვილი — ქართულ-რუსული ლექსიკონი (წიგნი პირველი). რედ. ლ. ხუნდაძე, გვ. 689, ფასი 11 მან. 90 კაპ.

ქართული თეატრის აღდგენის 100 წელი — რედ. გ. ბუხნიკაშვილი, გვ. 239, ფასი 18 მან. 10 კაპ.

ა. ნათიშვილი — შინაურ ცხოველთა ანატომია. რედ. ი. კვაჭაძე, გვ. 422, ფასი 8 მან.

გ. ა. მეავანაძე — ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ. რედ. კ. ელიაშვილი, გვ. 68, ფასი 90 კაპ.

დავით კობალავა — კვიცის გამოზრდა ჯოგური მეურნეობის პირობებში. რედ. ნ. ჩხაიძე, გვ. 32, ფასი 45 კაპ.

საგზაო მწერალი

ლევან ასათიანი — სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები (ნარკვევები). რედ. გ. ნატროშვილი, გვ. 250, ფასი 4 მან. 30 კაპ.

გიორგი შატბერაშვილი — მოთხრობები. რედ. დ. ბენაშვილი. გვ. 300, ფასი 7 მან.

როსტომ ბეჟანიშვილი — ჯარისკაცის ბედი. რედ. დ. ბენაშვილი. გვ. 264, ფასი 6 მან.

საბავშვო

ალექსანდრე პუშკინი — ზღაპრები. რედ. ალ. აბაშელი, გვ. 72, ფასი 3 მან. 70 კაპ.

შიო მღვიმელი — საბავშვო ლექსები. ტომი III, რედ. ერ. ქარელიშვილი, გვ. 232, ფასი 5 მან. 70 კაპ.

ირაკლი აბაშიძე — საბავშვო ლექსები და პოემები. რედ. ა. გაბესკირია, გვ. 260, ფასი 6 მან. 20 კაპ.

პროკლე კეკელიძე — აკაკი წერეთელი (ცხოვრება და მოღვაწეობა). რედ. ერ. ქარელიშვილი, გვ. 388, ფასი 5 მან. 65 კაპ.

ელიზბარ ზედგინიძე — შორეულ ცის ქვეშ. რედ. აკ. ბელიაშვილი, გვ. 202, ფასი 4 მან. 60 კაპ.

ნიკოლოზ ჩაჩავა — ციალას მეზობლები. რედ. გრ. აბაშიძე, გვ. 104, ფასი 2 მან. 30 კაპ.

ლევან შენაბდე — სულხან საბა ორბელიანი (მონოგრაფია). რედ. გ. ლეონიძე, გვ. 170, ფასი 8 მან. 80 კაპ.

ქეთევან ჭელიკაშვილი — ჩვენი ეზოს ბავშვები. რედ. ვ. ბეწუკელი, გვ. 116, ფასი 4 მან.

ვ. ოსეევა — ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები (თარგ. ელ. გოგოლაშვილისა). რედ. ს. ფაშალიშვილი, გვ. 348, ფასი 8 მან. 90 კაპ.

ქეთევან ჭილაშვილი — პატარა მეგობრებს. რედ. ა. დოხნაძე, გვ. 76, ფასი 4 მან. 10 კაპ.

კ. ერბენი — ჩეხური ზღაპრები (თარგ. ელ. ერისთავისა). რედ. გ. ახვლედიანი, გვ. 80, ფასი 3 მან. 10 კაპ.

გიორგი ნათიძე — რებუსები. რედ. მ. მეძმარიაშვილი, გვ. 32, ფასი 1 მან. 50 კაპ.

36/348
ᲡᲐᲯᲗᲐ 8 ᲐᲯ.
ᲡᲐᲠᲔᲠᲘᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
1 12 ᲘᲜ 7

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ